ოთარ ჯაფარიძე

ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში

(ადრეყორღანული კულტურა)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1998

63.4(21)
902/904(479.22)
ჯ 272

ნაშრომში განხილულია ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლე ტომების ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი გარდაქმნების პროცესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე. ფართო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გაშუქებულია იმ დროის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების, კულტურული დონის, გარე სამყაროსთან ურთიერთობის, ეთნიკური ხასიათის ძვრების და სხვა საკითხები. ამ პერიოდში დიდი გარდატეხების ხანა დგება. დასრულდა წინარე ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და საფუძველი ეყრება ახალ ადრეყორღანულ კულტურას.

ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

In der Monographie wird anhand archäologischer Angaben der Prozeß der wichtigen Umwälzungen im Leben der in Ostgeorgien in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. wohnenden Stämme untersucht. Auf Grund eines umfangreichen faktischen Materialien werden Fragen der wirtschaftlichen Entwicklung, des kulturellen Niveaus, der Beziehungen zur Außenwelt, der ethnischen Wandlungen der damaligen Gesellschaft erläutert. Das ist die Zeit eines großen Umbruchs. Die jahrhundertelange Geschichte der vorangehenden Kura-Arax-Kultur geht zu End. Es entsteht eine neue Kultur der frühen Hügelgräber.

Die Adressaten dieses Buches sind Archäologen, Historiker und alle Interessenten.

რედაქტორი ალ. ჯავახიშვილი

რეცენზენტები: გ. ავალიშვილი
გ. გრიგოლია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

0504000000
608(06)-98

ISBN 5-511-00704-8

წინათქმა

ნაშრომი უძველესი ისტორიის იმ მონაკვეთს მოიცავს, როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომები ძ.წ. III და II ათასწლეულების ზღურბლს მიუახლოვდნენ. მაშინ აქ დიდი გარდატეხების ხანა დადგა, ცხოვრების სრულიად ახალ გზას ჩაეყარა საფუძველი. ახლაც, ახალი წელთაღრიცხვის II და III ათასწლეულების გასაყარზე ქართველი ხალხი დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მის ცხოვრებაში დიდი გადახალისების, ახალი ერის ჩამოყალიბების დრო დგება. იმედია, რომ ქართველი ხალხი ისევე წარმატებით გადალახავს ამ ზღვარს, როგორც ეს ძვ. წ.III და II ათასწლეულების მიჯნაზე მოხდა. დადგა შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების დრო, რის შედეგადაც ახალი, შუაბრინჯაოს ხანის „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა" აღმოცენდა.

საერთოდ, ძ.წ. III ათასწლეული მნიშვნელოვანი პერიოდია ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. აქ გარკვეულ რეგიონებში ამ დროს უკვე არსებობდა ცალკეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. იქ, სადაც ეს პროცესი ერთხანს დაყოვნდა, საკმაოდ მაღალ დონეს მიღწეული კულტურები ყალიბდება. მახლობელი აღმოსავლეთის ჩრდილოპერიფერიულ რეგიონში, ამიერკავკასიაში ამ დროს გაერცელებული იყო საკმაოდ დაწინაურებული მტკვარ-არაქსის კულტურა. ამ კულტურის მატარებელ ტომებს, ჩანს, გარკვეული როლი უნდა ეთამაშათ წინა აზიის უძველეს ისტორიაში. ძ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში დასრულდა მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალსაუკუნოვანი არსებობის ხანა და მის ნაცვლად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ვრცელდება ადრეყორღანული კულტურა. ამ პერიოდში საკმაოდ მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება ცხოვრების ხასიათში, საგრძნობლად იმატა ჩრდილოეთიდან მომდინარე გავლენებმა. ამავე დროს მომზადდა ნიადაგი ქართველური ტომების და მათი ენის თანდათანობითი დაშლისა. ამიტომ, არქეოლოგიური მონაცემების სწორ ანალიზს და ინტერპრეტაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ მეტად საინტერესო, მაგრამ საკმაოდ ბუნდოვანი პერიოდის კვლევისას.

სწორედ ამ ხანის ძეგლების შესწავლას ისახავდა მიზნად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, როდესაც თავის სამუშაოს გეგმავდა თბილისის მახლობლად სოფ. მარტყოფის მიდამოებში. აქ 1979-1982 წწ. ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა ულეეარის ველზე ადგილ „შინდიანთ ხევში", „გატყლაპულ გორებზე", „დიდ გუბეებში" და „გრაკლიანთ გორებზე". 1989-1990 წწ. ამ რეგიონში გათხრებს აგრძელებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. გ. ავალიშვილის ხელმძღვანელობით.

1979-1982 წწ. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე,

გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, ზ. ბაქრაძე, კ. მეგრელიშვილი, ა. მათიაშვილი, ნ. ასათიანი, ლ. ფანცხავა, არქიტექტორი მ. მეძმარიაშვილი.

1982 წელს სამუშაოები N 4 ყორღანზე გვიან შემოდგომამდე გაგრძელდა. მუშები, ძირითადად სკოლის მოსწავლეები, სწავლის დაწყების გამო სამუშაოდ ვეღარ გამოდიოდნენ. გათხრების მიტოვება კი აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან დასაკრძალავი კამერის დიდი ნაწილი უკვე გაშიშვლებული იყო. უნივერსიტეტის პრორექტორის, შემდეგში მისი რექტორის, აკად. ნ. ამაღლობელის წინადადებით და ინიციატივით ექსპედიციის გათხრით სამუშაოებში ჩაერთვნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, ძირითადად მაღალი ენერგიების ფიზიკის და აკად. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტების თანამშრომლების დიდი ჯგუფი. მათი უანგარო, თავდადებული შრომის გარეშე ექსპედიციას ნამდვილად დიდად გაუჭირდებოდა სამუშაოების ბოლომდე მიყვანა. ყველას უღრმესი მადლობა გაწეული შრომისათვის. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ აკად. ნ. ამაღლობელი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ საქმეს. იგი ყოველნაირად ხელს უწყობდა, მზრუნველობას არ აკლებდა და დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ექსპედიციის მუშაობას. მადლობა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებიც დიდი მონდომებით და ინტერესით მოეკიდნენ საკმაოდ რთულსა და მძიმე საქმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1982-1983 სასწავლო წლის პირველკურსელების — ლ. ასათიანის, ნ. ასათიანის, ნ. ქადაგიძის, ქ. სურგულაძის, ქ. სტურუას, ი. გოგიჩაიშვილის, ხ. მელიქიშვილის, ი. სოსელიას, ნ. თორაძის, ე. ხაბეიშვილის თავდაუზოგავი შრომა.

დიდი სამსახური გაუწია ექსპედიციას დოც. პ. მარგველაშვილმა, რომელმაც ამერიკის ლოველის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში რადიონახშირბადის მეთოდით გაასაზღვრინა მარტყოფის N4 ყორღანიდან აღებული ხის ნიმუშების თარიღი. ამავე ყორღანის ხნოვანება განსაზღვრულია ბერლინის ლაბორატორიაში, რისთვისაც დიდი მადლობა პროფ. ჰ. ქვიტას. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით უნდა მივიხსენიოთ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიის თანამშრომლები, მისი ხელმძღვანელი, აწ განსვენებული პროფ. ა. ბურჭულაძე, დადგენილი თარიღებისათვის.

ხის ნიმუშები მარტყოფის ყორღანებიდან განისაზღვრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რისთვისაც მადლობას ვუხდით პროფ. გ. თუმანიშვილს, დოც. ე. მირიანაშვილს და დოც. ე. ციცვიძეს. დიდად დავალებული ვართ პროფ. ა. ვეკუასი, რომელმაც შეისწავლა ძვლოვანი მასალა, განსაზღვრა ცხოველთა კბილებიდან და ეშვებიდან ნაკეთები ნივთები და საერთოდ იმ ერთობლივი შრომისათვის, რომელსაც იგი წლების მანძილზე არქეოლოგებთან თანამშრომლობით ეწევა.

ნაშრომი არჩილ ამაღლობელის ნათელ ხსოვნას ეძღვნება, რომელიც არაერთგზის ახლდა თავის მამას აკად. ნოდარ ამაღლობელს მარტყოფში და დიდი გულისყურით ადევნებდა თვალყურს არქეოლოგიურ სამუშაოებს. იგი, ჩანს, ერთნაირად იყო დაინტერესებული როგორც თავის ქვეყნის წარსულით, ისე მისი აწმყოთი და მომავლით. აკი შეეწირა კიდეც მისი სიცოცხლე საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლას. არჩილს და მის მეგობრებს თავისი ქვეყნისათვის ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლოთ, მაგრამ სრულიად გაუმართლებელმა, თავსმოხვეულმა ომმა, რომელიც შავ ლაქად დარჩება საქართველოს ისტორიაში, იმსხვერპლა დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდების სიცოცხლე.

შესავალი

ბოლო რამდენიმე ათეული წლის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ძველ სამყაროში სრულიად ახლებურად გააშუქეს ადრეული ისტორიის რიგი კარდინალური საკითხები. კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა კავკასიის როლი უძველეს ისტორიაში; აქ გადიოდა ხმელეთით ერთ-ერთი ძირითადი დამაკავშირებელი გზა წინა აზიასა და აღმოსავლეთ ევროპას შორის. სწორედ, განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ინტერესს კავკასიის უძველესი ისტორიისადმი. კავკასია ოდითგანვე ხალხთა მოძრაობის ასპარეზი იყო და კავკასიონის ქედი, ჩანს, მთელი ისტორიის მანძილზე, გადაულახავ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამ გზით სარგებლობდნენ უძველესი დროიდან და ხალხთა მიმოსვლა აქ არასოდეს შეფერხებულა. აქედან ხორციელდებოდა ადრეული მიგრაციები კავკასიის მიღმა მდებარე სტეპურ ზოლში, ამ გზით სარგებლობენ შემდეგ ინდოევროპელი ტომები, უფრო მოგვიანებით კი კიმერიელები, სკვითები და სხვ. ეს მოვლენები სათანადოდ აისახა მატერიალურ კულტურაში და ამიტომ არქეოლოგიური წყაროების ინტერპრეტაცია გარკვეულ ინტერესს იწვევს.

ამიერკავკასია, რომელიც წინააზიური სამყაროს ჩრდილო, პერიფერიული რეგიონი იყო, ქვის ხანიდან მოკიდებული, უფრო მეტად სამხრეთთან იყო დაკავშირებული. ეს ტრადიცია, ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, მტკვარ-არაქსის კულტურის დროსაც გრძელდებოდა. მაგრამ, მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, როდესაც ირღვევა თითქმის მთელ ცირკუმპონტურ ზონაში ადრებრინჯაოს ხანის კულტურების სტაბილური ხასიათი, ვითარება საგრძნობლად იცვლება, რასაც შედეგად ამიერკავკასიაში საზოგადოების შიგნით მნიშვნელოვანი ძვრები მოყვა. საზოგადოება განვითარების ახალ, განსხვავებულ გზას დაადგა. არქეოლოგიურად ეს ადრებრინჯაოს ხანიდან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურია, რომელიც მტკვარ-არაქსისა და „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე" კულტურებს შორის ექცევა. ეს სრულიად ახალი მოვლენაა, რომელსაც, მართალია, ზოგი რამ წინარე პერიოდიდან შემორჩა, მაგრამ უკვე საგრძნობლადაა დაშორებული მას. ცვლილებები შეეხო საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. საფუძველი ეყრება სრულიად ახალ ტრადიციებს და საერთოდ ეთნოკულტურულ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი გარდატეხები შეინიშნება. იცვლება ორიენტაციის სფეროები, სუსტდება კავშირები სამხრეთის ზონებთან და პირიქით, ძლიერდება ურთიერთობა ჩრდილო რეგიონებთან. მკვეთრი კონტრასტი განსაკუთრებით საზოგადოების ცხოვრების ხასიათში გამოიკვეთა. ახლად ჩამოყალიბებული სისტემა საკმაოდ მყარი გამოდგა. მომდევნო ხანაში, თრიალეთის კულტურის დროს თითქოს კვლავ ძლიერდება ურთიერთობა წინაზაზიურ სამყაროსთან, რაც სათანადოდ აისახა კიდეც კულტურაში, მაგრამ ცხოვრების საერთო ხასიათზე ამას გავლენა მაინცადამაინც არ მოუხდენია და საზოგადოება ადრეყორღანული კულტურის დროს ჩამოყალიბებული წესით განაგრძობს არსებობას. მართებული ჩანს მოსაზრება, რომ ის კარდინალური ცვლილებები, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში შეიმჩნევა

ამიერკავკასიაში. შეუძლებელია აიხსნას კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული კულტურების გათვალისწინების გარეშე[1]. სწორედ არქეოლოგიურ მასალაში კარგად აირეკლა ის ახალი მოვლენები, რომლებიც შეიმჩნევა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში.

პირველი, ვინც შენიშნა და ყურადღება მიაქცია კულტურაში მომხდარ ცვლილებებს, აკად. ბ. კუფტინი იყო. თრიალეთში მოპოვებული მასალების და მუზეუმში დაცული კოლექციების საფუძველზე შექმნილ პერიოდიზაციის სქემაში მან ცალკე გამოყო ერთი ჯგუფი ძეგლებისა, ძირითადად ყორღანებისა, რომელიც „მტკვარ-არაქსის ენეოლითის" მომდევნო პერიოდს, ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნა. ბ. კუფტინმა კარგად იგრძნო, რომ, მიუხედავად წინარე კულტურასთან გარკვეული მსგავსებისა, აქ უკვე განვითარების სხვა საფეხურთან უნდა გვქონდეს საქმე. მთლად მართებული არ უნდა იყოს ბ. კუფტინის მიმართ გამოთქმული საყვედური, რომ შეცდომაა ყორღანების ერთი ჯგუფის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებად მიჩნევა და თითქოს ადრეული ყორღანები უდაოდ „მტკვარ-არაქსის ენეოლითს" უნდა მიეკუთვნოს[2]. მაგრამ ეს ყორღანები, მიუხედავად სიდიდისა, მეტად ღარიბულ ინვენტარს შეიცავდნენ, უპირატესად მსხლისებრ ფორმის ჭურჭელს და მოზრდილ ცალყურა ტოლჩას. როგორც ფორმით, ისე ორნამენტის ხასიათით ბ. კუფტინი ამ კერამიკის გენეტიკურ კავშირს ხედავდა წინამორბედ, „მტკვარ-არაქსის ენეოლითის" თიხის ნაწარმთან[3]. უფრო გვიან ადრებრინჯაოს ხანას მან აგრეთვე მეორე ჯგუფის ყორღანები მიაკუთვნა, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო განსხვავებული ხასიათის თხელკედლიანი ჭურჭელი, ხშირად წვრილად ნაკაწრი ორნამენტით შემკული[4]. თავის დროს ეს ყორღანები ბ. კუფტინმა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურას მიაკუთვნა, თუმცა იმთავითვე მათ გარკვეულ თავისებურებაზე მიუთითებდა[5]. მან თრიალეთში ადრებრინჯაოს ხანაში გამოყო ორი ჯგუფი ყორღანებისა, ერთი ადრეული, მეორე კი რამდენადმე უფრო გვიანდელი, რომლებიც გარეგნულად თითქმის არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. შემდეგში ბ. კუფტინის ეს ვარაუდი სავსებით დადასტურდა და მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურებს შორის გამოიყოფა ორი ჯგუფი ადრეული ყორღანებისა, რომლებიც სამარხეული ინვენტარის ხასიათით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან[6]. როგორც შემდეგში გაირკვა, ამათგან ერთი ბედენის კულტურას მიეკუთვნება.

ბ. კუფტინის მიერ თრიალეთის ყორღანული კულტურის სქემა ძირითადად სწორი გამოდგა. მართალია, ყორღანების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში შეტანილ იქნა გარკვეული კორექტივები, მაგრამ ეს ძირითადად შეეხებოდა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას". ადრეული ჯგუფის ყორღანებს

---

1. Ch. Burney, D. Lang, The Peoples of the Hills: Ancient Ararat and Caucasus, London 1971, გვ. 78.

2. К.Х. Кушнарева, Т.Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа. Ленинград, 1970, стр. 156.

3. Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 102.

4. Б.А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси, 1948, стр. 23.

5. Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 84.

6. [illegible], ადრეული ყორღანული კულტურა საქართველოში. მეცნ. ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, N 2, თბილისი, 1988, გვ. 28.

ზოგადად ადრებრინჯაოს ხანას, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს ან მის ბოლო პერიოდს მიაკუთვნებდნენ.

ბ. კუფტინის ქრონოლოგიური სქემით თრიალეთის ადრეულ ყორღანებს, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანით თარიღდებიან, წინ უძღოდა მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურა, მაგრამ, შემდეგში გაირკვა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ძირითადად უკვე ლითონის ხანის კულტურაა და ბრინჯაოს ეპოქის ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება. რაკი ადრეული ყორღანები და ზოგი სხვა ძეგლი მტკვარ-არაქსის კულტურასთან ერთად ერთ პერიოდში გაერთიანდნენ, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ადრებრინჯაოს ხანაში რამდენიმე საფეხურს გამოყოფს, მტკვარ-არაქსის კულტურას ადრებრინჯაოს ხანის I და II საფეხურს მიაკუთვნებს, ადრეულ ყორღანებს კი უფრო გვიანი დროით, III საფეხურით ათარიღებს[7]. ყორღანული კულტურის გამოჩენას საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი ძვრები მოყვა, და იგი უკვე იმდენად განსხვავდება წინარე კულტურისაგან, რომ მათი განვითარების ერთ სტადიაში მოქცევა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ყორღანული კულტურის გავრცელება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში უკვე შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისს ემთხვევა[8]. როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ ბ. კუფტინი ადრეული ყორღანების უფრო მოგვიანო ჯგუფს შუაბრინჯაოს ხანაში აქცევდა. ამიტომ, ეგებ არ იყოს მთლად სიმართლეს მოკლებული, თუ ადრეყორღანების ორი ჯგუფიდან ერთს ადრედან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ საფეხურად მივიჩნევთ, მეორეს კი, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას, შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მივაკუთვნებთ. დაახლოებით ასეთივე აზრს თრიალეთის ადრეული ყორღანების შესახებ გამოთქვამს ალ. ჯავახიშვილი, თუმცა იგი ყორღანების ადრეულ ჯგუფს ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურს აკუთვნებს, მეორე, უფრო მოგვიანო ჯგუფს კი უკვე შუაბრინჯაოს ხანისად მიიჩნევს[9].

სულ უფრო იზრდება ინტერესი ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში მიმდინარე პროცესებისადმი. რა ვითარება შეიქმნა აქ მტკვარ-არაქსის კულტურის მომდევნო ხანაში? ამ მიზანს ემსახურებოდა სწორედ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის სამუშაოები 1955 წლიდან ძირითადად ყორღანული კულტურის შესწავლას ეძღვნება. პირველ რიგში ყურადღება მიექცა მდ. ყვირილის ზემო წელის ძეგლებს, საიდანაც ყორღანული ტიპის სამაროვნები იყო ცნობილი. საჩხერეში ჯერ კიდევ 1910 წ. ე. თაყაიშვილმა[10] მცირე სამუშაოები ჩაატარა ყორღანულ სამაროვანზე, ძირითადად სწორად განსაზღვრა ამ

---

7. А.А. И е с с е н, Кавказ и Древний Восток в IV-III тысячелетиях до нашей эры. КСИА, вып. 93, Москва, 1963, стр. 5.

C.A. B u r n e e y. Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age. Anatolian Studies. Vol. VIII, 1958, გვ. 175.

8. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 131.

9. А.И. Д ж а в а х и ш в и л и. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тысяч. до н.э. Тбилиси, 1973, стр. 265.

10. ЕС. Т а к а и ш в и л и. О сачхерском кургане Шорапанского уезда. Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. 3, Тбилиси, 1913, стр. 167.

ძეგლის ხნოვანება და იგი სპილენძის ხანას მიაკუთვნა. 1929 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში საჩხერიდან იმავე ხასიათის საკმაოდ მდიდარი კოლექცია შემოიკიდა. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ფონდებზე მუშაობის დროს ბ. კუფტინი დაინტერესდა საჩხერიდან შემოსული კოლექციებით და სხვადასხვა წლებში ამ რეგიონში რამდენიმე ძეგლი შეისწავლა. აქ მოპოვებულ მასალებს იგი ადრე და შუაბრინჯაოს ხანით ათარიღებდა[11].

თბილისის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1955 წელს საჩხერეში საკონტროლო ხასიათის გათხრები ჩაატარა ბ. კუფტინის ადრევე გათხრილ ძეგლებზე — ნაჩერქეზევზე და ცარცის გორაზე. ექსპედიციამ ერთი ყორღანული ტიპის სამაროვანი შეისწავლა სოფ. ქორეთში[12]. ეს სამაროვნები, ჩანს, დროის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო გამოყენებული, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან, ვიდრე II ათასწლეულის დასაწყისამდე[13].

1957 წლიდან უნივერსიტეტის და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ დაიწყო მუშაობა ქვემო ქართლში, სადაც ერთი ყორღანი გათხარა თეთრი წყაროს მახლობლად[14]. შემდეგ წელს ექსპედიცია სამუშაოდ გადადის თრიალეთის მაღალმთიან ზოლში წალკის პლატოზე და ტაბაწყურის ტბის მიდამოებში, სადაც თრიალეთის კულტურის რამდენიმე ყორღანი შეისწავლა[15].

1959-1964 წწ. ექსპედიცია სამუშაოებს აწარმოებს დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოზე, ზურტაკეტში. აქ შესწავლილი იყო თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" დროინდელი ყორღანები[16].

1965-1971 წწ. თბილისის უნივერსიტეტის ექსპედიცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე სწავლობს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებს. პარალელურად ექსპედიციამ აქვე გათხარა და შეისწავლა ადრეული ხანის ყორღანული სამარხები.[17]

1971 წელს თბილისის უნივერსიტეტის და საქართველოს მუზეუმის ექსპედიცია სამუშაოდ მესხეთში გადადის, სადაც არტაანის მტკვრის ხეობაში, ვარძიის მახლობლად თრიალეთური კულტურის ახალი კერა გამოვლინდა. აქ ახჩიაზე და ნიალის ველზე გათხრილი და შესწავლილი იყო დიდი ჯგუფი ყორღანებისა[18].

---

11. Б.А. К у ф т и н. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тбилиси, 1949, стр. 64.

12. ო. ფ ა ფ ა ძ ე. მდინარე ყვირილის ზემო წელზე 1955 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. „ეძებ შრომები", ტ. 87, თბილისი, 1960, გვ. 327.

13. ო. ფ ა ფ ა ძ ე. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 194.

14. ო. ფ ა ფ ა ძ ე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1960, გვ. 4.

15. იქვე, გვ. 6

16. ო. ფ ა ფ ა ძ ე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ. წ. II ათასწლეულში. თბილისი, 1969, გვ. 14.

17. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბილისი, 1975, გვ. 137.

18. ო. ფ ა ფ ა ძ ე, ი. კ ი ბ ა ძ ე, გ. ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბილისი, 1981 წ., გვ. 6.

1978 წ. ექსპედიციამ სოფ. მარტყოფის მიდამოებში დაზვერვების შედეგად გამოავლინა ერთი ჯგუფი ყორღანული სამარხების. 1978-1982 წწ. ექსპედიციამ აქ ოთხი ყორღანი შეისწავლა[19].

1989-1990 წლებში თბილისის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფ. გ. ავალიშვილის ხელმძღვანელობით კვლავ განაახლა მუშაობა ამ რეგიონში და გაითხარა ორი საკმაოდ დაზიანებული სამარხი, ყორღანი NN 5 და 6.

ყორღანული კულტურის შესწავლასთან დაკავშირებით დიდი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. გამოიცა თრიალეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების სრული კატალოგი[20].თრიალეთის ყორღანული კულტურის გენეზისს და პერიოდიზაციას მიეძღვნა ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა, სადაც ავტორმა სათანადო ყურადღება მიაქცია ადრეული ყორღანების მტკვარ-არაქსის კულტურასთან დამოკიდებულების საკითხს და შემდეგ მათ ურთიერთობას „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურასთან". ავტორი თრიალეთის ადრეულ ყორღანებში ორ ჯგუფს გამოყოფს, უფრო ადრეულს და რამდენადმე უფრო მოგვიანოს[21].

ადრეყორღანების კულტურის შესწავლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თეთრი წყაროს რაიონში, ბედენის პლატოზე და ალაზნის ველზე ჩატარებულ სამუშაოებს. სწორედ ბედენზე შესწავლილი ყორღანების საფუძველზე გამოიყო ახალი, მანამდე უცნობი ყორღანული კულტურა, რომელსაც ბედენური კულტურა ეწოდა[22]. ამ კულტურის ბრწყინვალე ძეგლები გამოვლინდა ალაზნის ველზე[23]. მისი ნაკვალევი გამოჩნდა იერის ზეგნის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის ველზე[24]. გაირკვა, რომ ბედენურ კულტურას მიეკუთვნება წალკის პლატოს ადრეული ყორღანების ერთი ჯგუფი. ადრეყორღანების კულტურა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. იგი მოიცავს იორ-ალაზნის ორმდინარეთს, ქვემო და შიდა ქართლს. დასავლეთით იგი ლიხის მთას აღწევს. გადადიოდა თუ არა იგი დასავლეთ საქართველოში, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. რა ხასიათისაა კოლხეთის დაბლობის ზოგიერთ ნამოსახლარზე აღმოჩენილი შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც თავისი ფაქტურით ადრეყორღანულ ჭურჭელს მოგვაგონებს, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ადრეყორღანული კულტურა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიცაა ცნობილი მილისა და ყარაბაღის ველზე. მთიან ყარაბაღში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ა. რესლერმა მდ. ხაჩანაგეტის ხეობაში ამ დროის რამდენიმე ყორღანი შეისწავლა[25]. ამავე დროისაა ი. ჰუმელის მიერ ოცდაათიანი წლების

---

19. ო. ჯაფარიძე, ი. ქიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. ნერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978-1979 წლების მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბილისი, 1980, გვ. 35.

ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. ნერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები VIII, თბილისი, 1986, გვ. 29.

20. A. Жоржикашвили, Э. Гогадзе, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тбилиси, 1974.

21. ე. გოგაძე, თრიალეთის ,ულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972, გვ. 15.

22. გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბილისი, 1981

23. Ш. Деламбрешвили, Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979.

24. ნ. ასათიანი, ბ. ბაისურაძე, შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985-1987 წწ. მუშაობის წინასწარი შედეგები, ისე შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბილისი, 1992, გვ. 151.

25. Э. Ресслер, ОАК за 1897 г. СПБ, 1900, стр. 153.

ბოლოს გათხრილი ყორღანები სტეპანაკერტთან[26], ასტარინის ყორღანები[27], მილის სტეპის ყორღანი უჩ-თეფე[28] და სხვ. ბედენის კულტურის ნაკვალევი ჩრდილო კავკასიაშიცაა ცნობილი[29].



სურ. 1. მარტყოფის და სამგორის ყორღანების განლაგების სქემა.

მართალია, ახალმა აღმოჩენებმა გარკვეული სინათლე შეიტანა ადრეყორღანული კულტურის შესწავლაში, ცალკე გამოიყო ბედენის კულტურა, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი რჩება. მთლად ნათელი არ არის, თუ რა მოელენაა ბედენური კულტურა, მისი წარმომავლობა, ურთიერთობა წინარე მტკვარ-არაქსისა და მომდევნო თრიალეთის კულტურებთან. არ არის გარკვეული მისი დამოკიდებულება ადრეული ყორღანების მეორე ჯგუფთან, არც მათ შორის ქრონოლოგიის საკითხებშია ყველაფერი ნათელი. სწორედ ამ საკითხებში გარკვეული სინათლის შეტანას ისახავდა მიზნად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია, როდესაც მუშაობას გეგმავდა მარტყოფისა და სამგორის მიდამოებში. ივრის ზეგნის ეს რეგიონი სამუშაოდ შეირჩა იმის გამო, რომ აქ ჯერ კიდევ 1950-1951 წწ. პროფ. გ. ნიორაძემ სამგორის ველზე შეისწავლა ერთი ადრეული ხანის ყორღანი. არჩევანი სწორი გამოდგა და მარტყოფის მიდამოებში, სამგორის მახლობლად, გამოვლინდა ადრეყორღანული კულტურის სამარხები (სურ. 1). როგორც ვახუშტი აღნიშნავს „სამგორს უწოდებენ სამი გორისათვის, რომელი არს ველსა სწორესა ზედა"[30]. ერთ-ერთი მათგანის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ეს გორები

26. Я.И. Гуниель. Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана, КСИИМК, XX, Москва, 1948, стр. 18.

27. Ф.А. Махмудов, Р.М. Мунчаев, И.Г. Нариманов, О древнейшей металлургии Кавказа, СА, 4, Москва, 1968, стр. 17.

28. А.А. Иессен, Раскопки большого кургана и урочище Уч-Тепе, МИА 125, М.-Л. 1965, стр. 153.

29. М.Г. Гаджиев, С.Н. Корневский, Металл Великентской катакомбы. Древние промыслы, ремесло, и торговля в Дагестане, Махачкала, 1984, стр. 9.

30. ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 538.

ყორღანულ სამარხს წარმოადგენენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამგვარსავე სურათს ვხვდებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა რეგიონშიც. აზერბაიჯანში მილის სტეპის ერთ-ერთმა ადგილმა უჩ-თეფემ თავისი სახელწოდება მიიღო აქ აღმართულ სამი გორისაგან. ერთ-ერთი გორის შესწავლისას აქაც ყორღანული სამარხი გამოვლინდა[31];

თბილისის ქვაბულის აღმოსავლეთით იწყება ივრის ზეგანი, რომელიც საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება ცივ-გომბორის ქედსა და გარეჯის მთებს შორის[32]. ზეგნის მთელ სიგრძეზე მოედინება მდ. იორი, რომელიც მას ორად ყოფს. მარჯვენა მხარე მოქცეულია იორსა და მტკვარს შორის, მარცხენა კი მოიცავს იორის და ალაზნის შუამდინარეთს. ვახუშტი აღნიშნავს – „ხოლო მდინარე იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი...“[33] ივრის ზეგნის სიმაღლე მერყეობს 100-200 მ, ვიდრე 1000-1200 მ. ჰავა კონტინენტურია, გვალვიანი, საკმაოდ მერყეები ტემპერატურით[34]. ზეგნის დასავლეთი ნაწილი, მარტყოფის მიდამოები და სამგორის პლატო გამოირჩევა თავისი კლიმატური პირობებით. ვახუშტი წერს, რომ „არამედ არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოველთა შემკული...“[35]. აქ ივრის ზეგნის სხვა მხარეებთან შედარებით ჰავა ნაკლებ კონტინენტურია, სინოტივე შედარებით მაღალი და ჭარბობს შავიწანიადაგი[36].

---

31. А.А. И е с с е н, დასახ. ნაშრომი, გვ.153

32. А.Н. Д ж а п а х и ш в и л и, Геоморфологические районы Грузинской ССР, М-Л. 1947, стр. 138.

33. ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 528.

34. А.И. М а р у а ш в и л и, Физическая география Грузии, II, стр. 238.

35. ქართლის ცხოვრება, გვ. 538.

36. А.И. М а р у а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

I თავი

მარტყოფის ყორღანები

მარტყოფის მიდამოებში სულ ექვსი ყორღანი გაითხარა, აქედან N N 3,5,6 ყორღანი ბედენურ კულტურას მიეკუთვნებიან.

ყ ო რ ღ ა ნ ი N I მდებარეობდა მარტყოფის აღმოსავლეთით, 2 კმ დაშორებით, ადგილ ულევარში [37]. წლების მანძილზე მოსახლეობა აქედან ქვას ზიდავდა და ამიტომ ყრილი ძლიერ დაზიანებული იყო. შერჩენილი ყრილის სიმაღლე 5,0 მ. უდრიდა, დიამეტრი – აღმოსავლეთიდან დასავლეთით – 60,0 მ; ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 70,0 მ. (ტაბ. I). ყორღანის ცენტრალურ ნაწილში 20-30 სმ. სისქის თიხნარის ქვეშ აღმოჩნდა რიყის მოზრდილი ქვებისაგან შემდგარი ყრილი (სურ.2). ქვაყრილის სიმაღლე 3,0 მ. აღემატებოდა, დიამეტრი კი 20,0 მ. მეტი იყო. ქვაყრილის ქვეშ ცენტრალურ ნაწილში თხელი ფილებისაგან ნაგები დასაკრძალავი კამერა აღმოჩნდა (ტაბ. I). მისი ზომებია 3.20 x 2.70 მ. ნაგებობის კედლები დაზიანებული იყო. ზოგან წყობის 5-6 რიგი იყო შემორჩენილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის წინ ფილებით ნაგები მოედანი აღმოჩნდა (ტაბ.II). მოედანთან ცენტრალურ ნაწილში კედლის განსხვავებული წყობა შეინიშნებოდა. შესაძლოა, აქ შესასვლელი იყო, რომელიც შემდეგ ჩაუშენებიათ. გარეთა მოედანზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მიმოფანტული სხვადასხვა ფორმის სადაფის საკიდები.



სურ. 2. მარტყოფის N1 ყორღანი.

ნაგებობას ქვის ფილებისაგან შემდგარი იატაკი ჰქონდა. ჩრდილო-დასავლეთ კედელთან იატაკში ჩაჭრილ ორმოს გადატრიალებული კონუსის მოყვანილობა ჰქონდა (სიღრმე – 0,50 მ, დი-

37. ო. ჩ ი ფ ა რ ი ძ ე, ი. კ ი კ ე ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. ნ ე რ ე თ ე ლ ი. კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978-1979 წლების მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბილისი, 1980, გვ. 35.

ამეტრი ზემოთ – 0,50მ, ძირზე – 0,10 მ.) (ტაბ. II). ორმო ამოვსებული იყო ქვებით და კარგად შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალი. კამერა ჩანს შიგნით ოვალური მოყვანილობისა იყო. როგორ იყო იგი გადახურული ძნელი სათქმელია, შესაძლოა მას თაღური გადახურვა ჰქონდა. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი შემორჩენილი არ იყო.

კამერის შიგნით, გარდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისა, აღმოჩნდა სადაფის საკიდები, ბრინჯაოს ისრის პირი და გახერეტილი ეშვი, სამხრეთ-დასავლეთ კედლის შუა ნაწილში გარედან შერჭობილი იყო ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრის პირი. ზედ ნაგებობის თავზე ქვაყრილში აღმოჩნდა ქვის გახერეტილი ცული. ჩრდილო-დასავლეთ კედელთან ცხვრის სამი კოჭი იდო.

დასაკრძალავ კამერაში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა. არ არის გამორიცხული, რომ კრემაციასთან გვქონდეს საქმე. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ორმოში შენიშნული ცეცხლის კვალი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების კატალოგში მარტყოფის ყორღანებში მოპოვებული მასალა გატარებულია – N 6-979. მასალის აღწერისას დაცულია კოლექციის რიგითი ნომერი.

1. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, მსხლისებრი ფორმის, ყელდაბალი, გადაშლილი პირით. ყელი თანდათანობით გადადის მხარზე. მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბური აქვს. მუცელი ჯერ თანდათანობით, შემდეგ კი სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. ძირვიწრო. ყელზე აქეთ-იქით პატარა ბრტყელი ყურებია მიძერწილი. სიმაღლე – 37,0 სმ, უდიდესი დიამეტრი – 35,0 სმ, პირის დიამეტრი – 13,3 სმ, ძირის დიამეტრი – 9,0 სმ. (სურ. 3. ტაბ. III).

2. დერგი, შაპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, მსხლისებრი ფორმის, პირგადაშლილი. ყელი თანდათან გადადის მხარში. მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბური იქმნება. მუცელი სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. ძირვიწრო. მხარსა და მუცელს შორის ერთი ფართო ბრტყელი ყურია მიძერწილი.



სურ. 3. მარტყოფის N 1 ყორღანის ინვენტარი: 1-6 – თიხის ჭურჭელი, 7 – თიხის ჭურჭლის ნატეხები, 8 - ქვის ცული, 9-10 – ბრინჯაოს ისრისპირები, 11 სადაფის რგოლები, 15 -საკიდი ღორის ეშვისა, 16 – ობსიდიანის ნატეხი.

სიმაღლე – 39,2 სმ; უდიდესი დიამეტრი – 49,0 სმ; პირის დიამეტრი – 16,4 სმ; ძირის დიამეტრი –13,0 სმ (სურ.3. ტაბ. III).

3. ნატეხები, შავპრიალა თიხის ჭურჭლისა, მოვარდისფრო სარჩულით; ყველა ნატეხზე რელიეფური ორნამენტია შერჩენილი. ერთ-ერთ ფრაგმენტზე პატარა ყურია მიძერწილი.

4. ნატეხები, შავპრიალა თიხის ჭურჭლისა, ვარდისფერი სარჩულით. ერთ ნატეხზე შერჩენილია მოზრდილი ყური, რომელსაც შუაზე არამკვეთრი წიბური გადასდევს. მეორე ნატეხზე წვრილი ხაზებისაგან შემდგარი გეომეტრიული ორნამენტია.

5. ნატეხები, შავპრიალა თიხის ჭურჭლისა, მონაცრისფრო სარჩულით. ნატეხებზე შერჩენილია ამოღარული ხაზებისაგან შედგენილი ორნამენტი.

6. ნატეხები, შავპრიალა თიხის ჭურჭლისა, მოყავისფრო სარჩულით. თხელკედლიანი მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბო იქმნება. შერჩენილია ამოღარული ხაზებისაგან შემდგარი გეომეტრიული ორნამენტი. (სურ. 3,7).

7. ცული, რიყის ქვისა

სიგრძე –10,0 სმ, პირის სიგანე – 5,3 სმ; სისქე – 3,7 სმ; ხვრელის დიამეტრი – 1,6 სმ. (სურ. 3,8. ტაბ.III).

8. ისრის პირი, ბრინჯაოსი, პირამიდისებრი თავით; ღერო ოთხწახნაგა, ბოლოსაკენ გაბრტყელებული.

სიგრძე – 4,6 სმ, თავის სიგრძე – 1,8 სმ, თავის ფუძის სიგანე – 0,8 სმ, ღეროს სიგრძე – 2,8 სმ, ღეროს სიგანე 0,3 სმ. (სურ. 3,9. ტაბ. III).

9. ისრის პირი, ბრინჯაოსი, პირამიდისებრი თავით, ოთხწახნაგა ღეროთი, რომელიც ბოლოში გაბრტყელებულია.

სიგრძე _ 3,6 სმ, თავის სიგრძე – 1,1 სმ, თავის ფუძის სიგანე – 0,4 სმ, ღეროს სიგრძე – 2,5 სმ, ღეროს სიგანე – 0,3 სმ (სურ. 3,10. ტაბ. III).

10. საკიდები, სადაფის, ბრტყელი და მრგვალი, შუაში ნახვრეტით. სხვადასხვა ზომის 0,85 – 1,5 სმ (სურ. 3,11. ტაბ. III).

11. ნიქარა კაური.

12. საკიდები, სადაფის ბრტყელი, დაკბილული კიდეებით.

13. საკიდი, ცხოველის ეშვისა, ნახვრეტით (სურ. 3,15. ტაბ. III).სიგრძე, 5,3სმ, სიგანე – 1,4 სმ.

ყ ო რ ღ ა ნ ი N 2. იგი ყორღან N 1-დან დაშორებული იყო 160 მ.[38]. მისი ყრილი ძლიერ დაზიანებული იყო, რადგან მოსახლეობას აქედან ქვა გაჰქონდა. ყორღანის დიამეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთით – 40,0 მ; ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 46,0 მ. (ტაბ. IV). აქაც მოწითალო თიხის ფენის ქვეშ ქვაყრილი აღმოჩნდა. ქვაყრილის დიამეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთით – 14,5 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 19,0 მ, სიმაღლე – 1,20 მ. ერთი მეტრის სიღრმეზე ქვაყრილში ხის ნარჩენები აღმოჩნდა, 1,20 მ. სიღრმეზე ცენტრალურ ნაწილში თიხატკეპნილი ოთხკუთხა მოედანი გამოვლინდა, რომლის სიგრძე-სიგანე – 6,80 x 6,40 მ. თიხატკეპნილი მოედნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში ხის ძელების ნაკვალევი აღმოჩნდა, ალბათ დასაკრძალავი შენობის ნაშთი, რომლის ზომები 6,30 x 5,50 მ. უნდა ყოფილიყო. თიხატკეპნილი იატაკის კიდეებს გასწვრივ თიხის ჭურჭელი ელაგა. მის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ვერცხლის სატევრის

38. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე და სხვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 38.

პირი, ბრინჯაოს რამდენიმე მძივი და ბრინჯაოს სამი ისრის პირი. მიცვალებული დაკრძალული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მოკრუნჩხული პოზით, ცუდად დაცული, ჩონჩხთან აღმოჩნდა ხარის თავის ქალა. მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ნაპოვნი იყო წვრილფეხა საქონლის ძვლები (სურ. 4). ჩონჩხის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს პატარა სატევრის პირი, მიცვალებულის ძვლებზე და მთელ იატაკზე კარგად შეიმჩნეოდა წითელი ოქრის კვალი.



სურ. 4. მარტყოფის N 2 ყორღანი.

17. ჭურჭელი, შავი თიხისა, მონაცრისფრო – მოყავისფრო სარჩულით, ბიკონუსური ტანით, ყელდაბალი, გადაშლილი პირით, ძირვიწრო. მუცლის ზედა ნაწილზე აქეთ-იქით ყურები ასხია. ცალ ყურთან ბრტყელი ჩაღრმავებული შვერილი აქვს. მუცლის ზედა ნაწილი მთლიანად შემკულია ამოკაწრული ხაზებით შესრულებული ორნამენტით – თევზიფხური, სამკუთხედები და ირიბი ხაზები.

სიმაღლე – 29,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 40,0 სმ; პირის დიამეტრი – 24,0სმ; ყელის სიმაღლე – 4,0 სმ; ძირის დიამეტრი – 8,1 სმ (სურ. 5. ტაბ. V.).

18. ჭურჭელი, შავპრიალა თიხისა, მოვარდისფრო-მოყავისფრო სარჩულით, ბიკონუსური ტანით. მუცლის ზედა ნაწილზე აქეთ-იქით ყურები ასხია. ფართო ყელით, პირგადაშლილი. მუცლის შუა ნაწილზე ფართო წიბური შემოუყვება, რომელიც ირიბი ხაზებითაა

შემკული. ძირვიწრო. ჭურჭლის ზედა ნაწილი შემკულია ჩარჩოში ჩასმული ირიბი ხაზებით.

სიმაღლე – 28.5 სმ; მუცლის დიამეტრი – 34,0 სმ; პირის დიამეტრი – 23,3 სმ; ძირის დიამეტრი – 10,0 სმ (სურ. 6. ტაბ. VI).

19. ჭურჭელი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, ბიკონუსური ტანით, მუცლის ზედა ნაწილზე ორი ყური ასხია; ყელდაბალი, ფართო, გადაშლილი პირით. ყელის ძირზე მხართან არამკვეთრი წიბური აქვს, რომელზედაც ფართო ქდეებია. ძირვიწრო, მუცლის ზედა ნაწილი მთლიანად ამოღარული ორნამენტითაა შემკული. ცალ გვერდზე ორი ფართო სარტყელია, შიგ ორფა ტეხილი ხაზებით. მეორე გვერდზე ოთხი სარტყელია სამკუთხედებით და რომბებით ამოვსებული.

სიმაღლე – 31,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 38,0 სმ; პირის დიამეტრი – 21,5 სმ; ძირის დიამეტრი – 9,0 სმ (სურ. 6. ტაბ. VIII).

20. ჭურჭელი, შავპრიალა თიხისა, მსხლისებრი ფორმის, მაღალი ყელით, პირგადაშლილი, ცალყურა. ყელი თანდათანობით გადადის მხარში და მუცელზე გადასვლის ადგილას არამკვეთრი წიბურია; მუცელი გამობერილია და სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. ძირვიწრო. ყური ფართოა და ბრტყელი, მიძერწილია მხრისა და მუცელს შორის. მხარზე დაშტრიხული სამკუთხედები შემოუყვება. ტანზე ოთხფა ტეხილი ზოლები გაუყვება.

სიმაღლე _ 29,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 28,5 სმ; პირის დიამეტრი – 14,0 სმ; ძირის დიამეტრი 7,7 სმ (სურ. 5. ტაბ. V).

21. ქოთანი, თიხისა, მოშავო-მოწითალო ფერის ლაქებით, მოყავისფრო – მოვარდისფრო სარჩულით. ცალყურა. ტოლჩისებრი ფორმის, ბიკონუსური ტანით, ფართო ყელით, გადაშლილი პირით. მუცლის შუა ნაწილზე ფართო წიბური შემოუყვება, პირვიწრო. მუცლის ზედა ნაწილზე ჩარჩოში ჩასმული ხაზებია ამოღარული. წიბურები ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული ირიბი ხაზებითაა შემკული.

სიმაღლე – 27,6 სმ; პირის დიამეტრი –19,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 27,5 სმ; ძირის დიამეტრი – 7,5 სმ (სურ. 6. ტაბ. VI).

22. ტოლჩა, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო-მოწითალო სარჩულით, ცალყურა, ბიკონუსური ტანით. ფართო ყელით. მუცლის შუა ნაწილზე შემოუყვება ფართო წიბური. ძირვიწრო. მუცლის ზედა ნაწილზე და ყელზე ჩარჩოში ჩასმული ხაზებია ამოკაწრული. წიბურს სხვადასხვა მიმართულების ირიბი ხაზები ამკობს.

სიმაღლე – 20,0 სმ; მუცლის დიამეტრი – 23,0 სმ;

პირის დიამეტრი –15,6 სმ; ძირის დიამეტრი 6,6 სმ (სურ 6. ტაბ.VI).

23. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოვარდისფრო სარჩულით, ცალყურა მსხლისებრი ფორმის ფართო ყელით, პირგადაშლილი. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბური აქვს. მუცელი ოდნავ გამობერილი, რომელიც სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. მუცელზე დატანილია სხვადასხვა მიმართულების ხაზებისაგან შემდგარი ზოლები, მხარზე დაშტრიხული სამკუთხედები.

სიმაღლე – 51,4 სმ; მუცლის დიამეტრი – 40,5 სმ; პირის დიამეტრი – 20,4 სმ; ძირის დიამეტრი – 12,7 სმ (სურ. 7. ტაბ. V).

24. ჭურჭელი, მონაცრისფრო თიხისა, შავი და მოწითალო ლაქებით, მონაცრისფრო სარჩულით, ყელმაღალი, გადაშლილი პირით, ბრტყელი ბაკოთი. მსხლისებრი ფორმის, მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას წიბური აქვს. მუცელგაბერილი. მუცელი სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. ძირვიწრო. ფართო ყურზე სამი მკვეთრი წიბური დაუყვება.

მუცელზე არამკვეთრად ამოღარული ხაზებისაგან შემდგარი სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტია გამოსახული. მხარზე დაშტრიხული სამკუთხედების რიგია.

სიმაღლე 39,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 38,0 სმ; პირის დიამეტრი 18,0 სმ; ძირის დიამეტრი – 7,7 სმ (სურ. 7. ტაბ. VII).

25. ქვაბი, შავპრიალა თიხისა, მონაცრისფრო სარჩულით, ყელდაბალი, ფართო, გადაშლილი პირით; მუცელი გამობერილი აქვს, რომელიც სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. ცალი ყური მუცლის ზედა ნაწილზე ასხია. ყელის ძირზე ხუთ ადგილას სამ-ალი რელიეფური სამკუთხედია გამოყვანილი.

მხარეზე ორ-ორი ფართო ღარი გაუყვება. მუცელზე სამფა რელიეფური ტეხილი ხაზი აქვს.

სიმაღლე – 32,2 სმ; მუცლის დიამეტრი – 39,0 სმ; ყელის სიმაღლე – 6,8 სმ; პირის დიამეტრი – 34,2 სმ; ძირის დიამეტრი – 9,2 სმ (სურ. 5. ტაბ. VIII).

26. დერგი, შავპრიალა თიხისა, მონაცრისფრო სარჩულით, მსხლისებრი ფორმის ბრიდან პირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, პირი ოდნავ გადაშლილი. მხრიდან ბუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბური აქვს; მუცელი სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ, ცალი ყური მიძერწილია მხარსა და ყელის ძირზე. ყურის ზედა ნაწილი ბრტყელებულია და ოდნავ ჩაზნექილი. მხარზე სამკუთხედებია ამოკაწრული, რომლებიც ირიბი ხაზებითაა ამოვსებული. ური და პირი დაზიანებულია.

სიმაღლე – 44,0 სმ; მუცლის დიამეტრი – 41,0 სმ; ძირის დიამეტრი – 12,4 სმ (სურ. 7. ტაბ. VII).

27. დერგი, შავპრიალა თი-ისა, მოვარდისფრო სარჩულით, ბსხლისებრი ფორმის, ყელ-დაბალი, გადაშლილი პირით, ბხართან წიბური აქვს. ცალი ური ბრტყელი აქვს, რომელიც ელის ძირზე და მხარზეა ბიძერწილი. ნაკლული.

პირის დიამეტრი 17,0 სმ; ელის სიმაღლე – 6,7 სმ (სურ. 5).

28. დერგი, შავპრიალა თი-ისა, მონაცრისფრო სარჩულით, ბსხლისებრი ფორმის, ცალი პა-ტარა ყური აქვს, რომელიც ბხრისა და ყელის ძირზეა მიძერ-წილი. მხარზე სამი ამოღარული ბაზი და სამკუთხედები შემოუყ-ვება. სამკუთხედები ირიბი ხაზე-



სურ. 5. მარტყოფის N 2 ყორღანის თიხის ჭურჭელი.

ბითაა ამოვსებული. ნაკლული (სურ. 5. ტაბ. V).

29. დერგი. მოშავო თიხისა, მოწითალო სარჩულით. ყელდაბალი, ოდნავ გადაშლილი პირით; მუცელი მკვეთრად გამობერილი აქვს, რომელიც ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება. ორი პატარა ყური მიძერწილი აქვს მხარზე.



სურ 6. მარტყოფის N2 ყორღანის თიხის ჭურჭელი, 34 – ვერცხლის სატვერის პირი, 35 – ბრინჯაოს სატვერის პირი, 36-38 – ბრინჯაოს ისოისპირები.

სიმაღლე – 42,0 სმ; ყელის სიმაღლე – 3,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 48,0 სმ; ძირის დიამეტრი – 12,7 სმ (სურ. 6. ტაბ. VII).

30. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოშავო სარჩულით, მსხლისებრი ფორმის; მხარზე მკვეთრი წიბური, მუცელგამობერილი. ცალი მაღალი ყური მხრისა და ყელის ძირს შორისაა მიძერწილი. ყურს შუა ნაწილში მრგვალი ჩაღრმავება აქვს. ყელის ძირას შემოუყვება ირიბი ხაზებით ამოვსებული სამკუთხედები. მხარზე რამდენიმე ადგილას ამოკაწრული ტეხილი ხაზები აქვს. ნაკლული მუცლის დიამეტრი – 53,0 სმ. (სურ. 7. ტაბ. V).

31. დერგი, შავპრიალა თიხისა, ნაცრისფერი სარჩულით. მსხლისებრი ფორმის. მხრიდან პირისკენ თანდათანობით ვიწროვდება, ყელდაბალი, გადაშლილი პირით, მხარზე მკვეთრი წიბური. მუცელი ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ბრტყელი ცალი ყური მხარსა და მუცლის ზედა ნაწილზეა მიძერწილი. მხართან ყურს აქეთ-იქით მკვეთრი, ოვალური წიბური აქვს. ყელის ირზე სამკუთხედების მწკრივია ამოღარული. მხარზე სხვადასხვა ზომის ირიბი ხაზებით ამოვსებული სამკუთხედებია.

სიმაღლე – 47,5 სმ; მუცლის დიამეტრი 42,0 სმ; ყელის სიმაღლე – 4,0 სმ; პირის დიამეტრი – 19,2 სმ; ძირის დიამეტრი – 11,7 სმ (სურ. 7. ტაბ. VI).

32. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, მსხლისებრი ფორმის, მხრიდან პირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მხარზე მკვეთრი წიბურია, მუცელი ოდნავ გამობერილი, რომელიც ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ცალი პატარა ყური მხარზე ასხია. ყელი ნაკლული აქვს.

შერჩენილი სიმაღლე – 46,0 სმ; მუცლის დიამეტრი – 42,0 სმ; ძირის დიამეტრი 11,7

სმ (სურ. 7. ტაბ. VII).

33. ნატეხები სხვადასხვა ჯურჭლებისა.

34. სატევრის პირი, ვერცხლისა, ბრტყელი, ფოთლისებრი, ყუნწით. სიგრძე – 15,6 სმ; პირის სიგანე – 5,6 სმ; ყუნწის სიმაღლე 2,0 სმ (სურ. 6. ტაბ. IV).

35. სატევრის პირი, ბრინჯაოსი, ბრტყელი, ფოთლისებრი, მაღალი ყუნწით.

სიგრძე 11,4 სმ; პირის სიგანე – 3,5 სმ. ყუნწის სიმაღლე – 3,6 სმ (სურ. 6. ტაბ.IV).

36. ისრის პირი, ბრინჯაოსი, პირამიდალური თავით, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყუნწით.

სიგრძე – 5,7 სმ; პირის სიგრძე – 2,0 სმ; ყუნწის სიგრძე – 3,8 სმ; პირის სიგანე – 0,8 სმ (სურ. 6. ტაბ. IV).

37. ისრის პირი, ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა ყუნწით და პირით. სიგრძე – 4,0 სმ; სიგანე – 3,0 სმ (სურ. 6. ტაბ. IV).



სურ. 7. მარტყოფის N2 ყორღანის თიხის ჯურჭელი.

38. ისრის პირი, ბრინჯაოსი, არამკვეთრად გამოსახული პირამიდალური თავით, ოთხწახნაგა ყუნწით.

სიგრძე – 3,4 სმ; პირის სიგრძე – 1,0 სმ; პირის სიგანე – 0,4 სმ (სურ. 6. ტაბ. IV).

39. მძივები, ლითონის წიდისა (?), სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის (ტაბ. IV).

ყ ო რ ღ ა ნ ი N4, „ბრაკლიანთ გორა" მარტყოფის თაებზე მდებარეობს ჩრდილოაღმოსავლეთით 1,5 კმ. დაშორებით; აპარანის საყდარს ჩრდილოეთით იგი დაცილებულია 1,0 კმ. ყორღანი საკმაოდ მაღალ ადგილას დგას და კარგად გამოირჩევა თითქმის ყოველი მხრიდან (სურ. 8). მისი სიმაღლე 12,0 მ. აღემატება, მაგრამ ჩანს იგი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო (ტაბ. IX). ყორღანის ყრილი საკმაოდ დაზიანებულია, აქედან ქვის გამოზიდვის გამო. ყორღანის დიამეტრია აღმოსავლეთიდან – დასავლეთით 100 მ-ზე მეტი. ყრილის შემორჩენილი ნაწილის კუბატურა დაახლოებით 11.700 კმ³ უნდა ყოფილიყო. ყორღანის ყრილი სრულიად თავისუფალი იყო და არავითარი ნიშანი უფრო მოგვიანო ხანის ჩაშვებული სამარხობის არსებობისა არ ჩანდა. სულ ზედა ფენა ყრილისა 0.5 მ. სისქის ქვისა და მიწისაგან შედგებოდა. შემდეგ იწყებოდა საკმაოდ მაგრად დატკეპნილი 6,0 მ მოწითალო თიხის ფენა (სურ. 9). აღსანიშნავია, რომ ყველა გათხრილ ყორღანში ერთნაირი თიხა იყო გამოყენებული ყრილისათვის, რომელიც საკმაოდ შორი



სურ. 8. მარტყოფის N 4 ტოპოგეგმა.

მანძილიდან უნდა მოეზიდათ. ამგვარი თიხა ადგილ ტეკალში მოიპოვება, რომელიც ულეკარიდან 10,0 კმ-ით იყო დაშორებული.

თიხის ფენის ქვეშ ყრილის ცენტრალურ ნაწილში ქვაყრილის ზვინული იყო, რომლის დიამეტრი 40,0 მ, სიმაღლე კი – 4,0 მ. უდრიდა (ტაბ. X). ზვინული ამოყვანილი იყო მიწის პირზე მაგრად დატკეპნილ 0,50 მ. სისქის თიხის მოედანზე. ამ მოედანზე ქვაყრილის ქვეშ. ცენტრალურ ნაწილში ხის დიდი მორებისაგან ნაგები დასაკრძალავი კამერა აღმოჩნდა (სურ. 10. ტაბ. XI). არავითარი კვალი შესასელელისა, დრომოსისა ყრილში არ ჩანდა. დასაკრძალავი კამერის არც ერთ კედელში შესასველელი კარის ნაკვალევი არ შეიმჩნეოდა. სავარაუდოა, რომ ჯერ კამერა იგებოდა, შემდეგ კი სრულდებოდა დაკრძალვის ცერემონიალი.

დასაკრძალავი კამერა მუხის მოზრდილი მორებისაგან იყო ნაგები და საკმაოდ კარგად იყო შეშონახული. კამერას ორმაგი კედლები ჰქონდა; უფრო სწორედ აქ ორი ერთმანეთში ჩადგმული შენობა იყო, ერთნაირად ნაგები მუხის მთლიანი მორებისაგან. მანძილი მათ შორის რიყის მოზრდილი ქვებით იყო ამოვსებული. (ტაბ. XII). კამერა დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან-დასავლეთით, ოდნავ აღმოსავლეთით გადახრილი. გარეთა



სურ. 9. მარტყოფის N4 ყორღანის ჭრილი.

შენობის ზომებია 11,0 x10,0 მ, შიდასი 8,0 x 6,0 მ. შიდა და გარეთა შენობები ოთხივე მხრიდან დაახლოებით თანაბრად იყვნენ ერთმანეთისაგან დაცილებული 0,70 მ (სურ. 10). ორივე შენობაში მუხის ძელები კუთხეებში ამოჭრილი ფოსოებით საკმაოდ მყარად, მჭიდროდ ჯდებოდნენ ერთმანეთში. ძელებზე ფოსოები იმგვარად იყო ამოჭრილი, რომ ძელის ორივე ბოლო დაახლოებით 0,30 მ უდრიდა (ტაბ. XII). ზოგიერთ ძელს ორივე ბოლოზე ნახვრეტი უკეთდებოდა. კამერის კედლები იმგვარად იყო ნაგები, რომ სქელი და შედარებით წვრილი ძელები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. კამერის ყველაზე მაღალი წერტილი შემორჩენილი იყო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ დასავლეთ კედელში 9 ძელი იდო, რომლის სიმაღლე 2,10 მ უდრიდა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩანდა 2 მ სიმაღლის 8 ძელი. სამხრეთის ნაწილი შედარებით ცუდად იყო შემონახული. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კედლის სიმაღლე 1,60 მ იყო. სამხრეთ-დასავლეთის კუთხე კამერისა თითქმის არ შემორჩენილა.

დასავლეთის კედლის ჩრდილო ნაწილში კუთხიდან 1,60 მ დაშორებით გარედან შიგ ქვაყრილში საყრდენი ძელი აღმოჩნდა. იგი ცალი ბოლოთი ებჯინებოდა კედლის ზედა რიგის ძელს, ქვედათი კი — ქვაყრილს. ძელის სიგრძე 2,0 მ უდრიდა და კედლიდან იგი ძირზე დაცილებული იყო დაახლოებით 1,0 მ (სურ. 11). ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩრდილო კედლის მხრიდან ერთი ასეთივე საყრდენი ძელი აღმოჩნდა. კუთხიდან იგი 3,0 მ იყო დაშორებული. ჩრდილო კედელს საყრდენი ძელი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშიც ჰქონდა, რომელიც კუთხიდან 1,20 მ იყო დაცილებული. საყრდენი ძელის ცალი ბოლო ებჯინებოდა კედლის ზედა რიგის მორს, ქვედა კი ქვაყრილში ჩადიოდა. მისი სიგრძე 1,40 მ უდრიდა. ჩრდილო კედლის საბჯენ ძელებს შორის მანძილი 7,0 მ უდრიდა. აღსანიშნავია, რომ ამ ძელებთან აღმოჩნდა 7,0 მ სიგრძის ძელი, რომელიც ჰორიზონტულად იდო ქვაყრილში. ძელის ორივე ბოლოზე ფოსოები იყო ამოჭრილი. სავარაუდოა, რომ იგი ალბათ ჩრდილო კედლის ორივე საყრდენი ძელის ბოლოებს ამაგრებდა. საფიქრებელია, რომ ამგვარი საყრდენები გარედან შენობის ოთხივე კედელს უნდა ჰქონოდა.

დასაკრძალავი კამერის იატაკი ქვის ბრტყელი ფილებისაგან იყო ნაგები (ტაბ. XIII). იატაკის ფილები კამერის კედლებს არ აღწევდა. მანძილი იატაკსა და დასავლეთ-კედელს

შორის უდრიდა – 0,60 მ, სამხრეთის კედელთან – 0,55 მ, აღმოსავლეთის კედელთან – 0,30 მ. ჩრდილო კედელთან – 0,40 მ. იატაკის ზომები 7,30 X 5,20 მ (სურ. 10). დასაკრძალავი კამერის გადახურვის არავითარი კვალი არ ჩანდა. საფიქრებელია, რომ იგი ხის მთლიანი მორებით უნდა ყოფილიყო გადახურული. კამერის ასაგებად მხოლოდ მუხის ხეა გამოყენებული. მუხა ალბათ ადგილობრივ იზრდებოდა, ჩანს, უკვე კარგად იყო ცნობილი ამ ჯიშის ხის თვისება და ფართოდაც იყენებდნენ ამ დროს. მუხის ხითაა ნაგები ბედენის ყორღანის „სახლი". როგორც ჩანს, მაგარი ხის ჯიშები იხმარებოდა ძირითადად ამ მიზნისათვის. აზერბაიჯანში აღრეულ ყორღანებში გამოყენებულია მაგარი ჯიშის ხე-ღვია.

ძვლების მეტად ცუდი დაცულობის გამო ძნელია გარკვევით თქმა, რამდენი მიცვალებული იყო დაკრძალული ამ ყორღანში. ყველა მიცვალებული ზედ იატაკის ფილებზე ესვენა. კამერის ჩრდილო კედელთან ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან 2,0 მ დაშორებით კედლის ძირას ადამიანის ძლიერ დაშლილი ძვლები აღმოჩნდა. როგორც ჩანს, აქ რამდენიმე მიცვალებული ესვენა. ნაპოვნი იყო ერთ-ერთი მიცვალებულის ქვედა ყბის ნატეხები ზედ შერჩენილი კბილებით, ჩანს – ახალგაზრდასი. ერთი მეტრის დაშორებით მიცვალებულის სხვა ძვლები აღმოჩნდა – მენჯის, ბარძაყის, თავის ქალას ნატეხები და სხვ. აქვე ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ორი საკიდი, ვერცხლის ხვიები, ბრინჯაოს ნემსი, სერდოლიკის რამდენიმე სამკუთხა მძივსაკიდი, ბლომადაა თეთრი პასტის „დომინოს" ტიპის მძივები, სერდოლიკის მძივები, კერამიკის ფრაგმენტები და სხვ.

ძირითადი მიცვალებული, ჩანს, დასაკრძალავი კამერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ესვენა, სამხრეთის კედლიდან – 1,60 მ და დასავლეთის კედლიდან – 2,10 მ დაშორებით. ძვლები აქაც ძლიერ დაზიანებული იყო. როგორ ესვენა მიცვალებული, როგორ იყო დამხობილი, გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება. ჩონჩხთან აღმოჩნდა კარგად შერჩენილი ხის ქარქაშში ჩადებული ბრინჯაოს ოთხი სატევრის პირი. იქვე მახლობლად იდო ბრინჯაოს ოთხი ცული, სამი ბრტყელი ცული, სატეხი და სადგისი.



სურ. 10. მარტყოფის N4 ყორღანის დასაკრძალავი კამერა.



სურ. 11. მარტყოფის N4 ყორღანის დასაკრძალავი კამერის კუთხე.

დასაკრძალავი კამერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ნაპოვნი იყო ოქროს და ვერცხლის მძივები, ოქროს ორი რგოლი, რამდენიმე ბიკონუსური ფორმის ძვლის ნივთი ამოკაწრული ხაზებით შემკული. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბლომად იდო სადაფის სხვადასხვა ფორმის საკიდები; აქვე იყო ცხოველის კბილებისაგან ნაკეთები საკიდები, ძვლის, სადაფის რგოლები და სხვ. აღმოსავლეთ კედლის ძირას, შუა ნაწილში 20-მდე ბრინჯაოს პირამიდულთავიანი ისრის პირები აღმოჩნდა, ზოგიერთზე კარგად იყო შერჩენილი ხის ნაწილები. კამერის კედლების გასწვრივ ძლიერ დაზიანებული თიხის ჭურჭელი ელაგა.

აღსანიშნავია, რომ ამ ყორღანში საქონლის ძვლები თითქმის არ აღმოჩენილა, თუ არ ჩავთვლით ცხვრის რამდენიმე კოჭს და მსხვილფეხა საქონლის ერთ კბილს.

71. ცული, ბრინჯაოსი, ყუამილიანი, სატარის წინა მხარე დაქანებულია; ტანი პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება, შუბლი რკალისებური მოყვანილობისა აქვს. სატარე ხვრელს ორივე მხარეს ორ-ორი ღარი შემოუყვება. სიგრძე – 16,8 სმ; სატარის სიგრძე – 4,5 სმ; ხვრელის დიამეტრი – 2,6 სმ; პირის სიგანე – 5,8 სმ (სურ. 12. ტაბ. XIV).

72. ცული, ბრინჯაოსი, ყუამილიანი, სატარის წინა მხარე დაქანებულია; ტანი პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება; შუბლი რკალისებრი მოყვანილობისაა. სატარე ხვრელს ორივე მხარეს ოთხ-ოთხი ღარი შემოუყვება. სიგრძე – 18,5 სმ; სატარის სიგრძე – 4,5 სმ; ხვრელის დიამეტრი – 3,5 სმ; პირის სიგანე – 5,5 სმ (სურ. 13. ტაბ. XIV).

73. ცული, ბრინჯაოსი, ყუამილიანი, სატარის წინა მხარე დაქანებულია; ტანი პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება; შუბლი რკალისებრი მოყვანილობისაა. სატარე ხვრელს ორივე მხარეს ორ-ორი ღარი შემოუყვება. სიგრძე – 17,8 სმ; სატარის სიგანე – 4,5 სმ; ხვრელის დიამეტრი – 3,3 სმ; პირის სიგანე – 5,5 სმ (სურ. 13. ტაბ. XIV).

74. ცული ბრინჯაოსი, ყუამილიანი, სატარის წინა მხარე დაქანებულია; ტანი პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება; შუბლი რკალისებრი მოყვანილობისაა; სატარე ხვრელის ნაპირებზე კაჩასა და შუბლზე ორმაგი თეეზიფხური ორნამენტი გაუყვება; ამგვარივე ორნამენტი დატანილია ყუაზე. სიგრძე – 17,5 სმ; სატარის სიგრძე – 3,9 სმ; ხვრელის დიამეტრი 3,4 სმ; პირის სიგანე – 5,3 სმ (სურ. 12. ტაბ. XIV).

75. სატევრის პირი, ბრინჯაოსი, ფოთლისებრი, ბრტყელი ყუნწით; სიგრძე – 18,5 სმ; სიგანე – 6,3 სმ; ყუნწის სიგრძე – 3,5 სმ; ყუნწის სიგანე – 0,8 სმ (სურ. 14. ტაბ. XV).

76. სატევრის პირი, ბრინჯაოსი, ფოთლისებრი, მოტეხილი ყუნწით. პირის სიგრძე – 11,0 სმ; სიგანე – 4,5 სმ (სურ. 14. ტაბ. XV).

77. სატევრის პირი, ბრინჯაოსი, ფოთლისებრი, ბრტყელი ყუნწით. სიგრძე –13,8; სიგანე – 4,6 სმ; ყუნწის სიგრძე – 3,0 სმ; ყუნწის სიგანე 0,9 სმ (სურ. 14. ტაბ. XV).

78. სატევრის პირი, ბრინჯაოსი, ფოთლისებრი, ბრტყელი ყუნწით, წვერმოტეხილი. პირის სიგრძე – 14,5 სმ; პირის სიგანე – 6,1 სმ; ყუნწის სიგრძე – 3,6 სმ; ყუნწის სიგანე – 0,8 სმ (სურ. 14. ტაბ. XV).

79. ბრტყელი ცული, ბრინჯაოსი, პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება. სიგრძე – 10,0 სმ; პირის სიგანე – 3,3 სმ (სურ. 14. ტაბ. XIV).

80. ბრტყელი ცული, ბრინჯაოსი, პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება. სიგრძე



სურ. 12. მარტყოფის N4 ყორღანი. ბრინჯაოს ცულები.

– 11,2სმ; სიგანე – 3,7 სმ (სურ. 14. ტაბ. XIV).

81. ბრტყელი ცული, ბრინჯაოსი, პირისკენ თანდათანობით ფართოვდება, გაღუნული. სიგრძე – 8,3 სმ; სიგანე – 2,8 სმ (სურ. 14. ტაბ. XIV).

82. სატეხი, ბრინჯაოსი, ღარიანი, ოთხწახნაგა თავით. სიგრძე – 9,2 სმ; თავის სიგრძე – 2,0 სმ; დიამეტრი – 0,7 სმ (სურ. 14. ტაბ. XIV).

83. სადგისი, ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა, წაწვეტილი. სიგრძე 7,1 სმ; სისქე – 0,3 სმ (სურ. 14. ტაბ. XIV).

84-85. ისრის პირი, ბრინჯაოსი, პირამიდული თავით, ღერო ხეშია ჩასმული (2 ც.) (სურ. 14. ტაბ. XV).

86-103. ისრის პირი, ბრინჯაოსი, პირამიდული თავით. სხვადასხვა ზომის. ყველა ერთი ტიპისაა (სურ. 14. ტაბ. XV).

104. ღეროს ნატეხები, ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი (სურ. 14).

105. სატევრის პირის ყუნწის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი, ბრტყელი, სიგრძე – 3,1 სმ; სიგანე – 1,0 სმ (სურ. 14).

106. საკინძი, ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა ღეროთი, ნაკლული (სურ. 14).

107-108. ნატეხები ბრინჯაოს ბრტყელი მავთულის (სურ. 14. ტაბ. XVI).

109. საკიდი, ბრინჯაოსი, 1,5 ხვიისა; დიამეტრი – 0,9 სმ (სურ. 14. ტაბ. XVI).

110. მძივები, ვერცხლისა, კასრისებრი ფორმის – 62 ც. უდ. სიგრძე – 0,8 სმ; დიამეტრი – 0,5 სმ (სურ. 15. ტაბ. XVI).

111. თვლები, სერდოლიკისა, მოვარდისფრო ფერის, ოვალური ფორმის, ერთ მხარეს შვიდი ნაჭდევი აქვს, 2 ცალი.სიგრძე – 1,2 სმ; სისქე – 0,8 სმ (სურ. 15. ტაბ. XVI).

112. მძივები, თეთრი პასტისა, წვრილი – 78 ც. (სურ. 15. ტაბ. XVIII).

113. მძივები, თეთრი პასტისა, ოთხკუთხა; ერთ მხარეს ორი წრიული ღარია, შუაში წერტილი, გვერდებზე თითო გამჭოლი ნასვრეტი აქვს (40 ც.) სხვადასხვა ზომისა და სისქის. სიგრძე – 0,5 სმ; სისქე – 0,3 სმ (სურ. 15. ტაბ. XVIII).

114. მძივები, სადაფისა, ბრტყელი, მრგვალი, შუაში ნახვრეტით (154 ც.). დიამეტრი – 1,6 სმ (სურ. 15. ტაბ. XVIII).

115. მძივები, სადაფისა, ბრტყელი, მრგვალი, კიდეებდაკბილული, შუაში ნახვრეტით (10 ც.) დიამეტრი 1,9 სმ. ზოგი ნაკლული (სურ. 15. ტაბ. XVII).

116. საკიდი, სადაფის ფირფიტისა, მრგვალი, შუაში ერთმანეთის მოპირდაპირეთ სამკუთხისებრ ამოჭრილი. სხვადასხვა ზომის, დიამეტრი – 1,6 სმ (97 ც.). (სურ. 15. ტაბ. XVI[1]).

117. ფირფიტა, სადაფისა, სწორკუთხა, გვერდებდაკბილული, სიგრძე – 1,80 სმ; სიგანე – 1,0 სმ (19 ც.) (სურ. 15. ტაბ. XVII).

118. რგოლები, ძვლისა, ბრტყელი და მრგვალი, შუაში ნახვრეტით სხვადასხვა ზომის. დიამეტრი – 2,3 სმ (11 ც.) (სურ.16).

119. რგოლები, ძვლისა, ბრტყელი, შუაში ნახვრეტით, სხვადასხვა ზომის. დიამეტრი 1,3 სმ (29ც.) (სურ. 16. ტაბ. XVIII).

120. ნივთი ძვლისა, შვინდის კურკის ფორმის, ცალ გვერდზე ზოგიერთს წვრილად ნაკაწრი ბადეები აქვს. სიგრძე – 2,0 სმ; სისქე – 1,2 სმ (8 ც.) (სურ. 16. ტაბ. XIX).

121. საკიდები, ძაღლის საძირე კბილებისა, ნახვრეტით (5 ც.) სიგრძე – 1,4 სმ (სურ.16. ტაბ. XIX).
122. საკიდები, ცხოველის ეშვებისა, ნახვრეტით (14 ც.) (სურ. 16. ტაბ. XIX).
123. საკიდები, ცხოველის კბილების (2 ც.) (ტაბ. XIX).
124. მძივები, სერდოლიკისა, მრგვალი (8 ც.) (სურ. 15. ტაბ. XVIII).
125. საკიდები, სერდოლიკისა, სამკუთხა ფორმის (11 ც.) სიმაღლე – 1,7 სმ; სიგანე – 1,1 სმ (სურ. 15. ტაბ. XVIII).
126. მძივები, ქარვისა, ცილინდრული ფორმის (7 ც.) სიგრძე – 0,5 სმ; დიამეტრი 0,6 სმ (სურ. 15. ტაბ. XVIII).
127. საკიდები, ქარვისა, სამკუთხა ფორმის (7 ც.) სიგრძე 1,5 სმ; სიგანე – 1,0 სმ (სურ. 15. ტაბ. XVIII).
128. მძივი, გიშრისა, კასრისებრი ფორმის. სიგრძე – 1,3 სმ; დიამეტრი – 1,0 სმ.
129. რგოლი, ოქროსი, ბრტყელი კიდეებაწეული, სიმაღლე – 1,1 სმ; დიამეტრი – 2,3 სმ (სურ. 15. ტაბ. XVI).
130. რგოლი, ოქროსი, ბრტყელი, კიდეებაწეული. სიმაღლე 0,8 სმ; დიამეტრი 2.1სმ (სურ. 15. ტაბ. XVI).
131. მძივები, ოქროსი, კასრისებრი (9 ც.), ერთი ცალი სფეროსებრი (სურ. 15. ტაბ. XVI).
132. მძივები, ოქროსი, მილისებრი, ორი წიბურით, ერთი ოთხი წიბურით (7 ც.) (სურ. 15. ტაბ. XVI).
133. დერგი, შავპრიალა თიხის, მოყავისფრო სარჩულით, მხრიდან ყელისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, პირგადაშლილი. მხარზე მკვეთრი წიბური, რომელიც გამობერილ მუცელზე გადადის. მუცელი ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ძირვიწრო. სიმაღლე – 41,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 41,0 სმ; პირის დიამეტრი – 15,7 სმ; ძირის დიამეტრი – 11,0 სმ. (ტაბ. XX).
134. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, ცილინდრული ყელით,



სურ. 13. მარტყოფის N4 ყორღანი. ბრინჯაოს ცულები.

პირგადაშლილი, მხრიდან ყელზე გადასვლის ადგილას წიბური აქვს. მხარი ოდნავ დაქანებულია და მუცელზე გადასვლის ადგილას არამკვეთრ წიბურს ქმნის. მუცელგამობერილი, რომელიც ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება, ძირვიწრო. მხარზე ორი ამოკაწრული ხაზისაგან შემდგარი ტეხილი ზოლი შემოუყვება, რომელიც სწორი ხაზებითაა ამოვსებული. ირიბი ხაზებითაა შევსებული აგრეთვე სამკუთხედები, ფუძით წიბურს მობჯენილი. სიმაღლე – 39,8 სმ; მუცლის დიამეტრი – 47,0 სმ; პირის დიამეტრი – 17,0 სმ; ყელის სიმაღლე – 7,3 სმ; ძირის დიამეტრი – 12,9სმ (ტაბ. XXI).

135. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, ყელი სწორი აქვს, პირგადაშლილი; მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას წიბური აქვს. მუცელი გამობერილია, რომელიც ძირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მხარზე პატარა ყურია დაძერწილი. სიმაღლე – 35.6 სმ; მუცლის დიამეტრი – 40,5 სმ; პირის დიამეტრი – 17,1 სმ; ძირის დიამეტრი – 14 სმ (სურ. 17. ტაბ. XX).



სურ. 14. მარტყოფის N4 ყორღანი: 75-78 – სატევრის პირები, 79-81 – ბრტყელი ცულები, 82 სატები, 83 – სადგისი, 84-99 – ისრის პირები, 104 – ღეროს ნატეხი, 105 – სატევრის პირის ყუნწის ნატეხი, 106 – საკინძი, 107 – ბრინჯაოს ბრტყელი-შავთულის ნატეხები, 109 – ბრინჯაოს საკიდი.

136. დერგი, შავი თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, ბიკონუსური, დაბალყელიანი, პირგადაშლილი. ყური ასხია მუცლის ზედა ნაწილზე. სიმაღლე 30.9 სმ; მუცლის დიამეტრი – 40,0 სმ; პირის დიამეტრი – 18,2 სმ; ყელის სიმაღლე – 5,0 სმ; ძირის დიამეტრი – 14,5 სმ (სურ. 17).

137. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, მსხლისებრი, პირგადაშლილი, მხარზე, მუცელზე გადასვლის ადგილას, წიბური აქვს. მუცელგამობერილი, რომელიც სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. ძირვიწრო. წიბურთან და მხართან ერთი ფართო ყური აქვს მიძერწილი, რომელსაც მხარზე აქეთ-იქით რკალისებური რელიეფური წიბური აქვს. სიმაღლე – 36,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 36,0 სმ; პირის დიამეტრი – 18,0 სმ; ძირის დიამეტრი – 7,0 სმ (სურ. 17).

138. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, დაბალყელიანი, პირგადაშლილი. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას წიბური აქვს. მუ-



სურ. 15. მარტყოფის N4 ყორღანი: 110 – ვერცხლის მძივები, 111 – სერდოლიკის თვლები, 112 – პასტის მძივები, 113 – პასტის მძივები, 114-117 – სადაფის მძივები და საკიდები, 118 – ძვლის რგოლები, 124 – სერდოლიკის მძივები, 125 – სერდოლიკის სამკუთხა საკიდები, 126 – ქარვის მძივები, 127 – ქარვის სამკუთხა საკიდები, 129-130 – ოქროს რგოლები, 131 – ოქროს მძივები, 132 – ოქროს მძივები.

ცელგამობერილი. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. მხარზე ყური ასხია. სიმაღლე – 42,0 სმ; მუცლის დიამეტრი – 50,5 სმ; პირის დიამეტრი – 22,0 სმ; ყელის სიმაღლე – 4,5 სმ; ძირის დიამეტრი – 17,2 სმ (ტაბ. XX).

139. დერგი, შავპრიალა თიხისა, მონაცრისფრო სარჩულით, მსხლისებრი. პირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას წიბური აქვს. მუცელი გამობერილია; ვიწრო ძირით. მხარზე ფართო ყურ ი აქვს. სიმაღლე – 31,0 სმ; მუცლის დიამეტრი – 36,5 სმ; ძირის დიამეტრი – 8,2 სმ (სურ. 17. ტაბ. XX).

140. დერგი, შავი თიხისა, მოვარდისფრო სარჩულით, ბიკონუსური, დაბალი ყელით, პირგადაშლილი, ყელის ძირზე არამკვეთრი წიბური შემოუყვება. მხარზე ერთი ყური აქვს. სიმაღლე – 46,5სმ; მუცლის დიამეტრი – 53,0 სმ; ყელის სიმაღლე – 6,0 სმ; პირის დიამეტრი – 26, 0 სმ; ძირის დიამეტრი – 15,3 სმ.

141. დერგი, შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით. ყელი პირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. მხარი სწორი და განიერი აქვს, რომელიც მკვეთ-



სურ. 16. მარტყოფის N4 ყორღანი: 118-119 – ძვლის რგოლები, 120 – ძვლის ნიეთები, 121 – ძაღლის საძირე კბილის საკიდები, 122 – ცხოველის ეშვის საკიდები.

რად გადადის მუცელზე. გადასვლის ადგილას მოკლე რელიეფური ხაზები აქვს. მხრიდან მუცელი ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. სიმაღლე – 50,0 სმ; მუცლის დიამეტრი – 61,7 სმ; ძირის დიამეტრი – 18,7 სმ (ტაბ. XXI).

142. ტოლჩა, შავპრიალა თიხისა, მოვარდისფრო-მოყავისფრო სარჩულით, ბიკონუსური, პირგადაშლილი, მხარსა და მუცელს შორის ფართო წიბური აქვს. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ყური მიძერწილია პირსა და წიბოზე. ყურის მოპირდაპირე მხარეს, ზედა ნაწილზე ამოღარული ხაზებისაგან შემდგარი ორნამენტი აქვს. სიმაღლე – 17,8 სმ; მუცლის დიამეტრი – 22,0 სმ; პირის დიამეტრი – 15,3 სმ; ძირის დიამეტრი – 8,9 სმ.

143. ტოლჩა, შავპრიალა თიხისა, მოვარდისფრო სარჩულით, ბიკონუსური, პირგადაშლილი, მხარსა და მუცელს შორის ფართო წიბურია. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ყური მიძერწილია პირსა და წიბოზე. მხარზე ნაკაწრი ხაზებისაგან შემდგარი ორნამენტი აქვს. სიმაღლე – 16,6 სმ; მუცლის დიამეტრი – 20,5 სმ; პირის დიამეტრი – 13,2 სმ; ძირის დიამეტრი – 6,2 სმ.

144-159. თიხის ჭურჭლის ნატეხები (სურ. 17-21. ტაბ. XX, XXI).

160. დერგის მოზრდილი ნაწილი, ნაკლული. შერჩენილია ზედა ნაწილი, შავპრიალა, მოვარდისფრო-მოყავისფრო სარჩულით. ყელმაღალი, გადაშლილი პირით. მხართან მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბურია. წიბურზე კოპები აზის და აქვეა დაშტრიხული სამკუთხედების რიგი. ასეთივე კოპები ყელის ძირზეა, კოპებს შორის რომბებია, ირიბი ხაზებით ამოვსებული. კოპები ასხია აგრეთვე ყელის შუა ნაწილზე. კოპებს შორის ირიბი ხაზებით ამოვსებული რომბებია. პირის დიამეტრი – 28,8 სმ.

ყ ო რ ღ ა ნ ი N 3 მდებარეობდა ადგილ შინდიანხევში, მარტყოფიდან ახალქალაქში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, გზიდან 100 მ დაშორებით [39]. ყორღანის ყრილი საკმაოდ დაზიანებული იყო, მასზე საურმე გზა გადიოდა და, აქედან ჩანს, ქვაც უზიდიათ. მისი ზომებია – დიამეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთით – 30,0 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 27,0 მ. ყრილის შერჩენილი სიმაღლე – 1,75 მ. ყორღანი, ჩანს, ბუნებრივ დაბალ ბორცვზე იყო გამართული. 0,40 მ. კორდოვანი ფენის შემდეგ ქვაყრილის თხელი ფენა იწყებოდა, რომლის ალაგების შემდეგ გამოჩნდა თიხის ზვინული, რომლის დიამეტრი 8,0 მ, სიმაღლე კი 0,70 მ. უდრიდა. თიხა აქ მოყვითალო ფერისაა და განსხვავდებოდა მარტყოფის უორმოო ყორღანების ყრილისათვის გამოყენებულ მოწითალო ფერის თიხისაგან. შესაძლოა თიხის ზვინულისათვის აქ ორმოდან ამოყრილი თიხა იყო გამოყენებული. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში ქვითა და მიწით ამოვსებული სამარხი – ორმო აღმოჩნდა. ორმოს თავზე, მის სამხრეთ ნაწილში კარგად გამოჩნდა გადახურვის ძელების ნაკვალევი. ძელები სიგრძივ ელაგა და ორმოს კიდეებს სამხრეთით და ჩრდილოეთით 0,50-0,60 მ სცილდებოდნენ. სამხრეთ ნაწილში კარგად შეინიშნებოდა ერთმანეთზე გადადებული ძელის ნაშთები. შესაძლოა, ორმოს თავზე ხის ძელებისაგან შეკრული კარკასი კეთდებოდა, რომელზედაც შემდეგში გადახურვის ძელები ლაგდებოდა. ბნელია გარკვევით თქმა, რამდენი ძელით იყო გადახურული სამარხი – ორმო. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ორმოს ზომებს და ძელის სისქეს 0,25-0,30 მ

39. ო. ქ ა ფ ა რ ი ძ ე, გ. ბ ე ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი. კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური კვლევა 1980-1981 წლების შედეგების ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. VIII. თბილისი, 1986, გვ. 29.



სურ. 17. მარტყოფის N4 ყორღანი: 135-139 თიხის ჭურჭელი, 148 თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ვივარაუდებთ, მაშინ გადასახურავად სულ ცოტა თხუთმეტამდე ხის მორი დასჭირდებოდა.

ორმოს თავიდან 0,80 მ სიღრმეზე სამხრეთ ნაწილში კარგად ჩანდა სიგრძივ ჩაწოლილი ძელების ნაშთი. როგორც ჩანს, ეს გადახურვის ძელების ნაკვალევი უნდა ყოფილიყო, რომლებიც ჩანგრევის შემდეგ ორმოში მოექცნენ.

სამარხი – ორმოს ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში ორმოს თავიდან 0,80 მ სიღრმეზე ჩაშვებული სამარხი აღმოჩნდა. ისე ჩანდა, თითქოს სამარხი ორმოს გადახურვის ძელებზე იყო გამართული კუთხეში; გადახურვის ჩაწოლის შემდეგ მან დეფორმაცია მიიღო და ორმოში ჩაწვა. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, თაეით დასავლეთით, ძლიერ მოკუნტული ფეხებით; ზედა კიდურები მოხრილი ზედ თავის ქალასთან იყო მიტანილი. ჩონჩხი ისე ძლიერად იყო მოკუნტული, რომ მისი სიგრძე 0,60 მ უდრიდა. მიცვალებული, ჩანს, შუა ხნისა უნდა ყოფილიყო. სამარხი მიმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით, მისი ზომებია 1,70x0,85 მ.

მიცვალებულის თავის ქალასთან ოქროს სასაფეთქლე ხვია აღმოჩნდა. ქვედა კიდურების ძელებთან იდო ბრინჯაოს ისრის პირი და პატარა სასმისი. სამარხის ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხეში ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ბრტყელი ყუნწიანი დისკო „შტანდარტი". მის გვერდით თიხის ჭურჭელი იდო. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში თიხის რამდენიმე



სურ. 18. მარტყოფის N4 ყორღანი: თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ჭურჭელი აღმოჩნდა. სამარხის აღების შემდეგ მის ქვეშ ხის ნაშთი აღმოჩნდა, ეგებ, გადახურვის ძელებისა.

დასაკრძალავი ორმოს თავის ზომებია: სამხრეთის კედლის სიგრძე – 3,70 მ, აღმოსავლეთის კედლის – 3,50 მ, დასავლეთის კედლის – 3,20მ, ჩრდილო კედლის – 4,0 მ. ორმო იწყებოდა ყორღანის თავიდან 1,0 მ სიღრმეზე. ორმოს ზომები ძირზე – სამხრეთის კედლის – 3,50 მ, დასავლეთის კედლის – 2,65 მ, აღმოსავლეთის კედლის – 2,96 მ, ჩრდილოეთის – 3,80 მ. სიღრმე ყორღანის თავიდან ორმოს ძირამდე – 4,10მ.

ორმოს ძირზე მცირე ტრაპეციის ფორმა ჰქონდა. ორმო დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

ორმოს კედლებზე, განსაკუთრებით სამხრეთის კედელზე, კარგად შეიმჩნეოდა ხის ძელების ნაკვალევი. ორმოში, ჩანს, ჩადგმული იყო ნაგებობა, ვერტიკალურად მდგარი ხის ძელებისაგან შეკრული. ძელის ბოლოები, ჩანს, პირდაპირ ორმოს ძირზე იდო.

ორმოს ძირზე, ცენტრალურ ნაწილში, გამართული იყო ხის ძელებისაგან შემდგარი მოედანი. იგი ჩრდილო კედლიდან 0,60 მ-ით იყო დაშორებული, სამხრეთის – 0,40 მ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებიდან – 0,80 მ-ით. მოედნის ზომებია 2,85x1,57 მ. ხის მოედნის სამხრეთ და ჩრდილო კიდეებზე კარგად შეინიშნებოდა ღარისებრი ღრმულები,



სურ. 19. მარტყოფის N4 ყორღანი: თიხის ჭურჭლის ნატეხები.

რომლებშიაც კარგად ჩანდა ხის ნაშთი. შესაძლოა, რომ ეს ხის ეტლის თელების ნაკვალევი იყო. ღრმულების სიგრძეა 1,20 მ, სიღრმე – 0,30 მ.

ხის მოედანზე ორი მიცვალებული ესვენა (სურ. 23). ერთის ჩონჩხი მოედნის დასავლეთ ნაწილში იდო ფეხებმოკეცილი, მარცხენა მხარეზე, მისი მუხლის თავები თითქმის მოედნის ცენტრალურ ნაწილს აღწევდა. თავის ქალა ადგილიდან დაძრული და ჩონჩხიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 0,40 მ-ით იყო დაშორებული. თავის ქალა მხრის ძვლებთან ერთად. ჩანს, კამერის ჩაშლის შემდეგ უნდა გადაგორებულიყო. სამარხის ზომებია 1,55 მ x 0,60 მ. ჩონჩხი ზუსტად დასავლეთიდან – აღმოსავლეთით იყო დამხრობილი, თავით დასავლეთით. ჩონჩხი ეკუთვნოდა ძვალმსხვილ, შუა ხნის მამაკაცს, რომლის სიმაღლე 1,90 მ აღემატებოდა. თავის ქალასთან აღმოჩნდა გიშრის ფართო რგოლი, მენჯის ძვალთან იდო. ოქროს მასიური ხვია და ბრინჯაოს ერთი კასრისებრი მძივი. მუხლის ძვლებთან მოედნის ცენტრალურ ნაწილში თიხის თხელკედლიანი ჭურჭელი იდო. აქვე აღმოჩნდა სერდოლიკის სამი სამკუთხა მძივსაკიდი და ორი მძივი. სამი ცალი სერდოლიკის სამკუთხა მძივსაკიდი ნაპოვნი იყო წვივის ძვლებთან.

მეორე ჩონჩხი ხის მოედნის აღმოსაველეთ ნაწილში აღმოჩნდა, პირველი მიცვალებულის ფეხთით. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ძლიერ მოკუნტული ფეხებით.

ხელები გამლილი ჰქონდა და მტევნები მუხლის თავებამდე მიტანილი. ჩონჩხი მიმართული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთით, თავით სამხრეთით. თავის ქალას ქვეშ, კისრის ძვლებთან ბრინჯაოს სამი ხვია აღმოჩნდა. სახის წინ თიხის ჭურჭელი იდო, რომელშიაც სერდოლიკის სამი მძივსაკიდი აღმოჩნდა. ორი ასეთივე მძივსაკიდი მუცლის არეში იყო ნაპოვნი. აქვე იდო ბრინჯაოს ერთი ხვია. მენჯის ძვალთან ბრინჯაოს ერთი სადგისი და ისრის პირი იდო. ფეხის ძვლებთან, ზედ მოედნის კიდეზე, ბრინჯაოს სატეხი აღმოჩნდა. მისგან ოდნავ დაშორებით ბრინჯაოს ცული იდო. ბრინჯაოს ბრტყელი „შტანდარტი" ფეხის ძვლებიდან 0,30 მ-ის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩნდა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ორი მოზრდილი ჭურჭელი იდო, ხის მოედნის გარეთ, ჩრდილო კედლის გასწვრივ. მათ გვერდით კიდევ ერთი ჭურჭელი აღმოჩნდა. ორი ჭურჭელი მოედნის გარეთ იდო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. სამარხში სრულიად არ აღმოჩენილა საქონლის ძვლები.

ახლა ძნელი სათქმელია ძირითად სამარხში აღმოჩენილ მიცვალებულებს შორის სიცოცხლეში ურთიერთობა. შესაძლოა აქ ცოლ-ქმარია დაკრძალული. მეუღლე ქმარს ჩაატანეს და მის ფეხთით დაასვენეს.

მთლად ნათელი არ არის აგრეთვე ზედა ჩაშვებული საფლავის ძირითად სამარხთან დამოკიდებულება. ეს სამარხები ერთი დროისაა, ბრინჯაოს კულტურას მიეკუთვნებიან. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ძირითად სამარხში მამაკაცს მეუღლე ჩაატანეს, მერე კი სამარხი – ორმოს თავზე მისი თანმხლები პირი დაკრძალეს.

ჩაშვებული სამარხი

40. ქვაბი, შავი თიხისა, მონაცრისფრო სარჩულით, ჩაღარული ყელით, პირგადაშლილი, მრგვალმუცლიანი, შერჩენილი აქვს ცალი ყური, მხარზე კოპების ერთი რიგი შემოუყვება. მხარზე და მუცლის ზედა ნაწილზე არამკვეთრად ამოღარული ხაზების ბადეა. სიმაღლე – 17,2 სმ; მუცლის დიამეტრი — 24,0 სმ; პირის დიამეტრი 19,5 სმ; ყელის სიმაღლე – 1,7 სმ; ძირის დიამეტრი – 9,0 სმ (სურ. 24. ტაბ. XXII).
41. კოჰობი, შავპრიალა თიხის, მონაცრისფრო სარჩულით, ჩაღარული ყელით, პირგადაშლილი, მუცელი გამობერილი აქვს, რომელიც ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ცალი ყური მუცლის გამობერილ ნაწილზე ასხია. მუცლის ზედა ნაწილზე ვერტიკალური რელიეფური ზოლები ჩამოუყვება. ყურის მოპირდაპირე მხარეც ჩაღრმავებულია. სიმაღლე – 10,2 სმ; მუცლის დიამეტრი – 16,5 სმ; ყელის სიმაღლე – 1,8 სმ; პირის დიამეტრი – 12,3 სმ; ძირის დიამეტრი – 5,8 სმ (სურ. 24. ტაბ. XXII).
42. კოჰობი, შავპრიალა თიხისა, ნაცრისფერი სარჩულით, ჩაღარული ყელით, პირგადაშლილი, მრგვალმუცლიანი, მუცელზე ყური აქვს. მუცლის ზედა ნაწილი წერტილოვანი ორნამენტითაა შემკული.
სიმაღლე – 6,4 სმ; მუცლის დიამეტრი – 8,7 სმ; ყელის სიმაღლე – 1,2 სმ; პირის დიამეტრი – 6,0 სმ; ძირის დიამეტრი – 4,2 სმ (სურ. 24. ტაბ. XXII).
43. „შტანდარტი", ბრინჯაოს ფირფიტისა, ფართო მრგვალი თავით, რომელსაც შუაზე ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე მკვეთრი წიბური გადასდევს. ფართო, ბრტყელი ღეროთი.

სიგრძე – 19,5 სმ; სიგანე – 15,5 სმ; ღეროს სიგრძე – 4,3სმ; ღეროს სიგანე – 2,0 სმ (სურ. 24. ტაბ. XXII).

44. ისრის პირი, ბრინჯაოსი, პირამიდული თავით, ოთხწახნაგა ღეროთი. სიგრძე – 2,7 სმ; თავის სიგრძე – 1,0სმ; ღეროს სიდიდე – 1,7 სმ; პირის უდიდესი სიგანე 0,4 სმ (სურ. 24).

45. საკიდი, ოქროსი, ერთნახევარი ხვიისა. ოქროს ფირფიტა გადაკრულია ბრინჯაოზე (სურ. 24. ტაბ. XXII).

ძირითადი სამარხი

46. ქოთანი, მოყავისფრო თიხისა, მოშავო-მოყავისფრო სარჩულით, არათანაბრად გამომწვარი, პირგადაშლილი, მუცელი ოდნავ გამობერილი; ორყურა, ყურები ასხია მხარსა და პირზე. მხარზე შემოუყვება ფართო ჭდეების ერთი რიგი. სიმაღლე – 23,4 სმ; მუცლის დიამეტრი – 25,0 სმ; პირის დიამეტრი



სურ. 20. მარტყოფის N4 ყორღანი: თიხის ჭურჭლის ნატეხები.

– 18,4 სმ; ძირის დიამეტრი – 9,2 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIV).

47. ქოთანი, მოყავისფრო თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, არათანაბრად გამომწვარი, ოდნავ გამობერილი მუცლით; ყურები ასხია პირსა და მხარზე. მთელ ტანზე წვრილი ღარები ჩამოუყვება.
სიმაღლე – 20,2 სმ; მუცლის დიამეტრი – 22,0 სმ; პირის დიამეტრი – 17,3 სმ: ძირის დიამეტრი – 10,5 სმ (სურ. 26. ტაბ. XXV).

48. ქოთანი მოყავისფრო თიხისა, ნაცრისფერი სარჩულით, პირგადაშლილი, ოდნავ გამობერილი მუცლით; ყურები ასხია მხარსა და პირზე.
სიმაღლე – 19,2 სმ; მუცლის დიამეტრი – 19,5 სმ; პირის დიამეტრი – 15,2 სმ; ძირის დიამეტრი – 7,9 სმ (სურ. 26. ტაბ. XXIV).

49. ქოთანი, მოყავისფრო თიხისა, მონაცრისფრო სარჩულით, ოდნავ გამობერილი მუცლით, ყურები ასხია პირსა და მხარზე. მთელ ტანზე სხვადასხვა მიმართულების ამოღარული ხაზები დაუყვება. ნაკლული.
სიმაღლე – 18,3 სმ; მუცლის დიამეტრი 20,5 სმ; პირის დიამეტრი – 17,0 სმ (სურ. 26. ტაბ. XXIV).

50. ტოლჩა, შავპრიალა თიხისა, ღია ყავისფერი სარჩულით, თხელკედლიანი, თითქმის



სურ. 21. ბარტყოფის N4 ყორღანი: თიხის ჭურჭლის ნატეხები.

სწორი ტანით. ქვედა ნაწილი წიბურით სწრაფად გადადის ძირზე. ცალი ყური პირსა და მუცლის შუა ნაწილზე აქვს. მხარზე აქეთ-იქით თითო შეერილი აქვს. მხარს ორი ამოკაწრული ხაზებისაგან შემდგარი სარტყელი შემოუყვება, ხაზებს შორის ჯგუფ-ჯგუფად ირიბი ხაზები და წერტილებისაგან შემდგარი ზოლებია მოთავსებული. ამ სარტყელს ზემოთ წვრილად ნაკაწრი სამკუთხედების რიგია, რომლებიც ირიბი ხაზებითაა ამოვსებული. ტანზე სამი ამოკაწრული ხაზისაგან შემდგარი, წვერით ძირისაკენ მოქცეული სამკუთხედებია გამოსახული. ხაზებს შორის სივრცე წერტილებითაა შევსებული.

სიმაღლე – 12,4 სმ; მუცლის დიამეტრი – 15,0 სმ; პირის დიამეტრი – 12,7 სმ; ძირის დიამეტრი – 4,2 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIV).

51. ლანგარი, მოყავისფრო თიხისა, მოშავო შიდა პირით. პატარა ყური პირთანაა მიძერწილი. მაღალი ქუსლით. სიმაღლე –11,2 სმ; პირის დიამეტრი – 27,3 სმ; ქუსლის სიმაღლე – 2,5 სმ (სურ. 26. ტაბ. XXV).

52. ლანგარი, მოყავისფრო თიხისა, ოდნავ პირმოყრილი, პირთან ფართო შეერილი აქვს, რომელზედაც სამი ნახვრეტია. ცალ მხარეს პირთან ორი ნახვრეტი



სურ. 22. მარტყოფის N4 ყორღანი: თიხის ჭურჭლის ნატეხები.

აქვს; ძირზე სამი მოკლე ფეხი აქვს მიძერწილი. სიმაღლე 9,0 სმ; პირის დიამეტრი – 26,0 სმ (სურ. 26. ტაბ. XXV).

53. ქოთანი, შაპრიალა თიხისა, მოშავო სარჩულით, ჩაღარული ყელით, პირგადაშ-ლილი. ორი ყური მხარსა და პირს შორისაა მიძერწილი. ერთი ყური მუცლის ზედა ნაწილზეა მიძერწილი. შესაძლოა ასეთივე ყური მუცლის მიპირდაპირე მხარეზეც იყო, ოღონდ ჯურჯელს ეს ნაწილი აკლია. მუცელზე ირიბი ხაზებია ამოღარული. ნაკლული. პირის დიამეტრი – 10,7 სმ (სურ.26).

54-57. სხვადასხვა ჯურჯლის ნატეხები (სურ. 26).

58. ცული, ბრინჯაოსი, ყუამილიანი, სიგრძე 15,3 სმ; ყუის სიგრძე – 4,5 სმ; ხვრელის დიამეტრი – 2,8 სმ; პირის სიგანე – 7,3 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIII).

59. შტანდარტი, ბრინჯაოსი, ფოთლისებური, მოკლე ბრტყელი ყუნწით. სიგრძე 18,0 სმ; სიგანე – 10,0 სმ; ყუნწის სიგრძე – 4,3 სმ; ყუნწის სიგანე – 0,6 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIII).

60. სატეხი. ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა თავით, ბოლოამოღარული. სიგრძე – 20,5 სმ; დიამეტრი – 1,5 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIII).

61. სადგისი. ბრინჯაოსი, ოთხწახნაგა თავით, ღერო მრგვალი. სიგრძე – 11,0 სმ (სურ. 25).

62. საკიდი, ბრინჯაოსი 1,5 ხვიისა, დიამეტრი 1,5 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIII).

63-64. საკიდები ბრინჯაოსი 1,5 ხვიისა, ნატეხები (სურ. 25. ტაბ. XXIII).

65. მძივი, წიდისა თუ პასტისა, ბიკონუსური, სიგრძე – 1,2 სმ; დიამეტრი – 1,2 სმ (სურ. 25).

66. მძივები სერდოლიკისა, ბიკონუსური – 3 ც (სურ. 25. ტაბ. XXIII).

67. მძივსაკიდები, სერდოლიკისა, სამკუთხა მოყვანილობის, სხვადასხვა ზომის, 6 ც (სურ. 25. ტაბ. XXIII).

68. რგოლი გიშრისა, ფართო. სიგანე 1,1 სმ. დიამეტრი – 1,9 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIII).

69. ფირფიტა ნიეარისა, ოვალური ფორმის. სიგრძე – 2,0 სმ; სიგანე – 1,3 სმ.

70. საკიდი, ოქროსი 1,5 ხვიისა, მასიური, წონა – 6,2 გრ. დიამეტრი – 1,5 სმ (სურ. 25. ტაბ. XXIII).

ყორღანი N 5. 1989 წელს თსუ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა გათხრები მარტყოფის მიდამოებში. აქ ულევარში „გატყლაპნილ (გატყლაპული) გორებად" წოდებულ ტერიტორიაზე, სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს ზიანდებოდა მიწაყრილები. „გატყლაპული გორები" მდებარეობს მარტყოფის აღმოსავლეთით ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ულევარის ორგორებსა და შინდათხევს შორის. „გატყლაპული გორები" დროთა განმავლობაში გამოიყენებოდა სახნავ-სათესად და ამიტომ აქ მიწაყრილების შენიშვნა მეტად ჭირს. მიუხედავად ამისა, აქ დადასტურდა 4-5 მიწაყრილი, ზოგან დიდი ზომის რიყის ქვებით შერეული. მიწაყრილების მოხაზულობა თითქმის მთლიანად წაშლილია, მათ არც სიმაღლე შემორჩათ და ზუსტად არც დიამეტრი იზომება.

ყორღანი N 5 მდებარეობს ულევარის ველზე, ადგილ „ბატყაპული გორებზე", აპარანის საყდრის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. საკაძისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ხოლო მარტყოფიდან ახალსოფელში მიმავალი გზიდან მარჯვნივ 200 მ-ის დაშორებით.[39]

ყორღანის შემორჩენილი სიმაღლეა 0,80-0,90 მ, დიამეტრი 45-50 მ. ყრილი ძირითადად მიწისა იყო, დიდი და საშუალო ზომის რიყის ქვით შერეული. მიწაყრილის ქვეშ აღმოჩნდა დიდი ქვებისაგან ორ-სამ წყებად ნაგები სარტყელი, რომელიც მოზრდილ წრეს ქმნიდა. სარტყლის დიამეტრი აღმოსავლეთიდან დასავლეთით 25 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 24,5 მ. სარტყლის სიგანე 1,40-1,60 მ. ზოგან სარტყელი დარღვეული იყო. სარტყელის ცენტრში აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო, რომელიც სავსე იყო მოწითალო, სუფთა მიწით, (თიხამიწით), თიხამიწა, როგორც ჩანს, მოტანილია ადგილ ტევალიდან, რომელიც „ბატყაპული გორებიდან" 6-7 კმ. დაშორებითაა.

დასაკრძალავი ორმოს ზომებია: აღმოსავლეთიდან დასავლეთით 6 მ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 4,50 მ, სიღრმე – 3,30 - 3,50 მ. როგორც ჩანს, ორმოში ჩადგმული იყო ხის ძელური შენობა, რომელიც ხის მორებით იყო გადახურული. გათხრების დროს ორმოს თაეზე შეინიშნებოდა ხის ნაშთი და ძელების მიმართულება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ამავე მიმართულებით იყო გაწყობილი ხის იატაკი, რომელიც მოფენილი იყო ქილობით (ქილობის ანაბეჭდები კარგად შეინიშნებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხებზე, რომლებიც ეტყობა პირდაპირ ქილობზე დაეწყვიათ). როგორც ჩანს, კედლები ჰორიზონტალურად გადებული ძელებისაგან შედგებოდა და გამაგრებული იყო ვერტიკალურად ჩადგმული ძელებით. დასაკრძალავი კამერის დასავლეთ კედელთან (სიღრმე 2,5 მ) აღმოჩნდა ელიფსური მოყვანილობის დიდი ქვების გროვა, რომლის ქვეშ იყო ადამიანის ძლიერ დაშლილი და არეული თაეის ქალა და ძვლები. კბილების მიხედვით მიცვალებული ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ძვლები ისეა არეული, რომ მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. მიცვალებულის კბილებთან აღმოჩნდა ოქროს ერთი პატარა მძივი (სურ. 27).

დასაკრძალავი კამერის ცენტრში 3,30 მ. სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს ღარიანი სატეხი, ყუამილიანი ცული, სატევრის პირი, ბრტყელი ცული და ქვის ლახტის თავი. აქვე იყო ფოთლის მოყვანილობის ბრინჯაოს ყუნწიანი „შტანდარტი", ბრინჯაოს ოთხი მრგვალთავიანი, გრძელყუნწიანი „საკინძი", და კაეისა და ობსიდიანის მშვენივრად დამუშავებული ხუთი ჭუსლამოღარული ისრისპირი. დასაკრძალავი კამერის სამხრეთ კედელთან ხის იატაკზე იდო ვერცხლის წვრილი მავთულის მორკალური სახელური, როგორც ჩანს, ხის პატარა სკივრისა. კამერაში აღმოჩნდა საკმაო რაოდენობით შეაპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. დიდი ზომის ჭურჭლები განლაგებული იყო აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ, მომცრო ზომის ჭურჭლები აღმოჩნდა როგორც ცენტრალურ ნაწილში, ისე დასავლეთის კედელთან მიცვალებულის ძვლების გარშემო. აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა წითელი თიხის ანგობირებული ჭურჭელი შავი ფერის მოხატულობით.

---

39 გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ა ფ ი ა ვ ი რ ი, თ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე, მ. ჩ ე ჩ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989-1990 წლების მუშაობის ანგარიში, არქეოლოგიური კრებული, თბილისი, 1994, გვ. 61.

161. ცული ბრინჯაოსი ყუამილიანი, ტანი ოდნავ მოხრილი, პირი ოდნავ მორკალული.სიგრძე – 13,5 სმ; პირის სიგანე – 6,0 სმ; ყუის სიგრძე – 6,0 სმ; ხვრელის დიამეტრი 2,6 სმ (სურ. 28).

162. სატეხი ბრინჯაოსი, ოთხკუთხა თავით, მრგვალგანივკვეთიანი ტანით, ამოღარული ბასრი პირით. სიგრძე – 23,5 სმ; დიამეტრი – 1,8 სმ (სურ. 28).

163. ცული ბრინჯაოსი ბრტყელი, თავი გათხელებული და კუთხეებში ოდნავ მომრგვალებული, სიგრძე – 11,1 სმ; პირის სიგანე – 4,3 სმ (სურ. 28).

164. სატევარი ბრინჯაოსი ფოთლისებური, ყუნწიანი, მხრებდაქანებული. სიგრძე – 15,6 სმ; ყუნწის სიგრძე – 3,8 სმ (სურ. 28).

165. „შტანდარტი" ბრინჯაოსი, ბრტყელი ელიფსური ფორმის, მოკლე ყუნწით. სიგრძე – 27,3 სმ; თავის სიგანე – 10,7 სმ; ყუნწის სიგრძე – 3,7 სმ (ტაბ. XXVI).

166. „საკინძი" ბრინჯაოსი, მრგვალი ბრტყელი თავით, ოთხწახნაგა გრძელი ღეროთი სიგრძე – 18,8 სმ; თავის სიგანე – 7,7 სმ; ღეროს სიგრძე – 10,5 სმ (ტაბ. XXVI).

167. „საკინძი" ბრინჯაოსი, ბრტყელი თავით, ოთხწახნაგა, გრძელი ღეროთი, სიგრძე – 16,8 სმ; თავის სიგანე – 7,3 სმ; ღეროს სიგრძე – 9,4 სმ (ტაბ. XXVI).

168. „საკინძი" ბრინჯაოსი, ბრტყელი თავით, ოთხწახნაგა ღეროთი, ბოლოში



სურ. 23. მარტყოფის N3 ყორღანი: ძირითადი სამარხი.

გაბრტყელებული. სიგრძე – 18,3 სმ (ტაბ. XXVI).

169. „საკინძი“ ბრინჯაოსი, ბრტყელი თავით, ოთხწახნაგა, ბოლოში გაბრტყელებული ღეროთი. სიგრძე – 18,3 სმ; თავის სიგანე – 7,9 სმ. ყუნწის სიგრძე – 10,4 სმ (ტაბ. XXVI).

170. ლახტის თავი მონაცრისფრო-მოთეთრო მარმარილოსი, წაკვეთილი კონუსის ფორმის, ძირისკენ შევიწროებული მრგვალი ნახვრეტით. სიმაღლე – 5,1 სმ; დიამეტრი – 5,7 სმ; ნახვრეტის დიამეტრი 1,8-2,1 სმ.

171. ისრის პირი კაჟის, ჭესლამოღარული, კარგად რეტუშირებული, სიგრძე – 7,9 სმ; სიგანე – 2,2 სმ (სურ. 28).

172. ისრის პირი ნახევრადგამჭვირვალე ობსიდიანის, ჭესლამოღარული, კარგად რეტუშირებული, სიგრძე – 5,5 სმ; უდ. სიგანე – 2,0 სმ (სურ. 28).

173. ისრის პირი, ნახევრადგამჭვირვალე ობსიდიანის, ჭესლამოღარული, კარგად



სურ. 24. მარტყოფის N3 ყორღანი ჩაშვებული სამარხის ინვენტარი. 40-42 - თიხის ჭურჭელი. 43 "შტანდარტი". 44 - ბრინჯაოს ისრის პირი, 45 – ოქროს ხვია.

რეტუშირებული, სიგრძე 5,5 სმ, უდიდესი სიგანე 1,9 სმ (სურ.28)

174. ისრის პირი, ნახევრადგამჭვირვალე ობსიდიანის, ჭესლამოღარული, კარგად რეტუშირებული; სიგრძე – 3,4 სმ; უდ. სიგანე – 1,7 სმ (სურ. 28).

175. ისრის პირი ნახევრადგამჭვირვალე ობსიდიანის, ჭესლამოღარული, ფრთამოტეხილი, სიგრძე – 4,8 სმ; უდ. სიგანე – 1,8 სმ (სურ. 28).

176. ლამელა ობსიდიანის, სუსტად რეტუშირებული. სიგრძე 8,6 სმ; სიგანე –2,2 სმ (სურ. 28).

177. მძივი ოქროსი, ბიკონუსური ფორმის.

178. სარწყულის სახელური, ვერცხლის მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი, ნახევარწრიული მოყვანილობის, ბოლოებმოკეცილი. სიგანე ბოლოებს შორის 10 სმ; ღეროს დიამეტრი – 0,4 სმ (სურ. 28).

179. ისრის პირი ძელის, მრგვალგანივკვეთიანი, გამოყვანილი ყუნწით, სიგრძე –6.8 სმ. ღეროს დიამეტრი – 0,7 სმ (სურ. 28).



სურ. 25. მარტყოფის N3 ყორღანის ძირითადი სამარხის ინვენტარი. 46-50 – თიხის ჭურჭელი, 58 - ცული, 59 – „შტ-ნდარტი", 60 – სატები, 61 – სადგისი, 62-64 – ბრინჯაოს ხვიები, 65 - პასტის მძივები, 66 -სერდოლიკის მძივები, 67 - სერდოლიკის სამკუთხა საკიდები, 68 - გიშრის რგოლი, 70 - ოქროს ხვია.

180. ქოთანი შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით. გადაშლილი განიერი პირით, ყელდაბალი, მხრებსწორი, მუცელი ოდნავ გამობერილი, ძირბრტყელი. მხარზე შემოუყვება 7 ღარი, მუცლის ზედა ნაწილზე სამი, წერტილებით ამოვსებული ზოლია და მათ შორის ვერტიკალური ხაზებისაგან შემდგარი ჰადრაკული ორნამენტია. პირის დიამეტრი – 16,4 სმ; მუცლის დიამეტრი – 24,5 სმ; სიმაღლე – 24,8 სმ; ძირის დიამეტრი – 11,0 სმ; ყელის სიმაღლე – 3,0 სმ (სურ. 29).

181. ქოთანი შავპრიალა თიხისა. მოყავისფრო სარჩულით. თხელკედლიანი, ორყურა,პირგანიერი. კედლებსწორი, კედლიდან ძირისკენ გარდამავალ ადგილზე წიბო იქმნება, ვიწრო ძირით. მთელი ტანი ფაქიზად ნაკაწრი რთული გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. პირის დიამეტრი – 18,1 სმ; მუცლის დიამეტრი – 20,3 სმ; სიმაღლე – 17,1 სმ; ძირის დიამეტრი 18,5 სმ (ტაბ. XXVI).

182. ქოთანი შავპრიალა თიხისა. მოყავისფრო სარჩულით, თხელკედლიანი, სწორი განიერი პირით. კედლებსწორი, ძირისაკენ გადასვლის ადგილზე წიბო იქმნება, მკვეთრი გამოფენილი ძირით, ზედა ნაწილზე აქეთ-იქით ყურები ასხია. პირთან ფართო ღარი შემოუყვება. ტანის ზედა ნაწილზე ამოღარული ხაზები შემოუყვება. ასევე ხაზები ტანზე ვერტიკალურად ჩამოუყვება. ტანის ქვედა ნაწილზე ორფენა ზოლებისაგან შემდგარი რომბებია გამოსახული. სიმაღლე – 17,0 სმ; მუცლის დიამეტრი – 16,0სმ; პირის დიამეტრი – 14 სმ; ძირის დიამეტრი – 7,2 სმ (სურ. 29).

183. ქოთანი შავპრიალა თიხისა. მოყავისფრო სარჩულით. ორყურა, თხელკედლიანი.სწორი განიერი პირით. სწორკედლიანი. კედლის ძირისკენ გადასვლის ადგილზე წიბო იქმნება. ძირვიწრო. მთელი ტანი დაფარულია ამოკაწრული ხაზებით, ირიბი ხაზებით შევსებული რომბებით. პირის დიამეტრი – 16,6 სმ; მუცლის დიამეტრი – 18,0 სმ; სიმაღლე –17,7 სმ; ძირის დიამეტრი – 7,0 სმ (სურ. 29. ტაბ. XXVI).

184. ტოლჩა შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, ცალყურა, თხელკედლიანი,განიერი გადაშლილი პირით, ჩაღარული ყელით, ბიკონუსური ტანით, მუცელზე ჩაღრმავება. პირის დიამეტრი – 11,3 სმ; მუცლის დიამეტრი – 17,5 სმ; სიმაღლე – 12,4 სმ; ყელის სიმაღლე – 1,6 სმ (სურ. 29).

185. ტოლჩა შავპრიალა თიხისა, მოშავო სარჩულით, თხელკედლიანი, ცალყურა, განიერი გადაშლილი პირით. ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი. მხარზე შემოუყვება ურთიერთგადამკვეთი ვერტიკალურად და ჰორიზონტულად განლაგებული ღარები, მუცელზე გამოსახულია ირიბი ხაზებით ამოვსებული სამკუთხედები. პირის დიამეტრი – 10,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 14,5 სმ; სიმაღლე – 13,6 სმ; ყელის სიმაღლე – 2,3 სმ; ძირის დიამეტრი – 5,6 სმ (სურ. 29. ტაბ. XXVI).

186. ტოლჩა შავპრიალა თიხისა. მოყავისფრო სარჩულით, თხელკედლიანი. ცალყურა, პირგანიერი, ოდნავ გადაშლილი, სწორკედლიანი, კედლის ძირისკენ გადასვლის ადგილზე იქმნება წიბო, ძირვიწრო. ცალი ყური ტანზე აქვს. მთელ ტანზე წერტილებით ამოვსებული ზოლებია და მათ შორის მოქცეულია

წვერით ქვევით განლაგებული სამკუთხედები, რომლებიც ჰორიზონტული ხაზებითაა ამოვსებული. პირის დიამეტრი 9,0 და 9,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 10,5 სმ; სიმაღლე – 10,9 სმ; ძირის დიამეტრი – 5,2 სმ (სურ. 29. ტაბ. XXVI).

187. ტოლჩა შავპრიალა თიხისა. მოყავისფრო სარჩულით, თხელკედლიანი, ცალყურა, განიერი გადაშლილი პირით, ბიკონუსური ტანით. მხარზე მრგვალი ფოსოთი. პირის დიამეტრი – 10,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 16,5 სმ; სიმაღლე – 23,4 სმ.

188. ტოლჩის ფრაგმენტი შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, თხელკედლიანი პირგადაშლილი ბიკონუსური ტანით, მხარზე მრგვალი ფოსოთი.

189. ტოლჩის პირის ფრაგმენტი, შავპრიალა თიხისა. მოყავისფრო სარჩულით, ორნამენტით.



სურ. 26. მარტყოფის N3 ყორღანი. თიხის ჭურჭელი.

190. ტოლჩის პირის ფრაგმენტი შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, განიერი გადაშლილი პირით.

191. ტოლჩის კედლის ფრაგმენტი, შავპრიალა, შემორჩენილია ყურის ძირი.

192. დერგი შავპრიალა თიხის, მოყავისფრო სარჩულით, პირი ოდნავ გადაშლილი, ყელდაბალი, მხრებდაქანებული, მსხლისებრი ტანით, ძირგანიერი. ორყურა, მხარზე შემოუყვება განიერი ღარი, მუცელზე ყურებს შორის განლაგებულია 7-7 პარალელური ღარი. პირის დიამეტრი – 23,8 სმ; მუცლის დიამეტრი – 46,0 სმ; სიმაღლე – 54,0სმ; ძირის დიამეტრი – 12,0 სმ; ყელის სიმაღლე – 5,0 სმ (სურ. 30. ტაბ. XXVII).

193. დერგი შავპრიალა თიხისა, მოყავისფრო სარჩულით, გადაშლილი, ქვევრისებრი ბრტყელი პირით, ყელდაბალი, მრგვალმუცლიანი, ძირბრტყელი, ორყურა, მხარზე კოპების ერთი რიგი. პირის დიამეტრი – 18,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 45 სმ; სიმაღლე – 44,5 სმ; ძირის დიამეტრი – 15,3 სმ; ყელის სიმაღლე – 4,5 სმ (სურ. 30. ტაბ. XXVII).

194. დერგი. მოწითალო ფერის თიხისა, დაბალყელიანი, ვიწრო, გადაშლილი პირით, მრგვალმუცლიანი, მომრგვალებული ძირით, მხარსა და მუცელზე შემორჩენილია შავად მოხატული გეომეტრიული სახე. პირის დიამეტრი – 18,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 41 სმ; სიმაღლე – 51,0 სმ; ყელის სიმაღლე – 5,0 სმ (სურ. 31. ტაბ. XXVII).

ყ ო რ ღ ა ნ ი N 6. 1990 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ულევარში „ვატულაანილი გორების" სამხრეთით, ადგილ „დიდგუბეებში".

„დიდგუბეები" მდებარეობს ულევარის ველზე, „ვატულაანილი გორებიდან" სამხრეთით, ორიოდე კილომეტრის დაშორებით სოფ. სააკაძისაკენ მიმავალი გზისპირას. გზიდან დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით [39].

მიწის ხანგრძლივი დამუშავების შედეგად ყორღანი მთლიანად გასწორებული იყო ზედაპირთან. მხოლოდ 60-80 მეტრის რადიუსით მიმოფანტული რიყის ქვების დიდი რაოდენობა მიგვანიშნებდა მათ კავშირს ყორღანულ სამარხთან. ქვების გროვამ ოვალური ფორმა მიიღო. ზომები 6 მ x 4 მ. შემოიხაზა ორმოც, რომელიც 2,50 მეტრის სიღრმემდე დიდი ზომების ქვებით იყო სავსე (სურ. 32. ტაბ. XXVIII). ორმოს პრეპარაციის შემდეგ გამოჩნდა ქვის ბრტყელი ფილებით მოწყობილი იატაკი, რომლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა თიხის შავპრიალა ჭურჭელი რელიეფური სპირალური ორნამენტით. მთელი დანარჩენი ფართობი ეპირა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლებს. აღმოჩნდა ფრინველის ძვლებიც. საინტერესოა მათი განლაგება: იატაკის ოთხივე კუთხეში აღმოჩნდა ხარის მთლიანი ჩონჩხები, თავებით მიმართული ქვეყნის მხარეებისაკენ. ისე, რომ მათი უკანა ნაწილები იატაკის ცენტრში ერთიანდებოდნენ (სურ. 33. ტაბ. XXVIII). იატაკის სხვადასხვა ნაწილში გაფანტული იყო ადამიანის ხერხემლის რამდენიმე მალა და კბილები. აღმოსავლეთ კუთხეში ხარის თავთან რქებს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს ბიკონუსური

39 . გ. ა. ლ ი შ ვ ი ლ ი. ნ. ა ფ ც ი - ე ლ ი და სხვ. დასახ. ნაშრომი. გვ. 70.



სურ. 27. მარტყოფის N5 ყორღანის სამარხი.

ისრისპირი. ორმოს ზომები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო 4 მეტრი, აღმოსავლეთიდან დასავლეთით – 3,70 მეტრი, სიღრმე – 3 მეტრი. ქვის ფილებით მოწყობილი მოედნის (იატაკი) ზომებია: აღმოსავლეთიდან დასავლეთით (წახნაგიდან წახნაგამდე) – 2,35 მ. ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 2,35 მ. ორმოში ჩადგმული მოედანი ორმოს ძირიდან 0,25 მ-ით არის ამაღლებული, ხოლო ორმოს კიდეებს დაშორებულია 0,30-0,40 მ-ით. მოედნის მოსაწყობად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფილები (საშუალოდ 0,50 მ x 0,40 მ ზომისა) (სურ. 33).

195. დერგი თიხისა, არათანაბრად გამომწვარი, მოშავო ფერის, შიდაპირი მოწითალო; პირგანიერი სწორი ყელი მხრისკენ შეუმჩნევლად ფართოვდება. ყელის მხარზე გადასვლის ადგილას შემოუყვება თხელი ღარი. მხარზე დაძერწილია სამი პატარა ყური. მუცელი ოდნავ გამობერილი, ძირისკენ თანდათან ვიწროვდება, ძირბრტყელი. მუცელზე რელიეფური ხაზით შესრულებული სპირალური ორნამენტი ქმნის „სათვალისებურ" სახეს შუაში წაგრძელებული ზოლით. პირის დიამეტრი – 22,5 სმ; ძირის დიამეტრი – 14,5 სმ; მუცლის დიამეტრი – 40 სმ, სიმაღლე – 52,5 სმ (სურ. 34. ტაბ. XXIX).

196. ისრისპირი ბრინჯაოსი, ბიკონუსური. სიგრძე – 4,5 სმ; სიგანე შუაწელზე – 0,5 სმ (სურ. 34).

მარტყოფიდან შესწავლილ ყორღანებში ორი ჯგუფი გამოიყოფა – ერთი უორმოო, მეორე კი ორმოიანი. ყრილის კონსტრუქციითაც ეს ყორღანები საკმაოდ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. პირველი ჯგუფის უორმოო ყორღანებისათვის ორმაგი ყრილია დამახასიათებელი – შიგნიდან ქვისა, გარედან მიწისა. მარტყოფთან გათხრილ სამივე ორმოიან ყორღანს ყრილი დაბიანებული ჰქონდა და ამიტომ ყრილის ხასიათის შესახებ გარკვეული რაიმეს თქმა ძნელია. მაგრამ, ჩანს, რომ მათი ყრილი კონსტრუქციულად განსხვავებული იყო და ძირითადად ქვაშიწაყრილისაგან შედგებოდა. სამარხეული ინვენტარის ხასიათითაც ორმოიან და უორმოო ყორღანებს შორის საგრძნობი სხვაობა იყო. სამივე აქ გათხრილი ორმოიანი ყორღანი ბედენურ კულტურას მიეკუთვნებოდა.

პირველი ჯგუფის უორმოო ყორღანები მარტყოფში ყველა მოზრდილი ზომისა იყო; ყორღანის ცენტრში მიწის პირზე ქვის ან ხის დასაკრძალავი კამერა იყო გამართული. კამერა ქვის ყრილით იფარებოდა, რომელსაც ზემოდან მიწის მძლავრი ფენა ედო.



სურ. 28. მარტყოფის N5 ყორღანის ინვენტარი: 161 – ცული, 162 – სატეხი, 163 – მრტყელი ცული, 164 – სატევრის პირი, 171-175 – ობსიდიანის ისრის პირები, 177 – ოქროს მძივი, 178 – სარწყულის ყელსაბის სახელური, 179 – ძვლის ისრის პირი.

სამგორის ყორღანი ყრილის ხასიათით და დასაკრძალავი კამერის კონსტრუქციით თითქმის სრულიად არ განსხვავდებოდა მარტყოფის პირველი ჯგუფის ყორღანებისაგან. სხვაობა მათ შორის დაკრძალვის რიტუალში შეინიშნება. სამგორის ყორღანში მიცვალებულის დამწვარი ძვლები თიხის ურნაში იყო მოთავსებული; ურნა კი იატაკში სპეციალურად გათხრილ ორმოში იდო[40]. მაღაროსთან შესწავლილ მოზრდილ ყორღანს ორმაგი ყრილი ჰქონდა, რომლის ცენტრში ხის მორებისაგან გამართული დასაკრძალავი კამერა იდგა (სურ. 35. ტაბ.XXXI). ინვენტარის ხასიათით, იგი უფრო მეტ საერთოს მარტყოფის ყორღანებთან ნახულობს (სურ. 45). იერის ზეგანის მოზრდილი ორმოო ყორღანები კონსტრუქციის ხასიათით თითქმის ერთნაირია. მსგავსი მოზრდილი ორმოო ყორღანები ჩვენში და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სხვაგან სადღეისოდ ცნობილი არ არის.

იერისპირეთში გავრცელებული იყო აგრეთვე ორმოიანი ყორღანები. ეს ყორღანები არ გამოირჩეოდნენ თავისი ზომებით და თითქმის ყველა ბედენურ კულტურას მიეკუთვნებიან. საგარეჯოს რაიონში, მდ. იორის მარცხენა ნაპირზე ფურცელწყაროს სამაროვანზე გაითხარა ერთი ორმოიანი ყორღანი, რომელშიც ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი აღმოჩნდა. აქვე ნაპოვნი იყო ობსიდიანის ფუძეამოღარული ისრის პირი, რომელიც სავსებით იმეორებს მომდევნო, თრიალეთის კულტურაში გავრცელებული ამგვარი იარაღის ფორმას[41]. იმავე რეგიონში, ადგილ ზეიანში, შესწავლილი იყო ერთი ორმოიანი ყორღანი N 1, საკმაოდ რთული კონსტრუქციისა. სამარხ-ორმოში

40. საქართველოს არქეოლოგია. თბილისი 1959. გვ. 92.

41. მ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. იერისპირების ბრინჯაოს ხანის სამაროვნები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. VI. თბილისი, 1984. გვ. 38.



სურ. 29. მარტყოფის N5 ყორღანი. თიხის ჭურჭელი.

ორი მიცვალებული აღმოჩნდა გვერდიგვერდ – ერთი მარცხენა, მეორე მარჯვენა მხარეზე დაკრძალული, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი მსხვილი პირამიდისებრთავიანი ისრის პირი, რომელიც მარტყოფის უორმოო ყორღანებისთვისაა დამახასიათებელი. თიხის ჭურჭელი თავისებურია და განსხვავდება როგორც მარტყოფის უორმოო ყორღანებისათვის დამახასიათებელ კერამიკისაგან, ისე ბედენური კულტურის თიხის ნაწარმისაგან. აქვე ნაპოვნი იყო ბრინჯაოს რგოლი და მძივები[42]. ორმოს ძირზე აღმოჩენილი ხის ოთხთვალა ეტლის ნაკვალევი, ამ სამარხს თითქოს უფრო ბედენური ხანის ყორღანებთან აახლოვებს. შესაძლოა, ეს ყორღანი უფრო გარდამავალი ხანისა იყოს მარტყოფის ადრეული ჯგუფის და ბედენური დროის ყორღანთა შორის. ზეიანის ყორღანისათვის მიღებული ნახშირბადის თარიღებს მაინცადამაინც სიცხადე არ შეაქვთ ყორღანის ასაკის დადგენაში.

საინტერესო ჯგუფის ყორღანები გამოვლინდა დედოფლისწყაროს რეგიონში მდ. ალაზნის ქვემო დინების მხარეს. აქ „დალის მთის" და ზილიჩის მიდამოებში შედარებით პატარა ზომის ყორღანები აღმოჩნდა ქვაყრილიანი და ქვამიწაყრილიანი, ორმოიანი, უპირატესად ბედენის კულტურის დროინდელი[43] (სურ. 36.) ამავე რეგიონში შესწავლილი იყო ყორღანები, რომლებიც სამარხეული ინვენტარით უფრო მეტ საერთოს ნახულობენ მარტყოფის უორმოო ყორღანებში ნაპოვნ მასალებთან. ენამთის N 1 ორმოიანი ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ძირითადი მიცვალებული, რომელიც მარცხენა გვერდზე იწვა, თავით დასავლეთით. ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ადამიანის ხუთი თავის ქალა და სხვა ძვლები იდო. ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნაპოვნი იყო მსხვილფეხა საქონლის ძვლები და ხარის მთლიანი თავის ქალა. ყორღანში აღმოჩენილი კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელთან ნახულობს გარკვეულ სიახლოვეს. მ.გრამ, აქვე ნაპოვნი იყო ერთი მოზრდილი ჭურჭელი, რომელიც თავისი ფორმით უადრესი

42. ს. ფ ი ცხ ე ლ ა ვ ი ნ ი, ე. ვ ა ნ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, ზეიანის გორასამარხი N 1. გარეჯი, თბილისი, 1988, გვ. 48.

43. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ბ. მ ა ი ს ტ რ ა ძ ე, შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985-1986 წ მუშაობის წ ა ნ ა წ ა რ ი შ ე ტ ა ნ ე ბ ი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 310, თბილისი, 1992, გვ. 152.

ყ ო რ ღ ა ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს
დამახასიათებელ მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელს მოგვაგონებს[44]. სამკუთხა მოყვანილობის მძივსაკიდები, ბრინჯაოს პირამიდისებრთავიანი ისრის პირი და სხვა ინვენტარი მარტყოფის უორმოო ყორღანებში ნაპოვნ მსგავს ნივთებს უახლოვდებიან. შესაძლოა ენამთის ეს სამარხი ყორღანული კულტურის ადრეული საფეხურის დროინდელია და ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობს (სურ. 37). დაახლოებით ამავე დროისა უნდა იყოს ზილიჩის ველზე გათხრილი №14 ყორღანი[45]. აქვე აღმოჩნდა ყორღანი N 2, რომელიც ტიპიური ბედენური კულტურის ინვენტარს შეიცავდა[46] (სურ. 38; 39).



სურ. 30. მარტყოფის N5 ყორღანი. თიხის ჭურჭელი.

უადრეს ყორღანებს მიეკუთვნება „დალის მთის" II ყორღანული ველის N1 ყორღანული სამარხი. იგი მომცრო ზომის ყორღანი იყო, შუაში დასაკრძალავი ორმოთი, რომელიც ხით იყო გადახურული. სამარხ ორმოში აღმოჩნდა მსხლისებური მოყვანილობის ჭურჭელი და სერდოლიკის სამკუთხა მძივსაკიდი დამახასიათებელი მარტყოფის უორმოო ყორღანებისათვის[47] (სურ. 40). აქვე ზოგ ყორღანში ნაპოვნი იყო უადრესი ყორღანებისათვის დამახასიათებელი პირამიდისებრთავიანი ისრისპირები (სურ. 41).

ამრიგად, ივრის პირებზე კარგად გამოირჩევა ადრეული ყორღანების ორი ჯგუფი. მათგან უადრეს ჯგუფს შეადგენდა მარტყოფის და სამგორის ტიპის მოზრდილი უორმოო ყორღანები. როგორც ჩანს, ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს მდ. იორის და მდ. ალაზნის ქვედა დინების რეგიონებში გამოვლენილი მომცრო ზომის, ორმოიანი ყორღანები. ამ ყორღანებში გამოვლენილი სამარხეული ინვენტარი უახლოვდება მოზრდილ უორმოო ყორღანებში მოპოვებულ მასალებს. მეორე ჯგუფის ყორღანები კი, როგორც აღინიშნა, ყველა ბედენურ კულტურას მიეკუთვნება.

ალაზნის ველზე სადღეისოდ მარტყოფის პირველი ჯგუფის მოზრდილი უორმოო

---

44. რ. რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიიდან. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია N 4, თბილისი, 1989, გვ. 122.

45. რ. რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი; გვ. 131.

46. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, „ზილიჩის" ყორღანი N2, არქეოლოგიური კრებული, I, თბილისი, 1994, გვ. 75.

47. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ბ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.



სურ. 31. მარტყოფის N5 ყორღანი. მოხატული ჭურჭელი.

ყორღანები, თუ არ ჩავთვლით ანანაურის N2 ყორღანს, ცნობილი არ არის. სამაგიეროდ აქ კარგადაა წარმოდგენილი ბედენური კულტურის მოზრდილი ყორღანები: წნორიდან[48], ბაკურციხიდან[49], ანაგიდან და სხვ. (სურ. 42).

ქვემო ქართლის ვაკეზე, მარნეულის ველზე, შულავერის მახლობლად, რამდენიმე ყორღანი გაითხარა. ერთი ნაწილი ყორღანებისა თრიალეთურ კულტურას მიეკუთვნებოდა, მეორე კი ძირითადად ბედენურ კულტურას. გარეგნულად ეს ყორღანები არ განსხვავდებიან და ყველას დაბალი ქვამიწაყრილი ჰქონდა დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის. ბედენური კულტურის ყველა ყორღანი ორმოიანია. მხოლოდ ერთი ყორღანი N5 ინვენტარის ხასიათით განსხვავებული იყო, აქ აღმოჩენილი სამარხეული მასალა თრიალეთის ადრეულ ყორღანებში და მარტყოფის დიდ ეორმოო ყორღანებში ნაპოვნ ჭურჭელს უახლოდება[50] (სურ. 43. ტაბ. XXXVII).

ქვემო ქართლის მთიან ზოლში კარგადაა წარმოდგენილი ადრეული ყორღანები. თეთრიწყაროს რეგიონში, ხრამ-ალგეთის წყალგამყოფი მთის კალთებზე, ყორღანები ჯგუფ-ჯგუფადაა განლაგებული. ერთი ჯგუფი ყორღანებისა ბედენის პლატოზე გამოვლინდა და მათი შესწავლის შედეგად გამოიყო ე.წ. „ბედენური კულტურა"[51]. დღემდე შესწავლილი ყველა ყორღანი აქ ბედენურ კულტურას მიეკუთვნება. მარტყოფის ადრეული, პირველი ჯგუფის ყორღანების მსგავსი აქ ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

დიდი ჯგუფი ყორღანებისა გამოვლენილი იყო წალკის პლატოზე. სწორედ აქ შესწავლილი ამ ტიპის სამარხების საფუძველზე გამოიყო პირველად ადრეული ყორღანები. ბ. კუფტინმა თავის დროზე ადრეულ ყორღანებში ორი ჯგუფი გამოყო. პირველი ჯგუფი ადრეული ყორღანებისა, ყველა ორმოიანი იყო და შეიცავდნენ შედარებით ღარიბულ ინვენტარს. მათთვის დამახასიათებელია მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი და ცალყურა

48. Ш. Д е д а б р и ш в и л и. Курганы Алазанской долины. Тбилиси. 1979. стр. 19.

49. К.Н. П и ц х е л а у р и. Исследования кахетинской археологической экспедиции ПАИ. 1981. Тбилиси. 1982. стр. 18.

50. ქ. ბ ა ბ ა ლ ი ა, არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.). თბილისი, 1975. გვ. 137.

51. ვ. ბ ა ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ბედენის გორა-სამარხების კულტურა, თბილისი, 1981. გვ. 6.



სურ. 32. მარტყოფის N6 ყორღანი.

მოზრდილი ტოლჩა (სურ. 44. ტაბ. XXXIII). ეს ყორღანები მხოლოდ კერამიკის ხასიათის მიხედვით უახლოვდებიან სამგორის და მარტყოფის ადრეულ ყორღანებს. სხვა მხრივ ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან[52].

თრიალეთის მეორე ჯგუფის ადრეული ყორღანები ბედენურ კულტურას მიეკუთვნება. ზოგი მათგანი ორმოიანია, ზოგიც —უორმოო. ეს ყორღანები შედარებით ღარიბულ ინვენტარს შეიცავდნენ. ფიქრობენ, რომ თრიალეთის ყველა ადრეული ყორღანი გაძარცული იყო და ამით აიხსნება სამარხეული ინვენტარის შედარებით სიმცირე. მაგრამ, რაგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს.

შიდა ქართლში მარტყოფის და სამგორის ტიპის მოზრდილი ყორღანები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. აქ გორის რაიონში სოფ. ხელთუბანთან შესწავლილი იყო პატარა ყორღანები, რომლებიც ინვენტარის ხასიათით უახლოვდებიან მარტყოფის პირველი ჯგუფის ყორღანებს[53]. შიდა ქართლში უკეთაა წარმოდგენილი ყორღანები, რომლებიც ბედენურ კულტურას მიეკუთვნებიან, მათ ეხვდებით ხოვლეში, დოისში, ბერიკლდეებზე[54] და სხვ. აქვე ცნობილია ამ დროის ნამოსახლარი ბერიკლდეებზე. აღსანიშნავია, ციხიაგორის ნამოსახლარი კავთისხევთან და ხაშურის ნაცარგორა, სადაც მტკვარ-არაქსისა და ბედენური კულტურების თანაარსებობა დადასტურდა[55].

`სადღეისოდ ადრეული ყორღანები მესხეთ-ჯავახეთში ცნობილი არ არის.

---

52. Б.А. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941. стр. 101.

53. Г. М и н а ш в и л и. Археологическая экспедиция в Горийском районе. ПАИ. 1982. Тбилиси, 1985. стр. 36.

54. ი. გაგოშიძე, ვ. ქორიძე, ა. გოგიჩაიშვილი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. VIII. თბილისი, 1986. გვ. 60.

55. ზ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბილისი, 1994 წ., გვ. 73. ა. ო რ ბ ე ლ ი ძ ე. შერეულკერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან. თბილისი, 1992. გვ. 2.



ნახ. 33. მარტყოფის N6 ყორღანის სამარხი.

დასავლეთ საქართველოში არც ადრეული და არც მერმინდელი დროის ყორღანები საერთოდ არ გვხვდება.

როგორც სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, მარტყოფის უადრესი მოზრდილი ყორღანების მსგავსი, რომლებსაც ორმაგი ყრილი აქვთ ჯერ ქვის, ზემოდან კი მიწის და მიწის პირზე გამართული დასაკრძალავი კამერა აქვთ, მხოლოდ ივრისპირეთშია ცნობილი. აქ ყველა უადრესი ყორღანი უპირატესად გაშლილ ადგილასაა აღმართული. ყრილი თითქმის ყოველთვის თავისუფალი ჩანს, არ გვხვდება უფრო გვიანი ხანის ჩაშვებული სამარხები.

ივრისპირების თითქმის ყველა მოზრდილ უადრეს ყორღანში ცენტრში, ქვაყრილის ქვეშ მიწის პირზე ხის ან ქვის დასაკრძალავი კამერაა გამართული. ხის კონსტრუქციები ბრონზის ხანის კულტურის ყორღანებისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ თითქმის ყველგან ხის ნაგებობა აქ ორმოშია ჩადგმული. მიწის პირზე დასაკრძალავი ნაგებობის აგების ტრადიცია ჩვენში მომდევნო ხანის, თრიალეთის კულტურაშიაც ჩანს, სადაც ყორღანებში ქვისაგან ნაგები „დასაკრძალავი დარბაზები" გვხვდება.[56]

აღსანიშნავია, რომ ივრისპირების ადრეული, მოზრდილი უორმოო ყორღანების ანალოგიური ძეგლები სხვაგან ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ყრილის კონსტრუქციები ისინი გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებენ მილის სტეპის უჩ-თეფეს ყორღანთან. ეს ყორღანიც გამოირჩეოდა თავისი გრანდიოზულობით, მას ორმაგი ყრილი ჰქონდა ზემოთ მიწისა, ქვეშ კი – ქვისა. ყორღანის ცენტრში მოზრდილი რიყის ქვებისაგან შემდგარი ყრილი აღმოჩნდა, რომლის დიამეტრი 30,0 მ აღემატებოდა, სიმაღლე კი 2,0 მ აღწევდა. ქვაყრილზე ზემოდან 1,5 მ სიმაღლის თიხნარი გადადიოდა, რომლის თავზე ფხვიერი მიწა იდო. ყრილი აღმართული იყო მიწის პირზე მოფენილ ღერწმის საფენზე. მაგრამ

56. ი. ტ ა ფ ა ლ ა ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები ბერიაღლეთში, ქართული ტომების ისტორიისათვის ძვ. წ. II ათასწლეულში. თბილისი, 1969, გვ. 56.

ივრისპირების მოზრდილ ორმაგ-ყრილიან ყორღანებისაგან განსხვავებით უჩ-თეფეს სამარხი ორმოიანი იყო. ქვაყრილის ქვეშ მას მოზრდილი სწორკუთხა ორმო ჰქონდა, რომელიც ზემოდან მსხვილი მორებით იყო გადახურული[57]. სამწუხაროდ, ყორღანი გაძარცული იყო და ორმოში წითელი ოქრის, ბრინჯაოს ფირფიტის რამდენიმე ნატეხისა და კერამიკის ფრაგმენტების გარდა არაფერი არ აღმოჩენილა. ამიტომ, ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა კულტურის ხასიათის შესახებ. ა. იესენი ფიქრობდა, რომ ორმოში აღმოჩენილი კერამიკის ნატეხები ძირითად სამარხში მოთავსებული ჭურჭლისა კი არ იყო, არამედ იმ ჭურჭლებისა, რომლებიც გადახურვის მორებზე ელაგა[58]. ა. იესენი ძირითადად კერამიკული მასალის საფუძველზე შეეცადა ეს ყორღანი მაიკოპის კულტურის წრისადმი მიეკუთვნებინა. თუმცა ზოგიერთმა მკვლევარმა, მიუხედავად გარკვეული საერთო ნიშნებისა მაიკოპის კულტურასთან, მათ კულტურულ ერთიანობაში ეჭვი შეიტანა[59]. აქ აღმოჩენილი თიხის ნაწარმი შეიძლება მართლაც ამეღავნებდეს გარკვეულ მსგავსებას მაიკოპის კულტურის კერამიკასთან. ყოველ შემთხვევაში უჩ-თეფეს ყორღანის თიხის ჭურჭელს თითქმის არაფერი აქვს საერთო არც ბედენის კულტურის და არც მარტყოფის ადრეული ჯგუფის თიხის ნაწარმთან. უჩ-თეფეს ყორღანზე გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. ამ ყორღანს კონსტრუქციის ხასიათით იმდენი საერთო აქვს მარტყოფის ადრეულ ჯგუფის სამარხებთან, რომ არ არის გამორიცხული იგი იმავე კულტურის წრისა იყოს.



სურ. 34. მარტყოფის N6 ყორღანის ინვენტარი: თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ისრისპირი.

აზერბაიჯანში შესწავლილია აგრეთვე განსხვავებული ხასიათის ადრეული ყორღანები. მთიან ყარაბაღში, მდ. ხაჩანაგეტის აუზში გათხრილია შედარებით პატარა ზომის ყორღანული სამარხები, რომლებსაც სილისა და ქვის ყრილი ჰქონდათ და ყველა მათგანი ორმოიანი იყო[60]. ეს ყორღანები ინვენტარის ხასიათით გარკვეულ მსგავსებას ამეღავნებენ ბედენის

57. А.А. И е с с е н. Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе. Труды Азербайджанской экспедиции. МИА, 125, стр. 166.

58. А.А. И е с с е н. დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

59. Р.М. М у н ч а е в. Кавказ на заре бронзового века, стр. 33.

60. К.Х. К у ш н а р е в а. Памятники медного века в Нагорном Карабахе, стр. 166.



სურ. 35. მაღაროს ყორღანის დასაკრძალავი კამერის რეკონსტრუქცია.

კულტურასთან. უფრო ადრეული ჩანს მუღანის ველზე შესწავლილი ყორღანები. ასტარინის მხარეში მიკვლეული ეს ყორღანები ეგებ უფრო იმ ხანისაა, როდესაც მტკვარ-არაქსის და ადრეული ყორღანული კულტურები თანაარსებობენ, ყოველ შემთხვევაში ასტარინის ყორღანები კონსტრუქციით და ინვენტარითაც განსხვავდებიან მარტყოფის ადრეული ჯგუფის ყორღანებისაგან[61]. მათში ჯერ კიდევ ცოცხლობს მტკვარ-არაქსის კულტურიდან მომდინარე ტრადიცია. თუმცა ამ ყორღანის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ნოვოსვობოდნაიას ტიპის ძეგლების ანალოგიურია[62]. განსხვავებული ხასიათისაა აგრეთვე სტეპანაკერტთან შესწავლილი ყორღანები[63].

სომხეთში სადღეისოდ მარტყოფის და ბედენის ტიპის მოზრდილი ყორღანები ცნობილი არ არის.აქ აღსანიშნავია ქ. ოქტომბერიანის მახლობლად მაისიანის ყორღანულ ველზე შესწავლილი სამარხები. ამ სამაროვანზე, როგორც ჩანს, მიცვალებულებს ყორღანის ტიპის სამარხებში საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თითქმის მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე, ასაფლავებდნენ. პირველი მიცვალებულები აქ ჩანს მაშინ დაიმარხნენ, როდესაც მტკვარ-არაქსის და ადრე ყორღანული კულტურები თანაარსებობდნენ. მაისიანის ველზე რამდენიმე ჯგუფის ყორღანი გამოირჩევა. ყორღანები შედარებით მომცრო ზომისაა. უადრეს ყორღანებს ჩვეულებრივად ქვაყრილი აქვს, რომლის ცენ-

---

61. Ф.А. Махмудов, Р.М. Мунчаев, И.Г. Шарманов, О древнейшей металлургии Кавказа, СА, 4, Москва, 1968, стр. 20. Ф.А. Махмудов, Культуре Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, Автореферат Тбилиси, 1979, стр. 5

62. А.Д. Резепкин, Северо-Западный Кавказ в эпоху ранней бронзы, Автореферат. Ленинград, 1989, стр. 17.

63. Я.И. Гуминель, Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана, КСИИМК, XX, Москва, 1948, стр. 19.

ტრში მიწის პირზე ტუფის ფილებისაგან ნაგები აკლდამა მდებარეობს[64]. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე ჯგუფის ყორღანები, რომლებსაც განსხვავებული ხასიათის ყრილი აქვთ. ყრილის ზედა ნაწილი მოვარდისფრო ფერის თიხნარისაა, რომლის ქვეშ რიყის ქვის ყრილია. ყრილის ქვეშ მიწის პირზე ტუფის ქვის ფილებისაგან ნაგები აკლდამაა მოთავსებული[65]. საინტერესოა, რომ ყრილის ხასიათით ეს ყორღანები მარტყოფის ადრეული ჯგუფის დიდ ყორღანებს უახლოვდებიან. მაისიანის ამ ჯგუფის ყორღანებს ყორღანული კულტურის ადრეულ საფეხურს მიაკუთვნებენ.



სურ. 36. დალის მთის N4 ყორღანის ინვენტარი.

ჩრდილო კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანაში სამარხის ძირითადი ტიპი ყორღანი იყო[66]. აქ ადრეულ ყორღანებში ორ ჯგუფს გამოყოფენ – მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას. მაიკოპის ჯგუფის ყორღანებს უპირატესად მიწის ყრილი აქვს, რომლის ცენტრალურ ნაწილში დასაკრძალავი ორმოა. ზოგჯერ ორმოში ხის ძელებისაგან შეკრული კამერაა ჩადგმული, რომელსაც რიყის ქვით ნაგები იატაკი აქვს[67].

ამიერკავკასიის ადრეული ყორღანები ყრილის კონსტრუქციის ხასიათით თითქოს უფრო მეტად გვიანმაიკოპურ, ნოვოსვობოდნაიას საფეხურის ყორღანებს უახლოვდებიან. ხშირ შემთხვევაში ამ ყორღანებს ცენტრალურ ნაწილში ქვის ყრილი აქვს და თანაც ისინი უპირატესად უორმოოა. სამარხი უშუალოდ ქვის ყრილის ქვეშ იყო მოთავსებული მოზრდილ სწორკუთხა დასაკრძალავ მოედანზე, რომელიც ზოგჯერ რიყის ქვით იყო მოგებული. ამ ყორღანებში ქვისაგან ნაგები აკლდამები გვხვდება. იშვიათია მიწის პირზე ხის ძელებისაგან შეკრული კამერა[68]. აღსანიშნავია ერთი ყორღანი ხუტორ ნოვოარშტიდან, რომლის ძირითადი სამარხი მიწის პირზე იყო გამართული ყორღანის თავიდან 4,20 მ სიღრმეზე. იგი წარმოადგენდა ხის მორებისაგან ნაგებ კამერას, რომელსაც ზემოდან

64. Г.Е. А р е ш и я н, Раскопки в Мансяне, АО, 1984 г. Москва, 1986, стр. 44.
65. Г.Е. А р е ш и я н, Мансянские курганы, АО, 1985 г. Москва, 1987, стр. 558
66. Р.М. М у н ч а е в, Кавказ на заре бронзового века, გვ. 309.
67. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.
68. იქვე. გვ. 315.

1,0 მ სისქის თიხის ფენა ეფარა[69]. ეს ყორღანი თითქოს რამდენადმე უახლოვდება ამიერკავკასიის ადრეულ ყორღანებს. მაგრამ, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ყორღანები კონსტრუქციით და საერთოდ კულტურის ხასიათით მაინც განსხვავდებიან ჩრდილო კავკასიის ყორღანებისაგან. ეს სხვაობა განსაკუთრებით შესამჩნევია მარტყოფის ჯგუფის ადრეულ ყორღანებში. ეს ყორღანები გამოირჩევიან თავისი ზომებით, თითქმის ყველა უორმოოა, ორმაგი ყრილით, მიწის პირზე ხის მორებისაგან ნაგები ერთმანეთში ჩამჯდარი ორი კამერით. ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა ყორღანში ქვის წრეები, კრომლეხები შეინიშნება, რაც, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ადრეული ყორღანებისათვის მაინცადამაინც დამახასიათებელი არ იყო. ჩრდილო კავკასიის ყორღანები თითქოს უფრო მეტ საერთოს ბედენის კულტურასთან ნახულობს. აქაც ყორღანები უპირატესად ორმოიანია, ხშირად შიგ ჩადგმული ხის ნაგებობით. ყრილის ხასიათშიც ზოგი რამ საერთო ჩანს.

და მაინც, ამიერკავკასიის ადრეული ყორღანები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან. ყრილის გულში ქვაყრილის ზვინული უფრო მოზრდილია. მიწაყრილის ფენა, რომელიც ქვაყრილს თავზე ადევს, უფრო ძლიერია, ჩრდილო კავკასიის ყორღანებში ქვაყრილიც და მის ზემოთ მიწაყრილი შედარებით უფრო თხელია. თანაც აქ თითქმის ყველა ყორღანში ქვის წრეები, კრომლეხები შეინიშნება, რაც, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ადრეული ყორღანებისათვის ნაკლებ დამახასიათებელი იყო.

თითქმის ყველა უადრეს ყორღანში მიცვალებულის ძვლები ცუდად დაცული იყო. ამიტომ, დასაფლავების წესის შესახებ ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა. ჩანს, ადრე ყორღანული კულტურის მარტყოფ-სამგორის ეტაპზე გავრცელებული იყო როგორც მიცვალებულის დაკრძალვა-ინჰუმაცია, ისე მისი დაწვა – კრემაცია. მარტყოფის N1 ყორღანში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა. კამერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იატაკში ჩაკრილი იყო ორმო, სადაც კარგად შეინიშნებოდა ცეცხლის კვალი. თუმც რაიმე ნიშანი, მიცვალებულის დაწვის მანიშნებელი, აქ არ შეიმჩნეოდა[70]. სამგორის ყორღანში კამერის იატაკის ქვეშ ამოღებულ ორმოში ჩადგმული იყო თიხის ურნა მიცვალებულის დამწვარი ძვლებით ამოვსებული. ალაზნის ველზე სოფ. აფენთან გათხრილ ანანაურის N2 ყორღანში სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში პატარა ზომის ორმო აღმოჩნდა, რომელშიაც ჩალაგებული იყო ოქროს ნივთები და მიცვალებულის ფერფლის ნაშთები შეიმჩნეოდა[71].

„ზილიჩის" ტაფობზე, რომელიც შირაქის ველის გაგრძელებას წარმოადგენს, გათხრილ N 4 ყორღანში რამდენიმე მიცვალებულის ძლიერ დამწვარი ძვლები აღმოჩნდა. ეს სამარხი ჩანს კოლექტიური იყო, აქ ნაპოვნი იყო შვიდი თავის ქალა[72].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ამ დროის ყორღანულ სამარხებში დაკრძალვის ორიეე

---

69 Р.М. М у н ч а е в. Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа. МИА, 100, Москва, 1961, стр. 140.

70. ო. ტ ა ფ ა რ ა ძ ე. ი. ბ ე ბ ი ნ ო ვ ი. გ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი. ა. ნ ე ბ ი ე ვ ი. კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978-1979 წლების მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, VII, თბილისი, 1980, გვ. 37.

71. K. Pickelauru, W. Orthmann, D. Q v a v a z e, Neue archäologische Funde in Kachetien, Georgica, Heft 17, 1994.

72. ბ. ბ ა ბ ა ი ს ო ვ ი. ბ. მ ა ი ს ო ნ ა ძ ე. ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიიდან, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, მაცნე, N4, თბილისი 1989, გვ. 132 ნ. ა ს ა ნ ი ა ნ ი. ბ. მ ა ი ს ო ნ ა ძ ე, შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985-1987 წწ. მუშაობის წინასწარი შედეგები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 310, თბილისი, 1992, გვ. 160.

წესი იყო გავრცელებული. მთიან ყარაბაღში ხაჩანაგეტის[73] და სტეპანაკერტის[74] ყორღანებში ვხვდებით როგორც ინჰუმაციის, ისე კრემაციის შემთხვევებს. კრემაცია დამოწმებულია ხანლარის ყორღანებში[75]. აღინიშნა კიდეც, რომ კრემაციის წესი ყორღანებში ამიერკავკასიის აღმოსავლეთ რეგიონებისათვის ჩანს დამახასიათებელი და მის ცენტრალურ და სამხრეთი მხარეებისათვის იგი ამ დროისათვის დადგენილი არ არის[76]. როგორ სრულდებოდა კრემაციის წესი, გარკვევით თქმა ძნელია. როგორც ჩანს, მიცვალებულს ყორღანის გარეთ წვავდნენ, რის შემდეგაც მის ფერფლს სამარხის ძირზე საგანგებოდ ამოღებულ ორმოში ათავსებდნენ. ზოგჯერ ფერფლს და დამწვარი ძვლების ნარჩენებს თიხის ურნაში აგროვებდნენ. საიდან და რა დროს ვრცელდება დაკრძალვის ეს შედარებით რთული წესი ჩვენში, რომელიც უთუოდ რაღაც გარკვეული შინაარსით უნდა ყოფილიყო დატვირთული, ახლა ძნელი სათქმელია. წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურაში მიცვალებულის დაწვის მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაა დამოწმებული. ცეცხლის კვალი და მიცვალებულის დამწვარი ძვლები აღმოჩნდა ე. პჩელინას მიერ გათხრილი კიკეთის სამარხში.[77] კრემაციის შემთხვევა თითქოს ჩანს ტყვიავის ერთ-ერთ ყორღანში[78]. ქვაცხელების ტვლეპია წყაროს სამაროვნის N1 სამარხ[illegible]ქოს კრემაციის შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე[79]. აქ და, საკუთრივ, ქვაცხელას ყველა დანარჩენი სამარხი



სურ. 37. ენამთის N1 ყორღანის ინვენტარი.

---

73. К.Х. К у ш н а р е в а. Памятники медного века в Нагорном Карабахе. СА. XX, 1954, стр. 168

74. Я.И. Г у н н е с а. Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана. КСИИМК. XX, Москва, 1948, стр. 21.

75. იქვე, გვ. 175.

76. Р.М. М у н ч а е в. Кавказ на заре бронзового века, стр. 171.

77. Е.Г. П ч е л и н а. Археологические раскопки в районе Триалетского хребта. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.V, თბილისი, 1928, გვ. 156.

78. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გაჩხრეკა, თბილისი, 1943, გვ. 52.

79. ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ონ ტ ი, ურნული, I, თბილისი, 1962, გვ. 23.

ინჰუმაციური იყო. ასეთ შემთხვევაში მიცვალებულის დაწვა, შესაძლოა, მართლაც რაღაც განსაკუთრებულ ვითარებასთან ყოფილიყო დაკავშირებული, ეგებ, ეპიდემიის გავრცელებასთან[80] და სხვ. სადღეისოდ კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი სამაროვნები, სადაც მიცვალებულებს ძირითადად ორსამარხებში ან კიდევ ქვაყუთებში ინჰუმაციის წესით მარხავდნენ.

მიცვალებულების დაწვის ჩვეულება საკმაოდ ადრე ჩანს როგორც კავკასიის სამხრეთით[81], ისე მის ჩრდილოეთით. ჩრდილო მესოპოტამიაში, ჰალაფის კულტურის დროინდელ ნამოსახლარზე, იარიმ-თეფე II-ის სამაროვანის ძირა ფენის რამდენიმე სამარხში დამოწმებული იყო მიცვალებულის დაწვა[82]. სადღეისოდ კრემაციის წესი ჰალაფის კულტურაში დამოწმებულია მხოლოდ იარიმ II-ზე. ამ დროის სხვა ძეგლებზე დაკრძალვის ეს წესი ჯერჯერობით თითქოს ცნობილი არ არის[83]. მესოპოტამიაში ამ კულტურის გავრცელებასთან ერთად, შემოდის მიცვალებულის დაწვა[84]. კრემაციის წესი ფართოდ ერცელდება მცირე აზიაში, განსაკუთრებით ხეთურ სამყაროში[85]. აქ რთული ცერემონიალი სრულდებოდა დიდებულთა, მეფეთა დაკრძალვის დროს[86].კრემაცია გავრცელებული იყო აგრეთვე რიგით წევრებშიაც. ბაღასკეის და იაზალიკაიას შორის მიმავალ გზის პირას აღმოჩნდა სამაროვანი კლდეში ჩადგმული თიხის ურნებით, რომლებშიაც მიცვალებულის დამწვარი ძვლები იყო მოთავსებული[87]. თავის დროზე თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" დახასიათებისას აღინიშნა, რომ დაკრძალვის წესი აქ გარკვეულად მოგვაგონებს ხეთურ საბუთებში აღწერილ მეფეთა დასაფლავების რიტუალს[88]. როგორც ჩანს, თრიალეთის ყორღანებში მიცვალებულის კრემაციის წესი უპირატესად საზოგადოების არისტოკრატიული, პრესტიჟული ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი[89]. გამოითქვა ვარაუდი, რომ კრემაცია ჩვენში სამხრეთიდან უნდა გავრცელებულიყო. თუმცა ისიც ითქვა, რომ მიცვალებულის დაწვა და ზოგი რამ სხვა წეს-ჩვეულება, რომლებიც ხეთურ სამყაროში ინერგება, უფრო ადრე თრიალეთის კულტურის წიაღში იჩენს თავს და კულტურის ამ ორივე წრეში დაკრძალვის ახალი წესის გამჩენა ხურიტულ გავლენას უკავშირდება. კრემაციის წესის და, საერთოდ, თრიალეთის

---

80. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, გვ. 831.

81. Б.А. Куфтин. Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и куро-араксский энеолит. საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 70.

82. Р.М. Муничаев, Н.Я. Мерперт. Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. Москва, 1981, стр. 207.

83. Р.М. Муничаев, Н.Я. Мерперт. Погребальный обряд племен халафской культуры. Археология Старого и Нового света. Москва, 1982, стр. 39.

84. В.М. Массон. Первые цивилизации. Ленинград, 1989, стр. 83.

85. Дж. Маккуин. Хетты и их современники в Малой Азии. Москва, 1983, стр. 134.

86. A. Goetze, Kleinasien, München, 1957, გვ. 170. Т.В. Гамкрелидзе, Вяч.Вс. Иванов. დასახ. ნაშრ., გვ. 826. ვ. ბერიაშვილი, დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან, სს ᲛᲐXXXVI-B, თბ., 1982, 46.

87. N. Otten, Hethitische Totenrituale, Berlin, 1958, გვ. 6. Дж.Г. Маккуин. დასახ. ნაშრ., გვ. 134.

88. Б.А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, стр. 81.

89. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969, გვ. 72. В.М. Массон. Древние гробницы вождей на Кавказе. Кавказ и Восточная Европа в древности. Москва, 1973, стр. 165.

კულტურის ამიერკავკასიაში გავრცელება ხურიტული ტომების ექსპანსიის შედეგი უნდა ყოფილიყო[90].

საიდან ვრცელდება ამიერკავკასიაში ადამიანის გვამის დაწვის ჩვეულა მთლად ნათელი არ არის. მართალია, ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის ხანაში ამ წესმა ჩანს მაინცდამაინც ფეხი ვერ მოიკიდა და ისევ ძირითადად ინჰუმაციის ჩვეულება იყო გავრცელებული, მაგრამ, მიცვალებულის დაწვის და მისი ნაშთების თიხის ჭურჭელში ან სპეციალურ სამალავ-ორმოში მოთავსების შემთხვევებიცაა აქ დადასტურებული. იყო თუ არა აქაც კრემაციის წესი, თრიალეთის კულტურის მსგავსად, საზოგადოების უფრო დაწინაურებული ფენისათვის დამახასიათებელი, გარკვევით თქმა ძნელია. მარტყოფის და სამგორის ყორღანების მაგალითიდან თითქოს ისე ჩანს, რომ საზოგადოების ზედა ეშელონებისათვის ორივე წესი იყო დამახასიათებელი. მაგრამ, მაინც მიცვალებულის დამარხვა, ინჰუმაცია დომინირებდა ამ პერიოდში.[91] ბედენის კულტურის ხანაში ადამიანის გვამის დაწვის წეს-ჩვეულება თითქოს საერთოდ ცნობილი არ იყო.

მიცვალებულის დაწვის ტრადიცია საკმაოდ ადრე ჩანს ევროპაში[92]. ის აზრიც არსებობს, რომ თითქოს დაკრძალვის ეს წესი ევროპაში ჩაისახა და აქედან გავრცელდა წინა აზიაში[93]. ბალკანეთ-დუნაის მხარეში ყორღანების გამოჩენასთან ერთად გვხვდება სამარხები, სადაც კრემაციის წესია დადასტურებული. მიცვალებულის დამწვარ ნაშთებს თიხის ურნაში ათავსებდნენ. ვარაუდობენ, რომ აქ ორი ტრადიციის სიმბიოზთან უნდა გვქონდეს საქმე — ყორღანი სტეპური ელემენტი უნდა ყოფილიყო, კრემაციის წესი კი ბალკანეთ-დუნაის ტრადიციაა. მიცვალებულის დაწვა და მისი ნაშთის თიხის ურნაში მოთავსება კარპატების მხარეში საკმაოდ ადრე ჩნდება[94]. იმასაც ფიქრობენ, რომ კრემაციის ჩვეულება დუნაისპირეთიდან ვრცელდება ჩრდილოეთით საკმაოდ ადრეულ პერიოდში[95]. მიცვალებულის დაწვის წესს ინდოევროპელების დაკრძალვის რიტუალში ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მიიჩნევენ[96]. ინდოევროპულ ტომებში ჩანს გავრცელებული იყო როგორც კრემაცია, ისე ინჰუმაცია[97].მათში ჩანს წესად იყო მიცვალებულის დამწვარი ნაშთების შეგროვება და თიხის ჭურჭელში მოთავსება[98]. არ არის გამორიცხული, რომ ამ ტრა-

---

90. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო, კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1965, გვ. 195.

91. გ. მ ი ნ დ ა ო შ ვ ი ლ ი, ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში, აეტორეფერატი, თბილისი, 1993, გვ. 5.

92. А.Л. М о н г а й т, Археология Западной Европы, I, Москва, 1973, стр. 231, 280, 285; Г.Ч а й л д, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, стр. 154.

93. Б.А. К у ф т и н, Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и куро-араксский энеолит, стр. 70.

94. Н. Т а с и ч, Междуусобные связи южнорусских степей и югославского Подунавья в энеолите, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 206.

95. Г.Ф. Н и к и т и н а, Погребальный обряд полей погребений Средней Европы в I тысячелетии до н.э. - первой половине I тысячелетия н.э. Погребальный обряд племен Северной и Средней Европы в I тысячелетии до н.э. - I тысячелетии н.э., Москва, 1974, стр. 8.

96. Т.В. Г а м к р е л и д з е, Вяч. Вс. И в а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 964.

97. იქვე, გვ. 830.

98. იქვე, გვ. 826.

დიციის შემოსვლა ჩვენში ყორღანული კულტურის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული.

იშვიათად, მაგრამ მაინც ადრეყორღანების დაკრძალვის რიტუალში ოქრის გამოყენების შემთხვევები გვხვდება. მარტყოფის ჯგუფის ყორღანებში მხოლოდ ერთში, N 2 ყორღანში აღმოჩნდა ოქრის ნაკვალევი. ადრეყორღანული კულტურის ხანაში იორალაზნის ორმდინარეთში ეს თითქოს სადღეისოდ ოქრის გამოყენების ერთადერთი შემთხვევაა. თრიალეთის ადრეულ ყორღანში მხოლოდ ხადიკის ყორღანში აღმოჩნდა რამდენიმე ნატეხი ოქრისა[99]. არ ჩანს ოქრის გამოყენების კვალი თითქოს არც შიდა ქართლის ადრეულ ყორღანებში. ბედენის კულტურის საფეხურზე მხოლოდ ბედენის პლატოზე შესწავლილ ორ ყორღანში აღმოჩნდა წითლად შეღებილი ჩონჩხები[100]. ოქრის გამოყენება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის ხანაში ცნობილია აზერბაიჯანში სტეპანაკერტის N 125[101] და უჩ-თეფეს ყორღანებიდან[102]. მიცვალებულის წითლად შეღებვის ფაქტი უფრო ადრეულ ხანაში აქ მხოლოდ ქიულთეფე I ს. ბ-როვანზე გვხვდება[103]. მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ეს წესი თითქოს არ ჩანს. არც თრიალეთის კულტურაში გვხვდება მიცვალებულის შეღებვის შემთხვევები. სადღეისოდ, ამიერკავკასიაში ეს ტრადიცია მხოლოდ ადრე ყორღანულ კულტურის ხანაში ჩანს. თუმც, არც ამ დროს გავრცელებულა ეს ადათ-წესი მაინცადამაინც ამიერკავკასიაში. და მაინც, საიდან უნდა გავრცელებულიყო ეს ჩვეულება ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის ხანაში, გარკვევით თქმა ძნელია. დაკრძალვის რიტუალში საღებავის გამოყენების ეს წესი საკმაოდ ადრინდელი დროიდან ცნობილი იყო როგორც ამიერკავკასიის სამხრეთით, ისე მის ჩრდილოეთით.



სურ. 38. ზილიჩის N2 ყორღანის ქვედა დონის სამარხის ინვენტარი.

---

99. ი. გრიგოლია, ხადიკის ყორღანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XI, N 10, თბილისი, 1950, გვ. 691.

100. ვ. გოგიტიშვილი, ბედენის გორ.-სამარხების კულტურა, თბილისი, 1981, გვ. 126.

101. Я.И. Гуммель, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

102. А.А. Иессен, Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, стр. 125

103. О.А. Абиев, Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР, стр. 51.

წინა აზიაში სამარხში ოქრის ჩატანება საკმაოდ ადრე ჩანს[104]. ნატუფის კულტურაში, ეინანში სამარხების დიდ ნაწილში ჩაყოლილი იყო წითელი ოქრა[105]. ჩათალ-ჰუიუკში გვხვდება სამარხები ოქრის ნაშთებით[106]. სამარის კულტურაში, სავანის სამაროვანზე მიცვალებულს უხვად აყრიდნენ ოქრას[107]. წითელ ოქრას ბლომად იყენებდნენ სიალკ I ხანაში[108]. შემდეგ სიალკ II ფაზაში ოქრით იფარებოდა მიცვალებულის მხოლოდ თავის ნაწილი[109]. როგორც ჩანს, წინა აზიაში დაკრძალვის ცერემონიალში ოქრის მონაწილეობა უფრო ადრეულ ხანაში იყო გავრცელებული. მერე და მერე ეს წესი ან სრულიად მოიკვეთა, ან უმნიშვნელოდ თუ შემორჩა. ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. III ათასწლეულის მანძილზე აქ ოქრის გამოყენება სამგლოვიარო რიტუალის შესრულებისას ეტყობა საინცადამაინც დამახასიათებელი აღარ იყო.

დაკრძალვის რიტუალში ოქრის გამოყენების ერთგვარად განსხვავებული სურათი ჩანს კავკასიონის ქედის გადალმა მხარეში. ჩრდილო კავკასიაში ეს წესი საკმაოდ ადრინდელი ხანიდანაა ცნობილი. ნალჩიკის სამაროვანის სამარხების უმეტეს ნაწილში მიცვალებულის ძვლები წითლად იყო შეღებილი[110]. მაიკოპის, ნოვოსვობოდნაიას და ამ დროის სხვა ყორღანებში უხვად იყო გამოყენებული წითელი ოქრა[111]. ყუბანისპირეთში უსტ-ჯეგუტინის სამაროვანის უადრეს სამარხებში ხშირია მიცვალებულის შეღებვის შემთხვევები[112]. ამ წესს ვხვდებით მოგვიანებინ ხანებიც, მაგრამ უფრო ნაკლებად[113]. ცნობილია იგი ჩრდილოაღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში და მთიან საჩეჩნეთში, რამდენადმე უფრო გვიანდელ დროის სამარხებში – ყარაბულახკენტის სამაროვანზე[114], მანასის და გინჩის სამარხებში[115] და სხვ. ვარაუდობენ, რომ ეს წესი სამხრეთ რუსეთის სტეპური ზოლიდან მომდინარეობს[116].

უფრო ფართოდ მიცვალებულის ოქრით დაფარვის ჩვეულება გავრცელებული იყო კავკასიის ჩრდილოეთით სამხრეთ რუსეთის სტეპის ზონაში. განსაკუთრებით ეს წესი

---

104. Дж. Мелаарт. Древнейшие цивилизации Ближнего Востока. Москва, 1982, стр. 23.

105. იქვე, გვ. 28. J. Mellaart, The Neolithic of the Near East. London. N:, გვ. 36.

106. იქვე, გვ. 102. J. Mellaart, Excavations at Çatal Hüyük. Anatolian Studies, vol. XIV, NI, გვ. 93.

107. В.М. Массон. Первые цивилизации, стр. 76.

108. Г. Чайлд. Древний Восток в свете новых раскопок. Москва, 1956, стр. 290.

109. იქვე, გვ. 293.

110. А.П. Круглов, Б.Б. Пиотровский, Г.В. Подгаетский, Могильник в Нальчике. МИА, 3, М-Л., 1941, стр. 107.

111. А.А. Иессен, К хронологии "Больших кубанских курганов". СА, XII, М-Л., 1950, стр. 178. Т.Б. Попова, Дольмены станицы Новосвободной. Москва, 1963, стр. 45.

112. А.А. Нечитайло, Верхнее Прикубанье в бронзовом веке. Киев, 1978, стр. 19, 27.

113. В.И. Маркович, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы. МИА, 93, Москва, 1960, стр. 110.

114. Р.М. Мунчаев, К.Ф. Смирнов, Археологические памятники близ Карабулахкента. МИА, 68, М-Л., 1958, стр. 156.

115. В.И. Маркович, Новый памятник эпохи бронзы в Горной Чечне. Древности Чечено-Ингушетии, Москва, 1963, стр. 110.

116. M. Gimbutas, The Prehistory of Eastern Europa. 1956; გვ. 73.

დამახასიათებელი ჩანს ძველი ორმოსამარხების, ყორღანული კულტურის ხანაში[117]. ამ კულტურის დასავლეთით განფენასთან ერთად ვრცელდება მიცვალებულის წითლად შეღებვის ტრადიცია ევროპაში[118] და ამიტომ ზოგჯერ მას ოქრიანი სამარხების კულტურასაც უწოდებენ[119]. ამ წესის აქ გამოჩენას ძველი ორმოსამარხების კულტურის გავრცელებას უკავშირებენ. მთლად დამაჯერებელი არ ჩანს მოსაზრება, რომ ამ ტრადიციის გავრცელება ამიერკავკასიაში მაინცადამაინც სამხრეთული გავლენის შედეგი იყო[120]. პირიქით, თითქოს უფრო ისაა სავარაუდო, რომ ეს მოვლენაც ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსებს უკავშირდება. ეს სწორედ ის დროა, როდესაც კავკასიაში ძველი ორმოსამარხების კულტურის გაელენა ძლიერდება.



სურ. 39. ზილიჩის N2 ყორღანის ზედა სამარხის ინვენტარი.

მარტყოფის ჯგუფის თითქმის ყველა ყორღანში მიცვალებულის ძვლები მეტად ცუდად იყო დაცული. მხოლოდ ერთ N 3 ყორღანში შედარებით კარგად შემონახული ჩონჩხები აღმოჩნდა. N 2 ყორღანში მხოლოდ იმის დადგენა მოხერხდა, რომ მიცვალებული გვერდზე იწვა ძლიერ მოხრილი. და N 4 ყორღანში რამდენიმე მიცვალებული ესვენა. მათგან ძირითადი, ჩანს, ყორღანის ცენტრალურ ნაწილში დაიკრძალა, რომელიც გვერდზე იწვა, ძლიერ მოკუნტული. ამ ჩონჩხის მახლობლად აღმოჩნდა ძირითადად ლითონის ინვენტარი. დანარჩენი მიცვალებული ყორღანის ჩრდილო ნაწილში დაიკრძალა. მათი ძვლები ცუდად იყო დაცული, ერთმანეთში არეული და ამიტომ ძნელია გარკვევით თქმა, რამდენი მიცვალებული ესვენა აქ. ისე ჩანს, რომ აქ სულ ცოტა ორი მაინც უნდა ყოფილიყო.

---

117 Ш. Мерперт. Древнейшие скотоводы Волжско-Уральского Междуречья, стр. 46. Б. А. Латынина, Молоточковидные булавки и их культурная атрибутация и датировка. Археологический сборник, вып. 9, Ленинград, стр. 32, 65; Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, стр. 216.

118 Ш. Мерперт. Древнеямная культурно-историческая область и вопросы дифференциации культур шнуровой керамики. Восточная Европа в эпоху камня и бронзы. Москва, 1976, стр. 123.

119 [illegible], ტომ. ნაშრომი, გვ. 205.

120 [illegible], ტომ. ნაშრომი, გვ. 132.

ყველა მიცვალებული ყორღანში ერთდროულად უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულნი. რა დამოკიდებულება იყო სიცოცხლეში მათ შორის ახლა ძნელი სათქმელია. შესაძლოა ძირითად მიცვალებულს თან მხლებლები გაატანეს. ამ ჩონჩხებთან შედარებით ღარიბული ინვენტარი აღმოჩნდა, თანაც ისინი ერთმანეთის გვერდით ესვენენ და საკმაოდ დაცილებულები იყვნენ ძირითად სამარხს.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში დიდ ყორღანებში, როგორც წესი, რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული. მარტყოფის, წნორის, ბედენის და სხვ. ყორღანებში ერთზე მეტი მიცვალებული ესვენა. დაახლოებით ასეთივე სურათი ჩანს ჩრდილო კავკასიაშიც: მაიკოპის, ნალჩიკის და სხვ. დიდ ყორღანებში რამდენიმე მიცვალებული ჩანს ჩასვენებული. შესაძლოა, ამ დროს შედარებით მაღალი რანგის წარმომადგენელის დაკრძალვისას ადამიანის მსხვერპლად მიტანის რიტუალიც სრულდებოდა[121].

კოლექტიური სამარხები ეხვდება აგრეთვე რიგით წევრთა ყორღანებშიც. მაგრამ იქ მაინც უფრო განსხვავებული სურათი ჩანს. შირაქში ენამთის N 1 ყორღანში ძირითადი მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, თავით დასავლეთით[122]. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიხვეტილი იყო ადამიანის ხუთი თავის ქალა და სხვა ძვლები. რა ვითარებაა ამ ყორღანში, ვისია ეს თავის ქალები, გარკვეით თქმა ძნელია. შეიძლება გვეგარაუდა, რომ ეს საოჯახო სამარხი იყო და ძირითადი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ აქ ოჯახის სხვა წევრებიც იკრძალებოდნენ.

უფრო ხშირად ამ პერიოდში წყვილად დაკრძალვას ვხვდებით. თითქმის ყველა შემთხვევაში ისე ჩანს, რომ ორივე მიცვალებული ერთდროულად დაიკრძალა. მარტყოფის N 3 ყორღანში შედარებით ადრიდან დაცული ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. კამერის ხის მორებიან იატაკზე ორი მიცვალებული ესვენა. ერთი ჩონჩხი ძვალმსხვილი საკმაოდ ახოვანი მამაკაცისა. სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა, მარცხენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით დასავლეთით. მეორე ჩონჩხი მდებარეობდა იატაკის აღმოსავლეთ ნაწილში სამხრეთიდან ჩრდილოეთით დამხრობილი, თავით სამხრეთით, მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილ ფეხებით. მისი თავის ქალა პირველი მიცვალებულის ფეხთით იდო. იგი შედარებით ძვალწვრილი იყო და, ჩანს, აქ ქალია დაკრძალული. ამას უნდა მოწმობდეს აგრეთვე ჩონჩხის არეში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხვიები, მძივსაკიდები და სხვა ნივთები. შესაძლოა, რომ აქ ცოლ-ქმარია დაკრძალული: თუმცა ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში სამარხში მონა-ქალი ჩაატანეს, რომელიც მამაკაცის ფეხთით დაკრძალეს. საინტერესოა, რომ ამ ყორღანში ჩაშვებული სამარხი აღმოჩნდა ზედ ორმოს თავზე. იგი ძირითადი სამარხის თანადროულია. ჩატანებული ინვენტარით თითქოს ისე ჩანს, რომ აქ უფრო ქალია დაკრძალული. შეიძლება ვარაუდით დავუშვათ, რომ აქ სწორედ ძირითადი მიცვალებულის მეუღლე დაიკრძალა, მაგრამ როდის?- ქმრის დაკრძალვის რიტუალის შესრულების დროს, თუ იგი უფრო გვიან დასაფლავდა ქმრის სამარხის თავზე, ახლა გარკვეით თქმა ძნელია. ამ პერიოდში ჩვენში წყვილადი

---

121. А.Д. Р о з е н к и н. Погребения вождей майкопской культуры. Новые экспедиционные исследования археологии. Ленинград. Ленинград, 1983, стр. 26. В.М. М а с с о н. Экономика и социальный строй древних обществ. Ленинград, 1976, стр. 160.

122. ა.რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს ურ ა ძ ე. ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიაზე, გვ. 122.



სურ.40. დალის მთის მეორე ყორღანული ველის N1 ყორღანი.

დასაფლავების სხვა შემთხვევებიც გვხვდება, მაგრამ თითქმის ყოველთვის ჩონჩხები ერთმანეთის გვერდზე ასვენია – ერთი მარჯვენა, მეორე კი მარცხენა გვერდზე, ზოგჯერ თითქმის ერთმანეთთან მიტანილი. ანაგის ყორღანში ორი მიცვალებული აღმოჩნდა – ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა გვერდზე, მოკუნტული ფეხებით. მათი თავის ქალები ერთმანეთს ეხებოდა[123]. დაახლოებით ასეთივე სურათია ზეიანის N1 ყორღანში. აქ ერთმანეთის პირისპირ ორი მიცვალებული ესვენა, მოკრუნჩხული პოზით. მათი ხელები და თავის ქალების სახის ნაწილები თითქმის ერთმანეთს ედებოდა[124]. წნორის N1 ყორღანში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა – ქალისა და კაცის. ოცდაათიოდე წლის ქალის ჩონჩხი სამარხის ჩრდილო კედელთან იდო, მარჯვენა გვერდზე, ფეხმოხრილი, თავით დასავლეთით. ამ ჩონჩხთან ინვენტარი არ აღმოჩენილა. მისგან რამდენიმე მეტრით დაცილებით, იმავე პოზაში დაკრძალული იყო ორმოციოდე წლის მამაკაცი. ამ ჩონჩხთან ნაპოვნი იყო საკმაოდ მდიდარი ინვენტარი[125].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წყვილადი სამარხის ტრადიცია საკმაოდ ძველია, მაგრამ შედარებით უფრო ფართოდ იგი თითქოს ბრინჯაოს ხანაში ვრცელდება[126]. განსხვავებული სქესის წარმომადგენლების ერთ სამარხში მოთავსების ზნე-ჩვეულებას სხვადასხვანაირად ხსნიან. ჩვენში ეს წესი მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში მაინცადამაინც არ შეიმჩნევა. ჯერჯერობით ამირანის გორის ორ სამარხშია წყვილადი დაკრძალვის წესი შენიშნული. ორივე შემთხვევაში მიცვალებულები მარჯვენა გვერდზე ესვენნენ, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით[127]. აღსანიშნავია, რომ ამავე წესით ჩანს დაკრძალული ორი მიცვალებული აღმოსავლეთ ანატოლიაში მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ კოროკუს სამაროვანზე. მამაკაცი

---

123. К.Н. Пицхелаури, Н.Ф. Мамаишвили, М.Т. Капанадзе, В.В. Варазишвили, В.Г. Мансурадзе, М.А. Абдушелишвили. Археологические исследования кахетинской археологической экспедиции. ПАИ в 1979 г. Тбилиси, 1982.

124. К.Н. Пицхелаури и др. Кахетинская археологическая экспедиция. ПАИ в 1982 г. Тбилиси, 1985.

125. Ш.Ш. Делабришвили. Курганы Алазанской долины. Тбилиси, 1974. стр. 39.

126. В.М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

127. ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბილისი, 1963, გვ. 40.

მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ ნახევრად მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით, სახით ჩრდილოეთით, ქალი კი მოპირდაპირე მხარეს მარცხენა გვერდზე, ნახევრად მოხრილ მდგომარეობაში, სახით სამხრეთით. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ქალისა და კაცის ერთად დაკრძალვა ინდოევროპელთა პრაქტიკაა[128].



სურ. 41. დალის მთის ყორღანებში ნაპოვნი პირამიდისებრთავიანი ისრისპირები.

თანადასაფლავების წესი ადრე ჩანს კავკასიის სამხრეთით. არპაჩიაში, ჰალაფის დროინდელ ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა თითქოს ჩახუტებული ქალისა და მამაკაცის ჩონჩხები[129]. ჩვენში ეს წესი უფრო ადრეყორღანული კულტურის ხანაში ვრცელდება, თანაც მიცვალებულები უპირატესად ერთმანეთის ახლოს იკრძალებოდნენ. ჩრდილო კავკასიაში ცნობილია ყორღანები წყვილადი საფლავებით. სოფ. კიშპეკის მახლობლად გათხრილ ყორღანში აღმოჩნდა ახლოს მიტანილი ქალისა და კაცის ჩონჩხები, მოკუნტული პოზით, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთით[130]. ნალჩიკის ყორღანში ორი მიცვალებული ერთმანეთის სიახლოვეს ესვენნენ, მოკუნტულ მდგომარეობაში, გვერდზე მწოლიარე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. ერთი მათგანი მარცხენა გვერდზე იდო, მეორე კი – მარჯვენაზე[131]. წყვილადი სამარხები დამახასიათებელია კალმიკეთის სტეპების ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის[132].

ადრეყორღანული კულტურის დროს უპირატესად წესად იყო მიცვალებულის დაკრძალვა მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ფეხებმოკეცილი. ფურცელწყაროს N 4 ყორღანში მიცვალებული მარცხენა გვერდზე ესვენა, კიდურებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით[133]. დალის მთის N4 ყორღანში კი პირიქით, მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა, თავით სამხრეთ-დასავლეთით[134]. ზილიჩის N 2 ყორღანში მიცვალებული მარცხენა

128. Shan M.M. Winn, Burial evidenze and the Kurgan Culture in Eastern Anatolia c. 3000 B.C: an Interpretation. Jics, Vol. 9, Nos. 1,2 (Spring Summer 1981), გვ. 114.

129. Г. Чайлд. Древний Восток в свете новых раскопок. Москва, 1956, стр. 190

130. Н.М. Чеченов. Богатые захоронения в кургане раннебронзового века в сел. Кишпек в Кабардино-Балкарии. Северный Кавказ в древности и средние века. Москва, 1980, стр. 20.

131. Р.М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века, стр. 271.

132. Н.В. Синицын, У.Э.Эрдниев. Новые археологические памятники на территории Калмыцкой АССР. Труды, вып. 2. Элиста, стр. 6.

133. ვ. ჯაჯანაძე, იერუსპირეთის ბრინჯაოს ხანის სამარხეულები, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI, თბილისი, 1984, გვ. 38.

134. ნ. ახალბედაშვილი, ბ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.



სურ. 42. ანაგის N1 ყორღანის ინვენტარი.

გვერდზე იყო დასვენებული, ფეხებმოკეცილი, თავით დასავლეთით[135]. წნორის N 1 ყორღანში ძირითადი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა, თავით ჩრდილოდასავლეთით[136].

ქვემო ქართლის ყორღანებში მიცვალებული დაკრძალულია უპირატესად მარცხენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით[137]. თრიალეთში ხადიკას ყორღანში მიცვალებული ფეხებმოკეცილი იწვა, მარჯვენა გვერდზე[138]. ბედენის პლატოს N 5 ყორღანში სამი მიცვალებული აღმოჩნდა. ერთი ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი, მარჯვენა გვერდზე ესვენა, მსუბუქად მოკეცილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისაკენ. მეორე ჩონჩხი მოზარდის მარცხენა გვერდზე განისვენებდა აგრეთვე მსუბუქად მოხრილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით. მესამე, ძირითად მიცვალებულზე უკვე დაკულობის გამო ძნელია რაიმეს თქმა მისი პოზისა და დამხრობის შესახებ[139].

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ ხაჩანაგეტის ჯგუფის ყორღანებში განსხვავებული სურათი ჩანს. აქ N 1 ყორღანში მიცვალებული თითქოს მჯდომარე პოზითაა დაკრძალული, სახით აღმოსავლეთით. აქვე N 2 და N 4 ყორღანებში მიცვალებულები ზურგზე ესვენნენ, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით[140].

ადრე ყორღანული კულტურის დროს ჩვენში ძნელია რაიმე კანონზომიერების დადგენა დაკრძალვის წესში მასალის სიმცირის გამო. ისე, ჩანს, რომ მიცვალებულებს ამ დროს გვერდზე მწოლიარეს ასაფლავებდნენ ფეხებმოკეცილ მდგომარეობაში. დამხრობა ჩანს არამყარი იყო. გვერდზე მოკუნტულად დამარხვა მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე ყველაზე გავრცელებული წესია ჩვენში. მტკვარ-არაქსის კულტურაში მიცვალებულები უპირატესად გვერდზე მწოლიარენი იკრძალებოდნენ.

ჩრდილო კავკასიაში ამ დროს მიცვალებულები უპირატესად გვერდზე მწოლიარე,

135. ნ. ა ხ ვ ლ ი ა ნ ი, „ხილის" ყორღანი N 2, არქეოლოგიის კრებული. I, თბილისი, 1994. გვ. 76.

136 Ш. Д е д а б р и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

137. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971.), გვ. 137.

138. ი. ბ ე ნ ლ ი ა ნ ი, ხადიკის ყორღანი, გვ. 691.

139 ვ. ბ ო ბ ო ხ ი ნ ი, ბედენის გორასამარხების კულტურა, გვ. 37.

140. К.Х. К у ш н а р е в а, Памятники медного века в Нагорном Карабахе, стр. 166.

ფეხებმოკეცილი ესვენნენ[141]. მაიკოპის ყორღანში სამივე მიცვალებული გვერდზე ესვენა მოკუნტულ მდგომარეობაში[142]. ნოვოსვობოდნაიას ყორღანის მთავარ განყოფილებაში მიცვალებული იწვა ძლიერ მოკუნტული, თავით სამხრეთით[143]. აქვე ადგილ „ლადის" ყორღანებში თითქმის ყველა მიცვალებული მოკუნტულადაა დაკრძალული უპირატესად მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთით[144]. ბამუტის ჯგუფის ყორღანებში მიცვალებულები უპირატესად მარჯვენა გვერდზე ესვენნენ, ფეხებმოკეცილნი[145].

ძველი ორმოსამარხების კულტურაში უფრო დამახასიათებელი ჩანს მიცვალებულის ზურგზე მწოლიარე, ფეხებმოკეცილი დაკრძალვა[146]. კალმიკეთის სტეპურ ზოლში მიცვალებულები უპირატესად ზურგზე მწოლიარე იკრძალებოდნენ[147]. ქვემო ვოლგისპირეთის ყორღანებში მიცვალებულები უფრო მეტად ზურგზე ესვენნენ[148]. ზურგზე მწოლიარე ფეხებმოკეცილნი ესვენნენ მიცვალებულები დუნაისპირეთის ყორღანებში[149], ორმოსამარხის კულტურაში გვხვდება აგრეთვე გვერდზე მწოლიარე, ფეხებმოკეცილ პოზაში დაკრძალული მიცვალებულები, მაგრამ შედარებით იშვიათად[150].

---

141. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.

142. იქვე, გვ. 212.

143. Т.Б. П о п о в а, Дольмены станицы Новосвободная, стр. 11.

144. А.Д. Р е з е п к и н, Северо-Западный Кавказ в эпоху ранней бронзы, стр. 4.

145. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

146. В.И. Ш и л о в, Очерки по истории древних племен Нижнего Поволжья, стр. 53. Б.А. Л а т ы н и н, Молоточковидные булавки, их атрибутация и датировка, стр. 93.

147. И.В. С и н и ц ы н, У.Э. Э р д н и е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

148. Н.Я. М е р п е р т, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, стр. 45.

149. Б.А. Л а т ы н и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 15,31.

150. Б. И о в а н о в и ч, Курганы ямной культуры Подунавье, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 21.

II თავი

მარტყოფის ადრეული ჯგუფის ყორღანები

თრიალეთისა და სამგორის სამარხებისაგან განსხვავებით, მარტყოფის ადრეულ ყორღანებში საკმაოდ მდიდარი სამარხეული ინვენტარი აღმოჩნდა. აქ განსაკუთრებით ჭარბადაა წარმოდგენილი კერამიკული მასალა. თიხის ჭურჭელი თითქმის მხოლოდ შავი ფერისა, უპირატესად პრიალა ზედაპირით, მოყავისფრო-მონაცრისფრო ან მოვარდისფრო სარჩულით. ღია ფერის ზედაპირიანი თიხის ნაწარმი, რომელიც დამახასიათებელია წინამორბედ მტკვარ-არაქსის კულტურისათვის, აქ თითქმის არ გვხვდება. სადღეისოდ მხოლოდ წალკის პლატეზე ხადიკის ყორღანშია ნაპოვნი წითელზედაპირიანი თიხის ჭურჭელი. არ გვხვდება მარტყოფის უადრეს ყორღანებში მოხატული კერამიკა. პირველი ნიმუშები მოხატული ჭურჭლისა ადრეყორღანების ხანაში იწყებს გამოჩენას ბედენის კულტურის ეტაპზე.

მარტყოფის ამ ჯგუფის ყორღანებში უპირატესად მოზრდილი, დერგისმაგვარი კერამიკა გვხვდება. შედარებით მომცრო ზომის ქოთნისა და ტოლჩისმაგვარი ჭურჭელი უფრო იშვიათია. თითქმის არ გვხვდება ბადიის, ლანგრის, ჯამის ტიპის თიხის ჭურჭელი. არც წვრილი კერამიკაა მაინცდამაინც წარმოდგენილი ამ ყორღანებში. მიუხედავად იმისა, რომ თიხის ნაწარმი ძირითადად ხელითაა ნაძერწი, იგი გამოირჩევა საკმაოდ დახვეწილი ფორმებით. მისთვის დამახასიათებელია ორფენა კეცი - გარედან შავი, შიგნით კი უფრო ღია. ჭურჭელი ჩვეულებრივ სქელკედლიანია, საკმაოდ მძიმე, შედარებით რბილი კეცით და არ გამოირჩევა მაინცდამაინც დიდი სიმკვრივით. გარეთა პირი ჭურჭლისა უპირატესად კარგადაა ნაპრიალები, შიდა კი უფრო ღია ფერისაა, ჩვეულებრივ ანგორირებული (სურ. 4,5,6,7, ტაბ. V, VI, VII, VIII).

უადრესი ყორღანებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია ჭურჭლის მსხლისებრი ფორმა. მარტყოფის ყორღანებში ჭურჭლის ეს ფორმა უფრო მრავალგვარია, გვხვდება მუცელგამობერილი ან უფრო კვერცხისებრი აგებულების ჭურჭელი. ყელის მოყვანილობაში ჩანს გარკვეული თავისებურება; ზოგი ყელმაღალია, ზოგიც უფრო ყელდაბალი და პირის მოხაზულობაშიც შეინიშნება გარკვეული სხვაობა. ყველა ეს შედარებით მოზრდილი ჭურჭელი საერთო ნიშნებით ხასიათდება. მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელი გვხვდება სამგორის, მაღაროს, თრიალეთის და სხვ. ყორღანებში (სურ. 45, 46, 47, 48, ტაბ. XXX, XXXII, XXXIII).

მსხლისებრი ფორმის ჭურჭელზე მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას ჩვეულებრივ საკმაოდ მკვეთრი წიბურია გამოსახული. ძირი თითქმის ყველას შედარებით შევიწროებული აქვს. ამ ტიპის ჭურჭელი უპირატესად ცალყურაა. ყური ძირითადად ბრტყელია და უმთავრესად მხართან აქვს. ორყურა ჭურჭელი შედარებით იშვიათია. მარტყოფის ყორღანებში მსხლისებრი მოყვანილობის მხოლოდ ერთი ჭურჭელი აღმოჩნდა, რომელსაც



სურ 43. მარნეულის ველის N5 ყორღანის ინვენტარი.

ყელის ძირზე ორი პატარა ყური ასხია (სურ. 3, ტაბ.III).

ეს ფორმა ჭურჭლისა გარკვეულ მსგავსებას ამეღავნებს წინარე ხანის გვიანმტკვარ-არაქსულ კერამიკასთან. მსგავსება შესამჩნევია ცალკეულ დეტალებში.[151] სიახლოვე ჩანს არა მარტო ფორმაში, არამედ ორნამენტის ხასიათშიც.[152] მსხლისებრი ჭურჭელი ძირითადად წერილად ნაკაწრი გრაფიკული ორნამენტითაა შემკული. რელიეფური ორნამენტი მათზე შედარებით იშვიათია. ჩვეულებრივ შემკულია ჭურჭლის ზედა ნაწილი; ყველაზე გავრცელებული მოტივია ირიბი ხაზებით ამოვსებული სამკუთხედები. გეხვდება აგრეთვე რომბები, თევზიფხური ორნამენტი, ტეხილი ხაზები, წერტილები და სხვ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაკაწრი ორნამენტის ტრადიცია თითქოს ჩრდილოეთიდან უნდა მოდიოდეს,[153] მაგრამ ეს ვარაუდი მთლად მართებული არ უნდა იყოს.

მარტყოფის ყორღანებში გეხვდება აგრეთვე თავისებური, ორიგინალური ფორმის

---

151. Б.А. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941. стр. 104. ე.გ ო გ ა ძ ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, გვ.19.

152. Б.А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

153. C.A. B u r n e y. Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age, AS.:Vol.VIII, გვ.177



სურ 44. თრიალეთის XXIV ყორღანის ინვენტარი.

კერამიკა. აღსანიშნავია ერთი მოზრდილი მოხდენილი თიხის ჭურჭელი ძლიერ გაზიდული მხრებით, ტანი სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ, ზედა ნაწილი კი ყელისაკენ შევიწროვებულია (ტაბ. XXI). სხვა მსგავსი ფორმის თიხის ჭურჭელი სადღეისოდ ცნობილი არ არის. გამოირჩევა თავისი დახვეწილი ფორმით, კარგად გაპრიალებული ზედაპირით ქვაბის ტიპის მოზრდილი ჭურჭელი, რომელსაც ტანზე სამფა ტეხილი რელიეფური ხაზი აქვს (სურ. 5,9, ტაბ.VIII). გვხვდება აგრეთვე დიდი ზომის კარგად ნაძერწი ბიკონუსური ჭურჭლები. ეს ტიპი ჭურჭლისა დამახასიათებელია წინარე მტკვარ-არაქსის კულტურისათვის, მაგრამ ადრეულ ყორღანებში ნაპოვნი ამ ტიპის კერამიკა თავისებური ფორმისაა. მათ ყელთან ორი პატარა ყური აქვთ და ტანის ზედა ნაწილი მდიდრულადაა შემკული გრაფიკული ორნამენტით (სურ. 5,17; სურ. 6,19, ტაბ.V,VIII).

ბიკონუსური ფორმა აქვს უადრესი ყორღანებისათვის დამახასიათებელ ტოლჩის-მაგვარ ჭურჭელს. იგი თითქმის ყოველთვის თან ახლავს ყორღანში მსხლისებურ ჭურჭელს (სურ. 21,22, ტაბ. VI). მათ ერთად ვხვდებით თრიალეთის (სურ.44), მაღაროს (ტაბ. XXXII) და სამგორის ყორღანებში (სურ.45). ტოლჩისებრი ჭურჭელი მარტყოფის ეტაპის ყველა ყორღანისთვისაა დამახასიათებელი. ამ ტიპის ჭურჭლის ზედა ნაწილი შემკულია გრაფიკული ორნამენტით. ტოლჩები, ისევე როგორც მსხლისებრი ჭურჭელი, დამახასიათებელია მხოლოდ ამ ეტაპის ყორღანებისათვის. მათ არ ვხვდებით არც წინარე და არც მომდევნო ხანის კულტურებში.

მარტყოფის ყორღანებში აღმოჩნდა მოზრდილი ჭურჭლები ჩაღარული ყელით, მუცელგამობერილი, სადა (სურ.6, 29, ტაბ. VII). გვხვდება აგრეთვე შედარებით მაღალყელიანი დერგები, გადაშლილი პირით, მკვეთრად გამოსახული მუცლით, ვიწრო ძირით. ეს ტიპი ჭურჭლისა დაედო საფუძვლად ალბათ შემდეგში თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელ ყელმაღალ დერგებს (სურ. 7.23, ტაბ. V).

მარტყოფის ეტაპის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკა თავისებურია და საკმაოდ მრავალფეროვანი. მართალია, ზოგიერთ დეტალში შეიძლება შეინიშნოს ურთიერთობა წინამორბედ, მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმთან, მაგრამ იგი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. თითქმის მთელი კერამიკული კომპლექსი ხელით ძერწვის მაღალი დონით გამოირჩევა. ჭურჭლის შაავი ზედაპირი უპირატესად კარგადაა ნაპრიალები, შიდა პირი კი ხშირად უფრო ღია ფრადაა ანგობირებული. როგორც ჩანს,

ყორღანული კულტურის პირველი გამოჩენის ხანაში კერამიკული წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. გარკვეული გამოცდილება ალბათ წინარე ხანიდან მოდის, ეს თითქოს შეინიშნება კიდეც ცალკეულ დეტალებში, მაგრამ მაინც ჩანს ახლის ძიების ტენდენცია. იქმნება სრულიად ახალი, თავისებური ფორმები თიხის ჭურჭლისა, მაღალ ოსტატობას დაუფლებული მეთუნის ფანტაზიის შედეგად. მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ თიხის ჭურჭელში ბევრი საერთო შეიმჩნევა საჩხერის ყორღანული სამარავნების კერამიკასთან და თითქოს ეს განსაკუთრებით ჭურჭლის კონტურებში, გამოწვის ხასიათში ჩანს[154]. მათ შორის შეიძლება, მართლაც ზოგი რამ საერთო შეინიშნებოდეს, მაგრამ ჭურჭლის ფორმებში საკმაო სხვაობა ჩანს. საერთოდ კი მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ როგორც ჩანს, ყორღანების ეს ადრეული თიხის ნაწარმი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის ტრადიციებზე აღმოცენდა.

სხვა უადრეს ყორღანებისაგან განსხვავებით მარტყოფის სამარხებში საკმაოდ მდიდრადაა წარმოდგენილი არაკერამიკული მასალა — ქვისა და ლითონის იარაღ-სამკაულები, ძვლისა და ცხოველის კბილების საკიდები და სხვ. ქვის იარაღიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია №1 ყორღანში კამერის თავზე ქვაყრილში აღმოჩენილი ხვრელიანი ქვის ცული (სურ.3, ტაბ.III); უნდა შეენიშნოთ, რომ ასეთივე ვითარებაში, სამარხის გადახურვის თავზე ქვაყრილში ნაპოვნი იყო ერთი კოხტა ქვის ცული ჩეჩენ-ინგუშეთში სოფ.ბამუტის მახლობლად ახალი არშტის ერთ-ერთ ყორღანში.[155] აქაც იგი ნაპოვნი იყო სამარხის თავზე ქვაყრილში. მარტყოფის ქვის ცულს უახლოვდება ერთი ცული, რომელიც ნაპოვნია ადიღეში გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში.[156] აქვე ხუტორ ვესიოლის შესწავლილ ყორღანში აღმოჩნდა ერთი ორნამენტული ცული. პსეკუპსეს №1 ნამოსახლარში რამდენიმე ქვის ცულია დამოწმებული.[157] მარტყოფის ქვის ცული კარგადაა ნაკეთები, მოხდენილი ფორმისაა, სატარე ხვრელი მას დაახლოებით შუა ნაწილში აქვს, ოდნავ უფისკენ აწეული; პირისაკენ იგი ოდნავ ფართოვდება, უკანა ნიღრი რამდენადმე გაზიდული. ანალოგიური ცული ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში ჩვენთვის ცნობილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც წინა აზიაში, ქვის გახვრეტილი ცულები შედარებით იშვიათად გვხვდება[158]. შულავერ-შომუთეფის კულტურაში ამგვარი ცულები თითქმის არ გვხვდება. მტკვარ-არაქსის კულტურაში სულ რამდენიმე ქვის ხვრელიანი ცულია აღმოჩენილი. ქვის ხვრელიანი ცული ნაპოვნია

---

154. Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 104, Б.А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 76.

155. Р.М. М у и ч а е в, Древнейшие культуры Северо-Восточного Кавказа, МИА, 100, Москва, 1961, стр. 55.

156. А.М. Б и а н к и, К.А. Д н е п р о в с к и й, Об одном из вариантов погребального обряда майкопской культуры, Вопросы археологии Адыгеи, Майкоп, 1988, стр. 76, рис. 3.

157. А.А. Н е х а е в, Новые погребальные комплексы майкопской культуры Закубанья, XV Крушановские чтения по археологии Северного Кавказа, Махачкала, 1988, стр. 23; Н.Г. Л о в п а ч е в, П.А. Д и т л е р, Псекупское поселение №1, Вопросы археологии Адыгеи, Майкоп, 1988, стр. 116, табл. XIX.

158. Б.А. К у ф т и н, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71.



ნახ. 43. ...ბგოროვ. ...ორღანის ინვენტარი

ნახიჩევანის ქოულ-თეფეს მეორე ფენაში[159]. ერთი პატარა ზომის რომბისებრი მოყვანილობის ცული შენგავითის ნამოსახლარზე აღმოჩნდა[160] და ერთიც სოფელ გენლიჯის მახლობლად.[161] ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებენ სომხეთში ნაპოვნ რამდენიმე ქვის ცულს[162]. ერთი თავისებური ფორმის ქვის ცული აღმოჩნდა სომხეთში სოფ. კეტში, რომელიც ფორმით, მართლაც, გასაოცრად წააგავს ლენინაკანის მუზეუმში დაცულ ლითონის ცულს[163]. ჩვენში ერთი პატარა ცული ნაპოვნია ს. ნადიმაშვილის მიერ ხიზანანთგორის ნამოსახლარზე ურბნისში[164]. ქვის გახვრეტილი ცულები ცნობილია საჩხერის ყორღანული სამაროვნებიდან. ერთი ნაკლული ცული ნაპოვნი იყო ცარცის გორაზე[165], მეორე კი ქორეთის ერთ-ერთ სამაროვანზე. ქორეთის ცულს თუ ცულჩაქჩს მაღალი ყუა და გაბრტყელებული ყუისთავი აქვს[166]. ერთი რომბისებრი მოყვანილობის ცული თუ კვერი აღმოჩნდა ზღუდერზე ცხინვალთან[167]. ქვის კვერი ცნობილია ცხინვალის ნაცარგორას პირველი ფენიდან[168]. ერთი ქვის ცული შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. ოჟორაში[169].

---

159. О.А. А б и б у л а е в а. Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР. Баку, 1982, стр. 110.

160. Б.А. К у ф т и н. Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и куро-аракский энеолит. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIII-B თბილისი, 1944, გვ.116.

161. Е.А. Б а й б у р т я н. Новые находки каменного века в Армении. СА, III, М-Л, 1937, стр. 72, рис. 2.

162. О.В. Х а н з а д я н. Культура Армянского Нагорья в III тысячелетии до н.э. Ереван, 1957, табл. VII, IX.

163. А.А. М а р т и р о с я н. Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1964, стр. 25, рис. 2, 6.

164. ...ნ. ...ბ. ...ბ. ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. გვ. 91.

165. Б.А. К у ф т и н. ...ახ. ...ბრომი, გვ. 70. ტაბ. LVI.

166. ...ბ. ...ბ. ...ბ. ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. გვ. 183, ტაბ. XVIII, 7.

167. ...ბ. ტ.ბ. XVI, 1.

168. ...ბ. ...ბ. ...ბ

აზერბაიჯანში შემთხვევით აღმოჩნდა რამდენიმე ცული განჯასთან[170], ასტარაში, ბენდუსტუში (აფშერონზე), ხანლარში და აღინიშნა, რომ მარტყოფის ყორღანში ნაპოვნი ქვის ცული აზუსტებს მათ თარიღს[171].

არც ამიერკავკასიის სამხრეთითაა დამახასიათებელი ქვის გახვრეტილი ცულები. ერთი ხვრელიანი ცული ნაპოვნი იყო აღმოსავლეთ ანატოლიაში კორუკუთეფეს ადრებრინჯაოს II ფენაში[172]. გახვრეტილი ქვის ცულები აღმოჩნდა აგრეთვე ჰან იბრახიმ შას ნამოსახლარის ადრებრინჯაოს ხანის VI და VII ფენებში[173]. ქორეთის ქვის ცული ფორმით წააგავს პორფირიტის ცულს თუ ცულ-ჩაქუჩს ტროა[174]. რამდენადმე უახლოვდება ქორეთის ცულს დიუნდარ თეფეზე ნაპოვნი მომწვანო ქვისაგან ნაკეთები ცულები[175]. ცულ-ჩაქუჩი უნდა იყოს კაიზერში აღმოჩენილი ეგზემპლარი[176]. მათ უახლოვდება ალიშარზე ნაპოვნი ქვის ცული[177]. განსხვავებული ტიპისაა დორაკის სამაროვანზე აღმოჩენილი ქვის შესანიშნავი ცულები[178], რომლებიც ფორმით მოგვაგონებენ ტროას განძში ნაპოვნ ცულებს[179]. ქვის ცული ნაპოვნი იყო თეფე გაურაში[180].

როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიაში და მის ჩრდილოეთითაც კარგადაა ცნობილი ქვის ცულები ე.წ. უაბარდო-პიატიგორსკის ტიპისა, მაგრამ ისინი უფრო მომდევნო ხანისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა აქ იშვიათად გვხვდება უფრო ადრეული პერიოდის ქვის ცულები ახალი არშტიდან, ლეტნიცკაიადან[181] ბატურინის ყორღანიდან[182] და სხვ.

სამგორის ყორღანში ნაპოვნი იყო რიყის ქვის ერთი კარგად ნაკეთები უხვრელო ცული; უკანა გვერდი მას ბრტყელი აქვს, წინა კი უფრო მაღალი, რომელსაც ნიღრიდან თავის შუა ნაწილამდე საკმაოდ მკვეთრი წიბური გაუყვება. თავი გაბრტყელებულია, სამკუთხა მოხაზულობის პირი უკანაა დაქანებული[183] (სურ.45). ანალოგური ტიპის სხვა ქვის ცული ჩვენთვის უცნობია. საერთოდ ამიერკავკასიაში ქვის გაუხვრეტავი ცულის ყორღანში აღმოჩენის ეს პირველი შემთხვევაა. არც ჩრდილო კავკასიაშია მაინცდამაინც

---

170. И.Г. Н а р и м а н о в. Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана, Баку, 1987, стр. 107.

171. Ф.Р. М а х м у д о в. დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

172. M. V a n L o o n. The Excavations at Korucutepe, Turkey, 1968: 70. Preliminary Report. Journal of Near Eastern Studies, Vol. 32, N 4, October 1973, გვ. 407.

173. K e b a n P r o j e c t, Han Ibrachim Sah Excavitions, 1970-1971. Ankara 1982, გვ.97, 101, ტაბ. 25,26.

174. K S c h u c h a r d t, Schlimanns Ausgrabungen, Leipzig, 1890, გვ 49, სურ.7.

175. K K ö k t e n, N.Ö z g ü ç, T.Ö z g ü ç. Türk tarih kurumu adina yapilan Samsun bölgesi kazilari hakkinda ilk rapor, Belletin, Cilt: IX, Sayi 35, Ankara, 1945, გვ.375, ტაბ.VII,4.

176. H. B o s s e r t, Altanatolien, Berlin, 1942, გვ. 35, ტაბ.

177. H. H e n n i n g v o n d e r O s t e n, The Alischar Hüyük, seasons of 1930, 1932. Part I, Chicago, გვ. 82, სურ 90, ტ.II ს.260.

178. J. M e l l a a r t. The Chalcolithic and Early Broze Age in the Near East and Anatoloa, Berut, 1966, ტაბ. XXII, a.

179. Г. Ч а й л д. У истоков европейской цивилизации. Москва, 1952, стр. 76, рис. 21, 1.

180. E.A. S p e i s e r, Excavations at Tepe Gawra, I, გვ. 32, ტაბ. XL, 8-11.

181. А.А. И е с е н. К хронологии "больших кубанских курганов", СА, XII, М-Л, 1950, стр. 170.

182. С. Ш а р а ф у т д и н о в а. Новые материалы по эпохе энеолита в степном Прикубанье, КСИА, 176, Москва, 1983, стр. 19, рис. 1, 29.

183. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქარცული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე.სურ. 124

ცნობილი ამგვარი ცულების ჩატანების შემთხვევები. ყაბარდო-ბალყარეთში ქვის სოლისებრი ცულები აღმოჩნდა სოფ. ზემო კურპის[184] და სოფ. ზემო აკბაშის ყორღანებში[185]. ჩეჩენ-ინგუშეთის სტეპის ზოლში სტანიცა მეკენსკოეს 4 ყორღანის 16 სამარხში გახეხილ-გაპრიალებული ცულის ნაწილი აღმოჩნდა[186]. თვით მაიკოპის ყორღანში ამ ტიპის ერთი იარაღი იდო[187].

ქვის სოლისებურ ცულებს ჩვენში გვიანნეოლითური ხანიდან ვხვდებით. კარგადაა წარმოდგენილი ეს ცულები რიონ-ყვირილას აუზის გამოქვაბულების ზედა ფენებში — სამერცხლე კლდე, სამელე კლდე, საგვარჯილე და სხვ. ვხვდებით მათ აგრეთვე ადრე სამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე. შულავერის ჯგუფის ნამოსახლარებზე შედარებით მოგვიანო ფენებში წარმოდგენილია ქვის სოლისებრი ცულები[188]. ვხვდებით მათ არუხლოს ნამოსახლარზე[189]. შომუთეფეს ჯგუფის ძეგლებზე ამ ტიპის რამდენიმე ცულია ცნობილი[190]. ნაპოვნია ეს ცულები ნახიჯევანის ქიულ-თეფეს I ფენაში[191]. მტკვარ-არაქსის კულტურაში ქვის ცულებს შედარებით იშვიათად ვხვდებით[192]. ჩანს, ამ დროს ლითონის ცულების ფართოდ გავრცელებამ ერთგვარად შეზღუდა ქვის ცულების საჭიროება. ნიშანდობლივია, რომ არც ქვაცხელების და არც ამირანის გორის ნამოსახლარებზე არ გვხვდება ქვის სოლისებრი ცულები. ნახიჩევანის ქიულ-თეფეს II ფენაში რამდენიმე გახეხილ-გაპრიალებული ცულია ნაპოვნი[193]. ჩვენში შემთხვევით ნაპოვნია ამ ტიპის რამდენიმე ცული. ბორჯომის მუზეუმში დაცულია ერთი ცული, რომელიც ახალციხის რეგიონში აღმოჩნდა[194]. შიდა ქართლში ნაპოვნი იყო ქვის ორი კარგად ნაკეთები ცული — ერთი სოფელ თერეგვანში აღმოჩნდა სოლისებრი მოყვანილობის კარგად ნაპრიალები[195], მეორე

---

184. В.И. Маркович, Р.М. Мунчаев, О двух типах каменных орудий Северного Кавказа, КСИА, вып. 84. Москва, 1961, стр. 25.

185. Е.И. Крупнов, Археологические исследования Кабардино-Балкарской АССР в 1948 г. Ученые записки Кабардинского научно-исследовательского института, т. V. Нальчик, 1949, стр. 211.

186. Е.И. Крупнов, Н.Я. Мерперт, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

187. Р.М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, стр. 32. А.А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 71.

188. ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971, გვ.82; თ. კილეფერაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბილისი, 1976, გვ. 27.

189. К.Х. Кушнарева, Т.Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

190. И.Г. Нариманов, Культура древнеземледельческо-скотоводческого населения Азербайджана, Баку, 1987, стр. 107.

191. О.А. Абибуллаев, Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР, Баку, 1982, стр. 57.

192. Р.М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, стр. 49.

193. О.А. Абибуллаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

194. Т.Н. Чубинишвили, Т.И. Татишвили, О.С. Гамбашидзе, Археологические разведки в южных районах Грузии в 1953-1955 гг., СА, 4, 1957, стр. 118.

195. Б.А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция в бассейнах рек Ахаки, Проне, Кирилы и Среднего Риони в 1951 г. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ.XXX-ა, თბილისი, 1974, გვ.150.

კი თავისებური ფორმის ცული ნაპოვნია სოფ. ოჟორის მახლობლად ლართის კარში[196]. სამგორის ყორღანის მაგალითიდან ისე ჩანს, რომ ქვის გაუხვრეტავი ცულები ჩვენში ადრე ბრინჯაოს ხანის მიწურულამდე შემორჩა.

სოლისებრი მოყვანილობის ქვის ცულები შედარებით უფრო ფართოდ გავრცელებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ისინი ადრინდელი ხანიდანაა ცნობილი[197]. კარგადაა წარმოდგენილი ეს ცულები მაიკოპის კულტურაში[198]. საერთოდ ქვის სოლისებრი ცულები ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის გარეთ როგორც მის ჩრდილოეთით[199], ისე სამხრეთით. წინა აზიაში ქვის სოლისებრი ცული საკმაოდ დიდხანს გვხვდება. ჩრდილო მესოპოტამიაში წინა ხასუნას პერიოდის ნამოსახლარებზე -მაგზალიას, ტელ სოტოს, ჯარმოს, უმდაბაღიის და სხვ. კარგადაა წარმოდგენილი ქვის სოლისებრი ცულები[200]. ვხვდებით მათ ხასუნას დროინდელ ნამოსახლარებზე — იარიმ-თეფეზე, ხასუნაში და სხვა თანადროულ ძეგლებზე[201]. იარაღის ეს ტიპი ცნობილია ჰალაფის კულტურაში[202] და მომდევნო ხანაშიც[203]. ქვის სოლისებრი ცულები აღმოჩნდა ალაჯა ჰუიუკში[204], თეფე გაურაში[205], თეფე ჰისარში[206] და სხვ. შუა ბრინჯაოს ხანაში ქვის სოლისებრი ცული ჩვენში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში თითქოს უკვე აღარ ჩანს. არც ჩრდილო კავკასიაშია ამ დროს ცნობილი ამ ტიპის ცულები. ამ პერიოდში აქ ფართოდ ვრცელდება "ყაბარდო-პიატიგორსკის" ტიპის ქვის ცული.

როგორც ჩანს, კერამიკული წარმოების მსგავსად მეტალურგიაც წინა ხანიდან მომდინარე ტრადიციებს აგრძელებს. ლითონის ინვენტარის სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა მარტყოფის დიდი №4 ყორღანი. ამ დროის უფრო მომცრო ყორღანებში ლითონის ინვენტარი შედარებით მცირეა. №1 ყორღანში მხოლოდ პირამიდისებრთავიანი ისრის პირები აღმოჩნდა (ტაბ.III). №2 ყორღანში, რომელიც გამოირჩევა კერამიკული მასალის სიუხვით, ნაპოვნი იყო ორი სატევრის პირი – ერთი ბრინჯაოსი, მეორე კი ვერცხლისა და რამდენიმე ისრის პირი პირამიდისებრი თავით (სურ. 6, 34-38, ტაბ. IV). №4 ყორღანში კარგადაა წარმოდგენილი როგორც ლითონის იარაღი, ისე სამკაული. როგორც ჩანს, ამ დროს ჯერ კიდევ ლითონის ნივთებს ჩასატანებლად მხოლოდ განსაკუთრებულ

---

196. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. გვ.89 ტაბ.VII,1

197. P.M. M u n c h a e v. Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, стр. 56.
P.M. M u n c h a e v. Кавказ на заре бронзового века, стр. 324.

198. A.A. Ф о р м о з о в. Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 70.

199. T.C. P a s s e k. Периодизация трипольских поселений, МИА, 10, Москва, 1949. E z e r o. Раннебронзовое селище, София, 1979, стр. 144, 247.
Г. Ч а й л д. У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, стр. 54.

200. H.O. B a d e r. Древнейшие земледельцы Северной Месопотамии, Москва, 1989, стр. 53, 141. P.M. M u n c h a e v, Н.Я. M e r p e r t. Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии, Москва, 1981, стр. 123.

201. ქვე.-გვ.122. Г. Ч а й л д. Древний Восток в свете новых раскопок, стр. 168.

202. P.M. M u n c h a e v, Н.Я. M e r p e r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

203. Г. Ч а й л д. Древний Восток в свете новых раскопок, 183.

204. H. K o s a y. Ausgrabungen von Alaca Hüyük, Ankara, 1944, ტაბ. CVII.

205. A.J. T o b l e r. Excavitions at Tepe Gewra, Vol.II. Philodelphia, 1950, ტაბ. XCIII. XCV.

206. E.F. S c h m i t. Excavations at Tepe Hissar Damghan Philadelphia, 1950, ტაბ. XXXI.

შემთხვევებში იმეტებდნენ. ამ ყორღანში დაკრძალული მიცვალებულის გამორჩეულ რანგზე ისიც მეტყველებს, რომ მას თან ჩაატანეს ერთი დანიშნულების ნივთები - ოთხი ცული, ოთხი სატევრის პირი, სამი ბრტყელი ცული, ბლომად ისრის პირები და სამკაულები და სხვ. ერთი ფუნქციის მატარებელი ნივთის რამდენიმე ეგზემპლარის ჩატანების შემთხვევები ჩვენში ადრეულ ხანაში იშვიათია. ჩრდილო კავკასიაში დიდ ყორღანებში ნოვოსვობოდნაიას, ნალჩიკის და სხვ. გვხვდება ამის მაგალითები. ნიშანდობლივია, რომ 4 ყორღანში ქვის არცერთი იარაღი არ აღმოჩენილა.

№4 ყორღანში აღმოჩენილი ოთხივე ცული ერთი ტიპისაა და თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, ჯუა მათ წინა მხრიდან დაქანებული, უკანიდან კი მილისებურად გამოშვერილი აქვთ. ცულის ტანი რკალისებური მოყვანილობისაა პირისაკენ ოდნავ გაფართოებული, პირი თითქმის სწორი აქვთ. ოთხივე ცული კარგადაა ნაკეთები და ერთ-ერთს კიდეებზე თევზიფხური ორნამენტი ამკობს (სურ. 12, 13, ტაბ. XIV). ამ ცულებს ფორმით რამდენადმე უახლოვდება ცარცის გორაზე აღმოჩენილი ჯუამილიანი - ჯუადაქანებული ცული, რომელსაც ოდნავ უფრო მეტად მორკალური ტანი აქვს[207]. ამავე ტიპისაა შიდა ქართლში სოფ. გუფთასთან[208] და მასკატკომთან ნაპოვნი ცულები[209]. როგორც ჩანს, მარტყოფის ტიპის ცულის ჩამოსასხმელი უნდა იყოს აღმოსავლეთ ანატოლიაში ნორსუნ-თეფეს ნამოსახლარის ადრე ბრინჯაოს ხანის ფენაში აღმოჩენილი ორსაგდულიანი ყალიბი[210].

მარტყოფის ცულები ახლო დგანან, განსაკუთრებით ჯუის მოყვანილობით, საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე აღმოჩენილ ჯუამილიან-ჯუადაქანებულ ცულებთან. საჩხერული ცულების ტანი ვიწროა და მოხრილი. მარტყოფის ცულები უფრო მასიურებია და ტანი მათ რამდენადმე ფართო აქვთ. საჩხერის ძეგლებზე სამი ტიპის ცულები გვხვდება - ჯუამილიანი, ჯუადაქანებული და ჯუადაქანებულ-ჯუამილიანი. ეს ცულები ძირითადად ჯუის მოყვანილობით განსხვავდებიან, თორემ ტანი და პირი მათ თითქმის ერთნაირი აქვთ[211]. ჯუადაქანებული ცული ჩვენში ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურისთვისაა დამახასიათებელი[212]. ჩანს. უფრო გვიან, ვრცელდება ჯუამილიანი ცული, ალბათ წინა აზიის გავლენით. სადაც ცულის ეს ტიპი კარგადაა ცნობილი საკმაოდ ადრეული ხანიდან[213]. შემდეგში ჩვენში ჩანს, ყალიბდება ჯუამილიანი-ჯუადაქანებული ცული. ეს ვარიანტი ცულისა ოდნავ შეცვლილი სახისა გვხვდება აგრეთვე ადრეყორღანული კულტურის ხანაში; ჯუამილიან და ჯუადაქანებულ ცულებთან შედარებით ეს ტიპი ცულისა ნაკლებად გავრცელდა და ამიერკავკასიის ფარგლებს მაინცდამაინც არ გასცდენია.

როგორც ჩანს, ლითონის ცული საერთოდ ადრებრინჯაოს ხანაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იარაღი იყო. განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს იგი ცირკუმპონ-

---

207. Б.А. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию. табл. LVI

208. იქვე. გვ.35. ტაბ XX.

209. К.Х. Кушнарева, Т.Н. Чубинишвили. Древние культуры Южного Кавказа. стр. 123, рис. 41, 16, 17.

210. H. Hauptmann. Die Grabungen auf dem Norsun-Tepe, 1974. Keban Project 1974-1975. Ankara, 1982. გვ.57. ტაბ. 26.10.

211. ო. ჯაფარიძე. ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. გვ. 144.

212. იქვე. გვ.145.

213. ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. გვ. 128.

ტური მეტალურგიული პროვინციისათვის, სადაც ყუადაქანებულ და ყუამილიანი ცულების სხვადასხვა ვარიანტებს ვხვდებით[214]. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება აგრეთვე ყუამილიანი-ყუადაქანებული ცულიც, თუმცა რამდენადმე განსხვავებული სახისა. შესაძლოა თავდაპირველად ცულის ეს ტიპები კავკასიიდან ვრცელდება, სადაც ისინი საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ცნობილი. უფრო სამხრეთით ანატოლიისთვის როგორც აღნიშნავენ, ცულები ამ ხანაში მაინცდამაინც დამახასიათებელი არ იყო და აქ იგი მომდევნო პერიოდში ვრცელდება[215] თითქოს ინდოევროპელების ექსპანსიის შედეგად[216].

გარდა ხვრელიანი ცულებისა №4 ყორღანში სამი ბრტყელი ცული აღმოჩნდა. სამივე ბრტყელი ცული შედარებით მომცრო ზომისაა. ზედა ნაწილი მათ ვიწრო აქვთ და პირისაკენ უფრო გაფართოებული (სურ. 14, 79-81, ტაბ.XIV). მართალია, ამ ტიპის ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი ქვაცხელების ნამოსახლარის C ფენაში აღმოჩნდა[217], მაგრამ როგორც ჩანს, მას ადრებრინჯაოს ხანაში მაინცდამაინც ფართო გავრცელება არ მიუღია. შედარებით უფრო მეტად ბრტყელ ცულს ვხვდებით ადრეყორღანული კულტურის ხანაში, განსაკუთრებით ბედენის ეტაპზე. ჩვენში ცნობილ ბრტყელ ცულებში ძირითადად ორი ვარიანტი გამოირჩევა - ერთი ფართო და შედარებით მოკლე, მეორე კი ტანვიწრო და უფრო მოგრძო[218]. მარტყოფის ცალები ამ იარაღისა უფრო მეტად უკანასკნელს უახლოვდება. ფორმით ისინი უფრო ნადარბაზევის[219] და ბედენის[220] ყორღანებში აღმოჩენილ ბრტყელ ცულებს უახლოვდებიან. საერთო ჩანს აგრეთვე საჩხერის ცულთან[221], ოღონდ მასზე უფრო მომცრო ზომისანი არიან. მარტყოფის ცულებს რამდენადმე ემსგავსება აზერბაიჯანში ასტარინთან გათხრილ ყორღანში აღმოჩენილი ერთ-ერთი ცული[222]. განსაკუთრებით უახლოვდება მარტყოფის ცულებს აღმოსაელეთ ანატოლიაში პულურის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ბრტყელი ცული[223]. ბრტყელი ცული ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში საკმაოდ ადრეული პერიოდიდან[224]. კარგადაა ცნობილი იგი ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ხანაში[225] და საერთოდ ევროპაში[226]. ჩვენში

---

214. Е.Н. Черных. Об европейской зоне циркумпонтийской металлургической провинции. Acta Archaeologica Carpathica, т. XVII, 1977, გვ. 36. Е.Н. Черных. Культурные контакты в циркумпонтийской области. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 102.

215. Е.Н. Черных. დასახ.ნაშრომი, გვ. 102.

Е.Н. Черных. Циркумпонтийская провинция и древнейшие индоевропейцы. Древний Восток. Этнокультурные связи, Москва, 1988.

216. Е.Н. Черных. Культурные контакты в циркумпонтийской области, стр. 104.

217. ალ.ჯავახიშვილი, ლ.ღლონტი, ურბნისი, 1, თბილისი, 1962, გვ. 68.

218. ო.ჯაფარიძე, დასახ.ნაშრომი, გვ.132.

219. გ.გობეჯიშვილი, ბედენის ყორანამარხების კულტურა, გვ.25, სურ.7, 44.

220. იქვე, სურ.20

221. ო.ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 150, სურ.30.

222. Ф.А. Махмудов, Р.М. Мунчаев, И.Г. Нариманов. О древнейшей металлургии Кавказа. СА, 4, Москва, 1968, стр. 22, рис. 52.

223. Dr. H.Z. Kosay, Dr.H.Vary, Die Ausgrabungen von Pulur, Ankara, 1964, გვ. 67, ტაბ.L.

224. J. Deshayes, Les Outils de Bronze de L. Indus au Danube de IV au III millenaire, vol. II, Paris, 1960, Pl.XXIII.

225. Ф.А. Махмудов, Р.М. Мунчаев, И.Г. Нариманов, დასახ.ნაშრომი, გვ.22.

226. Е.Н. Черных. Горное дело и металлургия в древней Болгарии. София, 1978, стр. 156.



სურ 46. მაღარის ყორღანის ინვენტარი

ბრტყელი ცული უფრო მეტად გვიანბრინჯაოს. ხანაში ვრცელდება[227]. მარტყოფის უადრეს ყორღანებში ექვსი სატევრის თუ დანისპირი აღმოჩნდა - ორი №2 ყორღანში (სურ.6. 34.35, ტაბ.VI) და ოთხი კი №4 ყორღანში (სურ. 14, 75-78, ტაბ.XV). ერთი ამგვარი იარაღი ნაპოვნი იყო სამგორის ყორღანში[228] (სურ.45). ეხედებით მათ აგრეთვე მაღაროს ყორღანში (სურ.46). №4 ყორღანის ოთხივე სატევრის პირი ხის ბუდეში იყო მოთავსებული. ამ ტიპის ყველა იარაღი დაახლოებით ერთნაირია, ზომით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ნაკეთებია შედარებით თხელი ფირფიტისაგან, ფოთლისებრი ფორმის, მაღალი ყუნწით. მათ თითქმის არაფერი აქვთ საერთო ჩვენს წინარე ეპოქაში კარგად ცნობილი სატევრის პირებთან, რომლებსაც გაცილებით უფრო განვითარებული ფორმა ჰქონდათ. მარტყოფის ცალები ამ იარაღისა უფრო მეტად უახლოვდებიან ჩრდილო კავკასიაში და უფრო ჩრდილოეთით ორმოსამარხების და კატაკომბურ კულტურებში გავრცელებულ პრიმიტიული სატევრის, თუ დანის პირებს[229]; ფოთლისებრი ფორმის იარაღი დამახასიათებელია ეოლგისპირეთის სტეპური კუტურებისათვის[230] და საერთოდ კარგადაა წარმოდგენილი ძველი ორმოსამარხების კულტურაში[231], მათ ეხედებით კალმიკეთში გათხრილ ყორღანებში[232]. ჩრდილო კავკასიაში ეს იარაღი საკმაოდ ხშირია, ოღონდ ზოგჯერ მას შედარებით უფრო ფართო ყუნწი აქვს[233].

227. О.М. Джапаридзе. Бронзовые топоры Западной Грузии. СА. XVIII. Москва. 1953. стр. 292.

228. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 92. ტაბ.VIII,1

229. M. Gimbutas. The Prehistory of Eastern Europe, გვ. 80, ტაბ. 17, 5-8.\

230. В.И. Маркович. Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы. стр. 76.

231. Н.Я. Мерперт. Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья. Москва. 1974. стр. 46.

232. И.В. Синицын. У.Э. Эрдниев. Элистинский могильник. Элиста. 1971. стр 14. табл. 4. 7.

И.В. Синицын. У.Э. Эрдниев. Новые археологические памятники на территории Калмыцкой АССР. Труды. вып. 2. Элиста. 1966. стр. 36. табл. 4,4.

233. В.И. Маркович. დასახ.ნაშრომი, გვ. 92.

А.А. Нечитайло. Верхнее Прикубанье в бронзовом веке. Киев. 1978. стр 94. рис. 37. 1-4.

არაერთგზის აღინიშნა მათი სიახლოვე ორმოსამარხების კულტურის ანალოგიურ იარაღთან[234]. ნიშანდობლივია, რომ კავკასიისპირეთის ზოგიერთ სამარხში ჩატანებული იყო ოთხამდე ეგზემპლარი ამ იარაღისა, მსგავსად მარტყოფის 4 ყორღანისა[235].

აღსანიშნავია, რომ ამ იარაღის დანიშნულების შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არის. ზოგი მათ სატევრებად, ზოგიც დანისპირებად მიიჩნევს[236]. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს იარაღი უფრო შუბისა თუ ხელშუბის პირი უნდა ყოფილიყო[237]. ისიც ითქვა, რომ მას უპირატესად სამართებლად იყენებდნენ[238]. მართლაც, ძნელია გარკვევით თქმა ამ იარაღის ფუნქციის შესახებ. იგი იმდენად თხელია, რომ ალბათ ნაკლებად გამძლე იქნებოდა, არც ისაა მთლად ნათელი, როგორ მაგრდებოდა იგი ტარზე. თუ მას ხის ან ძვლის ტარი ეგებოდა, მაშინ გრძელ და ვიწრო ყუნწზე იგი არამყარად იქნებოდა ჩამჯდარი. ეგებ, მართლაც უფრო სწორია აზრი, რომ გრძელ ყუნწზე საგანგებოდ ტყავს ახვევდნენ[239]. შესაძლოა უფრო მოკლე ცალები მართლაც უპირატესად შუბის ან ხელშუბის პირები იყო. როგორც ჩანს, ეს იარაღი უცხოა ამიერკავკასიაში და იგი ვრცელდება აქ ყორღანული კულტურის შემოსვლასთან ერთად. ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა ეტყობა მათთვის დამახასიათებელი საჩხვლეტი თუ საკრელი იარაღი ამჯობინეს ჩვენში ჯერ კიდევ წინარე კულტურაში გავრცელებულ ამ ტიპის იარაღს. მოკლე, ფოთლისებრი მოყვანილობის დანისა თუ სატევრის პირი, ეგებ ერთადერთი იარაღია, რომელიც თან მოყვა ამ ტომებს. თორემ სხვა მხრით მათ თითქმის მთლიანად აითვისეს დამხვდურთა კულტურისათვის დამახასიათებელი იარაღი. მარტყოფის ოთხივე სატევრის თუ დანისპირები კარგად შემორჩენილ ხის ბუდეში თუ ქარქაშებში იდო. აღსანიშნავია, რომ ამ იარაღის ასეთივე ხის ბუდეები აღმოჩნდა ორმოსამარხების კულტურის ზოგიერთ სამარხში[240].

მარტყოფის 2 ყორღანში აღმოჩნდა ვერცხლის ერთი სატევრისპირი. მას შედარებით ფართო პირი აქვს და ყუნწიც უფრო მაღალია. ეს სადღეისოდ ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები უადრესი იარაღია (სურ. 6. 34, ტაბ.IV). ჩანს, ამ პერიოდიდან იწყება ჩვენში ძვირფასი ლითონისაგან პრესტიჟული იარაღის დამზადება, თანაც თითქმის ყველა ვერცხლის სატევრის პირებია. ერთი ამგვარი იარაღი აღმოჩნდა ბედენური კულტურის დროინდელ ყორღანში თეთრ წყაროსთან[241]. თრიალეთში შუაბრინჯაოს ხანის ყორღანში ნაპოვნი იყო ვერცხლის ერთი კოტა სატევრის პირი[242].

მარტყოფის თითქმის ყველა ყორღანში აღმოჩნდა ბრინჯაოს ისრის პირები მკვეთრად გამოკვეთილ პირამიდისებრი თავით, მოგრძო ოთხწახნაგა ყუნწით და მხოლოდ ზომით თუ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან. №4 ყორღანში ამ ტიპის ოცამდე ისრის პირი

---

234. Б.А. Латынин, Молоточковидные булавки, их культурная атрибутация и датировка, Археологический сборник, вып. 9, Ленинград, 1967, стр. 73, 86.

235. იქვე, გვ 73

236. В.И. Маркович, დასახ.ნაშრომი, გვ.92; А.Л. Нечитайло, დასახ.ნაშრომი, გვ.130.

237. Е.И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии до кобанского периода, МИА, 23, М-Л, 1951, стр. 48.

238. Б.А. Латынин, დასახ.ნაშრომი, გვ.73.

239. იქვე, გვ. 73.

240. Б.А. Латынин, დასახ.ნაშრომი, გვ.73.

241. გ.გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, გვ. 26.

242. Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 95, табл. CV.



სურ 47. თრიალეთის XIII ს. ყორღანის ინვენტარი

აღმოჩნდა, რომლებიც უპირატესად კამერის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ ელაგა(სურ. 14, 86-98, ტაბ. XV). ორი მათგანი კარგად შემორჩენილ ხის ღეროში იყო ჩამჯდარი (სურ. 14, 84, 85, ტაბ. XV). ისრის პირები პირამიდისებრი თავით ჩანს ადრეყორღანული კულტურისათვისაა დამახასიათებელი. მსგავსი ისრის პირები ბლომად აღმოჩნდა მაღაროსთან გათხრილ ყორღანში (სურ.46). მათ ვხვდებით ენამთის[243] ზეიანის[244] და დალის მთის ყორღანებში იორ-ალაზნის ორმდინარეთში (სურ.41). ამ ტიპის ისრის პირები უნდა იყოს თრიალეთის ერთ-ერთ ადრეულ ყორღანში სადგისებად მიჩნეული იარაღი[245] (სურ.44). ერთ-ერთი მათგანის შესახებ აღინიშნა, რომ იგი საკინძის თავი უნდა ყოფილიყო[246]. ქვემო ქართლში, შულავერთან გათხრილ ორ ყორღანში, ამ ტიპის ისრის პირი აღმოჩნდა[247] (სურ.49, 10, 50,7). ვხვდებით მათ შიდა ქართლში გორთან გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში[248]. როგორც ჩანს, ისრის პირები პირამიდისებრი თავით უპირატესად ყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპზე ვრცელდებიან, თუმცა მათ იშვიათად ბედენური ხანის ყორღანებშიაც ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ უადრეს ყორღანებში გარდა ბრინჯაოს პირამიდისებრთავიანი ისრის

243. რ. რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიაზე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, მაცნე N 4, თბილისი, 1989, 126, ტაბ. III, 7.

244. კ. ფ ი ცხ ე ლ ა ვ ა, ვ. ვ ა ნ ა ბ ა ზ ი ლ ი, ზეიანის გორასამარხი N 1, გარეჯი, თბილისი, 1977, გვ. 50, ტ-ბ VI, 4.

245. Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 102, рис 109.

246. Л. Ж о р ж и к а ш в и л и, Э. Г о г а л а з е, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тбилиси, 1974, стр. 57.

247. ქ. ფ ო ფ ხ ა ძ ე, არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.), თბილისი, 1975, გვ. 143, 146).

248. Г. М и ш д и а ш в и л и, Археологическая экспедиция Горийского района. Полевые археологические исследования, 1982, Тбилиси, 1985, стр. 37.



სურ 48. თრიალეთის XIX ყორღანის ინვენტარი.

პირებისა სხვა ცნობილი არ არის. აქ არც ძვლისა და ქვის ამ ტიპის იარაღი გვხვდება. ბედენურ კულტურაში კი, პირიქით, ძვლისა და განსაკუთრებით კი ობსიდიანის და კაჟის ისრის პირებია კარგად წარმოდგენილი. ნიშანდობლივია, რომ ბრინჯაოს ისრის პირები პირამიდისებრი თავით არ გვხვდება წინარე მტკვარ-არაქსისა და მომდევნო თრიალეთის კულტურებში. მტკვარ-არაქსის კულტურაში ცნობილია ოთხწახნაგა ორმხრივ წაწვეტებული სადგისები თუ ისრის პირები. ქვაცხელას და ხოვლეგორის მაგალითებიდან, სადაც მათ ცხოველისა და ადამიანის ძვლებში გარჭობილებს ვხვდებით, თითქოს ისე ჩანს, რომ მათი ისრის პირებად მიჩნევა უფრო მართებული იყოს[249]. ცოტა არ იყოს, საეჭვოა მათი ხიშტისმაგვარი იარაღის პროტოტიპად მიჩნევა[250]. უფრო საეარაუდოა ხიშტისმაგვარი იარაღის სამხრეთული წარმომავლობა[251].

როგორც ჩანს, პირამიდისებრთავიანი ისრის პირი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ადრეყორღანული კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი იარაღი უნდა ყოფილიყო. ანალოგიური ისრის პირები სხვაგან სადღეისოდ თითქმის ცნობილი არ არის. იყო თუ არა მათი პროტოტიპი წინარე ხანებში გავრცელებული ოთხწახნაგა სადგისი, თუ ისრისპირი, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, დაბეჭითებით თქმა ძნელია[252]. არც მათი ჩრდილოური წარმომაელობაა საეარაუდო. ჩრდილო კავკასიაში და უფრო ჩრდილოეთით

249. ალ. ჯაკახიშვილი. ლ.ღლონტი. ურბნისი I, თბილისი, 1962, გვ.27.

250. იქვე

251. ო. ჯაფარიძე. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი, 1962. გვ. 159.

252. გ. ბინდიაშვილი, ადრეული ყორღანები საშრეთ საქართველოში. აეტორეფერატი. თბილისი. 1993. გვ. 7.

ძველი ორმოსამარხების კულტურაში ამ ტიპის იარაღი არ გვხვდება [253]; აქაც ჩანს, უპირატესად ოთხწახნაგა სადგისები, თუ ისრის პირები იყო გავრცელებული [254] შესაძლოა, რამდენადმე უახლოვდება პირამიდისებრთავიან ისრის პირებს ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღი [255]. ამ ტიპის ისრის პირს წააგავს თითქოს უსტჯეგუტინის №3 ყორღანის მე-8 სამარხში აღმოჩენილი იარაღი, რომელიც აგრეთვე სადგისადაა მიჩნეული, ოღონდ მას რამდენადმე უფრო გრძელი ყუნწი აქვს [256]. ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ერთგანაა სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილი პირამიდისებრთავიანი ისრისპირი ჩეჩენ-ინგუშეთიდან სოფ. სადი-კოტორთან გათხრილ ერთ-ერთი სამარხიდან [257].

№4 ყორღანში კიდევ ორი იარაღი აღმოჩნდა - ბრინჯაოს სადგისი და ღარიანი სატეხი. სადგისი ჩვეულებრივი ფორმისაა – ოთხწახნაგა, რომელსაც ცალი ბოლო წაწვეტებული აქვს. სატეხი შედარებით მომცრო ზომისაა (სიგრძე - 9,2 სმ. სისქე -0,7 სმ), წვრილი; ცალი ბოლო მას ოთხწახნაგა აქვს, მეორე კი მთავრდება არამკვეთრი ღარით (სურ.14. 82,. ტაბ. XIV). მსგავსი სატეხი ინახება საჩხერიდან 1929 წ. შემოსულ კოლექციაში [258]. ეს სატეხები ზომითა და ღეროს სისქით განსხვავდებიან ჩვენში ბედენურ ეტაპზე ცნობილი უფრო მოზრდილი ღარიანი სატეხებისაგან. ამ იარაღის მარტყოფის და საჩხერის ცალები თითქოს უახლოვდებიან ჰისარ III ნაპოვნ ღარიან სატეხს. როგორც ჩანს, ჩვენში ღარიანი სატეხის ტიპის იარაღი ყორღანული კულტურის ადრინდელ საფეხურზე იწყებს გამოჩენას და შემდეგში ბედენის კულტურის ეტაპზე იგი უფრო სრულყოფილ ფორმას იღებს.

აღსანიშნავია, რომ მარტყოფის ყორღანებში თითქმის არ გვხვდება ბრინჯაოსაგან ნაკეთები სამკაული. მხოლოდ №4 ყორღანში ნაპოვნი იყო ერთი ნაკლული საკინძი, ოთხწახნაგა ღეროთი (სურ.14. 106), აქვე იყო ერთი მთელი, ერთიც ნაკლული ბრინჯაოს მავთულის 1,5 ხვიის რგოლი (სურ. 14, 109, ტაბ.XIV). ეს ნივთები ძირითად სამარხთან კი არ იდო, არამედ კამერის ჩრდილო ნაწილში დაკრძალულ მიცვალებულებთან; ნიშანდობლივია, რომ არც სამგორის და არც თრიალეთის ამ დროის ყორღანებში ბრინჯაოს სამკაული წარმოდგენილი არ არის. წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურაში, განსაკუთრებით მის მოგვიანო პერიოდის სამარხებში, ბრინჯაოს სამკაული კარგადაა ცნობილი - მრავალგვარი საკინძები, საკიდები, მძივები და სხვ. რა მიზეზით არ მონაწილეობს ადრეული ყორღანების სამარხეულ ინვენტარში ბრინჯაოს სამკაული, ძნელია გარკვევით თქმა. აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში თითქმის არ გვხვდება ძვირფასი ლითონის სამკაული. ცარცის გორაზე და ქორეთის ერთ-ერთ ყორღანულ სამაროვანზე აღმოჩნდა თითო-თითო ოქროს რგოლი [259]. ამირანის გორის სამარხში ნაპოვნია ვერცხლის

---

253. В.И. М а р к о в и ч, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.
А.А. И е с с е н, К хронологии "Больших кубанских курганов", СА, XII, М.-Л., 1950, стр. 173.
254. Б.А. Латынин, დასახ.ნაშრომი, გვ. 37
И.В. С и н и ц ы н, У.Э. Э р д н и е в, Элистинский могильник, Элиста, 1971, стр. 15.
255. Т.Б. П о п о в а, Дольмены станицы Новосвободной, Москва, 1963, стр. 34, табл. VIII, 13.
256. А.Л. Н е ч и т а й л о, დასახ.ნაშრომი, გვ. 107, სურ. 40,5.
257. М.Х. Б у г а е в, Новый могильник эпохи бронзы в Чечен-Ингушетии, Новое в археологии Северного Кавказа, Москва, 1986, стр. 71, рис. 3, 18.
258. Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, стр. 15, рис. 10, 6.
259. Б.А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, стр. 79. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

ხვია[260], ასეთივე ხვია ნაპოვნია ქვაცხელების 2 სამარხში[261], მაგრამ ეს ძეგლები, თუ მარტყოფის ჯგუფის ყორღანების თანადროული არა, დროით მისგან მაინცდამაინც დიდად დაშორებული არ უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში, სამარხეულ ინვენტარში, არ შეინიშნება რაიმე საგრძნობი სხვაობა. სადღეისოდ ამ კულტურაში ცნობილი არ არის გამორჩეული ხასიათის სამარხი. შესაძლოა, ამ პერიოდში საზოგადოების შიგნით დიფერენციაციის პროცესი მკვეთრად გამოყოფილი არ არის.



სურ 49. მარნეულის ველის N4 ყორღანის ინვენტარი.

მარტყოფში ოქროს ნივთები მხოლოდ №4 ყორღანში აღმოჩნდა. №2 ყორღანში ნაპოვნი იყო ვერცხლის დანისა თუ სატევრის პირი (სურ.6.34). საერთოდ ჩვენში, როგორც ჩანს, ძვირფასი ლითონის იარაღი მეტად იშვიათია; ბედენის ხანაში თეთრი წყაროს ყორღანში აღმოჩნდა ვერცხლის ერთი სატევრის პირი[262]. მომდევნო თრიალეთის კულტურაში სადღეისოდ მხოლოდ ერთადერთი ვერცხლის სატევრის პირია ცნობილი თრიალეთის ერთ-ერთი ყორღანიდან[263]. ოქროს სამკაული - 1,5 ხვიის რგოლი ნაპოვნია ენამთის ყორღანში[264] (სურ. 37). №4 ყორღანში აღმოჩნდა ოქროს კასრისებური და ბირთვისებრი მხივები (სურ.15.131, ტაბ.XVI). აქვე ნაპოვნი იყო კასრისებრი ფორმის ვერცხლის მძივები (სურ. 15,110, ტაბ. XVI). კასრისებრი ოქროს მძივები, ოქროს ნივთებთან ერთად, ცნობილია ნ. ვესელოვსკის მიერ გათხრილ ყორღანში სტანიცა ბელერეჩენსკოესთან[265]. თავისებური ფორმისაა №4 ყორღანში ნაპოვნი ცილინდრული, მილისებურად წაგრძელებული ოქროს შვიდი მძივი. ექვს მათგანს სამი მკვეთრი წიბური

---

260. ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა, გვ. 38.

261. ღ. ღ ღ ინ ტ ი. წარჩინებული ქალის სამარხი ქვაცხელების სამაროვანზე. საქ.მუზეუმის მოამბე XXXVI-B, თბილისი, 1982, გვ. 62.

262. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი. ბედენის გორასამარხების კულტურა, გვ. 26. 263.

263. Б.А. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, стр. 95.

264. რ. რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს ე რ ა ძ ე. ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიიდან, გვ. 126.

265. Отчет Археологической комиссии за 1907 год, стр. 86.



სურ 50. მარნეულის ველის №6 და №7 ყორღანები

შემოუყვება, ერთს კი, უფრო მოგრძოს, ხუთი (სურ. 15, 132, ტაბ. XVI). აქვე იდო ოქროს ფართო ორი რგოლი აწეული კიდეებით (სურ. 15, 129-130, ტაბ. XVI). თითქმის ყველა ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები ნივთი ძირითადი სამარხის მახლობლად აღმოჩნდა. მილისებური მძივების და ფართო რგოლების მსგავსი სამკაული ოქროს სხვა ნივთებთან ერთად ნაპოვნი იყო ალაზნის ველზე ანანაურის №2 ყორღანის სამალავ ორმოში[266] (სურ.51). როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ჩვენში სამარხეულ ინვენტარში პრესტიჟული ნივთების გამოჩენა.

რა თქმა უნდა, შეიძლება გვეფიქრა, რომ ძვირფასი ლითონების, ისევე როგორც საერთოდ ფერადი ლითონების დამუშავებისა და გამოყენების ტრადიცია, ჩვენში სამხრეთთან ურთიერთობის შედეგად შემოდის. წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურის ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებას უთუოდ წინააზიურ სამყაროსთან არსებულმა კონტაქტებმა შეუწყო ხელი და, ეს ნათლად შეინიშნება ლითონის ნაწარმში. მაგრამ ოქრომჭედლობამ, რომელმაც სამხრეთში უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია, ჩვენში ამ დროს თითქმის სრულად ვერ ჰპოვა ასახვა. თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ პერიოდში კავკასია მესოპოტამიაზე, შუმერის და ელამის ცივილიზაციაზე იყო უფრო ორიენტირებული[267]. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოკავკასიაში, უფრო კი მის დასავლეთ ნაწილში, ამ დროისათვის ერთგვარად განსხვავებული ვითარება შეიმჩნევა. კავკასიის სინამდვილეში საიუველირო საქმის საკმაოდ მაღალი დონე პირველად ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში, მაიკოპის კულტურაში, მაიკოპის ყორღანში, სტარომინასტოვსკოეს განძში და სხვ. შეინიშნა. ჯერ კიდევ მაიკოპის ყორღანის პირველი შემსწავლელები, ძირითადად ძვირფასი ნივთების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე, წინაზიურ სამყაროსთან კავშირზე მიუთითებდნენ, ზოგი შუმერთან და

266 K. Picxclauri, W.Orthmann, D.Qvavaze, Neue archäologische Funde in Kachetien, Georgica, 17, 1994, გვ. 9.

267. Б.А. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ.XII.B. თბილისი, 1944, გვ. 294.

ელამთან[268], ზოგიც მცირე აზიასთან[269]. მაგრამ, რა გზით ხორციელდებოდა ურთიერთობა სამხრეთთან, მთლად ნათელი არ არის. რა თქმა უნდა, სავარაუდო იყო, რომ ერთ-ერთი ძირითადი გზა ამიერკავკასიაზე გადიოდა ჩრდილოეთით. მაგრამ, სამხრეთიდან მოძრაობის ეს მიმართულება ამ დროისათვის, ჩანს, ნაკლებად მოქმედი იყო. ეს ის ბანაა, როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურა საკმაოდ ინტენსიურად ვრცელდება სამხრეთით და ჩრდილოეთით, ქედს იქითა ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში. ამან, ჩანს, ერთგვარად შეანელა ჩრდილო კავკასიის ამ გზით სამხრეთთან ურთიერთობა, რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ დროისათვის წინააზიის კულტურის სფეროში შედიოდა და მის პერიფერიულ ნაწილს შეადგენდა[270]. როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, რომელიც მაიკოპის კულტურის გავრცელების ძირითადი რეგიონი იყო, თითქოს საკმაოდ ახლო ურთიერთობა შეინიშნება სამხრეთთან, განსაკუთრებით შუმერულ სამყაროსთან. არა მარტო საიუველირო ნაწარმი და სპილენძის იარაღი, არამედ, როგორც ფიქრობენ, კერამიკაც ბევრ საერთოს ნახულობს მესოპოტამიასთან[271]. ზოგიერთი ამბავი ხალხთა გადმოსახლების შესაძლებლობასაც კი ხედავს სამხრეთიდან ჩრდილო კავკასიაში[272]. ზოგმა ისიც კი აღნიშნა, რომ მაიკოპის მატერიალური კულტურა ჩრდილო სირიიდან კავკასიაში მიგრაციის შედეგი უნდა იყოს[273]. უფრო მეტიც, მაიკოპის კულტურა საერთოდ წინააზიაში უნდა ჩამოყალიბებულიყო[274]. ამან, თავის დროზე, სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია[275]. არა ერთგზის აღინიშნა, რომ ამ დროისათვის ჩრდილო კავკასიის ურთიერთობა სამხრეთთან, შესაძლოა, ძირითადად შავი ზღვის გზით ხორციელდებოდა. თუმც, რა თქმა უნდა, სახმელეთო გზის გამორიცხვაც მთლად სწორი არ იქნებოდა[276]. ზოგიერთის აზრით, მესოპოტამიის ინტერესი ჩრდილო კავკასიის მიმართ ოქრო იყო[277], რომელიც ამ ლითონით საკმაოდ მდიდარი უნდა ყოფილიყო[278]. რამდენად მართებულია ეს ვარაუდი, ახლა ძნელი სათქმელია. მაგრამ, ალბათ სამხრეთთან ურთიერთობის შედეგად უნდა დაწინაურებულიყო აქ საიუველირო საქმე. მაიკოპის კულტურის ოქროთი მომარაგების საკითხში აზრთა სხვაობაა. ზოგი სრულიად გამორიცხავს მადნის ადგილობრივ ბაზას, ზოგიც პირიქით,

---

268. M. Rostovzew. L'age du cuivre dans le Caucase septenzional. Revue archeologue, XII. 1920. გვ. 21.

269. Б.Ф. Фармаковский. Архаический период в России. Материалы по археологии России, вып. 34, Москва, 1914. стр. 53.

270. В.А. Трифонов. Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры. КСИА. 192. Москва, 1987. стр. 21.

271. Р.М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века. стр. 32

М.В. Андреева. К вопросу о южных связях майкопской культуры. СА. 1. Москва. 1977. стр. 52.

272. Р.М. Мунчаев. დასახ. ნაშრომი. გვ. 376.

273. В.А. Сафронов. Хронология, происхождение и определение этнической принадлежности майкопской культуры по археологическим и письменным источникам. Хронология памятников бронзового века Северного Кавказа. Орджоникидзе, 1982. стр. 70.

274. С.А. Сафронов. Новые пути решения майкопской культуры. СА. 4. Москва. стр. 140.

275. Р.М. Маркович. Спорные вопросы в этногенетическом изучении древностей Северного Кавказа (Майкопская культура). СА. 4. Москва. 1990. стр. 106.

276. Р.М. Мунчаев. დასახ. ნაშრომი. გვ. 376. P.P. Betancour. The Maikop coopers tools and their relationship to Cretan Metallurgy. American Journal of Archaeology. vol. 74. N 4. October. 1970. p. 356.

277. Р.М. Мунчаев. დასახ. ნაშრომი. გვ. 407.

Г. Чайлд. У истоков европейской цивилизации. Москва. 1952. стр. 211.

278. А.А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья. стр. 117.



სურ. 51. ანანურის N2 ყორღანის ინვენტარი.

უშვებს ამგვარ შესაძლებლობას[279]. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამავე პერიოდში ცენტრალურ და ჩრდილო ანატოლიაში, ალაჯაჰიუკში, ხოროს თეფეში, მახმათლარში, დუნდარ თეფეში, თეკეკოიში და სხვ. აღმოჩნდა სამარხები საკმაოდ მდიდარი ინვენტარით და არა ერთხელ აღინიშნა მათი გარკვეული კავშირი მაიკოპის კულტურასთან[279a].

საიდან ჩნდება ძვირფასი ლითონის პირველი ნივთები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მთლად ნათელი არ არის. ეს ის დროა, როდესაც ერთგვარად ძლიერდება კავშირები კავკასიის ჩრდილო და სამხრეთ რეგიონებს შორის. მტკვარ-არაქსის კულტურას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურა ენაცვლება. სადღეისოდ ისე ჩანს, რომ ოქრომჭედლობის პირველი ნაწარმი აქ ამ კულტურის გავრცელებასთან ერთად იწყებს გამოჩენას. ამიტომ, ხომ არ შეიძლება დაგვეშვა, რომ ძვირფასი ლითონების დამუშავების ტრადიცია ჩვენში ჩრდილოეთთან, ყორღანული კულტურის გავრცელებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ისიც კი აღინიშნა, სრულიად უმართებულოდ, რომ ლითონდამუშავების განვითარება საქართველოში თითქოს საერთოდ ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსებთან იყო დაკავშირებული[280]. აქვე უნდა შეინიშნოს,

---

279. Е. Н. Черных, Древнейшее золото в циркумпонтийском ареале V-III тысяч. до н.э. Археология и социальный прогресс, вып. 2, Москва, 1991, стр. 3;

А.А. Иессен, Т.С. Пассек, Золото Кавказа, Известия ГАИМК, вып. 110, 1935, стр. 110;

С.А. Кореневский, Древнейшее оседлое население на среднем Тереке, Москва, 1993, стр. 79.

279a. ო. ჯაფარიძე, ქართული ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 222.

Ch. Burney, D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

280. Ch. Burney, D.M. Lang, დასახ.ნაშრომი, გვ. 64.

რომ ოქროს პირველ ნივთებს ამიერკავკასიიდან მაიკოპში ანალოგიები არ ეძებნება და არც სამხრეთით ჩანს მათი პარალელები. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ამ დროს უკვე საიუველირო საქმის ადგილობრივი ტრადიციები ყალიბდება. უკანასკნელი ხანების აღმოჩენები ალაზნის ველზე, ანანაურის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი ნივთების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ყორღანული კულტურის მარტყოფის საფეხურზე საიუველირო საქმე უკვე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს[281]. ამ ბოლო დროს მაიკოპის კულტურის, კერძოდ კი მაიკოპის ყორღანის თარიღის, საკმაოდ სიღრმეში გადატანის ცდა იყო[282]. თუმცა, ზოგი ფიქრობს, რომ ამ კულტურის ძვ.წ.III ათასწლეულის შუა ხანებზე უფრო შორს გადაწევას მაინცდამაინც მყარი საფუძველი არ უჩანს[283]. მართალია, მაიკოპის კულტურა სამხრეთის გარკვეულ გავლენას განიცდის, მაგრამ ამავე დროს აქ ჩრდილოეთის სტეპებიდან წამოსული იმპულსებიც საკმაოდ ძლიერი ჩანს. ყორღანული ელემენტის ამ კულტურაში გამოჩენა ამის შედეგი უნდა იყოს[284].

მარტყოფის და საერთოდ უადრეს ყორღანებში არც ქვისა და ძვლის სამკაულია მაინცდამაინც ცნობილი. მარტყოფის N 1 ყორღანში ცხოველის ეშვის მხოლოდ ერთი საკიდი აღმოჩნდა[285] (სურ. 3,15, ტაბ.III), N 2 ყორღანში კი რამდენიმე წვრილი მძივი ლითონის წიდისებრი მასისა[286]. შედარებით მდიდარია სამკაულით N 4 ყორღანი. აქ ნაპოვნი იყო ძვლის ბრტყელი რგოლები, მძივები ფართო ნახვრეტით სხვადასხვა ზომისა (სურ, 16, 118, 119. ტაბ. XVIII). მსგავსი მძივი აღმოჩნდა ქვაცხელების ნამოსახლარის B ფენაში[287]. ბევრია თეთრი პასტის წვრილი მძივები და ოთხკუთხა მოყვანილობის მძივსაკიდები, რომლებსაც ზედაპირზე ორი ამოღარული წრე შემოუყვება, შუაში წერტილით (სურ. 15, 112, 113. ტაბ. XVIII).პასტის წვრილი მძივები ნაპოვნია ამირანის გორის სამარხებში[288]. პასტისა და სერდოლიკის მძივები იდო ქვაცხელების N 2 სამარხში[289]. პასტის მრგვალი მძივები

---

281. K. Picxelauri, W. Orthmann, D. Qvavadze, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

282. M.B. Андреева, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

M.B. Андреева, Об изображении на серебряных майкопских сосудах, СА, 1, Москва, 1979, стр. 34.

А.А. Нехаев, Новые погребальные комплексы майкопской культуры Закубанья, XV Крупновские чтения по археологии Северного Кавказа, Махачкала, 1988, стр. 24.

В.А. Трофимов, დასახ. ნაშრომი, გვ 24

283. В.А. Сафронов, Металлокомплекс Майкопа. Проблемы датировки и происхождения майкопской культуры. Медные рудники Западного Кавказа III-I тысяч. до н.э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения, Сухуми, 1988, стр. 33.

გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლითბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბილისი, 1981, გვ. 55.

284. Н.Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, Москва, 1974, стр. 141.

285. ო. ჯაფარიძე, ი. ციციშვილი, გ. აბაელიშვილი, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978-1979 წლების მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბილისი, 1980, გვ. 38.

286. იქვე, გვ. 39.

287. ალ. ჯაკელიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბილისი, 1962, გვ. 35.

288. ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, გვ. 62.

289. ლ. ღლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

აღმოჩნდა დედოფლისწყაროს სავარგულებში, ადგილ „ენამთაზე" გათხრილ ყორღანებში[290]. თეთრი პასტის მძივები იშვიათია ჩრდილო კავკასიის ამ დროის სამარხებში. თეთრი პასტის რამდენიმე მძივი აღმოჩნდა ჩეგემის ერთ-ერთ ყორღანში[291]. შედარებით ცოტაა N 4 ყორღანში სერდოლიკის სხვადასხვა ფორმის მძივები (სურ.15, 24, ტაბ. XVIII). რამდენიმე ქარვის მძივს ცილინდრული მოყვანილობა აქვს. გაცილებით მეტია სერდოლიკის მძივები მაიკოპის კულტურის დროინდელ სამარხში. მაიკოპის ყორღანში ათასზე მეტი სერდოლიკის მძივი იდო[292]. N 4 ყორღანში შედარებით მეტია სერდოლიკის სამკუთხა მძივსაკიდები სხვადასხვა ზომისა (11 ც.) (სურ. 15, 125. ტაბ.XVIII). მსგავსი მძივსაკიდები ქარვისაც აღმოჩნდა (სურ. 15). სერდოლიკის სამკუთხა მძივსაკიდი ნაპოვნი იყო ქვაცხელების სამაროვნის ზედა იარუსის N 2 სამარხში[293]. ერთი ამგვარი მძივსაკიდი აღმოჩნდა ნაჩერქეზეკზე N 2 სამარხში[294]. სამკუთხა მძივსაკიდი ძვლისა ნაპოვნია „ენამთის" და „დალის მთის" ყორღანებში დედოფლის წყაროს რაიონში[295] (სურ. 40,41). ამგვარი საკიდები აღმოჩნდა აგრეთვე ბედენური ხანის სამარხებში[296]. სამკუთხა მოყვანილობის მძივსაკიდები ცნობილია ჩრდილო კავკასიაში. სტარომინასტოვსკოეს განძში აღმოჩნდა სერდოლიკის სამკუთხა მძივსაკიდი, რომელიც ოქროს რგოლზე იყო ჩამოცმული[297]. ამავე ფორმის მძივსაკიდები, ოღონდ მინისებური პასტისა, ნაპოვნი იყო უსტ-ჯეგუტინის ყორღანებში[298]. ცნობილია სამკუთხა მძივსაკიდები ჩრდილო კავკასიურ კულტურაში[299]; ვხვდებით მათ აგრეთვე დაღესტანში გინჩის სამაროვანზე[300].

N 4 ყორღანში ნაპოვნია კასრისებური ფორმის გიშრის ერთი მძივი. ამ მასალის მძივები ჩვენში ყორღანების ადრე გავრცელების ხანაში იშვიათია. გიშრის ერთი მძივი ნაპოვნია „დალის მთის" N 2 ყორღანში[301]. გიშრის ერთი ფართო რგოლი აღმოჩნდა მარტყოფის ბედენური ხანის N 3 ყორღანში[302] (სურ. 25, 63, ტაბ. XXIII). ჩვენში გიშერი სამკაულისათვის შედარებით ფართოდ გამოიყენებოდა შუაბრინჯაოს ხანაში. ქვასათალის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში სამასამდე გიშრის მძივი იდო[303].

---

290. რ. რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს ე რ ა ძ ე, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიიდან. გვ. 126.

291. P.M. M u n c h a e v, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

292. A.A. Ф о р м о з о в, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 163.

293. ალ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ინ ტ ი, დასახ ნაშრომი, გვ.42

294. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 131.

295. რ. რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ბ. მ ა ი ს ე რ ა ძ ე, შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985-1987 წწ მუშაობის წინასწარი ანგარში, გვ. 154.

296. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიცია 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახ.მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1986, გვ. 32.

297. P.M. M u n c h a e v, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

298. A.A. H e c h i t a i l o, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

299. B.И. M a r k o v и ц, დასახ.ნაშრომი, გვ. 45.

300. M. Г а д ж и е в, Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969, стр. 147.

301. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ბ. მ ა ი ს ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

302. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

303. O.M. Д ж а п а р и д з е, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, вып. 60, Москва, 1955, стр. 27.

ჩრდილო კავკასიაში გიშრის მძივები საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ცნობილი. წარმოდგენილია ისინი მაიკოპის კულტურაში. სტ.მეკენსკაიასთან გათხრილ მაიკოპის კულტურის დროინდელ ერთ-ერთ ყორღანში პასტის, სერდოლიკის, ძვლის, ქალცედონის წვრილ მძივებთან ერთად აღმოჩნდა გიშრის მძივებიც[304]. გიშრის მძივები ცნობილია სტარომიშასტოვსკოეს განძიდან[305]. კიდევ უფრო ფართოდ ვხვდებით მათ ჩრდილო კავკასიურ კულტურაში. გიშრის მძივები ნაპოვნია უსტ-ჯეგუტინის ყორღანებში[306], გათინ კალეს სამარხებში[307], მიათლის ყორღანებში და სხვ.[308]. ბევრია ეს მძივები გინჩის სამაროვანზე[309]. კავკასიაში, განსაკუთრებით დაღესტანში, კარგადაა ცნობილი გიშრის საბადოები[310].

აღსანიშნავია მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილი სადაფის მძივები და საკიდები. სადაფის მძივები ბრტყელია და მრგვალი, შუაში მოზრდილი ნახვრეტით (სურ. 15, 114, ტაბ. XVII). ალბათ ქსოვილზე და ტყავზე დასაკერებლად იხმარებოდა ბრტყელი და მრგვალი საკიდები, რომლებსაც შუა ნაწილში აქეთ-იქით კიდეები ამოკრილი აქვთ (სურ. 15, 116. ტაბ.XVII).ეგებ, ამავე მიზნისათვის იყო გამოყენებული, სადაფის ბრტყელი სწორკუთხა ფირფიტები დაკბილული კიდეებით (სურ. 15, 117, ტაბ.XVII). დაკბილულია აგრეთვე სადაფის მოზრდილი ბრტყელი რგოლები, რომლებსაც შუაზე ფართო ნახვრეტი აქვთ (სურ. 15, 115. ტაბ.XVII). სავსებით ასეთივე სადაფის სამკაული აღმოჩნდა ივრისპირებზე მაღაროსთან გათხრილ ყორღანში (სურ. 46). სადაფის მსგავსი ნივთები, თუ არ ჩავთვლით ბერიკლდეებზე აღმოჩენილ მრგვალ ბრტყელ, შუაში ნახვრეტით, მძივს, სხვაგან ჩვენთვის უცნობია. სადაფისგან ნაკეთები სამკაული ცნობილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე[311]. საიდან ვრცელდება ამიერკავკასიაში სადაფი, გარკვევით თქმა ძნელია. ჩრდილო კავკასიაში სადაფის მძივები ადრეულ ხანაში შედარებით იშვიათია. პიატიგორსკთან გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში ძვლის ჩაქუჩისებრ საკინძთან ერთად, ნაპოვნი იყო სადაფის ბრტყელი მოზრდილი მძივი შუაში ნახვრეტით[312]. მსგავსი ორი მძივი აღმოჩნდა ჩრდილოკავკასიური კულტურის დროინდელ ყორღანებში ყუბანისპირეთში[313].

მარტყოფის N 4 ყორღანში მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ცხოველების კბილების

---

304. Е.И. Крупнов, Н.Я. Мерперт. Курганы станицы Мекенской. Древности Чечено-Ингушетии. Москва, 1969, стр. 24.

305. А.А. Иессен. К хронологии "больших кубанских курганов", стр. 177

306. А.А. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

307. В.И. Марков и и. Новый памятник эпохи бронзы в Горной Чечне. Древности Чечено-Ингушетии. Москва, 1963, стр. 84.

308. В.И. Канивец, С.С. Березовская. Курганы бронзового века на реке Сулак. Материалы по археологии Дагестана, Махачкала, 1959, стр. 63.

309. М.Г. Гаджиева, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

310. А.А. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

В.И. Марков и и, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

311. ლ.ლორეტი, გ.ნემსაძე, ალ.ჯაფარიძე, ქარელის რაიონში, ბურიკლდეებზე, 1979-1981 წლებში ჩატარებული შემაბის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1986, გვ. 41.

Г. Исмаилов, Раннебронзовая культура Азербайджана, автореферат, Тбилиси, 1983, стр. 12.

312. В.И. Марков и и, Курганы Константиновского плато у г. Пятигорска. КСИА, 127, Москва, 1971, стр. 37.

313. А.А. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

და ეშვების საკიდები[314] (სურ. 16, 122, ტაბ. XIX). ყველაზე მეტია ძაღლის ეშვისგან ნაკეთები საკიდები. აქ ძაღლის საძირე კბილების საკიდებიც აღმოჩნდა (სურ. 16,121, ტაბ. XIX). გარდა ამისა, ნაპოვნია მგლის ეშვის ორი საკიდი, მურა დათვის ზედა და ქვედა ეშვი, ღორის ერთი საჭრელი კბილი და ეშვი, ძროხის სამი საჭრელი კბილი და ცხვრის ერთი საჭრელი კბილი. ეშვის ერთი საკიდი ნაპოვნი იყო N 1 ყორღანში. სამარხში დიდი რაოდენობით ცხოველების ეშვებისა და კბილებისაგან ნაკეთები საკიდები აღმოჩნდა სოფ.მაღაროსთან გათხრილ მიწურდილ ყორღანში (სურ. 46). ცხოველის ეშვების საკიდები მტკვარ-არაქსის კულტურაშიცაა ცნობილი, უპირატესად მისი გვიანდელი საფეხურის ძეგლებში, მაგრამ აქ თითო-ოროლა საკიდი გვხვდება. ამირანის გორაზე ძაღლის ეშვის რამდენიმე საკიდი აღმოჩნდა[315]. ღორის ერთი გახვრეტილი ეშვი ნაპოვნია ცხინვალის მახლობლად კულოხომის ნამოსახლარზე[316]. ამგვარივე საკიდი აღმოჩნდა პასიეთის ყორღანული სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში[317]. ამიერკავკასიაში ცხოველის ეშვების და კბილების საკიდები შედარებით იშვიათია, სამაგიეროდ ისინი ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილო კავკასიაში და ჩრდილო შავიზღვისპირეთში საკმაოდ ადრეული ხანიდან. N 4 ყორღანში ნაპოვნი იყო მოვარდისფრო სერდოლიკის ოვალური მოყვანილობის ორი თვალი, რომლებსაც ცალ მხარეზე შვიდი ნაჭდევი აქვს — ერთი ცენტრში და დანარჩენი კი მის ირგვლივ (სურ. 15,111, ტაბ. XVI). რა დანიშნულებისა იყო ეს ნივთები, ძნელი სათქმელია. მათი ანალოგიები ჩვენთვის სხვაგან უცნობია. ასევე მთლად გარკვეული არ არის ამავე ყორღანში ნაპოვნი ძვლის შინდის კურკის ფორმის რვა ნივთის დანიშნულება, რომელთაგან ზოგიერთზე ცალ მხარეზე წვრილად ნაკაწრი ბადეებია გამოყვანილი (სურ.16, 120, ტაბ. XIX). მსგავსი საგნები ნაპოვნი იყო თეთრიწყაროსთან, ნადარბაზევის N 2 ყორღანში[318]. მათი სხვა ანალოგიები ჩვენთვის უცნობია. სათამაშო ძვლები გვხვდება ჩრდილო კავკასიაში, ადგილ კლადში გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში[318a].

მარტყოფის უადრეს ყორღანებში შედარებით ნაკლებად გვხვდება ჩატანებული ცხოველების ძვლები. ჩვენში ამ დროის არც სხვა ყორღანებშია წარმოდგენილი მაინცდამაინც ცხოველების ძვლები. გარეული ცხოველების ნაშთები ყორღანებში თითქმის არ გვხვდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდში დაკრძალვის რიტუალში ცხოველები ნაკლებად მონაწილეობენ და არც მათი ნაშთების სამარხში ჩატანება იყო მაინცდამაინც წესად. მარტყოფის ამ დროის ყორღანებში შინაური საქონლის თითო-ოროლა ძვალია დამოწმებული. N 2 ყორღანში მიცვალებულის ჩონჩხთან აღმოჩნდა ხარის თავის ქალა. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ბატკნის რამდენიმე ძვალი იდო. დიდ N 4 ყორღანში ცხვრის რამდენიმე კოჭი და მსხვილფეხა საქონლის ერთი კბილი აღმოჩნდა, N 1 ყორღანში ცხოველის ძვლის ნაშთები საერთოდ არ იყო შენიშნული. შედარებით მეტი ცხოველის ძვლები ნაპოვნი იყო სამგორის ყორღანში. აქ მსხვილფეხა საქონლის რამდენიმე ძვალი აღმოჩნდა,

---

314. მსჯელობა განსაზღვრა პროფ.ა.ევკუკამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

315. ტ.ჩ ე ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

316. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

317. იქვე, გვ. 182.

318. გ. გ ო ბ ე ჯ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ბედენის გორასამარხების კულტურა, გვ. 23.

318'. Б.С. Б о ч к а р е в, Э.С. Ш а р а ф у т д и н о в а, А.Д. Т е з е п к и н, В.А. Т р у ф а н о в, Г.Н. Б е с т у ж е в, Работы Кубанской экспедиции 1978-1980 гг. Древние культуры Евразийских степей, Ленинград, 1983, стр. 82

გაცილებით მეტია წვრილფეხა საქონლის ნაშთები. ენამთის და ზილიჩის ყორღანებში მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ძვლებია ნაპოვნი. ენამთის ყორღანში ხარის თავის ქალა და რამდენიმე ძვალი იდო[319], ზილიჩის ყორღანში კი ხარის ორი თავის ქალა აღმოჩნდა[320]. თრიალეთის უადრეს ყორღანებში ცხოველების ძვლები თითქმის არ აღმოჩენილა. ძვლოვანი მასალები ნაპოვნი იყო ი.ჰუმელის მიერ გათხრილ სტეპანაკერტის ყორღანში. ცხოველების ძვლების ნაშთი იყო დადასტურებული აზერბაიჯანში ასტარინის რაიონში შესწავლილ ყორღანში[321].

მართალია, სამარხებიდან მომდინარე ოსტეოლოგიური მასალა შესაძლოა ყოველთვის ვერ ასახავდეს მესაქონლეობის რეალურ სურათს. არ არის გამორიცხული, რომ დაკრძალვის რიტუალი ერთგვარად ზღუდავდა საქონლის სამარხში ჩატანებას[322]. ადრეულ ყორღანებში თითქმის არ გვხვდება გარეული ცხოველების ნაშთები, რაც ეგებ, მონადირეობის როლის შესუსტების მაჩვენებელი იყოს. დაახლოებით ასეთივე სურათი შეინიშნება ამ დროს მაიკოპის კულტურაში[323]. ფაუნისტური მასალა ყორღანებში თითქმის ყოველთვის შინაური ცხოველების ძვლებითაა წარმოდგენილი. სამგორის ყორღანში წვრილფეხა საქონლის ნაშთები საგრძნობლად ჭარბობს მსხვილფეხას. მარტოყოფის N 2 ყორღანში ოსტეოლოგიური მასალის სიღარიბის მიუხედავად მაინც ცხვრის ნაშთები მეტია, მაგრამ თითქმის ყველა სხვა უადრეს ყორღანებში მსხვილფეხა საქონელია ძირითადად ჩატანებული — უპირატესად ხარის თავის ქალა. მხოლოდ მარტყოფის N 2 ყორღანში ხარის თავის ქალასთან ერთად ბატკნის რამდენიმე ძვალი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ყორღანებში თითქმის სრულიად არ არის წარმოდგენილი ღორის ნაშთები. ეს ეგებ უფრო რიტუალის ხასიათთან იყო დაკავშირებული. ღორს ამიერკავკასიაში უკვე ადრესამიწათმოქმედო კულტურაში ვხვდებით. მტკვარ-არაქსის კულტურაში ღორი საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი. მეღორეობას მაიკოპის კულტურაში წამყვანი ადგილი ეკავა[324]. საქონლის რომელ სახეობას, მსხვილფეხას თუ წვრილფეხას, ეკავა უპირატესი ადგილი ჯოგში, საფლავში წარმოდგენილი მასალის საფუძველზე გარკვევით თქმა ძნელია. ერთ-ერთის ნაშთების დომინირება სამარხში, ეგებ უფრო ასახავდეს სიცოცხლეში მიცვალებულის დამოკიდებულებას მესაქონლეობის გარკვეულ დარგთან. უნდა აღინიშნოს, რომ სამარხში ფაუნისტური მასალის პროცენტული რაოდენობა ყოველთვის არ ასახავს ჯოგის შემადგენლობის რეალურ სურათს[325]. უადრეს ყორღანებში წვრილფეხა საქონლის ძვლები უფრო მეტად დიდ ყორღანებში ჭარბობს

---

319. რ. რ ე ს ი შ ვ ი ლ ი, ბ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიაზე, გვ. 122.

320. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ბ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985-1987 წწ.-ის შედეგები, გვ. 160.

321. Ф.Б. М а х м у д о в, Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа. Автореферат, Тбилиси, 1979, стр. 17.

322. В.М. М а с с о н, Экономика и социальный строй древних общества, Ленинград, 1976, стр. 34.

323. А.А. Ф о р м о з о в, О хозяйстве племен майкопской культуры Прикубанья, КСИА, 88, 1962, стр. 29.

А.А. Ф о р м о з о в, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 90.

Р.М. М у н ч а е в, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, стр. 383.

324. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

А.А. Ф о р м о з о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

325. В.М. М а с с о н, დასახ. ნაშრომი, გვ.34.

მსხვილფეხას. ეს იმას ხომ არ მოწმობს, რომ დაწინაურებული წევრის დაკრძალვის რიტუალში ძირითადად წვრილფეხა საქონელი მონაწილეობს. სხვა ყორღანებში თითქოს პირუკუ სურათი ჩანს და მსხვილფეხა საქონლის ძვლები დომინირებს. იმის მიხედვით, თუ რა სახის საქონლის ნაშთები ჭარბობს სამარხში, გაჭირდება გარკვევით თქმა მესაქონლეობის ხასიათის შესახებ. მაგრამ, თითქოს ისე უნდა ჩანდეს, რომ ადრეული ყორღანების ხანაში მსხვილფეხა საქონელს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობაში. მეცხვარეობა, ეგებ, უფრო მეტად საზოგადოების პრივილეგიურ ნაწილში იყო გავრცელებული. დაწინაურება შესაძლოა ამის შედეგი იყო. მეცხვარეობა უფრო მეტად იძლევა ნამატ პროდუქტს; ცხვრის მოვლა უფრო მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მეცხვარეობას ერთნაირად ესაჭიროება საზამთრო და საზაფხულო საძოვარი. ადრეყორღანული კულტურის ხანაში ჩვენში მეურნეობაში მსხვილფეხა საქონელს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ცხვრის რაოდენობა იმდენია ჯოგში, რომ იგი მომთაბარეობას არ ითხოვს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცხვარი უფროა სახარჯო ცხოველი, მეტად იკვლება, განსაკუთრებით კულტთან დაკავშირებით და სამარხში მათი სიჭარბე ზოგჯერ ამითაც აიხსნება[326]; მოზრდილ ყორღანებში ცხვრის ნაშთების სიჭარბე, ეგებ, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ საზოგადოებაში წამყვან ადგილს ძირითადად ჩრდილოეთიდან გადმონაცვლებული პირები იკავებენ, რომლებიც დაკრძალვის თავის წესს ავრცელებენ.

პირველად ეს მოვლენა საზოგადოების ცხოვრებაში მაინცდამაინც შესამჩნევი არ არის და მტკვარ-არაქსის კულტურასთან შეგუების პროცესი მიმდინარეობს. მაგრამ, ჩანს, მათი თანაარსებობა დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. ალბათ მეურნეობრივი ხასიათის ცვლილებებმა საზოგადოების ცხოვრებაზეც იქონია გარკვეული გავლენა. რამდენადმე უფრო ძლიერდება ეკონომიკაში მესაქონლეობის ხვედრითი წონა. ეგებ ამანაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გარკვეულად დააჩქარა მტკვარ-არაქსის კულტურის მიწ ომოქმედი საზოგადოების საბოლოო დაცემა. ადრე ყორღანების ხანაში დაკრძალვის წესში, საერთოდ ჩანს, მაინცდამაინც ჩვეულად არ იყო სამარხში საქონლის ძვლების უხვად ჩატანება, უმთავრესად ატანდნენ მსხვილფეხა საქონლის თავს და წვრილფეხა საქონლის სხვადასხვა ნაწილებს, უმთავრესად კოჭებს. უნდა შეინიშნოს, რომ მაიკოპის კულტურაში, სადაც მესაქონლეობას მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეკავა[327], მაინცდამაინც წესად არ იყო სამარხში საქონლის ნაშთების ჩატანება. საქონლის ძვლები მხოლოდ რამდენიმე ყორღანშია ნაპოვნი[328]. აღსანიშნავია, რომ ჩვენში ადრეულ ყორღანებში სრულიად არ გვხვდება ცხენის ძვლები. არც ჩრდილო-კავკასიის ამ დროის სამარხებშია მისი ნაშთები წარმოდგენილი[329]. თუმცა, ზოგიერთის აზრით, ცხენი კავკასიაში ამ დროისათვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო[330].

კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული ძველი ორმოსამარხების კულტურაში დაახლოებით ასეთივე სურათს ვხვდებით. აქ ცხენის ნაშთები სამარხებში თითქმის

---

326. ი. ციკვანავა. მიწათმოქმედება და სამეწყალთმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976, გვ. 68.

327. А.А. Формозов, О хозяйстве племен майкопской культуры Прикубанья, стр. 32.

Р.М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 382.

328. იქვე, გვ. 322.

329. А.А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 90.

330. Р.М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 383.

სრულიად არ არის წარმოდგენილი. სამაგიეროდ, ამ დროის ნამოსახლარებში ცხენის ძვლებს საკმაოდ ჭარბად ვხვდებით[331]. როგორც აღნიშნავენ, ძველი ორმოსამარხების კულტურაში შემოდის ზოგან წესად საფლავში შინაური ცხოველების ნაშთების ჩატანება[332]. სამარხში უპირატესად ცხვრის თავფეხსა და კოჭებს ატანდნენ, უფრო იშვიათად — ხარის თავ-ფეხს. ღორი თითქმის სრულიად არ გვხვდება[333]. ძველი ორმოსამარხების კულტურაში, ჩანს, მეცხვარეობას უპირატესი ადგილი ეკავა მეურნეობაში. ცხვრის მოვლა უფრო მეტად ცხოვრების მომთაბარულ ხასიათს მოითხოვდა. ცხვრის ნაშთების სიჭარბე სამარხებში ამის ანარეკლი უნდა იყოს.

საქართველოში და, საერთოდ ამიერკავკასიაში, ადრეული ხანის ყორღანებში თითქმის არ გვხვდება მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მასალა. ამიტომ, ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა მეურნეობის ამ დარგის შესახებ. ჩანს, მიწათმოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭერიდა მეურნეობაში. ნიშანდობლივია, რომ ადრეული ყორღანები უპირატესად ბარში და მთიან პლატოებზე გვხვდება, მიწათმოქმედებისათვის ვარგის ადგილებში. საერთოდ, ადრეული ხანის სამარხებში მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მასალა იშვიათადაა წარმოდგენილი. მათ უპირატესად ნამოსახლარ ადგილებში ვხვდებით. სადღეისოდ ცნობილია გვიან მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარები, სადაც ზედა ფენებში აშკარად ჩანს ადრეყორღანულ კულტურასთან თანაარსებობა. ეს ურთიერთობა ეტყობა დიდხანს არ ყოფილა და მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ ცხოვრება აქ აღარ გაგრძელებულა. შესაძლოა ამის ძირითადი მიზეზი მეურნეობის ხასიათის თავისებურება იყო. ადრეყორღანული კულტურის მატარებელი მოსახლეობა, ჩანს, ვერ შეეგუა მტკვარ-არაქსის დროინდელ მყარ, სტაციონარული ტიპის, საცხოვრებელ ადგილს. ამ პერიოდიდან საგრძნობლად იცვლება დასახლების ხასიათი, რომელიც ყორღანული კულტურის არსებობის მთელ მანძილზე გაგრძელდა. არც ადრეყორღანული ხანის და არც თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის დროინდელი ნამოსახლარები დღემდე მაინცდამაინც ცნობილი არ არის. ადრეული ყორღანების უმრავლესობა ჩანს, იმ დროისა უნდა იყოს. როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა მომდევნო ხანის კულტურაზე უთუოდ საგრძნობია. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია ადრეყორღანული კულტურის კერამიკაზე, უპირატესად მარტყოფის ეტაპის თიხის ჭურჭელზე.

სად, როგორ, რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება ადრეყორღანული კულტურის ხანაში მოსახლეობას, მთლად ნათელი არ არის. ადრეყორღანული დროის ნამოსახლარები, სადაც მხოლოდ მარტყოფის ან ბედენის, ან კიდევ ორივე ეს ეტაპი ერთად იყოს აღმოჩენილი, დღემდე არ გვხვდება. სადღეისოდ ამ ხანის სამარხეული ძეგლებია ძირითადად ცნობილი. მაგრამ, არც აქაა მაინცდამაინც მარტყოფის და ბედენის ეტაპებისათვის დამახასიათებელი მასალა ერთად წარმოდგენილი. მარნეულის ველზე აღმოჩნდა ერთი ყორღანი N 5, სადაც ორივე საფეხურის თიხის ჭურჭელი იყო ნაპოვნი. ქვემო ქართლის ბარი საზამთრო საძოვარი იყო, რომელსაც

---

331. Н.Я. М е р п е р т, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья. Москва, 1974, стр. 105.

В.П. Ш и л о в, Очерки по истории древних племен Нижнего Поволжья, Ленинград, 1975, стр. 67.

332. იქვე, გვ.64.

333. Н.Я. М е р п е р т, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

უკვე ადრეყორღანული კულტურის ხანაში იყენებენ ამ მიზნით[334].

მარტყოფის ეტაპის ძეგლები ძირითადად იორ-ალაზნის აუზშია გავრცელებული. აქაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი სიონთან, სადაც წარმოდგენილია ამ ეტაპის მასალა[334]. ივრისპირეთში ძირითადად აღმოჩენილია სამარხეული ძეგლები — მარტყოფში, სამგორში, მაღაროში და სხვ. ალაზნის ველზე ამ დროისა ჩანს ანანაურის N 2 ყორღანი. მარტყოფის ეტაპზე საზოგადოება განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს. ელიტარული ნაწილი, ჩანს, დიდი ფუფუნებით იკრძალებოდა მოზრდილ ყორღანებში. თრიალეთში, წალკის პლატოზე ადრეყორღანული ხანის ორივე ეტაპის სამარხებია ცნობილი. ჩანს, ეს რეგიონი მარტყოფისა და ბედენური ეტაპების დროს ერთნაირადაა ათვისებული.

შიდა ქართლში ადრეყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპის ძეგლები ნაკლებადაა ცნობილი. მესხეთში, სადაც პირველად იყო შენიშნული მტკვარ-არაქსისა და ყორღანული კულტურების თანაარსებობა[335], რამდენიმე ძეგლზე აღმოჩნდა მარტყოფული და ბედენური ეტაპების თიხის ჭურჭელი. შიდა ქართლში სადღეისოდ, მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენიმე ნამოსახლარია ცნობილი, სადაც ბედენისათვის დამახასიათებელი კერამიკა იყო ნაპოვნი[336]. აქაც ისე ჩანს, რომ ეს ორი კულტურა ერთხანს თანაარსებობს. მაგრამ, მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ ცხოვრება არც ამ ნამოსახლარებზე გაგრძელებულა. როგორც ჩანს, ბედენის კულტურის მატარებელი მოსახლეობა აქ ამ ნამოსახლარებს მაინცდამაინც არ ეტანება. შიდა ქართლში, სადღეისოდ, მხოლოდ ორ ნამოსახლარზეა დადასტურებული ამ კულტურების თანაარსებობა. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ შიდა ქართლში, ჩანს, ბედენის კულტურა განაგრძობს არსებობას. აქაც ძირითადად ცნობილია ამ ხანის სამარხეული ძეგლები. ბერიკლდეები, როგორც ფიქრობენ, უფრო საკულტო ხასიათის ძეგლი უნდა ყოფილიყო. ბედენის კულტურა შიდა ქართლში ეტყობა საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს. ცნობილია ამ დროის სამარხები, აქვე გვხვდება საკმაოდ ძლიერი სამლოცველო ადგილი. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ ამ დროისათვის საზოგადოების სოციალურ ურთიერთობაში, ისევე როგორც წინამორბედ კულტურაში[337], ჯერ კიდევ მაინცდამაინც დიდი ცვლილებები არ შეიმჩნევა. შიდა ქართლში დღეისათვის ცნობილი არ არის საზოგადოების ელიტური ნაწილის გამორჩეული, დიდი, მდიდარი ყორღანული სამარხები.

ბედენის კულტურა თანდათანობით უფრო ფართოდ ვრცელდება და დასავლეთით

---

334. ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბილისი, 1975, გვ. 157.

334. Г.И. Мирцхулава, Н.Д. Мирцхулава, Т.Д. Сонгулашвили, Работы археологической экспедиции Иорского ущелья, ПАИ, 1981, Тбилиси, 1984.

Ш.Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы, Труды кахетинской археологической экспедиции, I, Тбилиси, 1969, стр. 57.

335. ა. ორეფონიაძე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბილისი, 1973, გვ. 103.

336. А.Т. Рамишвили, Раскопки в Хашурском районе в 1984-1986 гг. ПАИ в 1986, Тбилиси, 1987, стр. 23.

ა. ორეფონიაძე, შერეულკერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან, თბილისი, 1992, გვ.2. ზ. მახარაძე, ცხინვალის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბილისი, 1994, გვ. 64.

337. Ch. Burney, D. M. Lang, The Peoples of the Hills, Ansient Ararat and Chucasus, London, 1971, გვ. 77.

მისი გავლენა ყვირილის აუზის ზემო წელის რეგიონს აღწევს, საჩხერის ყორღანული სამაროვნების ზედა ფენებში უკვე შეიმჩნევა ბედენური კულტურის ნაკვალევი[338]. შესაძლოა ამის შედეგია კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე შენიშნული ბედენური იერის თიხის ჭურჭლის არსებობა. უფრო ფართოდ ბედენის კულტურა, ჩანს, აღმოსავლეთით ვრცელდება ქვემო ქართლში, განსაკუთრებით კი იორ-ალაზნის აუზში. სწორედ, ამ პერიოდში ჩანს განსაკუთრებით ინტენსიურად ათვისებული ეს რეგიონი. შესაძლოა აქ მოსახლეობის გარკვეული მასის გადმოადგილებასაც ჰქონოდა ადგილი[339]. ბედენის კულტურის გავრცელებასთან ერთად, ჩანს, მარტყოფის ეტაპი აქ აღარ გაგრძელებულა. მაგრამ, ეტყობა, მარტყოფის გავლენა მაინც საგრძნობი უნდა ყოფილიყო, რასაც შედეგად მოყვა ბედენურ კულტურაში საკმაოდ ძლიერი სოციალური ძვრები. ამიერიდან გვხვდება სწორედ ბედენური ხანის მოზრდილი ყორღანები საკმაოდ მდიდარი სამარხეული ინვენტარით. კულტურაში შენიშნული გარკვეული სხვაობის მიუხედავად, ცხოვრების ხასიათში მათ შორის საკმაოდ ბევრია საერთო. ვერც ბედენის კულტურის მატარებელმა მოსახლეობამ შეძლო მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელ ცხოვრების წესთან შეგუება. როგორც ჩანს, ადრეყორღანული კულტურის ორივე ეტაპის შეურნეობის ხასიათში ბევრია საერთო, რამაც განაპირობა, ალბათ ძირითადად, ცხოვრების მსგავსი გზის არჩევანი. შემდეგში მაინც საბოლოოდ ბედენური კულტურა განაგრძობს არსებობას, რომელიც საკმაოდ ფართოდ ვრცელდება კავკასიაში. ეხვდებით მას სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, აზერბაიჯანში[340]. ამ კულტურის ძეგლები შეინიშნება არარატის ველზე[341]. ჩრდილო კავკასიაში ბედენური კულტურის ძეგლები აღმოჩნდა ცენტრალურ[342] და განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში, სადაც იგი საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა[343]. კავკასიის სამხრეთით ადრეყორღანული კულტურა, ჩანს, არ გავრცელებულა. აქ მტკვარ-არაქსის კულტურას შემდეგში მოხატულკერამიკიანი კულტურა ენაცვლება. ამიერკავკასიაში კი მტკვარ-არაქსის კულტურას ყორღანული კულტურა ცვლის.

ადრეყორღანულ კულტურასთან დაკავშირებით, რომლის გამოჩენას ამიერკავკასიაში

---

338. Э.М. Гогадзе, Хронология памятников колхидской культуры эпохи средней бронзы и некоторые вопросы культурной атрибутации вариантов общеколхидской культуры эпохи ранних металлов, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1991, стр. 121.

339. ი.ჯაჯანიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, გვ. 64.

340. Ф.А. Махмудова, Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, стр. 6.

Г. Исмаилова, Раннебронзовая культура Азербайджана, автореферат, Тбилиси, 1983, стр. 15.

341. Г.Е. Арешиян, Маясянские курганы, АО, 1985 г., Москва, 1987, стр. 558.

342. В.А. Ростунова, Куро-араксские могильники Северной Осетии, Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа, Орджоникидзе, 1988, стр. 31.

343. М.Г. Гаджиева, С.Н. Кореневский, Металл Великентской катакомбы, Древние промыслы, ремесло и торговля в Дагестане, Махачкала, 1984, стр. 9.

Р.М. Магомедова, Закавказский керамический импорт в Дагестане и вопросы хронологии памятников эпохи средней бронзы, ХШ, "Крупновские чтения" по археологии Северного Кавказа, Майкоп, 1984, стр. 35.

მნიშვნელოვანი ძვრები მოყვა შედეგად, ბევრ საკითხზე დღემდე მეტნაკლებად სწორი პასუხის გაცემა ჭირს. ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის, საიდან ვრცელდება იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. არც თვით ადრეყორღანული კულტურის შიგნით გამოყოფილ ეტაპებს შორის დამოკიდებულების საკითხია მაინცდამაინც გარკვეული – ერთი კულტურის ლოკალური ვარიანტებია, თუ მათ შორის უფრო ღრმა სხვაობაა საგულისხმო. არც მათ ქრონოლოგიურ ურთიერთობაშია ყველაფერი ნათელი. მტკვარ-არაქსის კულტურასთან დამოკიდებულებით თითქოს ისე ჩანს, რომ ადრეყორღანული კულტურის ორივე ეტაპის გამოჩენა დაახლოებით ერთდროულად უნდა მომხდარიყო მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიაზე. ერთხანს ისინი მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობენ. მაგრამ, შემდეგში, ჩანს, მარტყოფის ეტაპი უპირატესად საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებში ვრცელდება, ბედენი კი უმთავრესად ცენტრალურ ოლქებს მოიცავს. ბედენური კულტურის აღმოსავლეთით განფენას ეტყობა მარტყოფული ეტაპის საბოლოო ჩაქრობა მოყვა შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-კავკასიაში ამ დროს მნიშვნელოვანი კულტურული ძვრები შეინიშნება. ახლებურად შეკდება მაიკოპის და ნოვოსვობოდნაიას ეტაპების თუ კულტურების დამოკიდებულების საკითხი. ვარაუდობენ, რომ მაიკოპის კულტურა ძველაღმოსავლური ცივილიზაციის ნაწილი უნდა ყოფილიყო და მისი თარიღი საკმაოდ შორს გადააქვთ[344]. მაიკოპის კულტურის სამხრეთთან ურთიერთობა ადრეევე იყო აღნიშნული. მაგრამ, სამარხის ტიპი და საერთოდ დაკრძალვის რიტუალი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ყორღანული სამარხი კავკასიის სამხრეთით, ჩანს, მაინცდამაინც არ გავრცელებულა. ეს ტიპი სამარხისა თითქოს უფრო აღმოსავლეთ ევროპის სტეპური ზოლიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირდება. ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე, როგორც აღნიშნავს ზოგიერთი მკვლევარი, უფრო ძლიერდება დასავლური გავლენები, რაც გარკვეულად აისახა კიდეც კულტურაში[345]. იქონიეს თუ არა ამ მოვლენებმა რაიმე გავლენა ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, გარკვევით თქმა ძნელია. მაგრამ. აქაც ამ დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება კულტურის ხასიათში. ფართოდ ვრცელდება ბედენური კულტურა, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გარკვეულ რეგიონებს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ვითარება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში შეინიშნება აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონში, დაღესტანში. ახალმა მოვლენებმა მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოოდ ჩაქრობა გამოიწვია, ჩნდება დაკრძალვის ახალი წესი, ყორღანული ტიპის სამარხი, ძლიერდება მესაქონლეობის როლი, აქტიურდება სტეპის მესაქონლე ტომების გავლენა და სხვ. როგორც ჩანს, ეს ამ დროს კავკასიაში საერთო მოვლენა იყო, აქ მიმდინარე პროცესების შედეგი.

---

344. М.В. А н д р е е в а. К вопросу о южных связях майкопской культуры. СА. 1. Москва. 1977. стр. 39.

В.А. Т р и ф о н о в. Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры. КСИА. 192. Москва. 1987. стр. 21.

345. А.Д. Р е з е п к и н. К интерпретации росписи из гробницы майкопской культуры близ станицы Новосвободной. КСИА. 192. Москва. 1987. стр. 29.

III თავი

მარტყოფის ბედენური კულტურის ყორღანები

მარტყოფში ბედენური კულტურის ორი ყორღანი იყო შესწავლილი. ორივე მარტყოფის ეტაპის ყორღანებთან შედარებით უფრო მომცრო ზომისა იყო; ამ ყორღანების ყრილები საგრძნობლად დაზიანებული აღმოჩნდა, მაგრამ, მაინც ჩანდა, რომ მათ განსხვავებული ხასიათის ყრილი უნდა ჰქონოდათ. შედარებით უკეთ ყრილი შერჩენილი ჰქონდა N 3 ყორღანს, რომელიც ქვა-მიწისაგან შედგებოდა[346]. მართალია, ბედენის კულტურის დროს მიცვალებულებს ისევ ყორღანული ტიპის სამარხებში კრძალავდნენ, მაგრამ ყორღანის კონსტრუქციაში მაინც შეინიშნება გარკვეული სხვაობა. ბედენური ხანის ყორღანების ყრილი მიწიანია ან ქვა-მიწიანი. ამ პერიოდში, თუ არ ჩაეთვლით ბედენზე გათხრილ N 2 ყორღანს[347], თითქმის აღარ ვხვდებით მარტყოფ-სამგორის ჯგუფისათვის დამახასიათებელ ორმაგ ყრილს – ქვის ზვინულს, რომელსაც ზემოდან თიხის სქელი ფენა ადევს. მარტყოფის ბედენური ხანის ყველა ყორღანი ორმოიანი იყო. საერთოდ, ამ დროის ყორღანები ჩვენში უპირატესად ორმოიანია. ორმო ჩვეულებრივ ხის ძელებით იყო გადახურული. ხშირად გადახურვაზე და აგრეთვე იატაკზე ქილობია დაგებული. ზოგჯერ ორმოს კედლები ვერტიკალურად ჩაწყობილ ხის მორებითაა შემაგრებული ან ძელებისაგან შეკრული ნაგებობაა ჩადგმული. მარტყოფის N3 ყორღანის ორმოში კარგად ჩანდა ხის ძელების ნაკვალევი. ყორღანის სამარხ-ორმოში ხის კონსტრუქციის გამოყენება, ჩანს, გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ხანაში[348]. მეკენსკოესთან გათხრილ ერთ-ერთი ყორღანის ორმოში ჩადგმული იყო ხის ნაგებობა[349]. ორმოს კედლებზე ხის ძელების კვალი შეიმჩნეოდა ყაბარდო-ბალყარეთში აულ კუბინოსთან გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში[350]. დაღესტანში, კასპიისპირეთის მხარეში, სოფ. უტამიშთან გათხრილი ყორღანის ორმოში ჩადგმული ხის ნაგებობა აღმოჩნდა[351].

---

346. ო. ჯაფარიძე, გ. აბაშიძე, ა. წერეთელი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1986, გვ. 29.

გ. აბაშიძე, ნ. ფაფიაური, თ. კეკელიძე, გ. კობალაძე, მ. ჩაჩანიძე, ა. წერეთელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989-1990 წლების მუშაობის ანგარიში, არქეოლოგიური კრებული, I, თბილისი, 1994, გვ. 61.

347. გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, გვ. 16.

348. А.Д. Резепкин, Проблемы развития и преемственности культур эпохи ранней и средней бронзы на Северном Кавказе, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 133.

349. Ев. Крупнов, Н.Я. Мерперт, Курганы станицы Мекенской, Древности Чечено-Ингушетии, Москва, 1960, стр. 24.

350. Х.Х. Бидженц, Большой курган у аула Кубина в Карачаево-Черкесии, Северный Кавказ в древности и в средние века, Москва, 1980, стр. 41.

351. Д.Г. Котович, В.М. Котович, С.М. Магомедов, Утамишские курганы, Северный Кавказ в древности и в средние века, Москва, 1980, стр. 44.

თვით მაიკოპის ყორღანში ორმოს კედლები ხის ძელებით იყო შემოწყობილი[352]. ორმოს კედლების ვერტიკალურად ჩადგმული ძელებით შემაგრება, ჩანს, ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის იყო დამახასიათებელი[353].

მართალია, ბედენის კულტურაში სამარხის ძირითადი ტიპი ისევ ყორღანია, ოღონდ დაკრძალვის რიტუალში ზოგი რამ ახალი შეინიშნება. ახლა საკმაოდ ფართოდ ვრცელდება მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან დაკრძალვის წესი. სამარხში ან მთლიანი ეტლია ჩატანებული, ან კიდევ ეტლის რომელიმე ნაწილი, უპირატესად ბორბალი. ზოგჯერ ხის ცუდი დაცულობის გამო ყორღანის ძირზე მხოლოდ ეტლის ნაკვალევი შეიმჩნევა. ჯერ კიდევ ბ.კუფტინმა ხის ეტლის კვალი შენიშნა თრიალეთში გათხრილ XI და "შწვანე" ყორღანებში[354]. ბედენის პლატოზე გათხრილ სამ ყორღანში NN 5, 8, 10 ხის მთლიანი ოთხთვალა ურმები იყო ჩადგმული[355].

შიდა ქართლში გათხრილ ბედენის კულტურის დროინდელ ყორღანში ურემი არ აღმოჩენილა, მხოლოდ მისი ნაკვალევი ჩანდა ბერიკლდეების ყორღანში[356]. ეტლის კვალი შეიმჩნეოდა თითქოს გორთან გათხრილ ხელთუბნის ერთ-ერთ ყორღანში[357].

იორ-ალაზნის ორმდინარეთში ბედენური კულტურის ხანაში საკმაოდ გავრცელებული იყო მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი. მარტყოფის N 3 ყორღანში ორმოს ძირზე ღრმულები აღმოჩნდა, რომლებშიაც კარგად შეიმჩნეოდა ხის ნაწილები, ალბათ ხის ურმის თვლების ნაშთი[358] (სურ.23). იერისპირეთში გათხრილ ზოგიერთ ყორღანში ჩანდა ხის ეტლის ნაკვალევი. ხის ეტლის ნაშთი აღმოჩნდა კაჭრეთთან გათხრილ ყორღანში[359]. ზეიანთან შესწავლილ ყორღანში თითქოს ჩანდა ხის ეტლის კვალი, მაგრამ სამარხეული ინვენტარი უფრო მარტყოფის ეტაპისათვისაა დამახასიათებელი[360]. ამიტომ, ცოტა არ იყოს ეჭვს იწვევს აქ ოთხთვალა ეტლის არსებობა.

ალაზნის ველის სამივე დიდ ყორღანში მიცვალებულები ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაიკრძალნენ. წნორის N 1 ყორღანში, ჩანს, ეტლის მხოლოდ ერთი თვალი იყო ჩატანებული, რომელიც ორმოს დასავლეთ კედლის შუა ნაწილში იყო მიყრდნობილი[361].

---

352. Р.М. М у н ч а е в. Кавказ на заре бронзового века, стр. 212.

353. Г. Ч а й л д. У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, стр. 215.

354. Б.А. К у ф т и н. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси, 1948, стр. 23.

355. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 42,93,99.

356. ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ე ქ ო რ ი ძ ე, ა. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1986, გვ. 60.

357. Г. М и н д и а ш в и л и. Археологическая экспедиция в Горийском районе. ПАИ, 1982, Тбилиси, 1985, стр. 37.

358. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-81 წლების მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1986, გვ. 31.

359. К.Н. П и ц х е л а у р и, Н.Ф. М а м а и а ш в и л и и др. Кахетинская археологическая экспедиция, ПАИ, в 1981 г., Тбилиси, 1984, стр. 27.

360. К.Н. П и ц х е л а у р и, Н.Ф. М а м а и а ш в и л и, В.Г. М а и с у р а д з е и др. Кахетинская археологическая экспедиция, ПАИ в 1982 г., Тбилиси, 1985, стр. 22.

361. Ш. Д е д а б р и ш в и л и, Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979, стр. 22.

N 2 ყორღანში ხის ოთხთვალა ეტლი დამღილი სახით უნდა ჩაედგათ სამარხის ცენტრში[362]. ბაკურციხის ყორღანის შუა ნაწილში ხის ეტლი უნდა მდგარიყო[363]. ეტლის ნაკეალეები აღმოჩნდა ანაგის ყორღანის ცენტრალურ ნაწილში[363'].

ბედენის კულტურისათვის დამახასიათებელი ეტლების ცუდი დაცულობის გამო, ძნელია მათი კონსტრუქციის შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა. მართალია, ბედენში აღმოჩენილი ერთ-ერთი ეტლის რეკონსტრუქციის ცდა იყო, მაგრამ არა გვგონია, რომ იგი საბრძოლო დანიშნულებისა ყოფილიყო[364]. ეს ეტლებიც, ისევე როგორც მომდევნო ხანის თრიალეთური კულტურის ეტლები, ძირითადად ალბათ საკულტო ეკიპაჟთა რიგს მიეკუთვნებოდნენ[365]. უფრო მართებული ჩანს მოსაზრება, რომ ბედენის ეს ეტლი სატრანსპორტოდ ნაკლებ გამოსადეგი იყო, უფრო მიცვალებულის გასატანებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. თვით ეტლის კონსტრუქცია მის არაპრაქტიკულ დანიშნულებას უნდა მოწმობდეს[366]. ამასვე მეტყველებს აგრეთვე თვით ეტლის თვლები, მათი სამივე ნაწილი მუხის ხისა იყო. როგორც თანამედროვე ეთნოგრაფიული სინამდვილიდან ჩანს, მუხას ბორბლისათვის მაინცადამაინც არ იყენებენ. მუხა მართალია ხის მაგარი ჯიშია, მაგრამ მყიფეა და ადვილად ტყდება[367]. სწორი უნდა იყოს ის აზრი, რომ კავკასიურ ადრეულ ეტლებში, მასიური თვლებით, გამწევი ძალა ხარი უნდა ყოფილიყო, რაც გამორიცხავს საბრძოლო მიზნისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობას[368]. როგორც ჩანს, ბედენური ხანის ეტლები თრიალეთური კულტურის ეტლებისაგან კონსტრუქციულად მაინცდამაინც არ განსხვავდებოდნენ. წინა აზიაში, ჩანს, ხის ოთხთვალა ეტლს საკმაოდ ადრინდელი ხანიდან იყენებენ საბრძოლველად, მაგრამ მათში ექვიდები, ონაგრებია შებმული[369].

მართალია, ჩვენში ყორღანულ სამარხებში ნაპოვნი ხის ეტლების სრული კონსტრუქციის შესახებ გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ყველას, დღემდე ცნობილ ეტლებს როგორც ბედენური, ისე თრიალეთური კულტურებისა, სამი ნაწილისაგან შემდგარი თვლები ჰქონდათ. სავარაუდოა, რომ სხვა დეტალებშიც მათ შორის რამე მნიშვნელოვანი სხვაობა არ უნდა ყოფილიყო. ყველა ეს ეტლი, ჩანს, არაპრაქტიკული დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო და საკულტო ეკიპაჟთა რიგს განეკუთვნებოდნენ. ამაზე უნდა მეტყველებდეს ბედენის და თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი შედარებით უკეთ შემონახული

---

362. იქვე. გვ. 40. ნ. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება, 1973 წ., თბილისი, 1974, გვ. 22.

363. К.Н. П и ц х е л а у р и, Исследования кахетинской археологической экспедиции. ПАИ, 1980, Тбилиси, 1982, стр. 18.

363'. К.Н. П и ц х е л а у р и, Н.Ф. М а м а н а ш в и л и и др. Археологические исследования кахетинской археологической экспедиции. ПАИ, в 1979 г., Тбилиси, 1982.

364. კ. შ ე ლ ი თ ა ვ რ ი, ოთხთვლიანი სამარი ეტლი ძველ საქართველოში, ძეგლის მეგობარი, 21, თბილისი, 1970, გვ. 8.

კ. შ ე ლ ი თ ა ვ რ ი, ურმისა და ეტლის შესახებ ძველ საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 56, N 1, თბილისი, 1969.

365. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957-1958 წწ. თბილისი, 1960, გვ. 17.

366. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

367. შ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბილისი, 1956, 61.

368. M.B. Г о р е л и к, Боевые колесницы Переднего Востока III-II - тысяч. до. н.э. Древняя Анатолия, Москва, 1985, стр. 191.

369. იქვე. გვ. 188, М.П. К о ж и н, К проблеме происхождения колесного транспорта. Древняя Анатолия, Москва, 1985, стр. 173, 175.

ხის ოთხთვალა ეტლების კონსტრუქციის ხასიათი[370].

არც წინა აზიის ადრეული ეტლების კონსტრუქციის შესახებაა ყველაფერი ნათელი, მათი შედარებით ცუდი დაცულობის გამო. აქაც ადრეული ეტლების თვლები სამი ნაწილისაგან შედგებოდა[371]. სამნაწილადი თვლებია დამახასიათებელი სამხრეთ რუსეთის სტეპებში, ძველი ორმოსამარხების და კატაკომბურ კულტურებში გავრცელებული ეტლებისთვის. ეს უძველესი კონსტრუქცია ეტლის თვლებისა, თითქოს ყველაზე რაციონალური უნდა ყოფილიყო[372]. აღსანიშნავია, რომ გ. ჩაილდმა თავის დროზე მონოცენტრისტულ, ეტლის ერთი ცენტრიდან გავრცელების კონცეფციას, რომელმაც ფართო აღიარება მიიღო, ეტლის კონსტრუქციაში არსებული მსგავსება დაუდო საფუძვლად. განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ეტლის თვლების სამნაწილად ხასიათს მიექცა. ხის ეტლის გავრცელების ფართო არეალში სამი ნაწილისაგან შემდგარი თვალი იყო დამახასიათებელი[373].

საერთოდ ეტლი კონსტრუქციულად ძირითადად ინარჩუნებს თავის სახეს, რაც მისი სხვადასხვა რეგიონებში წარმოშობის შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა[374]. ძველ აღმოსავლეთში ეტლის გამოსახულება, ჩანს, ჯერ კიდევ ძ.წ. IV ათასწლეულიდანაა ცნობილი. ძ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან ხის ოთხთვალა და ორთვალა ეტლები ნაპოვნია ურის, კიშის, სუზის და სხვა დიდებულთა სამარხებში[375]. ძ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხის ეტლები ვრცელდება როგორც წინა აზიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ზოგიერთი ავტორის აზრით ცენტრალურ ანატოლიაში, ალაჯაჰუიუკის დიდებულთა სამარხებში ხის ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალი იყო ცნობილი[376]. მაგრამ მახლობელი აღმოსავლეთიდან ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელების შესახებ სხვადასხვა ვარაუდებია გამოთქმული. ერთ-ერთი ყველაზე მიღებული აზრია, რომ სამხრეთიდან კავკასიაზე გაელით ეტლი

---

370. გ. ბ ო ბ ო ვ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

371. Г. Ч а й л д, Древний Восток в свете новых раскопок, Москва, 1956, стр. 230 .

G.L. W o o l l e y, Ur excavations,Vol. II. გვ. 41.

St. P i g g o t t, A T r i p a r t i t e, Disc Wheel from Blair Drummond, Perthshire, Reprited from the Proceedinge of the Society of Antiquaries of Scotland. Vol. XC, Session 1956-57.

M. L i t t a u e r and J. C r o u w e l, The origin and diffusion of the cross-bar Wheel, Atiquity, LI, 1977, გვ. 96

372. Е.Е. К у з ь м и н а, Колесный транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения южнорусских степей. ВДИ, 4. Москва, 1974, стр. 70.

S. P i g g o t, The Earliest Wheeled Vehicles and the Caucasian Evidence, The Prehistorie Societi, Vol. XXXI V,8, 1968, გვ. 268.

373. Г. Ч а й л д, დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

V.G. C h i l d e, The First Waggons and Carts from the Tigris to the Severn, The Prehistoric Society, XVII, 2, 1951, გვ 177.

M. L i t t a u e r and J. C r o u w e l, დასახ. ნაშრომი, გვ 96.

374. П.М. К о ж и н, О глиняных моделях колес из Баланопского могильника, СА, 4, Москва, 1964, стр. 176.

375. Г. Ч а й л д, დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

G. M a n s f e l d, Graben mit Wagenbeigaben vom Frühdynasticum des Vorderen Orients bis zur Hallstatzeit Mitteleuropas, Posavki Muze. Brezice, 6, Brezice, 1984.

376. F. M e l l a r t, The Chalcolithic and Earle Bronze Age in the Near East and Anatolia, Beierut, 1966, გვ.155.

W. O r t h m a n n Zu den "Standarten" aus Alaca Hüyük. Instambuler Mitteilungen, Bd. 17,19, 67; გვ. 36.

სამხრეთ რუსეთის სტეპური ზოლის გზით ევროპაში ვრცელდება[377]. ჩრდილო მესოპოტამია, ზაგროსის მხარე და კავკასიის ტყის მასივები შესაძლოა ყოფილიყო ის სავარაუდო რეგიონი, სადაც საფუძველი უნდა ჩაყროდა ბორბლიან ტრანსპორტს. აქ უხვად მოიპოვებოდა ხის მაგარი ჯიშები და მეტალურგიაც სათანადო დონეზე იდგა[378]. ამ მხარეში კარგადაა ცნობილი ხის დამუშავებასთან დაკავშირებული ლითონის იარაღი.

ბორბლიანი ტრანსპორტის წარმომავლობის და გავრცელების გზების შესახებ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი უფრო იმ აზრისაა, რომ ხის ეტლი სხვადასხვა ადგილას დამოუკიდებლად უნდა წარმოქმნილიყო. ინდოევროპულ ენებში უკვე აღრეული ხანებიდან ჩანს ეტლთან დაკავშირებული ტერმინები და ურემი ევროპაში ამ ენებზე მოლაპარაკე ტომებს უნდა გავრცელებინა[379]. გამოითქვა მოსაზრება, რომ როგორც სხვა მოწინავე იდეები, ეტლის შავიზღვისპირეთის ჩრდილო ზოლში მეორე რიგის ცივილიზაციების ზონიდან შესაძლო გავრცელების შესახებ[380]. ისიც აღინიშნა, რომ დასავლეთ შავიზღვისპირეთში, დნესტრ-დუნაის არეალში, ოთხთვალა ეტლი ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყო[381]. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ეტლი სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში წინაზაიიდან, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ რეგიონებიდან, შუა აზიიდან ვრცელდება[382]. აქ ეტლი წინა აზიიდან შესაძლოა უკვე ძ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში შემოდის და განვითარების თავისებური, დამოუკიდებელი გზა განვლო. შემდეგში აქედან იგი უფრო მოგვიანებით სამხრეთ-რუსეთის სტეპურ ზოლში ვრცელდება[383]. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ეტლი წინა აზიიდან ბალკანეთის გზით ვრცელდება, სადაც საკმაოდ ადრეული თიხის ოთხთვალა ეტლის მოდელებია ცნობილი[384]. გვიან ტრიპოლიეს კულტურაში ეტლი, ჩანს, ბალკანეთიდან შემოდის[385]. უფრო ის აზრი დომინირებს, რომ ხის ეტლი ევროპაში კავკასიიდან ვრცელდება. აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში აღმოჩენილი ეტლების ხის ანალიზმა კავკასიური წარმომავლობა უჩვენა[386]. ისიც კი ითქვა, ეტლების ხის ანალიზის საფუძველზე,

---

377. S. P i g g o t t, The Begining of Wheeled Transport, Scientific American Vol. 219, N 1, 1968, გვ. 85.

F. H a n c a r, Das Pferd in prähistorische und frühhistorische Zeit, Wien, 1955, გვ. 533.

Г. К л а р к, Доисторическая Европа, Москва, 1953, стр. 301.

378. Т.В. Г а м к р е л и д з е, Вяч. Вс. И в а н о в, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, стр. 717, 733.

St. P i g g o t t, The Earliest Wheeled Vehicles and the Caucasus Evidence, გვ.309.

379. A. K a m m e r h u b e r, Hippologia Hethitica, Wislander, 1961, стр. 27.

А.Т. Д е г т е р е в а, Пути развития современной лингвистики, I, Москва, 1961, стр. 381.

380. Е.Е. К у з ь м и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

381. И.М. Ш м а г л и й, Погребение раннего бронзового века с повозками в курганах Северо-Западного Причерноморья, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 103.

382. Т.В. Г а м к р е л и д з е, Вяч. Вс. И в а н о в, დასახ. ნაშრომი, стр. 734, 949.

383. Е.Е. К у з ь м и н а, Этапы развития колесного транспорта Средней Азии в эпоху энеолита и бронзы, ВДИ, 4, Москва, 1980, стр. 22.

384. П. К а л а н и ц, Новые находки моделей повозки эпохи энеолита из окрестностей Будапешта, Москва, 1976, стр. 114.

385. Т.Г. М о в ш а, К вопросу о колесном транспорте в Трипольской культуре, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 103.

386. М.В. Г о р е л и к, Боевые колесницы Переднего Востока III-II тысяч. до н.э., Древняя Анатолия, Москва, 1985, стр. 191.

რომ სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში, კატაკომბურ კულტურაში მზა ეტლები კავკასიიდან უნდა შემოეტანათ[387]. ვარაუდობენ, რომ კავკასიას ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა სტეპში წინა აზიიდან მნიშვნელოვანი ტექნიკური იდეების და მათ შორის ეტლის გავრცელებაში[388]. გამოითქვა მოსაზრება, რომ მაიკოპის კულტურის მატარებელმა ტომებმა შემოიტანეს სამხრეთიდან კავკასიაში და შემდეგ ევროპაში გაავრცელეს ბორბლიანი ტრანსპორტი[389]. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში უფრო მეტად იგრძნობა მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა, ვიდრე მაიკოპისა; ამის ერთ-ერთ საბუთად მოტანილია ის, რომ მაიკოპის კულტურაში არც ბორბლის თიხის მოდელები და არც თვით ეტლი ცნობილი არ არის[390]. მტკვარ-არაქსის კულტურაში კარგადაა წარმოდგენილი ეტლის თვლის თიხის მოდელები.

მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი გავრცელებული იყო ძველი ორმოსამარხების და კატაკომბური კულტურების მატარებელ ტომებში. ეტლები სამარხში უპირატესად დაშლილი სახით შეჰქონდათ ან რომელიმე მის ნაწილს, უფრო მეტად კი ბორბალს, ატანდნენ, ზოგჯერ თვლები ოთხივე კუთხეში იდო და თითქოს ეტლის იმიტაცია იქმნებოდა[391]. ეტლიანი სამარხების აღმოჩენის სიხშირით განსაკუთრებით ყუბანისპირეთი გამოირჩევა[392]. აღსანიშნავია სტ. ნოვოტიტოროვასთან შესწავლილი ყორღანები, სადაც ხის ეტლის ნაკვალევი თითქმის ყველა სამარხში აღმოჩნდა[393]. დაკრძალვის მსგავსი რიტუალი დამოწმებულია ყუბანისპირეთის სხვა რეგიონებში აღმოჩენილი ძველი ორმოსამარხების კულტურის ყორღანებში[394]. საერთოდ ეტლთან მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალი კარგადაა ცნობილი ორმოსამარხების და კატაკომბური კულტურების გავრცელების არეალში — შავიზღვისპირეთის სტეპურ ზოლში, აზოვისპირეთში, კალმიკეთში, ვოლგისპირეთში, კავკასიისპირეთში და სხვ. ეტლიანი ტრანსპორტი ცენტრალურ ევროპაში ძველი ორმოსამარხის კულტურის

---

387. ЕЕ. К у з ь м и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

388. В.А. Т р и ф о н о в, Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры. КСИА, 192, Москва, 1987, стр. 23.

389. Н.А. Н и к о л а е в а, В.А. С а ф р о н о в, Проблемы появления колесного транспорта в Европе. Древнейшие повозки Восточной Европы. Выделение Днестро-Кубанской культуры - культуры древнейших кочевников Восточной Европы. Кочевники Азово-Каспийского междуречья, Орджоникидзе, 1983, стр. 63.

390. Н.Н. Ч е р е д н и ч е н к о, О некоторых аспектах развития экономики раннебронзового века в степном Причерноморье. Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 75.

391. В.А. Т р и ф о н о в, Погребения с повозками эпохи палеометалла в степном Прикубанье. Новые экспедиционные исследования археологов Ленинграда, 1983, стр. 28.

392. В.С. Б о ч к а р е в, Э.С. Ш а р а ф у т д и н о в а, А.Д. Р е д е н к и н, В.А. Т р и ф о н о в, Г.Н. Б е с т у ж е в, Работы Кубанской экспедиции 1978-1980 гг. Древние культуры Евразийских степей, Ленинград, 1983, стр. 86.

393. В.И. К о л е н к о в а, Новые материалы по бронзовому веку в Западном Предкавказье. КСИА, 134, Москва, 1973, стр. 60.

394. В.С. Б о ч к а р е в, Э.С. Ш а р а ф у т д и н о в а, А.Д. Р е д е н к и н, В.А. Т р и ф о н о в, Г.Н. Б е с т у ж е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

В.А. Т р и ф о н о в, О смене обрядовых групп погребений в степном Прикубанье. Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 66.

მატარებელ ტომებთან კონტაქტის შედეგად ვრცელდება[395]. ეს სამარხები უპირატესად ღარიბულ ინვენტარს შეიცავდა. მაგრამ, ჩანს, რომ ეტლიანი სამარხები მაინც მიცვალებულის გარკვეული სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და, ალბათ, დაწინაურებულ პიროვნებას ეკუთვნოდა[396], რომლებიც ქონებრივად ეტყობა ჯერ კიდევ მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა რიგითი წევრისაგან. ეტლიანი სამარხების ინვენტარის ხასიათი ხშირ შემთხვევაში თითქმის იგივე იყო, როგორიც ჩვეულებრივი სამარხებისა[397]. ეტლიანი სამარხები, ჩანს, მაინც მიცვალებულის გარკვეული სოციალური რანგის მანიშნებელი იყო. ხის ეტლი უტყეო სტეპის ზოლში, ალბათ, საკმაოდ ძვირად ფასობდა[398]. ძველიორმოსამარხების კულტურაში დაკრძალვის ამ რიტუალის ფართოდ გავრცელება შესაძლოა იმითაც იყო განპირობებული, რომ ბორბლიან ტრანსპორტს მომთაბარულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა[399]. სამარხში ეტლის ჩატანების იდეა ეგება აგრეთვე გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდებოდა[400].

ყუბანისპირეთში ხის ეტლები ძირითადად ძველი ორმოსამარხების კულტურის ყორღანებში გვხვდება. აქ მაიკოპის კულტურის დროინდელ სამარხებში ხის ეტლის არსებობის რაიმე ნიშანი დამოწმებული არ არის. ისეთ, შედარებით მდიდრულ ყორღანებში, როგორიცაა: მაიკოპის, ნოვოსვობოდნაიას, ნალჩიკის, კიმპეკის და სხვ. ეტლის ნაკვალევი შენიშნული არ იყო. გამოითქვა მოსაზრება, ჩანს არცთუ მაინცდამაინც სარწმუნო, რომ ყუბანისპირეთში ძველიორმოსამარხების კულტურის მატარებელი მოსახლეობა შეადგენდა ძირითად ელემენტს, ნოვოსვობოდნაიასი კი — მოსულს[401]. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, კასპიისპირეთის დაღესტანში სოფ. უტამიშთან, აღმოჩნდა ყორღანები, სადაც ოთხთვალა ეტლზე ხის სარკოფაგი იდგა[402]. ჩანს, ჩწორედ აღინიშნა, რომ ამ დროს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში საკმაოდ ახლო კავშირია ბედენის კულტურასთან და ეტლის გამოჩენა აქ ეგებ ამ ურთიერთობის შედეგი იყოს[403].

ჩვენში და, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან დაკრძალვის რიტუალი ბედენის კულტურის ხანაში ვრცელდება. ადრეყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპზე დასაფლავების ეს წესი, ჩანს, ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო. მარტყოფის, სამგორის, მაღაროს და სხვ. ამ დროის ყორღანებში,

---

395. Е.Е. К у з ь м и н а. Колесный транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения Южнорусских степей. стр. 78.

396. იქვე. გვ. 85.

397. В.А. Т р и ф о н о в. დასახ. ნაშრომი. გვ. 28.

398. В.М. М а с с о н. Экономика и социальный строй древних обществ. Ленинград, 1976. стр. 34.

111. Ч е р е д н и ч е н к о. დასახ. ნაშრომი. გვ. 74.

399. В.П. Ш и л о в. Очерки по истории древних племен Нижнего Поволжья. Ленинград, 1975. стр. 81.

400. В.С. Б о ч х а р е в, Э.С. Ш а р а ф у т д и н о в а, А.Д. Р о г е н к и н, В.А. Т р и ф о н о в, С.Н. Б е с т у ж е в. დასახ. ნაშრომი. გვ. 86.

Е.Е. К у з ь м и н а. დასახ. ნაშრომი. გვ. 85.

401. В.С. Б о ч х а р е в, Э.С. Ш а р а ф у т д и н о в а. დასახ. ნაშრომი. გვ. 86.

402. В.Г. К о т о в и ч, В.М. К о т о в и ч, С.М. М а г о м е д о в. Утамышские курганы. Северный Кавказ в древности и в средние века. Москва, 1980. стр. 43.

403. იქვე. გვ. 54.

სადაც ხის ნაშთები თითქმის ყველგან შედარებით კარგად იყო გადარჩენილი.ეტლის ნაკვალევი არ შენიშნულა. როგორც ჩანს, ყორღანული ტიპის სამარხი ჩრდილოეთიდან კავკასიაში უფრო ადრე ვრცელდება, ვიდრე იქ ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი შემოვიდოდა. მაიკოპის ეტაპზე, ჩანს, ეს წესი ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო. ჩვენშიც მარტყოფის ეტაპზე ეტლიანი ყორღანები არ გვხვდება. ეს წესი პირველად ბედენის კულტურაში ვრცელდება. იყო თუ არა ხის ეტლი ცნობილი წინარე მტკვარ-არაქსის კულტურის დროს, გარკვევით თქმა ძნელია. მართალია, ამ პერიოდის ზოგიერთ ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის დისკოები ეტლის ბორბლის მოდელებადაა მიჩნეული, მაგრამ მათ შესახებ განსხვავებული აზრიც არსებობს[404]. ამ დროის სამარხებში ხის ეტლის ნაკვალევი დამოწმებული არ არის და არც ეტლის თელის მოდელებია აქ ნაპოვნი. ამის მიზეზი შესაძლოა ისიც ყოფილიყო, რომ საზოგადოების დიფერენციაცია სუსტი იყო და ეტლი დაკრძალვის რიტუალში ჯერ კიდევ არ მონაწილეობს. რაც შეეხება საჩხერეში აღმოჩენილ T-ს მაგვარ ქინძისთავს, სადაც თითქოს ეტლში შებმული ხარია გამოსახული, იგი სულაც შეიძლება ბედენური კულტურის დროინდელი იყოს. ყვირილის აუზის ყორღანული სამაროვნების გვიანი სამარხების ინვენტარში ბედენის კულტურასთან ურთიერთობა შეინიშნება. არც ის უნდა იყოს მართებული, რომ ამ ქინძისთავზე თითქოს მაინცადამაინც ორთვალა ეტლი უნდა იყოს გამოსახული[405]. აქ სიმბოლურადაა გადმოცემული ეტლი შიგ შებმული ხარით. ამიერკავკასიაში, ჩანს, თავიდანვე ხის ოთხთვალა ეტლი ვრცელდება. ორთვლიანი ეტლი ჩვენში არც ადრე და არც შუა-ბრინჯაოს ხანაში ცნობილი არ უნდა ყოფილიყო. არა გვგონია მართებული იყოს, რომ ორბორბლიანი ეტლის ადრე გავრცელებას თითქოს უნდა მოწმობდეს აზერბაიჯანში, ტელმანაკენტის ყორღანში, აღმოჩენილი თიხის ორი ბორბალი[406]. მას პირველად ამიერკავკასიაში, ჩანს, მომდევნო გვიანბრინჯაოს ხანაში ეხვდებით[407] არც ის უნდა იყოს სწორი, რომ საქართველოს რელიეფის გამო აქ თითქოს ადრეეე უნდა დამკვიდრებულიყო ორთვალა საბიდი[408].

ძველი ორმოსამარხების კულტურაში, მართალია შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც, ვხვდებით ორბორბლიან ეტლს. აქ უფრო მეტად ოთხბორბლიანი ეტლებია ცნობილი[409]. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ეტლი ამ კულტურაში იმ რეგიონიდან უნდა შემოსულიყო, სადაც ადრეეე იყო ცნობილი ბორბლიანი ტრანსპორტის ეს ორიეე სახეობა. სავარაუდოა, ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელების ერთ-ერთი რეგიონი კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე შუა აზიის მხარე ყოფილიყო, სადაც ადრე ჩანს როგორც ოთხბორბლიანი, ისე ორთვალა ეტლები. როგორც აღინიშნა, ბორბლიანი ტრანსპორტის დასავლეთით გავრცელების ერთ-ერთ გზას, შავიზღვისპირეთის სტეპურ

---

404. Ch. B u r n e y, D. L a n g, The Peoples of the Hills. Ancient Ararat and Caucasus, London, 1971, გვ. 74.

405. E.E. K u z ь m i n a, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

406. Ф.А. M a k i y e v a, Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа. Автореферат, Тбилиси, 1979, стр. 17.

407. ო. ჯ-ფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1957-1958 წწ., გვ. 20.

408. ვ. გ ე ბ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956, გვ. 35.

409. M.B. Г о р е л и к, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

И. М. Д ь я к о н о в, Арийцы на Ближнем Востоке: конец мифа, ВДИ, 4, Москва, 1970, стр. 42.

ზოლში, აქედან ვარაუდობენ[410]. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქ უპირატესად ეტლების თიხის მოდელები გვხვდება, თანაც უმთავრესად ნამოსახლარებზე; საკუთრივ ბორბლიანი ტრანსპორტის ნაშთები მაინცადამაინც ცნობილი არ არის[411]. საიდან ჩნდება კავკასიის ჩრდილოეთით მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი, მთლად ნათელი არ არის. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს წესი დაკრძალვისა სამხრეთიდან მოდის. როგორც ზემოთ ითქვა, ფიქრობენ, რომ ეტლის აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი გზა წინა აზიიდან კავკასიაზე გადიოდა. ზოგიერთი მკვლევარი, დაკრძალვის რიტუალში მსგავსებასთან დაკავშირებით, სამხრეთიდან ჩრდილოეთით ეთნიკურ გადაადგილებას ვარაუდობს[412]. ბორბლიანი ტრანსპორტი და ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის წესი კავკასიაში და სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში დაახლოებით ერთდროულად ვრცელდება, გაცილებით გვიან, ვიდრე წინა აზიაში. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბედენის კულტურაში თითქოს შეირწყა ტრადიციები – ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის ძველაღმოსავლური წესი და ჩრდილოეთიდან მომდინარე იდეა ყორღანების აღმართვისა. დაახლოებით იგივე აზრი იყო გამოთქმული მაიკოპის ყორღანის და ალაჯას სამარხების შესახებ, სადაც თითქოს შეინიშნება ჩრდილოური და სამხრეთული გავლენები[413]. ყორღანი რომ ჩრდილოური მოვლენა უნდა ყოფილიყო, თითქოს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, საიდან ვრცელდება ამიერკავკასიაში ყორღანულ სამარხში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი, მთლად ნათელი არ არის. შეიძლება გვეფარაუდა, რომ ეს იდეა ყორღანული ტიპის სამარხთან ერთად ჩრდილოეთიდან მომდინარეობს, სადაც ეს წესი საკმაოდ ადრე ჩანს. აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, რომ ოქრის მონაწილეობა დაკრძალვის წესში ჩრდილოეთიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირდება. ისიც, რომ ჩვენში ორბორბლიანი ეტლი ჯერჯერობით ცნობილი არ არის და ძირითადად ოთხბორბლიანი ურემი ვრცელდება, თითქოს ერთგვარად მხარს უფრო ამ შეხედულებას უჭერს. ნიშანდობლივია, რომ არც ჩრდილოეთით და არც ჩვენს ყორღანებში არ გვხვდება სპილენძის თუ ბრინჯაოს ლურსმნები, რომლებიც ხშირადაა წინა აზიის სამარხეულ ძეგლებზე წარმოდგენილი[414]. ამ ლურსმნებით ჩანს სამარხში ჩატანებული ეტლის ბორბლებზე ტყავის სალტეები მაგრდებოდა. აღსანიშნავია, რომ ბედენის და ჩრდილოეთით გავრცელებული კულტურების სამარხეული ინვენტარის შემადგენლობა ხშირად ხასიათით საკმაოდ ახლოა. ორივეგან გვხვდება სამარხები, რომლებშიც წარმოდგენილია: ცულები, ბრტყელი ცული, სატეხი, სატევრის პირი, სადგისი თუ ისრის პირი და სხვ. აქ უპირატესად იარაღის ფუნქციური დანიშნულება იგულისხმება და არა

---

410. Т.В. Г а м к р е л и д з е, Вяч. Вс. И в а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

411. Е.Е. К у л ь м и н а, Этапы развития колесного транспорта Средней Азии в эпоху энеолита и бронзы, ВДИ, 4, Москва, 1980, стр. 20.

412. Ф и с е н к о, Погребальный обряд племен катакомбной культуры Юго-Востока, Археологический сборник, Саратов, 1966, стр. 83.

413. В.М. М а с с о н, Древние гробницы вождей на Кавказе, Кавказ и Восточная Европа в древности, Москва, 1973, стр. 108.

Ch. B u r n e y, D. L a n g, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

414. Г. Ч а й л а, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

ОМ. Г о р е л и к, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

მათი ტიპოლოგიური მსგავსება. საინტერესოა, რომ ამ რიგის სამარხებში ხში'.ად ავირფასი ლითონის სამკაული, უპირატესად სასაფეთქლე ხვიები ან რგოლებია წარმოდგენილი. ამ სამარხებში ჩატანებული შრომის იარაღები თითქოს უფრო ხით ხეროობას უკავშირდება. შესაძლოა მართლაც ხეროობა ამ დროს პრესტიჟული დარგი იყო[415]. მარტყოფის NN 3 და 5 ყორღანებში შრომასთან დაკავშირებული, დაახლოებით ერთი ტიპის იარაღები აღმოჩნდა – მოზრდილი ღარიანი სატეხი, ჟუამილიანი ცული, ბრტყელი ცული და სხვა[416] (სურ. 25; 28. ტაბ. XXIII). ასეთივე იარაღები ნაპოვნი იყო თეთრი წყაროს N2 ყორღანში[417]. ბედენის N5 ყორღანში სატეხი და ბრტყელი ცული იდო[418]. ინვენტარის ხასიათით ეს სამარხები განსაკუთრებით უახლოვდებიან ნოვოსვობოდნაიას საფეხურის ყორღანულ სამარხებს. აქაც ხშირად გვხვდება ცულები, სატეხები, ბრტყელი ცულები და სხვა. ზოგჯერ ოქროს სამკაული, უპირატესად ხვიები[419]. სტავროპოლის მხარეში შესწავლილ ნოვოსვობოდნაიას ეტაპის ზოგიერთი ყორღანის სამარხეული კომპლექსი მსგავსი ხასიათის ინვენტარს შეიცავს[420]. აღსანიშნავია შუა ვოლგისპირეთში სოფ. უტევკასთან შესწავლილი ყორღანული სამაროვანი. N1 ყორღანის N1 სამარხში აღმოჩნდა: ბრტყელი ცული, ცული, სადგისი, დანისპირი, სატეხის მაგვარი ნივთი და სხვ. აქვე მიცეალებულის თავის ქალასთან ოქროს ორი საკიდი აღმოჩნდა. ამ ყორღანის სამარხეული ინვენტარი ანალოგიას ნახულობს ძველი ორმოსამარხებისა და გვიანმაიკოპის ძეგლებთან[421]. როგორც ჩანს, ბედენის კულტურის ხანაში გარკვეულად იგრძნობა ჩრდილოეთიდან მიმდინარე იმპულსები.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრეყორღანულ კულტურაში სრულიად არ გვხვდება ცხენის ნაშთები და არც ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებული ნივთებია აქ ცნობილი. საერთოდ, ცხენის გამოჩენას უკავშირებენ სამხრეთში ჩრდილოეთიდან, სტეპური ზოლიდან წამოსულ გავლენას, ინდოევროპელების აქ ადრე გავრცელებას[422]. სამხრეთ რუსეთის სტეპის მხარეში, ძველ ორმოსამარხების კულტურაში, კარგადაა წარმოდგენილი ცხენის ნაშთები. მართალია, ცხენის ნაკვალევი სამარხებში შედარებით ნაკლებადაა ცნობილი, რაც, შესაძლოა უფრო დაკრძალვის რიტუალთან იყო დაკავშირებული.

---

415. გ. კ ა ლ ი ბ ა ნ ი, ნ. ა ფ ი ა ტ ა ნ ი, თ. ბ ე ბ ი ძ ე, მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე, მ. ჩ ე ბ ე ლ ა ნ ი, ა. ნ ე ბ ი ე ر ი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989-1990 წლების მუშაობის ანგარიში, „არქეოლოგიის კრებული I, თბილისი, 1994, გვ. 65.

С.Н. К о р е н е в с к и й. Археологические признаки социальной дифференциации в погребальном обряде эпохи энеолита, ранней бронзы Центрального Предкавказья. Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа. Орджоникидзе. 1988. стр. 13.

416. იქვე. გვ. 64.

ო. ტ ო ლ ო რ ა ი ა ძ ე, გ. ბ ე ბ ი ნ ი ნ ი, ა. ნ ე ბ ი ე ر ი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში, გვ. 38.

417. გ. ბ ე ბ ი ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

418. იქვე. გვ. 42.

419. P.M. M u n c h a e v, Кавказ на заре бронзового века, стр. 255, 257.

420. В.А. Д е р ж а в и н, Б.Г. Т и х о н о в, Новые погребения майкопской культуры в Центральном Предкавказье, КСИА, 161, Москва, 1980, стр. 76.

421. И.Б. В а с и л ь е в, Могильник ямно-полтавкинского времени у с. Утевка, в Среднем Поволжье, Археология Восточно-Европейской лесостепи, Воронеж, 1980, стр. 49.

422. Дж.Г. M a k k u n, Хетты и их современники в Малой Азии, стр. 135. J. M e l l a a r t, Anatolia and the Indo-Europeans, გვ. 136.

სამაგიეროდ, ძველი ორმოსამარხების კულტურის ნამოსახლარებზე მოპოვებულ ძვლოვან მასალაში ცხენის ნაშთების პროცენტული რაოდენობა საკმაოდ მაღალია[423]. სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში, როგორც ვარაუდობენ, ცხენი უკვე ძ.წ. IV ათასწლეულიდანაა ცნობილი. ცხენის მოშინაურების საკითხი ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. იგი სტეპის ცხოველია და მისი დომესტიკაცია ყველაზე უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაშია სავარაუდო. საერთოდ ის აზრია უფრო გავრცელებული, რომ ცხენის მოშინაურების ძირითადი ცენტრი, სადაც იგი უკვე ძ.წ. IV ათასწლეულიდანაა ცნობილი, ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპური ზოლი უნდა ყოფილიყო[424]. აღინიშნა კიდეც, რომ ცხენია ერთადერთი ცხოველი, რომლის მოშინაურება აქ ეჭვს არ იწვევს[425]. მოშინაურებული ცხენის უადრესი ნაშთები სწორედ ამ რეგიონიდანაა ცნობილი[426]. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე კრემენჩუკთან შუასტოგის კულტურის დროინდელ დერეივკის ნამოსახლარზე, რომელიც ძ.წ. IV ათასწლეულს მიეკუთვნება, ნაპოვნი იყო ცხენის ძვლოვანი ნაშთები[427]. აქვე აღმოჩნდა რქის ექვსი საყბეური[428]. შუასტოგის კულტურის ხანაში, ჩანს, ცხენოსნობა უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო[429]. სამხრეთ რუსეთის სტეპური ზოლიდან ჩანს, საკმაოდ ადრე, შინაური ცხენი ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ვრცელდება, გვიანტრიპოლიეს კულტურაში[430]. ბალკანეთში დომესტიცირებული ცხენი ცნობილია ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე[431].

როდის ჩნდება მოშინაურებული ცხენი კავკასიაში, და კერძოდ ამიერკავკასიაში, გარკვევით თქმა ძნელია. ფიქრობენ, რომ შინაური ცხენი კავკასიაში უკვე ძ.წ. III ათასწლეულში იყო ცნობილი, სადაც იგი სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან ვრცელდება[432].

---

423. Н.Я. М е р п е р т. Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья. Москва, 1974. стр. 105.

В.П. Ш и л о в. დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

424. Н.Н. Ч е р е д н и ч е н к о. Колесницы Евразии эпохи поздней бронзы. Энеолит и бронзовый век Украины. Киев, 1976. стр. 147.

Е.Е. К у з ь м и н а. Этапы развития колесного транспорта Средней Азии в эпоху энеолита и бронзы. ВДИ. 4. Москва, 1980. стр. 31.

St. P i g g o t. Chariots in the Caucasus and in China. Antiquiti. XLVIII. 1974. გვ. 17.

425. В.И. Ц а л к и н. Древнейшие домашние животные Восточной Европы. Москва, 1970. стр. 266.

426. Энеолит СССР. Москва, 1982. стр. 325.

В.Б. К о н а л е в с к а я. Конь и всадник. Москва, 1977. стр. 19.

427. Д.Я. Т е л е г и н. Середньо-стогівська культура епохи міді. Киев, 1973. стр. 131.

В.И. Б и б и к о в а. Фауна Деревки и ее особенности. Новейшие открытия советских археологов. Киев, 1975.

428. D.F. T e l e g i n. Über einen der ältesten Pferdezuchtherde in Europa. Actes du VIII Congres International des Sciences Prehistoriques et Protohistoriques. Beograd, 1974. გვ. 324.

429. В.Б. К о н а л е в с к а я. დასახ. ნაშრომი. გვ. 21.

430. Т.Г. М о в ш а. დასახ. ნაშრომი. გვ. 105

431. Н.Я. М е р п е р т. Об этнокультурной ситуации IV-III тысячелетии до н.э. в циркумпонтийской зоне. стр. 31.

432. Р.М. М у н ч а е в. Бронзовые псалии майкопской культуры и проблема возникновения коневодства на Кавказе. стр. 71.

Е.Е. К у з ь м и н а. Лошадь в Европе и на Переднем Востоке. V Всесоюзная сессия по Древнему Востоку. тезисы. Тбилиси. 1971. стр. 92.

III ათასწლეულში ყუბანისპირეთში მაიკოპის კულტურის ნამოსახლარებზ[illegible] [illegible]ოთალია მცირე რაოდენობით.მაგრამ თითქოს უკვე გვხვდება შინაური ცხენის ძვლები[433]. ცხენის საკმაოდ რეალისტური გამოსახულება მოცემულია მაიკოპის ვერცხლის თასზე, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის ჩრდილო კავკასიაში უკვე შინაური ცხენია გავრცელებული[434]. მართალია, რიგი მკვლევარებისა ვარაუდობენ, რომ მაიკოპის თასზე პრეკვალსკის ცხენია, რომელიც ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენელი უნდა იყოს[435]. მაგრამ უფრო მართებული ჩანს თითქოს ის, რომ აქ კანჯარია (ონაგრი, კულანი) გამოსახული[436]. ზოგიერთის აზრით, ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, გვიანმაიკოპის ხანაში, ცხენი შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული და ამიტომ, ეს რეგიონი, ჩანს, უნდა ამოირიცხოს ცხენის დომესტიკაციის საერთო არეალიდან[437]. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ცხენს აქ უკვე ცხენოსნობაში იყენებდა მოსახლეობის ელიტური ნაწილი[438]. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ამ დროის სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს საყბეურები. ამ ტიპის ნივთები ჯერ კიდევ ნ. ვესელოვსკიმ იპოვა ყუბანისპირეთში, მაიკოპის მახლობლად და ულსკაიაში გათხრილ ყორღანებში[439]. შემდეგში მსგავსი ნივთები ნაპოვნი იყო ჩეჩენ-ინგუშეთში ბამუტის ერთ-ერთ ყორღანში, ყაბარდო-ბალყარეთში სოფ. ჩეგემ II[440], ყარაჩაევ-ჩერქეზეთში აულ კუბინოს დიდ ყორღანში[441]. მაგრამ, მათი ამ მიზნისათვის გამოყენება ეჭვქვეშაა დაყენებული წინა აზიაში აღმოჩენილი მსგავსი ნივთების გამოსახულების საფუძველზე, რომლებიც გარკვეულ კულტთან იყო დაკავშირებული[442].

არც ამიერკავკასიაშია, ცხენის დომესტიკაციასთან დაკავშირებით, ყველაფერი ნათელი. აზერბაიჯანში ალიკემეკთეფესის ნამოსახლარზე შინაური ცხენის ძვლები უკვე ენეოლითური ხანის ფენებშია ნაპოვნი[443], და ეს ნაშთები ცხენისა კავკასიაში თითქოს ყველაზე ძველი უნდა იყოს[444]. ზოგიერთი ავტორის აზრით, მოშინაურებული ცხენი კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურაში და მისი ნაკვალევი რეგულარულად

---

433. P.M. M u n c h a e v, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

S.H. K o r e n e v s k i i, Древнейшее оседлое население на среднем Тереке. Москва, 1993, стр. 19.

434. P.M. M u n c h a e v, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

N.A. N i k o l a e v a, V.A. S a f r o n o v, Хронология и происхождение майкопского искусства. Хронология памятников эпохи бронзы Северного Кавказа, Орджоникидзе, 1962, стр. 45.

435. Ch. B u r n e y, D. L a n g, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

H. F r a n k f o r d, The Art and Architectur of the Ancient Oriental, 1969, გვ. 115.

F. H a n c a r, Das Pferd in prahistorische und frühhistorische Zeit, 1956, გვ. 523.

Г. Ч а й л д, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, стр. 213.

436. შ. ა ბ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1944, გვ. 30.

437. P.M. M u n c h a e v, Кавказ на заре бронзового века, стр. 389.

438. იქვე, გვ. 390.

B.B. K o v a l e v s k a y a, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

439. P.M. M u n c h a e v, დასახ. ნაშრომი, გვ. 390.

440. იქვე.

441. Х.Х. Б и д ж и е в, Большой курган у аула Кубина в Карачаево-Черкесии, Северный Кавказ в древности и в средние века, Москва, 1980, стр. 41.

442. В.А. Т р и ф о н о в, Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры, КСИА, 192, Москва, 1987, стр. 22.

443. И.Г. Г а р и м а н о в, Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана, Баку, 1987, стр. 153.

444. J.P. M a l l o r y, In Search of the Indo-Europeans, 1991, გვ. 148.

გვხვდება ამ დროის ნამოსახლარებზე[445]. კარგადაა თითქოს წარმოდგენილი შინაური ცხენი შენგავითის ნამოსახლარზე, თუმცა მისი ნაშთები ცუდად იყო შემონახული. ქვეცხელების ნამოსახლარის C დონეზე ნაპოვნი ძვლები გარეული ცხენის ნაშთები აღმოჩნდა[446]. B დონეზე აქ ცხენის ჩონჩხის ნაწილები გამოვლინდა[447]. მტკვარ-არაქსის ნამოსახლარებზე გარეული, თუ შინაური ცხენის ძვლების მეტად მცირე პროცენტი გვხვდება. აქ ისიც ნიშანდობლივი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ფართო ტერიტორიაზე არსად შენიშნული არ არის ცხენთან დაკავშირებული რაიმე ნივთიერი მასალა. აღსანიშნავია, რომ შინაური ცხენის ნაშთების არსებობას ვარაუდობენ ანატოლიის რიგ ძეგლებზე დემირჩი ჰუიუკში, იარიყაიში, აღმოსავლეთ ანატოლიის მტკვარ-არაქსის დროინდელ ნამოსახლარებზე ნორსუნთეფეში, თეფესიქში და სხვ.[448]. ამის საფუძველზე ზოგიერთი ავტორი ასკვნის, რომ ცხენი ანატოლიის ცხოველად ვერ ჩაითვლება, მისი აქ გამოჩენა ახალი ხალხის – ინდოევროპელების მოსელასთან უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული. მათ პონტოს სტეპის ზოლში, ძ.წ. IV ათასწლეულში, უკვე მოშინაურებული ჰყავდათ ცხენი[449]. ვარაუდობენ, რომ კულტურული ცვლილებები, რომლებიც შეინიშნება აღმოსავლეთ ანატოლიაში ძ.წ. III ათასწლეულში, მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთში გავრცელებას უკავშირდება. ამას ეხმიანება თითქოს აქ ყორღანული ტიპის სამარხების და ყორღანული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, ცხენის ნაშთების გამოჩენა, რომლებიც დამოწმებული იყო აღმოსავლეთ ანატოლიის რიგ ნამოსახლარზე[450]. მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით ექსპანსიას უნდა მოწმობდეს წრიული საცხოვრებელი სახლების გავრცელება, რაც თითქოს მომთაბარე-მესაქონლე ტომების კარვისებური მოცვანილობის შენობის ტრადიციებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული[451]. მაგრამ, რომ არაფერი ითქვას ყორღანისა და ცხენის აქ გამოჩენის შესახებ, მრგვალი შენობა ამიერკავკასიაში წინარე ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის იყო დამახასიათებელი და ჩანს, რომ ეს ტრადიცია გაგრძელდა მტკვარ-არაქსის კულტურის სამშენებლო საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, ადრეულ ხანაში შინაური და გარეული ცხენის ძვლების ერთმანეთისაგან გარჩევა საკმაოდ რთულია, ამიტომ განსაზღვრისას მეტი სიფრთხილეა საჭირო[452].

---

445. J.P. Mallory. In Search of the Indo-Europeans. 1991. გვ. 149.

Р.М. Мунчаев. Бронзовые псалии майкопской культуры и проблема возникновения коневодства на Кавказе. стр. 71.

С.М. Межлумян. Палеофауна эпохи энеолита, бронзы и железа на территории Армении. Ереван. 1972. стр. 89.

446. М.Н. Гамрекели. Костные остатки лошадей бронзового периода Грузии. Тезисы докладов посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР. Тбилиси. 1971. стр. 101.

447. ალ. ჯავახიშვილი. ტ. ტ. ტ. ტ. ერბნილი. I. თბილისი. 1962. გვ. 46.

448. J. Mellaart. Anatolia and the Indo-Europeans.გვ. 136.

Shan M.M. Winn.Buryal evidence and the Kurgan Culture in Eastern Anatolia C. 3000 B.C.: An Interpretacion. გვ. 116.

449. J. Mellaart. დასახ. ნაშრომი. გვ. 136.

450. იქვე. გვ. 117.

451. იქვე. გვ. 118.

452. С.М. Межлумян. დასახ. ნაშრომი. გვ. 88.

В.Б. Ковалевская. დასახ. ნაშრომი. გვ. 18.

Т.В. Гамкрелидзе. Вяч. Вс. Иванов. დასახ. ნაშრომი. გვ. 559. სქოლიო.

Е.Е. Кузьмина. რეცენზია. ВДИ. I. Москва. 1976. стр. 147.

არათუ მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანულ კულტურებში არ გვხვდება ცხენის ნაშთები, არამედ, როგორც ჩანს, არც მომდევნო თრიალეთის კულტურაშია ჯერჯერობით ცხენის ნაკვალევი და აკაზმულობასთან დაკავშირებული რაიმე ნივთი ცნობილი. შინაური ცხენი ამ დროისათვის, ჩანს, ჯერ კიდევ მაინცადამაინც გავრცელებული არ უნდა ყოფილიყო[453]. ის, რომ თრიალეთის კულტურაში ცხენის არსებობის კვალი არ ჩანს, ზოგიერთ მკვლევარში გარკვეულ გაოცებას იწვევს[454] და ამას რელიგიური ხასიათის მიზეზით ხსნიან; ზოგიც იმედოვნებდა, რომ თრიალეთში გათხრების გაგრძელების შემთხვევაში ადრე თუ გვიან აღმოჩნდება ცხენის ნაშთები[455]. უკანასკნელ ხანებში თრიალეთის კულტურის გავრცელების ფარგლები საგრძნობლად გაიზარდა, გაითხარა არაერთი ამ დროის ძეგლი, მაგრამ ჯერჯერობით არსად ცხენის არსებობის ნაკვალევი შენიშნული არ იყო. სადღეისოდ ხელთმყოფი მასალებით ისე ჩანს, რომ შინაური ცხენის ამიერკავკასიაში ფართო ათვისება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება. ამ პერიოდიდან მოკიდებული უკვე კარგადაა ცნობილი ცხენის სამარხში ჩატანების ფაქტები და აგრეთვე ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნივთი[456].

არც ისაა მთლად ნათელი, თუ როდის ჩნდება ცხენი წინა აზიაში. ამ საკითხთან დაკავშირებით არა ერთი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ცხენი წინა აზიაში უკვე ძვ.წ. IV ათასწლეულშია ცნობილი. მისი დომესტიკაციის რეგიონი წინა აზიის გარკვეული ტერიტორია იყო, სადაც ინდოევროპელი ტომების წინარე სამშობლო უნდა ყოფილიყო[457]. ზოგიც ვარაუდობს, რომ ცხენი წინა აზიაში ადრეა ცნობილი, მაგრამ მისი მოშინაურება თითქოს უფრო გვიან ხდება[458]. ცნობები ცხენის შესახებ აქ ჩნდება ძვ.წ.II ათასწლეულის დასაწყისიდან[459]. თუმცა აღინიშნა აგრეთვე, რომ ეტლი და ცხენი ძველ აღმოსავლეთში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულიდანაა ცნობილი[460], მაგრამ ის აზრიცაა გავრცელებული, რომ ცხენი საერთოდ უცხოა ძველი აღმოსავლეთის ფაუნისათვის[461]. გარეული ცხენის ნაშთები არ გვხვდება პალეოლითის და მეზოლითის ხანის ძეგლებზე და არც მომდევნო ნეოლითისა

---

453. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ.წ. II ათასწლეულში, თბილისი, 1969, გვ. 202.

454. F. H a n c a r, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

455. C.F. S c h a e f f e r, Stratigraphic Comparee et Chronologie de L'Aasie Occidentale, London, 1948, გვ. 509, 869.

456. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის გვ. 283.

457. T.B. Г а м к р е л и д з е, Вяч. Вс. И в а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 559, 869.

458. И.М. Д ь я к о н о в, О прародине носителей индоевропейских диалектов. I. ВДИ. 3. Москва, 1982, стр. 15.

459. Х. К л е н г е л, Экономические основы кочевничества в древней Месопотамии. ВДИ. 4, Москва, 1967, стр. 64.

H. H a u p t m a n n, Neue Funde eurasischer Steppennomaden in Kleinasien, Beiträge zur Altertumskunde Kleinasiens. Festift fur Kurt Bittel, Mainz am Rhein, გვ. 261.

460. A. K a m m e r h u b e r, Die Arier in Vorderen Orient, Heidelberg, 1968, გვ. 19.

461. В.И. Б и б и к о в а, Животноводство в Средней Месопотамии в V тысячелетии до н.э. Р.М. М у н ч а е в, Н.Я. М е р п е р т, Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии, Москва, 1981, стр. 300.

და ენეოლითის დროინდელ ნამოსახლარებზე. ამიტომ, ეს რეგიონი უნდა ამოირიცხოს ცხენის მოშინაურების სავარაუდო ზონიდან. წინა აზია ვერ იქნებოდა ის ტერიტორია, სადაც ცხენის დომესტიკაცია უნდა მომხდარიყო[462]. მოშინაურებული ცხენის მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებას ზოგი ავტორი ინდოევროპელი ტომების გამოჩენას უკავშირებს. მათი შემოჭრის შედეგად მეცხენეობა აქ მაღალ საფეხურს აღწევს[463]. მაგრამ როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი შინაური ცხენის წარმომავლობის შესახებ, ერთი ნათელია, რომ კავკასიის ჩრდილოეთით დომესტიცირებული ცხენი საკმაოდ ადრე იყო ცნობილი. ზოგი იმ შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს, რომ ცხენის მოშინაურება კავკასიაში, უფრო კი ამიერკავკასიაში, ადგილობრივ მიმდინარე პროცესი იყო[464]. მართალია, ამიერკავკასიაში გარეული ცხენის ნაშთები პალეოლითის ფაუნაშია ცნობილი, მაგრამ შემდეგში იგი აქ თანდათანობით გადაშენებას იწყებს. ჩვენში თავისებური რელიეფი, ტყიანი გარემო ცხენის გამრავლებისათვის ხელსაყრელ პირობებს არ ქმნიდა, იგი უფრო ღია ლანდშაფტის ცხოველია. მოსახლეობის რიცხვის მკვეთრი ზრდა და ახალ-ახალი მიწების ათვისება ცხენის გადაშენებას უწყობდა ხელს. ტყე და ციცაბო ადგილები ცხენისათვის არახელსაყრელი იყო[465].

მარტყოფის ბედენური კულტურის დროინდელი ყორღანები, ჩანს, საზოგადოების საშუალო ფენის, ეგებ უფრო ხელოსანთა, წრიდან გამოსული პირის სამარხები იყო. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ამ ყორღანებში ჩატანებული ინვენტარი. ორივე ყორღანში ლითონის მსგავსი შრომის იარაღები აღმოჩნდა, უპირატესად ხის ხუროობასთან დაკავშირებული. ამ პერიოდში ხელოსანთა კლასი ალბათ საპატიო ადგილს იკავებს საზოგადოებაში. წინაურდება ხელოსნობის დარგები – ოქრომჭედლობა, მეტალურგია, ხის დამუშავება და სხვ. ხუროს და დურგალს, ჩანს, ერთგვარად გამორჩეული ადგილი ეკავა ხელოსანთა შორის. ხე იმდროინდელ ყოფაში, ჩანს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი ძირითადი სამშენებლო მასალა იყო. ხისაგან მზადდებოდა საყოფაცხოვრებო საჭიროების საგნები. ხეს სათანადოდ იყენებდნენ, აგრეთვე, დაკრძალვის რიტუალში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბედენური ხანის ყორღანულ სამარხებში საბრძოლო ხასიათის იარაღი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. მაღალი სტატუსის მქონე პირთა სამარხებშიც, თუ არ ჩავთვლით ქვის და ძვლის ისრისპირებს, იარაღი შედარებით იშვიათია, ისიც უპირატესად პრიმიტიული სატევრის პირები. ბედენის საფეხურზე ნაკლებად გვხვდება ბრინჯაოს პირამიდისებრთავიანი ისრის პირები. ეს ტრადიცია, ჩანს, მომდევნო, თრიალეთის კულტურაშიც გაგრძელებულა, სადაც აგრეთვე სუსტადაა წარმოდგენილი დაწინაურებულ პიროვნებათა სამარხებში საბრძოლო იარაღი.

---

462. В.А. А л е к ш и н, Происхождение халафской культуры и проблема локализации индоевропейской прародины. Международные исследования культурогенеза и этногенеза Армянского Нагорья и сопредельных областей, Ереван, 1990, стр. 43.

463. Е.Е. К у з ь м и н а, Колесный транспорт и проблема этнической и социальной истории древнего населения Южнорусских степей. ВДИ, 4. Москва, 1974, стр. 73, 81.

А.А. А л е к с е е в, К новейшему решению индоевропейской проблемы. ВДИ, 3, Москва, стр. 33.

464. Р.М. М у н ч а е в, Кавказ на заре бронзового века, стр. 389.

465. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969, გვ. 202.



სურ. 52. მარნეულის ველის N9 ყორღანის ინვენტარი.

მარტყოფის ბედენური ხანის ორივე ყორღანში თითო ცული აღმოჩნდა[466]. ორივე ცული ერთი ტიპისაა – ყუამილიანი, შედარებით ფართო პირით და სამუშაოდ ალბათ უფრო ეფექტური სახმარი (სურ. 25,58,28,161. ტაბ. XXIII). ამ ტიპის ცული ჯერ კიდევ საჩხერის ყორღანული სამაროვანის უფრო მოგვიანო სამარხში აღმოჩნდა[467]. თეთრიწყაროს ყორღანში თითქმის სავსებით ასეთივე ცულია ნაპოვნი[468]. ამავე ტიპისაა შულაველრის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ცული[469]. (სურ. 52,1. ტაბ. XXXVIII). დედოფლისწყაროს მხარეში შემთხვევით აღმოჩნდა მასიური ყუამილიანი ცული. ჩრდილო კავკასიაში მსგავსი ცული ცნობილია ჩეჩენ-ინგუშეთიდან, გათინ-კალეს სამაროვნის ერთ-ერთი სამარხიდან[470].

---

466. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი. კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში. გვ. 32.

გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ნ ა ფ ი ა ნ ა ვ ი. თ. კ ე ვ ა ლ ი ძ ე. მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე. მ. ჩ ე ჩ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი. თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988-1990 წლების მუშაობის ანგარიში. არქეოლოგიური კრებული, თბილისი, 1994. გვ. 65.

467. Б.А. К у ф т и н. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетии и Имеретии, стр. 71.

ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. გვ. 145.

468. გ. გ ო ბ ე ჩ ი შ ვ ი ლ ი. ბედენის გორასამარხების კულტურა. გვ. 85.

469. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. ბრონზის ხანის ყორღანები. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. თბილისი, 1975. გვ. 148.

470. В.П. М а р к о в и ч. Новый памятник эпохи бронзы в Горной Чечне. Древности Чечено-Ингушетии, Москва, 1963, стр. 98.

მარტყოფის ბედენური ხანის ორივე ყორღანში ცულთან ერთად აღმოჩნდა მოზრდილი, მასიური ღარიანი სატეხი. ამ პერიოდის სამარხებში ხშირად ცულს ღარიანი სატეხი ახლავს. ამ ტიპის სატეხი აღმოჩნდა თეთრიწყაროს და ბედენის N 5 ყორღანში[471]. ასეთივე სატეხი, ოღონდ მომცრო ზომის, ნაპოვნი იყო შულავერის ერთ-ერთ ყორღანში[472] (სურ. 52,3. ტაბ. XXXVIII). მოზრდილი ღარიანი სატეხი შემთხვევით აღმოჩნდა ზეკარში[473]. მარტყოფის N4 ყორღანში ნაპოვნი ამ ტიპის იარაღი უფრო წვრილია და მომცრო ზომისა. საჩხერეში აღმოჩენილი სატეხი ერთგვარად განსხვავებულია, მას შედარებით წვრილი, რვაწახნაგა ღერო აქვს და ღარიც მაინცადამაინც მკვეთრად გამოსახული არ არის[474].

ღარიანი სატეხი კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურაში, განსაკუთრებით, ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე[475]. ვხვდებით მას აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში[476]. ფართოდ იყო გავრცელებული ღარიანი სატეხი თითქმის მთელ წინა აზიაში[477]. არ არის გამორიცხული, რომ ეს იარაღი კავკასიაში სამხრეთიდან შემოვიდა. როგორც ჩანს, მასიური ღარიანი სატეხი ამიერკავკასიაში ბედენის კულტურის ხანაში ვრცელდება. ამ დროს, ჩანს, საგრძნობლად წინაურდება ხით ხუროობა, შემოდის ხის ბორბლიანი ტრანსპორტი – ეტლი. ჩნდება მშვენივრად ნაკეთები ხის ჭურჭელი და, რაც მთავარია, სამშენებლო საქმეში, ჩანს, ხეს წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდა. საცხოვრებელი ნაგებობები ალბათ, უპირატესად, ხის უნდა ყოფილიყო. ხე ფართოდ იყო გამოყენებული დაკრძალვის რიტუალში. ზოგჯერ მიცვალებულს ხის მორებისაგან შეკრულ შენობაში კრძალავდნენ, ან ორმოს კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ძელებით მაგრდებოდა.

მარტყოფის N 5 ყორღანში ერთი ბრტყელი ცული აღმოჩნდა (სურ. 28, 163). ეს ტიპი ცულისა, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ წინარე ხანაში გამოჩნდა, საკმაოდ ფართოდ ვრცელდება ადრეყორღანული კულტურის ხანაში. იგი გვხვდება ბედენისა და თეთრიწყაროს ყორღანებში[478]. სამი ამგვარი ცული, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაპოვნია მარტყოფის N4 ყორღანში. ორი ბრტყელი ცული იდო აზერბაიჯანში სოფ. ტელმანთან გათხრილ ყორღანში[479]. და სხვ. ამ ტიპის ცული ლითონის ერთ-ერთი უადრესი იარაღია ძველ სამყაროში. განსაკუთრებით ფართო გავრცელების არეალი ამ ტიპის ცულს აქვს ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურის ხანაში. აღინიშნა კიდეც, რომ ბრტყელი ცული ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი იარაღია ჩრდილო კავკასიაში ადრე ბრინ-

---

471. მ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25,90.

472. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

473. А.А. И е с с е н, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, стр. 85. М.М. И в а щ е н к о, Материалы к изучению культуры колхов. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ.II, თბილისი, 1941, გვ. 17.

474. Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, стр. 15.

ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 168.

475. Т.Б. П о п о в а, Дольмены станицы Новосвободной, Москва, 1963, стр. 34. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

А.А. И е с с е н, К хронологии "больших кубанских курганов", СА, XII, М-Л, 1950, стр. 172.

476. S. P i g g o t t, The Earliest Wheeled Vehicles and the Caucasian Evidence, გვ. 305, სურ. 17.

477. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

478. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25,90.

479. Ф.А. М а х м у д о в, Р.М. М у н ч а е в, И.Г. Н а р и м а н о в, О древнейшей металлургии Кавказа, СА, 4, Москва, 1968, стр. 21.



სურ. 53. ბაკურციხის ყორღანი: შუბისმაგვარი იარაღები და სატევრის პირი.

ჯაოს ხანაში[480]. ეს იარაღიც ალბათ ძირითადად ხის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. ბედენის კულტურის ხანაში მას სამარხებში უპირატესად ცულთან და ღარიან სატეხთან ვხვდებით.

მარტყოფის N5 ყორღანში ერთი ფოთლისებრი სატევრის პირი აღმოჩნდა (სურ. 28,164). იგი თითქოს უფრო განვითარებული ტიპისაა N 4 ყორღანში ნაპოვნ სატევრის პირებთან შედარებით. ბედენის ხანაშიც სატევრის პირი ყველაზე გავრცელებული იარაღია. საერთოდ, ამ დროის სამარხებში საბრძოლო ხასიათის ლითონის იარაღი შედარებით იშვიათია. აღსანიშნავია, რომ არც ალაზნის ველის დიდ ყორღანებში და არც ბედენის პლატოს სამარხებში ამ ხასიათის იარაღი არ აღმოჩენილა. თეთრიწყაროს ყორღანში ორი სატევრის პირი იდო – ერთი ბრინჯაოსი, მეორე კი ვერცხლისა[481]. ორივე იარაღი პრიმიტიული ფორმისაა. ვერცხლის ერთი დანის თუ სატევრის პირი ნაპოვნი იყო ნალჩიკის სამარხში[482]. განსხვავებული უნდა იყოს ბაკურციხის ყორღანში ნაპოვნი სატევრის პირი. იგი თხელია, შედარებით მაღალი ყუნწით, მხრებდაქანებული და უფრო ვიწრო (სურ. 53,17). აღსანიშნავია ამ ყორღანში აღმოჩენილი შუბისმაგვარი ორი იარაღი, რომლებსაც ბოლოები მარყუჟისებურად დახვეული აქვთ, რითაც განსხვავდებიან ჩვენში წინარე ხანაში გავრცელებული ამგვარი იარაღისაგან (სურ. 53,15,16)[483]. ყუნწდახვეული ერთი იარაღი ნაპოვნი იყო ბაგინეთში ანტიკური ხანის ფენის ქვეშ[483'] (სურ.54). თუ არ ჩავთვლით ცულს, რომელიც ორმაგ ფუნქციას ასრულებდა – სამეურნეოს და საბრძოლოს, საბრძოლო იარაღს წინამორბედ კულტურასთან შედარებით წინსვლა არ დატყობია. პირიქით, თითქოს წინააზიური წარმომავლობის ზოგიერთი იარაღი საერთოდ გამოდის ხმარებიდან. მარტყოფის ეტაპისათვის დამახასიათებელი პირამიდისებრთავიანი ისრის პირი ამ დროს მეტად იშვიათია. სამაგიეროდ ბედენის ხანის ყორღანებში ხშირად გვხვდება კაჟისა და ობსიდიანის შესანიშნავად ნაკეთები ისრის პირები[484]. (სურ. 28,171-175). რამდენიმე ამგვარი იარაღი ნაპოვნი იყო მარტყოფის N5 ყორღანში[485]. ობსიდიანის ანალოგიური ისრის პირი

---

480. Ф.А. М а х ч у д о в, Р.М. М у ш ч а е в, И.Г. Н а р и м а н о в, დასახ. ნაშრომი. გვ. 44.

481. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 25.

482. И.М. Ч е ч е н о в, Гробница эпохи ранней бронзы в г. Нальчике, стр. 120

483. К.П. П и ц х е л а у р и, Исследования кахетинской археологической экспедиции, ПАИ, 1980, Тбилиси, 1982, стр. 18.

483'. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურებზე, გვ. 161, სურ. 34.

484. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

485. გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ფ ა ცაცია, ო. კ ე ვ ა ლ ი ძ ე..., დასახ. ნაშრომი, გვ. 65.



სურ. 54. შუბისმაგვარი იარაღი არმაზციხიდან.

აღმოჩნდა აღმოსავლეთ ანატოლიაში ნორსუნ თეფეს ნამოსახლარის ადრებრინჯაოს III ფენაში[486]. ეს ისრის პირები ისეთი მაღალი ტექნიკითაა ნამზადი, რომ ძნელი დასაშვებია მათი პრაქტიკული მიზნისათვის გამოყენება და ეგებ უფრო მეტად სამარხში ჩასატანებლად იყენებდნენ.

N 5 ყორღანში მონაცრისფრო-მოთეთრო მარმარილოს ლახტის თავი აღმოჩნდა, სწორი ცილინდრული ხვრელით. სხვადასხვა ტიპის ქვის ლახტის თავები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცნობილია ადრეულ ყორღანში. მარტყოფის ლახტის თავი ფორმით უახლოვდება თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნ იარაღს[487] (ტაბ. XXXIII). მსგავსი ლახტის თავი გვხვდება ზილიჩის N 2 ყორღანის ორივე სამარხში[488] (სურ. 38,6. 39,12) და ანაგის N1 ყორღანში (სურ. 42). ანალოგიური ლახტის თავი აღმოჩნდა სტეპანაკერტის ერთ-ერთ ყორღანში[489].

მარტყოფის ბედენური კულტურის ყველა სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს „შტანდარტები". ამ ნივთების დანიშნულების შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა ძნელია. N3 ყორღანის ზედა, ჩაშვებულ სამარხში ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ფურცლისაგან ნაკეთები დისკოსმაგვარი „შტანდარტი", რომელსაც შუაში საკმაოდ მკვეთრი წიბური გაუყვება. ყუნწი მას მოკლე და ბრტყელი აქვს (სურ. 24,43. ტაბ. XXII). ამავე ყორღანის ძირითად სამარხში ნაპოვნ „შტანდარტს" განსხვავებული ფორმა აქვს. იგი ბრტყელია და ფართო, ოდნავ წაგრძელებული, მაღალი ვიწრო ყუნწით[490] (სურ. 25,59. ტაბ.XXIII). ანალოგიური ნივთი აღმოჩნდა აგრეთვე N5 ყორღანში[491]. (ტაბ. XXIV). მსგავსი ნივთები ბედენური კულტურის სხვა ყორღანულ სამარხებში უცნობია, თუ არ ჩავთვლით ნუკრიანის N 1 ყორღანის ჩაშვებულ სამარხში ნაპოვნ ნივთს[492]. არ ვხვდებით მათ არც უფრო ადრეულ და არც მომდევნო ხანის მასალებში.

N5 ყორღანში ბრინჯაოს ოთხი „საკინძი" აღმოჩნდა ბრტყელი, მრგვალი თავით, გრძელი ოთხწახნაგა ღეროთი[493] (ტაბ. XXVI). ანალოგიური ნივთები საკმაოდ ხშირია

---

486. H. Hauptmann. Die Grabungen auf dem Norsun-Tepe, Keban Project, 1970. Activities. Ankara, 1972, გვ. 110.

487. Б.А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. I. Тбилиси, 1941. стр. 101.

488. ნ. ასათიანი. „ზილიჩის" ყორღანი N2, გვ. 78.

489. К.Х. Кушнарева. Памятники медного века в Нагорном Карабахе. стр. 170.

490. ო. ჯაფარიძე, გ. აკაფლიშვილი, ა. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

491. გ. აკაფლიშვილი, ნ. აფციაური, თ. კეკელიძე.... დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

492. ც. ბესელიძე. ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმი კახეთიდან. სამეზეიმო ეკლესიანატების რესტავრაცია. კონსერვაცია, ტექნოლოგია, III, თბილისი, 1980, გვ. 137. (ტაბ. I,).

493. გ. აკაფლიშვილი, ნ. აფციაური, თ. კეკელიძე...., დასახ. ნაშრომი გვ. 66.

ბედენური ხანის ყორღანებში. ალაზნის ველის N 2 ყორღანში ორი ამგვარი ნივთია ნაპოვნი – ერთი ეტლის ბორბლის გარე ნაწილში ღერძთან, მეორე –უკანა ბორბლის ცენტრში[494]. თეთრიწყაროს N 2 ყორღანში ერთი მსგავსი „საკინძი" აღმოჩნდა[495]. ბედენის პლატოს NN 5და 10 ყორღანებში ასეთივე „საკინძები" იყო ნაპოვნი. N10 ყორღანში სამივე „საკინძი" ეტლის თვლების გარეთ, ღერძის ბოლოებში გარჭობილი აღმოჩნდა[496]. შესაძლოა მართლაც ეს ნივთები ეტლის დეკორატიულ ნაწილს წარმოადგენდნენ.

მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანულ სამარხებში ბრინჯაოს სამკაული მეტად იშვიათია. N5 ყორღანში სამკაული საერთოდ არ აღმოჩნდა. N 3 ყორღანის ჩაშვებულ სამარხშიც ბრინჯაოს სამკაული ნაპოვნი არ იყო. ამავე ყორღანის ძირითად სამარხში ქალის ჩონჩხთან იდო 1,5 ხვიის რამდენიმე სასაფეთქლე რგოლი[497] (სურ. 25,62,64. ტაბ. XXIII). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბედენური კულტურის ყორღანები არ გამოირჩევიან ბრინჯაოს სამკაულის სიმდიდრით.

არც სხვა სახის სამკაული გვხვდება მაინცდამაინც ამ დროის სამარხებში. მარტყოფის მხოლოდ N3 ყორღანის ძირითად სამარხში აღმოჩნდა სერდოლიკის და პასტის რამდენიმე მძივი. აქვე ნაპოვნი იყო სერდოლიკის ექვსი სამკუთხა მძივსაკიდი სავსებით ისეთივე, როგორიც N4 ყორღანში იდო (სურ. 25,65-67. ტაბ. XXIII). უნდა აღინიშნოს, რომ ბედენის კულტურის ყორღანებში თითქმის სრულიად არ არის წარმოდგენილი მარტყოფის ეტაპისათვის დამახასიათებელი სადაფის სამკაული. არც თეთრი პასტის მძივებია აქ მაინცდამაინც ცნობილი. საერთოდ, ბედენური ხანის ყორღანებში ნაკლებად გვხვდება ქვისაგან ნაკეთები მძივები. ბედენის მდიდრულ N5 ყორღანში მხოლოდ სამად სამი სერდოლიკის მძივი იდო[498]. აქვე გათხრილ ზოგიერთ ყორღანში მძივები საერთოდ არ აღმოჩენილა. არც წნორის ყორღანები გამოირჩევიან მძივების სიმდიდრით. წნორის N 1 ყორღანში სერდოლიკის რამდენიმე მძივი აღმოჩნდა[499]. N 2 ყორღანში მხოლოდ აქატის ერთი მძივი იდო[500]. ბაკურციხის ყორღანში პასტის რამდენიმე ოთხკუთხა მძივია ნაპოვნი[501]. ქვემო ქართლის ამ დროის ყორღანებში არც მძივები და არც სხვა სამკაული არ აღმოჩენილა. შირაქის ველის ყორღანებში სამკაული შედარებით უკეთ იყო წარმოდგენილი.

მარტყოფის N 3 ყორღანის ორივე სამარხში ოქროს თითო 1,5 ხვიის სასაფეთქლე საკიდი იდო. ჩაშვებული სამარხის ხვია ბრინჯაოსია, რომელსაც გარედან ოქროს ფირფიტა აქვს გადაკრული (სურ. 24,45,ტაბ. XXII). ამ წესითაა ნაკეთები თრიალეთის ერთ-ერთ ადრეულ ყორღანში ნაპოვნი ოქროს საკინძი, რომლის ბრინჯაოს ღეროს ოქროს გარსაკრავი აკრავს. ბერიკლდეების N 1 ყორღანში აღმოჩენილია ვერცხლის გარსაკრავიანი სპილენძის საკინძი[502]. მარტყოფის N 3 ყორღანის ძირითად სამარხში ოქროს მასიური 1,5 ხვიის საკიდი იყო ნაპოვნი (სურ. 25,70. ტაბ. XXIII). მსგავსი საკიდები საკმაოდ ხშირად გვხვდება უპირატესად იორ-ალაზნის ორმდინარეთის ბედენური ხანის რიგით

494. ნ. ჭ ა ბ ი ა შ ვ ი ლ ი. კ. ფ ი ცხ ე ლ ა ვ ა ს ი, შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22
495. გ. გ ო ბ ე ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ, ტაბ. X 10.
496. იქვე, გვ. 42.
497. ო. ბ ე ფ ო ლ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.
498. გ. გ ო ბ ე ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.
499. Ш. Д е д а б р и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.
500. იქვე, გვ. 42.
501. К.Н. П и ц х е л а у р и, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
502. ი. ბ ა ბ ო შ ი ძ ე, ე. ქ ო ლ ი ძ ე, ა. ბ ო ბ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

სამარხებში. ოქროს ორი მასიური სასაფეთქლე ხვია აღმოჩნდა შირაქის ველზე გათხრილ „ზილიჩის" N2 ყორღანში[503] (სურ. 39). ასეთივე საკიდი, ოღონდ შედარებით წვრილი, ნაპოვნი იყო ენამთის N 1 ყორღანში[504]. მსგავსი ხვია ნაპოვნია ანაგის N 1 ყორღანში (სურ. 42.). ერთი საკიდი იდო დედოფლისწყაროს რაიონში გათხრილ, „დალის მთის" N 4 ყორღანში[505] (სურ. 36). ვერცხლის მასიური 1,5 ხვიის სასაფეთქლე რგოლი ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა იპოვა თრიალეთის ერთ-ერთ ადრეულ ყორღანში[506] (ტაბ. XXXIII).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ ოქროს ამ ტიპის საკიდები არ აღმოჩენილა ალაზნის ველის და ბედენის პლატოს არც ერთ მდიდრულ სამარხში. ამ ყორღანებში არც ბრინჯაოს 1,5 ხვიის სასაფეთქლე რგოლებია მაინცდამაინც ცნობილი. რა მიზეზით არ გვხვდება მაღალი სტატუსის მქონე წევრთა სამარხებში ოქროს ამგვარი საკიდები და პირიქით, რატომაა ხშირად ისინი წარმოდგენილი შედარებით უფრო დაბალი რანგის პირთა საფლავებში, ახლა ძნელია გარკვევით თქმა. ჩანს, ეს შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და, ალბათ, რაღაცის მანიშნებელი იყო. მარტყოფის N 3 ყორღანში ოქროს მასიური რგოლი მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა. მის ფერხთით დაკრძალულ დედაკაცის ჩონჩხთან კი ნაპოვნი იყო ბრინჯაოს 1,5 ხვიის საკიდები და სხვა ინვენტარი. აქვე იდო ბრინჯაოს „შტანდარტი". ამავე ყორღანის ზედა სამარხში ოქროს ხვიასთან ერთად ფართო „შტანდარტი" აღმოჩნდა[507]. ბრინჯაოს „შტანდარტი" იდო N 5 ყორღანშიც[508]. ნიშანდობლივია, რომ ამ დროს არც ერთ დიდ, მდიდრულ ყორღანში ბრინჯაოს ანალოგიური „შტანდარტი" არ აღმოჩენილა. მსგავსი ნივთები არ გვხვდება ჩრდილო კავკასიაში თანადროულ სამარხებში. აქ კარგადაა ცნობილი ძვირფასი ლითონის და ბრინჯაოს 1,5 ხვიის სასაფეთქლე რგოლები[509].

N 3 ყორღანის ქვედა ძირითად სამარხში მამაკაცის ჩონჩხთან გიშრის ფართო რგოლი აღმოჩნდა (სურ. 25,63. ტაბ. XXIII).სხვა ანალოგიური ნივთი ჩვენთვის უცნობია. როგორც ზევით აღინიშნა, გიშერი ჩვენში ადრე ყორღანული კულტურის ხანაში შედარებით იშვიათია.

N5 ყორღანში ვერცხლის მრგვალი მავთულის ნახევრად წრიული მოყვანილობის სახელური აღმოჩნდა, ალბათ უფრო ხის ყუთისა (სურ. 28.178). ლითონის ჭურჭელი ადრეყორღანულ კულტურაში ცნობილი არ არის. ჭურჭელი როგორც ძვირფასი მეტალის, ისე ბრინჯაოსი ჩვენში პირველად მომდევნო, თრიალეთის კულტურაში გვხვდება. ლითონის ჭურჭელი კარგადაა წარმოდგენილი ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურაში[510]. ბრინჯაოს, განსაკუთრებით კი ძვირფასი ლითონის, შესანიშნავი ჭურჭელია ცნობილი მაიკოპის ყორღანიდან, სტარომიშასტოვსკოეს განძიდან და სხვა, რაც წინა

---

503. ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

504. ბ. მაისურაძე, ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

505. იქვე, გვ. 154.

506. Б.А., Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, стр. 104.

507 ო. ფაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

508. გ. ავალიშვილი, ნ. აფციაური, თ. კეკელიძე, და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

509. А.А. Иессен, К хронологии «больших кубанских курганов", СА. М-Л., 1950, стр. 174. Т.Б. Попова, დასახ. ნაშრომი გვ. 41.

510. Р.М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, стр. 402.

აზიასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო[511]. ბრინჯაოს ჭურჭელი, უპირატესად ქვაბები, საკმაოდ ხშირად გვხვდება გვიანმაიკოპის ხანაში[512].

ჩრდილო კავკასიის გარეთ მსგავსი ბრინჯაოს ქვაბები ცნობილი არ არის[513]. მათი ადგილობრივი წარმომავლობა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს[514]. ისინი უპირატესად თიხის ჭურჭლის ფორმას იმეორებენ და ზოგიერთზე გვხვდება გვიან მაიკოპის კულტურის კერამიკისათვის დამახასიათებელი „მარგალიტისებრი" ორნამენტი[515].

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში ბრინჯაოს კაევები, თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილ მსგავს იარაღს, თითქმის არ გვხვდება. ისინი კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში გვიანმაიკოპის კულტურაში. შესაძლოა მათ, მართლაც, ქვაბიდან ხორცის ამოსაღებად ხმარობდნენ რიტუალური ცერემონიალის დროს. პირდაპირი ანალოგიები ამ ნივთებისა სადღეისოდ ცნობილი არ არის, თუმცა მსგავსი დანიშნულების ნივთები გვხვდება წინააზიაში. ბრინჯაოს კაევებიც, ჩანს, ადგილობრივი ნაწარმი უნდა ყოფილიყო[516].

აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაში ძვირფასი ლითონის ჭურჭელი მომდევნო ხანაში აღარ გვხვდება და საერთოდ არც საიუველირო ნაწარმია მაინცადამაინც გავრცელებული[517]. ჩვენში კი, პირიქით ძვირფასი ლითონის ჭურჭელი პირველად სწორედ თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" ხანაში გვხვდება. ვერცხლის სასმისები თრიალეთიდან და სოფ. კარაშამბიდან (სომხეთი), ვერცხლის სარწყული, ოქროს ინკრუსტირებული სადა თასები და სხვ. ოქრომჭედლობის მაღალი დონის მაჩვენებელია. როგორც ჩანს, თრიალეთის კულტურის პერიოდში კვლავ, აღდგა ერთხანს შენელებული ურთიერთობა სამხრეთთან, რასაც შედეგად კულტურის საერთო დონის ამაღლება და, კერძოდ, საიუველირო საქმის აღზევება მოყვა. ჩრდილო კავკასიაში ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები ჭურჭელი ძირითადად მაიკოპის სტადიაზე გვხვდება. სწორედ ამ დროს შეინიშნება საკმაოდ ახლო კავშირი წინააზიურ სამყაროსთან. გვიანმაიკოპის ხანაში, ნოვოსვობოდნაიას სტადიაზე ძვირფასი ლითონის ჭურჭელი აქ აღარ ჩანს.

არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ ოქრომჭედლობის პირველი იმპულსები ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან, მაიკოპის კულტურასთან ურთიერთობის შედეგად ვრცელდება. მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით განფენამ ერთგვარად თითქოს შეანელა ამიერკავკასიის დამოკიდებულება წინააზიურ სამყაროსთან. ჩრდილო კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის რეგიონებში, მის აღმოსავლეთ და ცენტრალურ მხარეებში, სამხრეთთან ურთიერთობა ნაკლებად შეინიშნება. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის მიღმა დარჩა, საკმაოდ ახლო

---

511. Т.Б. П о п о в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

512. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 402.

513. იქვე. И.М. Ч е ч е н о в, Богатые захоронения в кургане раннебронзового века у сел. Кишпек в Кабардино-Балкарии, Северный Кавказ в древности и в средние века, Москва, 1980, стр. 29.

514. იქვე.

515. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 402.

516. Т.Б. П о п о в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ო. ფ ა ფ ა ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 233.

517. В.И. М а р к о в и ч, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы, МИА, 93, Москва, 1960, стр. 97.

დამოკიდებულება ჩანს წინა აზიასთან. აქ ამ დროს გავრცელებული მაიკოპის კულტურა უშუალოდ უკავშირდებოდა წინა აზიას, ალბათ ძირითადად ზღვის გზით. ვარაუდობენ, რომ ამ კულტურის ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობა ერთგვარად ნელდება მტკვარ-არაქსის კულტურის უფრო ჩრდილოეთით, ცენტრალური კავკასიის მიმართულებით გავრცელების შედეგად. ამ დროისათვის ევროპულმა გავლენამ იძალა. რამაც მაიკოპის კულტურაში ნოვოსვობოდნაიას ტიპის ძეგლების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი[518]. შესაძლოა, სწორედ ამ დროს ძლიერდება ჩრდილოური იმპულსები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. აქ ადრეყორღანულ კულტურაში ოქრომჭედლობის პირველი ჩვენები მაიკოპის კულტურიდან, ეგებ უფრო ნოვოსვობოდნაიას ეტაპის დროს ვრცელდება. არც ამ ეტაპისთვისაა დამახასიათებელი ძვირფასი ლითონის ჭურჭელი. აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, ჩანს, გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა მაიკოპის კულტურასთან. აზერბაიჯანში, მილის სტეპში გათხრილი უს-თეფეს ყორღანი მაიკოპის ჯგუფის ყორღანებთან ნახულობს ბევრ საერთოს[519]. მაიკოპის კულტურასთან გარკვეულ კავშირს ამყარებენ შიდა ქართლში შესწავლილი ბერიკლდეების ძირაფენის მასალები[520].

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში, რომელიც უშუალოდ, ემიჯნებოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას, ამ პერიოდში ერთგვარად განსხვავებული სურათი შეინიშნება. შესაძლოა, მართლაც, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითის ხანის მოსახლეობამ მაიკოპის კულტურის ადრეულ ეტაპზე გარკვეული როლი შეასრულა მის ფორმირებაში[521]. ზოგიც აქ ერთიანი კულტურის ორი ლოკალური ვარიანტის არსებობას ვარაუდობს[522].

დასავლეთ ამიერკავკასიასა და ყუბანისპირეთს შორის საკმაოდ ახლო ურთიერთობა შეინიშნება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების სადგომებში აღმოჩენილ მასალებში[523]. მაგრამ, შემდეგში დამოკიდებულება ამ რეგიონებს შორის საგრძნობლად ნელდება. რა იყო ამის მიზეზი, ეხლა გარკვევით თქმა ძნელია, მაგრამ, შესაძლოა დასავლეთი ამიერკავკასია ჰავის შედარებით უფრო რბილი ხასიათის გამო, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მსგავსად, მაინცადამაინც არც მაიკოპელებს იზიდავდა. ყუბანისპირეთში ამ დროისათვის ძლიერდება კავშირი სამხრეთთან, რამაც საზოგადოების წინსვლას ხელი შეუწყო. არც ისაა მთლად ნათელი, რა გზით ხორციელდებოდა ურთიერთობა სამხრეთთან. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ძირითადად, გზა ამიერკავკასიაზე გადიოდა, შავი ზღვის სანაპირო ზოლით[524], მაგრამ, ანარეკლი ამისა აქ არ შეინიშნება. ამ დროისათვის კოლხეთის დაბლობი, მისი ზღვისპირა ზოლი, ჯერ კიდევ თითქმის დაუსახლებელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ამ გზის არსებობა

---

518. В.А. Труфанов, Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры, стр. 21.

519. А.А. Иессен, Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, МИА 125, М-Л., 1965, стр. 153.

520. Л.И. Гонтиц, А.И. Джавахишвили, Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли-Бериклдеебиц, стр. 86.

521. А.А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 149.

522. ლ. ნებიერიძე, დარკვეთის ბრაკელფენიანი ეხი, თბილისი, 1978, გვ. 85.

523. ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრე სამწყობიერული კულტურის განვითარების ადრეული საფეხური, თბ. 1986, გვ. 166.

524. გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძ.წ. III ათასწლეულში, თბ. 1993, გვ. 50.

ნაკლებად სავარაუდოა და იგი კონტაქტებისათვის გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო. ამ მიზნისათვის გაცილებით უკეთესია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სანაპირო ზოლი. როგორც ზეკით აღინიშნა, წინააზიასთან ურთიერთობა ძირითადად ალბათ ზღვის გზით ხორციელდებოდა. მაიკოპის კულტურის მატარებელმა ტომებმა, ეტყობა უშუალო კავშირი დაამყარეს წინააზიურ სამყაროსთან. ამავე დროს ძლიერდება ურთიერთობა კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ კულტურასთან. ჩანს, ამის შედეგად ვრცელდება ყუბანისპირეთში მიცვალებულის ყორღანული ტიპის სამარხებში დაკრძალვის ტრადიცია. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში ყორღანი არ გავრცელდა. ნიშანდობლივია, რომ დოლმენური კულტურა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დაახლოებთ ამ პერიოდში იწყებს გამოჩენას, სამხრეთით თითქმის არ ვრცელდება და მისი ფართოდ განფენა უფრო ჩრდილო რეგიონებში ხდება. ბრინჯაოს ხანის გარიჟრაჟზე კულტურის განვითარება დასავლეთ ამიერკავკასიაში თავისებური, ერთგვარად თითქოს უფრო მეტად იზოლირებული გზით მიდიოდა.

ზეკით უკვე აღვნიშნეთ, რომ ადრეყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპზე ოქრომჭედლობა უკვე განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს. ანანაურის ყორღანში აღმოჩენილი ოქროს შესანიშნავი სამკაული ოქრომჭედლობის საკმაოდ რთულ ტექნოლოგიას დაუფლებულ ოსტატთა ნახელავია (სურ, 51. ტაბ. XXXIV). ჩანს, ყოველგვარი წინამძღვრების გარეშე ადრეყორღანული კულტურის ხანაში გამოჩენას იწყებს უკვე საკმაოდ მაღალი ოსტატობით შესრულებული ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები. აქ უნდა შეინიშნოს, რომ წინა აზიაშიც საიუველირო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები თითქოს ანაზდეულად ჩნდება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე[525]. თანაც ისიცაა საეჭველი, რომ ძვირფასი ლითონის პირველ ნივთებს ამიერკავკასიის ადრეული ყორღანებიდან არ მოეძებნება ანალოგები არც სამხრეთით და არც ჩრდილოეთით. არ არის ვარაუდს მოკლებული ის აზრი, რომ ამ დროს ამიერკავკასიაში საფუძველი ეყრება ოქრომჭედლობის ადგილობრივ ტრადიციებს, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ მარტყოფის და ბედენის ეტაპების ძვირფასი ლითონის ნაწარმში არ შეიმჩნევა მაინცადამაინც საგრძნობი მსგავსება. მათ შორის საერთო ძირითადად დაკრძალვის ყორღანულ წესში ჩანს, თორემ კულტურის ხასიათში საკმაოდ სხვაობა შეინიშნება. ბედენის კულტურის საიუველირო საქმე განვითარების მაღალ დონეს აღწევს. ამ დროს პირველად ჩნდება ძვირფასი ლითონის ორკოლუტიანი საკინძები. ერთი ამგვარი, შედარებით მოზრდილი საკინძი აღმოჩნდა ბედენის N 5 ყორღანში[526] (ტაბ. XLII). ანალოგიური ფორმის საკინძი, ოღონდ შედარებით უფრო მომცრო, ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა იპოვა თრიალეთის XXII ყორღანში[527] (ტაბ. LXII). ამ საკინძის ღეროს გული სპილენძისაა, რომელზედაც ზემოდან ოქროს ფირფიტაა გადაკრული. ვერცხლის ორკოლუტიანი საკინძი წნორის N 2 ყორღანში აღმოჩნდა[528]. ბრინჯაოს ამ ტიპის საკინძი ნაპოვნი იყო დაღესტანში, გინჩის სამაროვნის N5 აკლდამის ერთ-ერთ სამარხში[529]. აღსანიშნავია, რომ ამ სამაროვანზე შეიმჩნევა ამიერ-

525. Л. В у л а л и. Ур. Халдеев, Москва, 1961, стр. 61.

526. გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

527. Л. Г. Ж о р ж и к а ш в и л и, Э. М. Г о г а д з е, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тбилиси, 1974, стр. 12.

528. Ш. Ш. Д е д а б р и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

529. М. Г а д ж и е в а. Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969, стр. 42.

კავკასიიდან მომდინარე საკმაოდ საგრძნობი, განსაკუთრებით ბედენური კულტურის გავლენა[530].

ბედენის ოქროს საკინძი მასიურია, დაბრტყელებული თავით, ორივე მხარეზე რელიეფურად გამოყვანილი რთული გეომეტრიული ორნამენტია მოცემული. მსგავსი ორნამენტია წარმოდგენილი აგრეთვე თრიალეთის ორეოლუტიან საკინძზე[531]. ბედენის ჯგუფის ყორღანებში გვხვდება სხვადასხვა მოყვანილობის ოქროს და ვერცხლის მძივები. აქ არ ჩანს მარტყოფის ეტაპისათვის დამახასიათებელი ოქროს წიბურებიანი ცილინდრული მძივები, კიდეებაწეული ბეჭდები და სხვა. მარტყოფის საფეხურზე თითქმის არ არის წარმოდგენილი ოქროს 1,5 ხვიის სასაფეთქლე რგოლები, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ბედენური ხანის სამარხებში. ამ დროის ძეგლებზე წარმოდგენილია აგრეთვე ოქროს მილაკები, ფირფიტები, წვრილი გრეხილი მავთული და სხვა. მაგრამ, განსაკუთრებით აღსანიშნავია წნორის N 2 ყორღანში ნაპოვნი ლომის პატარა მრგვალი ქანდაკება[532] (ტაბ. XLI). ეს პირველი შემთხვევაა ამ პერიოდში სკულპტურული გამოსახულების აღმოჩენისა ამიერკავკასიაში. ქანდაკება ჩამოსხმულია და მას საკმაოდ კარგად გამოყვანილი ტანი აქვს. მაგრამ, მოუხედავად იმისა, რომ იგი შესრულებულია მაღალი ტექნიკური და მხატვრული დონით, მისი სახის ნაკვთები სრულად არ გადმოსცემს ამ ცხოველისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც საგრძნობლად განსხვავდება ძველაღმოსავლურ სამყაროში კარგად ცნობილ ლომის გამოსახულებებისაგან და აგრეთვე მაიკოპის ყორღანში წარმოდგენილ ამ ცხოველის გამოსახულებისაგან[533].

ადრეყორღანული კულტურის ხანაში მეტალურგიულ წარმოებაში, ჩანს, ძირითადად გრძელდება მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციები. თუმცა, იარაღ-სამკაულის ფორმებში და საერთოდ ლითონის ნივთების ასორტიმენტში შეიმჩნევა გარკვეული თავისებურებები. აღარ გვხვდება წინარე ხანისათვის დამახასიათებელი წინააზიური წარმომავლობის ხიშტისა და შუბისმაგვარი იარაღი; თითქმის აღარ ჩანს ცულის ზოგიერთი ფორმა, საჩხერული ტიპის სატევრის პირები და სხვ. ჩნდება იარაღის ახალი ფორმები – ღარიანი სატები, პირამიდისებრთავიანი ისრის პირები, ბრტყელი, ფოთლისებრი დანისა თუ სატევრის პირები, ცულის თავისებური ფორმა და სხვ.დაახლოებით ასეთივე სურათი შეიმჩნევა აგრეთვე სამკაულშიც. თითქმის აღარ გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი საკინძების ტიპები. აღსანიშნავია, რომ საერთოდ ეს სახეობა სამკაულის, თუ არ ჩაეთვლით ოქროს და ვერცხლის რამდენიმე ეოლუტიან საკინძს ბედენური ხანის სამარხიდან, ნაკლებად გვხვდება. რა იყო მიზეზი იმისა, რომ საკინძი, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა სამკაულისა როგორც წინარე მტკვარ-არაქსის, ისე მომდევნო თრიალეთის კულტურებში, ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში თითქმის გამოდის ხმარებიდან, ახლა ძნელი სათქმელია. ნიშანდობლივია, რომ ლითონის საკმაულთა არც სხვა სახეობებია მაინცადამაინც დამახასიათებელი. ადრეყორღანული კულტურის

---

530. М. Г а д ж и е в. Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969, გვ. 170.

531. ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, თბილისი, 1981. გვ. 66.

532. Ш. Д е д а б р и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

533. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ადრეული ყორღანის კულტურა საქართველოში, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, N 2. თბილისი, 1990, გვ. 34.

დროს თითქმის აღარ გვხვდება წინარე ხანისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფორმის საკიდები – მსხლისებრი, ლუზისებრი, დისკოსებრი და სხვ. სამაგიეროდ მარტყოფის ეტაპზე ვრცელდება ცხოველის კბილების და ეშვებისაგან ნაკეთები საკიდები, სადაფის სხვადასხვა ფორმის სამკაული და სხვ., რომლებიც ბედენის ხანაში თითქმის აღარ გვხვდება. შესაძლოა, ეთნიკურმა ძვრებმა გარკვეული გავლენა მოახდინა აგრეთვე მოსახლეობის ჩაცმულობის ხასიათზე. აღსანიშნავია, რომ არც ჩრდილო კავკასიის ამ დროის ყორღანებისათვისაა დამახასიათებელი ბრინჯაოს საკინძები. არც ბრინჯაოს საკიდებია აქ მაინცადამაინც ცნობილი. ყველაზე გავრცელებულია სასაფეთქლე რგოლები, ისიც უპირატესად ოქროსი[534].

საერთოდ ადრეყორღანული კულტურის ხანაში ცირკუმპონტური პროვინციის სამთო-მეტალურგიული ცენტრების დაწინაურება იგრძნობა[535]. შესამჩნევად მატულობს ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი[536]. ჩნდება ახალი ფორმები იარაღისა[537]. საერთოდ, პროვინციის უფრო სამხრეთის რეგიონებში, ძირითადად დარიშხნის შემცველი სპილენძია გამოყენებული[538]. ადრეყორღანული კულტურის ლითონის იარაღი უპირატესად დარიშხნიანი სპილენძისაა და შედგენილობის ხასიათით თითქმის არ განსხვავდებიან წინარე ხანის ლითონისაგან. მარტყოფის ადრეულ ყორღანებში (N1,2,4) ლითონის ყველა ნივთი დარიშხნიანი სპილენძისაა. დარიშხანის რაოდენობა, გარდა ერთი სატევრის პირისა N 2 ყორღანიდან, რომელშიაც დარიშხანის რაოდენობა 4,6% აღწევს, მერყეობს 1%-1,8%-მდე. ხუთ პროცენტამდე დარიშხანია სამგორის ყორღანში ნაპოვნ სატევრის პირში[539].

ბედენური კულტურის ხანაშიც ძირითადად ისევ გამოიყენება დარიშხნიანი სპილენძი. მაგრამ, ამ პერიოდში ჩვენში მეტალურგიულ წარმოებაში მნიშვნელოვანი სიახლე შეინიშნება, შემოდის კალიანი ბრინჯაო. კალიანი ბრინჯაოს ნივთები პირველად ალაზნის ველზე, წნორთან შესწავლილ ყორღანებში აღმოჩნდა[540]. კალიანი ბრინჯაოს ნივთები ნაპოვნია აგრეთვე ბაკურციხის ყორღანში[541]. ამ ყორღანების ნივთებში კალის საკმაოდ მაღალი პროცენტი დადასტურდა. მარტყოფის ბედენური დროის სამივე ყორღანში ნაპოვნი იყო კალიანი ბრინჯაოს ნივთები. N 3 ყორღანის ჩაშვებული სამარხის „შტანდარტი" 3,2% კალას შეიცავდა[542]. ძირითად სამარხში მხოლოდ ერთი სასაფეთქლე

---

534. Р.М. М у ш ч а е в. Кавказ на заре бронзового века, стр. 405.

535. Е.Н. Ч е р н ы х. Кавказ в системе металлургических провинций бронзового века. Медные рудники Западного Кавказа III-I тыс. до н.э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения. Тезисы докладов, Сухуми, 1988, стр. 5.

536. Е.Н. Ч е р н ы х. Циркумпонтийская провинция и древнейшие индоевропейцы. Древний Восток, этнокультурные связи, Москва, 1988, стр. 46.

537. Е.Н. Ч е р н ы х. დასახ. ნაშრ., გვ. 45.

538. Е.Н. Ч е р н ы х. Горное дело и металлургия в древней Болгарии. София, 1978, стр. 277.

А.Ц. Г е в о р х я н. Из истории древней металлургии Армянского Нагорья. Ереван, 1980, стр. 70.

539. ც. ა ბ ე ს ა ძ ე, ნ. ს ა ბ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, კასპი-ადრეული ხანის ყორღანებში მოპოვებული ლითონის ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლისათვის, საქართველოს ... ...

ხვიაა ნაპოვნი, რომელშიაც 6% კალა აღმოჩნდა. N 5 ყორღანში კალიანი ბრინჯაოს „შტანდარტი"-ა ნაპოვნი, რომელშიც კალა 7%-ია. როგორც ჩანს, ჩვენში ამ დროისათვის უკვე კლასიკური შემადგენლობის კალიანი ბრინჯაოა ცნობილი[543]. სადღეისოდ კალის შემცველი ნივთები მხოლოდ კახეთის რეგიონში შესწავლილ ყორღანებშია დადასტურებული.

ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე გათხრილი ყორღანებიდან მხოლოდ ქვემო სარალის N 9 ყორღანში ნაპოვნი ხუთი ნივთის ქიმიური ანალიზია ცნობილი. ყველა მათგანი დარიშხნიანი სპილენძისაა, სადაც დარიშხანის რაოდენობა 1,2-1,8% შორის მერყეობს. თეთრიწყაროს რაიონში, ნადარბაზევში გათხრილი ყორღანიდან შესწავლილი სამი ნივთი დარიშხნიანი სპილენძისაა. სატეხში დარიშხანის რაოდენობა შედარებით მაღალია – 3,54%. დანარჩენებში დარიშხანი 1%-ზე ცოტა მეტია. ბედენის პლატოს ყორღანებიდან მხოლოდ N 5 ყორღანის ორი ნივთის ქიმიური ანალიზია ცნობილი. ბრტყელ ცულში დარიშხანის რაოდენობა 1,2%, სატეხში კი მისი რაოდენობა შედარებით დაბალია – 0,6%[544].

ამრიგად, ბედენის კულტურის ხანაში ჩვენში პირველად გვხვდება კალიანი ბრინჯაოს ნივთები. საიდან, რა გზით შემოდის ამიერკავკასიაში პირველად კალა, მთლად ნათელი არ არის. საერთოდ კავკასიაში კალის გამოჩენის საკითხი უკვე კარგა ხანია გარკვეულ ინტერესს იწვევს და ამასთან დაკავშირებით არა ერთი მოსაზრება გამოითქვა[545]. უფრო ის ვარაუდია გავრცელებული, რომ კავკასიაში კალა გარედან უნდა შემოსულიყო, მაგრამ სად უნდა ყოფილიყო კალის მომარაგების წყარო, ამის შესახებ ერთი გარკვეული მოსაზრება არ არსებობს. ბოლო დროს უფრო ის აზრია გავრცელებული, რომ კალა კავკასიაში სამხრეთიდან უნდა შემოეტანათ. ძველაღმოსავლურ სამყაროში კალიანი ბრინჯაო ძვ. წ. III ათასწლეულში უკვე საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული. გამოითქვა კიდეც მოსაზრება, რომ კალა ამიერკავკასიაში შუმერიდან უნდა გავრცელებულიყო[546]. მაგრამ, უფრო სავარაუდოა, რომ ჩვენში კალიანი ბრინჯაო ანატოლიიდან შემოდის, სადაც კალა ძვ.წ. III ათასწლეულში უკვე კარგადაა ცნობილი. საერთოდ, მცირე აზია ძველი სამყაროს ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც პირველად ეყრება საფუძველი ლითონის გამოყენებას[547]. ანატოლიაში ძვ.წ. III ათასწლეულში ჭარბობს დარიშხნიანი სპილენძი, მაგრამ თანდათანობით იზრდება კალიანი ბრინჯაოს გამოყენება. ალიშარში, ალაჯაში, დემირჩიჰუიუკში, ქებანის რეგიონში და სხვ. ძირითადად დარიშხნიანი სპილენძის ნივთები გვხვდება[548]. ალაჯაჰუიუკში კალიანი ბრინჯაოს მხოლოდ რამდენიმე

---

543. ც. ა ბ ე ს ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 57.

544. ც. ა ბ ე ს ა ძ ე. ქვემო ქართლის ყორღანებში მოპოვებული ლითონის ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლისათვის. სამეცნიერო ექსპედიციების რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია, I, თბილისი, 1974, გვ. 14.

545. ც. ა ბ ე ს ა ძ ე. იქვე და შუაბრინჯაოს ხანის ნაწარმი კ.-ხეთიდან, გვ. 148.

546. Ch. B u r n e y, D. L a n g. დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

547. U f u k E s i n. Die Anfänge der Metallverwendung und Bearbeitung in Anatolien, 17500-2000 v. Chr.; Union Internationale des Sciences Prehistoriques et Protohistiriques, IX, Congres, Nica, 1976, გვ. 210.

ЕН. Ч е р н ы х. Культурные контакты в циркумпонтийской области, стр. 99.

548. U f u k E s i n. დასახ. ნაშრომი, გვ. 222,228.

M. K o r f m a n n. Die westanatolische Frühbronzezeit und deren Datierung nach den neusten Grabungsergebnisse in Demircihüyük und Bessik-Yassi-tepe, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1991, стр. 83.

ნივთია ცნობილი[549]. აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომელიც ამ დროისათვის სტკვარ-არაქსის კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის, ძირითადად დარიშხნიანი სპილენძია გავრცელებული. მართალია, ანატოლიაში ამ დროისათვის ჭარბობს დარიშხნიანი სპილენძის შენადნობი, მაგრამ იზრდება კალიანი ბრინჯაოს გამოყენება[550]. მსგავსი სურათი შეინიშნება ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინციის ცენტრალურ ოლქებში, სადაც თანდათანობით მატულობს კალიანი ბრინჯაოს ხვედრითი წონა[551]. აღმოსავლეთ ანატოლიაში ამ დროისათვის საკმაოდ ძლიერი მეტალურგიული ცენტრი არსებობდა. აქ, ქებანის მხარეში, ლითონის სხვადასხვა მადნებთან ერთად, ჩანს, მოიპოვებოდა აგრეთვე კალაი[552]. ანატოლიის ამ რეგიონს ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის საკმაოდ მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა ამიერკავკასიასთან და იგი კარგა ხანს მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამ დროისათვის აქაც ძირითადად დარიშხნიანი სპილენძი იყო გავრცელებული. ჭარაზში, მაგალითად, ლითონის თითქმის ყველა ნივთი დარიშხნიანი სპილენძისაა[553], მაგრამ, შემდეგში აქ თანდათანობით შემოდის კალიანი ბრინჯაო. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის, ბედენის კულტურის ხანაში, ვრცელდება, ალბათ, ამიერკავკასიაში კალის გამოყენების პირველი ჩვეულები.

ამიერკავკასიაში კალიანი ბრინჯაოს შემოსვლის შესახებ გამოითქვა მოსაზრება, რომ თითქოს იგი პირველად სომხეთის ტერიტორიაზე ვრცელდება ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს, ამ დროისათვის საქართველოში თითქოს ისევ დარიშხნიანი სპილენძია გავრცელებული[554]. აღინიშნა კიდეც, რომ ეს მოსაზრება მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს[555]. არა გვგონია, რომ კალის შემცველი რამდენიმე ნივთი სომხეთიდან ბედენის კულტურაში ნაპოვნი კალიანი ბრინჯაოს ნივთებზე ადრეული იყოს. არც ის ჩანს მთლად მართებული, რომ თითქოს მეწამორში აღმოჩნდა კალის მადანი და რომ აქ ადრებრინჯაოს III პერიოდში უნდა არსებულიყო სომხური ცენტრი ბრინჯაოს მიღებისა[556]. მეწამორი, ჩანს, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არსებობდა და თუკი აქ მართლაც იყო ნაპოვნი კალის შემცველი წიდა, იგი, საფიქრებელია, უფრო გვიანი ხანისა უნდა ყოფილიყო[557].

ამრიგად, როგორც ჩანს, კალიანი ბრინჯაოს ნივთები ამიერკავკასიაში პირველად ძვ.წ.III ათასწლეულის ბოლოსათვის ვრცელდება ბედენური კულტურის ხანაში, ძირითადად, ალბათ, ანატოლიის გზით. წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურის დროს, მიუხედავად ანატოლიასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობისა, კალიანი ბრინჯაო ჩვენში ჯერ კიდევ

---

549. Ufuk Esin, Kuantitatif Spektral Analiz Yardımıyla Anadoluda Baslangicından Asur kolonizleri Çagina Kadar Bakir ve Tunç Madenciligi, Istambul, 1969. გვ. 122.

550. Е.Н. Черных, Циркумпонтийская провинция и древнейшие индоевропейцы, стр. 46.

Л.И. Авилова, Т.О. Тенсейшвили, К проблеме связей Малой Азии и Закавказья. Медные рудники Западного Кавказа III-I тысяч. до н.э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения. Тезисы докладов Сухуми, 1988, стр. 26.

551. Е.Н. Черных, Кавказ в системе металлургических провинций бронзового века, стр. 5.

552. Ufik Esin, Die Anfänge des Metallverwendung und Bearbeitung in Anatolien; გვ. 217.

553. Ufik Esin, Kuantitatif Spektral Analiz..გვ. 135.

554. А.Ц. Геворкян, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

555. ე.ა ბ ე ს ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

556. Ch. Burney, D. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

557. J. Mellaart, Anatolian Trade with Europe and Anatolian Geography and Culture Provinces in the Late Bronze Age, Anatolian Studies, XVIII, 1968; გვ. 200.

ცნობილი არ იყო. ეტყობა ძვირად ღირებულმა და ნაკლებად მისაწვდომმა კალამ ამ ხანებისათვის მაინცდამაინც ვერ მოიკიდა ფეხი და ისევ ძირითადად დარიშხანიანი სპილენძია ხმარებაში. ბედენის კულტურის ხანაში კალა ჯერ კიდევ ნაკლებად გვხვდება. მისი შედარებით ფართო გამოყენება, მომდევნო თრიალეთის კულტურის დროს იწყება. აღსანიშნავია, რომ კალიანი ბრინჯაოს პირველი ნივთები – იარაღიც და სამკაულიც, ადგილობრივ ჩამოყალიბებული ტიპებია. თანაც უკვე ცნობილია ბრინჯაოს კლასიკური შემადგენლობა[558]. ნიშანდობლივია, რომ კალიანი ბრინჯაო ამიერკავკასიაში პირველად მის აღმოსავლეთ ნაწილში ვრცელდება. დასავლეთ ამიერკავკასიაში ამ დროს ისევ დარიშხნიანი სპილენძია გამოყენებული[559].

ახლა ძნელია გარკვევით თქმა, ცნობილი იყო თუ არა ამ ხანებისათვის კალის რაიმე ადგილობრივი მადანგამოსავლები. საერთოდ, ამიერკავკასიაში სადღეისოდ კალის საწარმოო მნიშვნელობის საბადო ცნობილი არ არის. ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უარყოფს კალის მადნების კავკასიაში არსებობის შესაძლებლობას. თუმცა საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე კალის ნაკვალევი დადგენილია სხვადასხვა ადგილებში[560]. ახლა ძნელია გარკვევით თქმა, იყო თუ არა კალის ეს მცირე გამოსავლები გამოყენებული ბრინჯაოს ხანაში. რაიმე ნიშანი ამისა დღემდე ცნობილი არ არის. და მაინც, არ არის მთლად გამორიცხული კალის ადგილობრივი მოპოვების შესაძლებლობა. არა გვგონია მთლად მართებული იყოს მოსაზრება, რომ სომხეთში მთა ალაგიოზის მახლობლად, არაქსის ველზე, ეარსება კალის საბადოს, საიდანაც კალა გაჰქონდათ ასირიელებს ანატოლიაში და არც ის ცდუნება ჩანს დამაჯერებელი, რომ თითქოს თრიალეთის ყორღანებში დაკრძალული მთავრები კონტროლს უწევდნენ კალას და ამ რეგიონის ლითონის სხვა საბადოებს[561]. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამიერკავკასიას ბრინჯაოს ხანის რომელიმე პერიოდში მოემარაგებინა კალით ანატოლია; კალა, როგორც აღინიშნა, პირველად ანატოლიიდან ვრცელდება ამიერკავკასიაში ძ.წ. III ათასწლეულის ბოლოს, ბედენის კულტურის დროს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბედენური საფეხურისათვის დამახასიათებელი კერამიკა, რომელიც ესოდენ თავისებურ სახეს აძლევს ამ ხანის კულტურას. მართალია, ჭურჭელი ჯერ ისევ ხელითაა ნაძერწი, მაგრამ გამოირჩევა მაღალი ოსტატობით, ფორმათა გასაოცარი სინატიფით, მრავალგვარობით და ორიგინალობით. საგანგებო ყურადღებაა მიქცეული ჭურჭლის გარეთა პირის დამუშავებაზე, რომლის სიკრიალე ხშირად მეტალის ბზინვარების დონემდეა მიყვანილი. მართალია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის ბრინჯაოს ხანაში უპირატესად ზედაპირგაპრიალებული კერამიკაა დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ დროს შავი ჭურჭლის გარეთა პირის კრიალს ისეთ დონემდე არ მიუღწევია, როგორც ამას ბედენური კულტურის ხანაში ვხვდებით. ჭურჭლის ფორმები მაღალი ოსტატობითაა გამოყვანილი, განსაკუთრებით გამოირჩევა წვრილი, თხელკედლიანი კერამიკა. ხშირადაა წარმოდგენილი უპირატესად ცალყურა, შედარებით მცირე ზომის თხელკედლიანი ქოთნები, ცილინდრული, არცთუ ისე მაღალი ყელით, პირგადაშლილი,

558. ც. ა ბ ე ს ა ძ ე, ნ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი, კახეთის ადრეული ხანის ყორღანებში მოპოვებული ლითონის ნივთების ქიმიური შედგენილობის შესწავლისათვის, გვ. 57.

559. იქვე.

560. ც. ა ბ ე ს ა ძ ე, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ნაწარმი კახეთიდან, გვ.148.

561. J. M c l l a a r t, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

ბირთვისებრი ტანით. ბიკონუსური მოყვანილობის ცალყურა ქოთნებს, რომლებსაც წიბური ძირთან ახლოსა აქვს მიტანილი, ჩაღარული ყელი და გადაშლილი პირი აქვთ. შედარებით მოზრდილი, სწორტანიანი ორყურა ქოთნები, ცალყურა სასმისები და ტოლჩები და სხვ. ჭურჭელი ან სადაა, ან კიდევ შემკულია რელიეფური ორნამენტით, წვრილად ნაკაწრი გეომეტრიული სახეების სარტყლებით, მხარზე ფოსოებით და სხვ. ცილინდრულ ყელთან ქოთნებს მხარზე ხშირად „მარგალიტისებრი" ორნამენტი შემოუყვება. სწორკედლიანი ქოთნების კორპუსს უპირატესად წვრილად ნაკაწრი გეომეტრიული ორნამენტი ამკობს. სწორედ თიხის ეს ჭურჭელია, რომელიც მკვეთრად გამოარჩევს ბედენის კერამიკულ კომპლექსს. ამ ჭურჭლის ზედაპირის სიკრიალე ხშირად ვერცხლისებრ ბზინვარებამდეა მიტანილი. არა გვგონია ამასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება მართალი იყოს, რომ თითქოს ბედენელი მეთუნეები მეტოქეობას უწევდნენ ვერცხლის ჭურჭლის ოსტატებს. სხვა რომ არ იყოს, ლითონის ჭურჭელი, როგორც ზევით აღინიშნა, ჩვენში არც მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანულ კულტურებში ცნობილი დღემდე არ არის. ამიტომ, არც ის აზრი უნდა იყოს მთლად სწორი, რომ თითქოს ბედენური კერამიკა ლითონის ჭურჭლის მიბაძვა იყოს[562]. გვხვდება აგრეთვე შედარებით სქელკედლიანი, მოზრდილი და საშუალო ზომის ჭურჭელი – ქილები, დერგები კვერცხისებრი ან ბირთვისებრი ტანით, ჩაღარული ან დაბალი ცილინდრული ყელით, მხრებზე მიბმული პატარა ყურებით, უპირატესად სადა, ზოგჯერ შემკული კოპებით, ან შედარებით მარტივი გეომეტრიული ორნამენტით.*

მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანები, ალაზნის ველის ბედენის ყორღანებთან შედარებით, არ ხასიათდებიან სამარხეული ინვენტარის სიმდიდრით, ალბათ, დაკრძალულთა შესაბამისი რანგის გამო. ამიტომ, ამ ყორღანებში აღმოჩენილი თიხის ნაწარმი არ გამოირჩევა მაინცდამაინც მრავალგვარობით. შედარებით უფრო საინტერესო კომპლექსი აღმოჩნდა N 5 ყორღანში[563]. აღსანიშნავია ორი სწორტანიანი ორყურა ქოთანი; მათი ზედაპირი წვრილად ნაკაწრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული (სურ. 29, 182, 183. ტაბ. XXVI). მსგავსი ორნამენტითაა შემკული ცალყურა სასმისი და ქოთანი (სურ. 29, 185, 186). აქვე აღმოჩნდა ბიკონუსური ფორმის ერთი ქოთანი (სურ. 29, 184). გარდა ამისა, სამარხში სამი მოზრდილი დერგი იდო. ორი მათგანი შავპრიალა – ერთი ბირთვისებრი კორპუსით, ჩაღარული ყელით, ორყურა, რომელსაც მხარზე მოზრდილი კოპების ერთი რიგი შემოუყვება (სურ. 30, 192, ტაბ. XXVII). მეორე – ყელდაბალი, კვერცხისებრი მოყვანილობის ტანით, ორყურა (სურ. 30, 193, ტაბ.XXVII), განსაკუთრებით აღსანიშნავია მოწითალო თიხის დერგი, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, მხარზე და მუცელზე ეტყობა შავად მოხატვის კვალი (სურ. 31, ტაბ. XXVII). საერთოდ მოხატული ჭურჭელი ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი არ არის. რამდენიმე ნატეხი მოზრდილი მოხატული ჭურჭლისა აღმოჩნდა ბედენის N 5 ყორღანში[564]. აქაც კრემისფერ ზედაპირზე მუქი საღებავით დატანილია ტალღოვანი ხაზი და გეომეტრიული ორნამენტია გამოყვა-

562. გ. გოხელაშვილი. დასახ.ნაშრომი, გვ. 50.

ე.გოგაძე. ორიენტალის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, გვ. 20.

* ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა საფუძვლიანადაა განხილული ე.გოგაძის და გ.ტალაქვაძეს ნაშრომებში. ეს გვანთავისუფლებს ჭურჭლების ამ კომპლექსის უფრო დაწვრილებით შესწავლისაგან.

563. გ. ავალიშვილი. ნ. ფეფიერი, თ. კეკელიძე, მ. კობაღაძე. მ. ჩაჩელაშვილი. - ნეტუფელი. დასახ. ნაშრომი. გვ.66.

564. გ. გოხელაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 48.



სურ. 55. თიხის ჭურჭელი ამირანის გორის ნამოსახლარიდან.

ნილი. ორივე მოხატული ჭურჭელი შავპრიალა კერამიკასთან შედარებით ძერწვის უფრო დაბალი დონით ხასიათდება. ძერწვის და მოხატვის ხარისხით ეს კერამიკა თითქოს მოგვაგონებს ზურტაკეტისა და თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილ ჭურჭლების ერთ წყებას, რომლებიც აგრეთვე გამოირჩევიან დამუშავების შედარებით დაბალი დონით[565].

მარტყოფის N 3 ყორღანში ორი ღრმა ჯამი აღმოჩნდა. ერთი ქუსლიანი (სურ. 26, 51), მეორე კი სამფეხა (სურ. 26, 52, ტაბ. XXV). ჯამისებრი ჭურჭელი ბედენის კულტურაში შედარებით იშვიათია. ერთი ღრმა ჯამი სამ მაღალ ფიგურულ ფეხზე შემდგარი, ნაპოვნი იყო ბედენის N 5 ყორღანში. აქვე აღმოჩნდა ხის ოთხი სამფეხა ჯამი[566]. ფეხზე მდგარი ჯამისებრი ჭურჭელი ჩვენში არც მანამდე და არც მერე მაინცდამაინც დამახასიათებელი არ იყო. ჯამის ტიპის სამფეხა ჭურჭელი, ოღონდ ქვისა, ნაპოვნი იყო სომხეთში მაისიანის ერთ-ერთ ყორღანში[567]. ერთი სამფეხა ჭურჭელი ქოთნის ფორმისა აღმოჩნდა ამირანის გორის ნამოსახლარზე[568] (სურ.55). მსგავსი სამფეხა ჭურჭელი ნაპოვნია აზერბაიჯანში. მიშარჩაი 1 ნამოსახლარის მეორე ფენაში[569]. ეს ჭურჭელი ახლო დგას ჩრდილო კავკასიის სამარხებში ნაპოვნ ფეხიან ჭურჭლებთან. აქაც სამ ან ოთხ ფეხზე შემდგარი ქოთნისებრი ჭურჭელია ცნობილი, რომლებსაც ტანზე ჩვეულებრივად ორი

565. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969, გვ. 122.

566. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრომი, გვ. 48.

567 Г.Е. А р е ш я н, Раскопки в Мисяне, АО, 1984 г., Москва, 1986, стр. 123.

568. ტ. ჩ ე ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, გვ. 35, სურ. 8.

569 Д.Р. М а х м у д о в, Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, Автореферат, Тбилиси, 1979, стр. 7.

ყური ასხია. ჩეჩნეთში, ბამუტის ყორღანებში, რამდენიმე ოთხფეხა ჭურჭელი აღმოჩნდა[570]. მსგავსი კერამიკა, ოღონდ სამფეხა, ჩრდილო ოსეთში ძეარიკაუს სამაროვანზე იყო ნაპოვნი[571]. ეს სამარხები, როგორც ფიქრობენ, ბედენური ხანისა უნდა იყოს[572]. ფეხიანი ჭურჭელი საკმაოდ ადრე ჩანს ძველ აღმოსავლეთში. ანატოლიაში მათ ვხვდებით ჰაჯილარის ხალკოლითურ ფენებში[573]. ბეისესულთანში სხვადასხვა ტიპის სამფეხა ჭურჭელი ცნობილია ადრე ბრინჯაოს ხანის მასალებში, ტროს II ქალაქში, ევროპაში[574].

მარტყოფის N 3 ყორღანის ძირითად სამარხში შავპრიალა ჭურჭელთან ერთად, მოყავისფრო ფერის შედარებით ტლანქად ნაძერწი ოთხი ორყურა ქოთანი იდო. ორ მათგანს მხარზე ფართო ქედების ერთი რიგი შემოუყვება (სურ, 26, 48. ტაბ.XXIV). დანარჩენი ორის მთელი ტანი დაფარულია წვრილი სავარცხლისებრ ნაკვალევი ხაზებით (ტაბ. XXV). ერთ მათგანს ამოღარული ზოლები სხვადასხვა მიმართულებით დაუყვება[575]. (სურ. 26,49). მსგავსი ჭურჭელი ასეთივე ხასიათის ორნამენტით შემკული, ცნობილია ბერიკლდეების ნამოსახლარის ბედენური ხანის ფენიდან და ციხიაგორის A დონიდან[576]. ამგვარი კერამიკა აღმოჩნდა მარნეულის ველის N 9 ყორღანში[577] (სურ. 52, 11). აღსანიშნავია, თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი ქოთანი, რომლის მთელი ზედაპირი ესისტემოდ ნაკაწრი ხაზებით იყო დაფარული[578]. გამოითქვა კიდეც მოსაზრება ამ რიგის კერამიკის ჩრდილოური წარმომავლობის შესახებ[579]. სავარცხლისებური შტამპით ჭურჭლის კორპუსის გარეთა პირის დაფარვა დამახასიათებელი იყო ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის[580]. მსგავსი ჭურჭელი გავრცელებული იყო კავკასიისპირეთში ამ დროის

---

570. Р.М. М у н ч а е в, Погребальные комплексы с сосудами на ножках из Бамутских курганов эпохи бронзы. Новое в археологии Северного Кавказа. Москва, 1986. стр. 27.

571. Н.А. Н и к о л а е в а, В.А. С а ф р о н о в, Курганный могильник эпохи бронзы у с.Дзуарикау. Проблемы археологии Северной Осетии. Орджоникидзе, 1980. стр. 16.

572. Р.М. М у н ч а е в, დასახ.ნაშრომი, გვ. 38.

573. J. M e l l a a r t, Excavations at Hacilar, Anatolian Studies, VIII, გვ. 143. სურ. 8,34.

574. S. L o y d, J. M e l l a a r t, Beycesultan Excavations, Anatolian Studes, VIII, გვ. 120, სურ. 2.

Г. Ч а й л д, У истоков европейской цивилизации. Москва, 1952. стр. 70, рис. 17, 19.

Е з е р о, Раннебронзовато селище, София, 1979, стр. 365.

575. ო. ფ ა ფ ა ხ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1986, გვ. 34.

576. ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, გ. ნ ე მ ს ა ძ ე, ა. ფ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქარლის რაიონში, ბერიკლდეებზე 1979-1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, თბილისი, 1986, გვ. 39.

ზ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, გვ. 59.

577. ო. ფ ა ფ ა ხ ი ძ ე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971), თბილისი, 1975, გვ. 149.

578. ლ. ჟ ო რ ჟ ი ხ ა შ ვ ი ლ ი, ე. გ ო გ ა ძ ე, Памятники Триалети ранней и средней бронзы, Тбилиси, 1974. стр. 103, табл. 93, 108.

579. ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, გვ. 91.

580. Г. Ч а й л д, У истоков европейской цивилизации. Москва, 1952. стр. 217.

Б.А. Л а т ы н и н, Молоточковидные булавки и их культурная атрибутация и датировка. Археологический сборник, вып. 9. Ленинград, 1967, стр. 40. рис. 13.

სამარხებში[581].

ბედენის და ალაზნის ველის ყორღანებში არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება „ჩაიდნის" ტიპის ჭურჭელი[582]. ისინი იმეორებენ ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელ ჭურჭლის ფორმას, ოღონდ ცალ გვერდზე მილისებრი წანაზარდი უჩნდება. მილიანი ჭურჭელი წინა აზიაში საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ცნობილი და ფართოდაც იყო აქ გავრცელებული[583]. ჩვენში კი ამ ტიპის ჭურჭელი, ჩანს, პირველად ბედენის კულტურაში გვხვდება. არც წინარე და არც მომდევნო პერიოდში „ჩაიდნის" ტიპის ჭურჭელი ჩვენში მაინცდამაინც არ გავრცელებულა. მილიანი ჭურჭელი ამიერკავკასიაში საკმაოდ გვიან, ალაზნის ველის, იალაილუთაფას კულტურაში ვრცელდება შედარებით ფართოდ[584]. შესაძლოა „ჩაიდნის" ტიპის ჭურჭლის იდეა ბედენურ კულტურაში სამხრეთიდან მოდიოდეს; მილი აქ ადგილობრივ კერამიკულ ფორმებს უჩნდება.

აღსანიშნავია ბედენის N 5 ყორღანში ნაპოვნი ორმაგი ჭურჭელი. აქაც ერთადაა შეერთებული ბედენის კულტურისათვის დამახასიათებელი კოკობის ტიპის ჭურჭელი, თანაც ორივეს მხართან „მარგალიტისებრი" კოპები შემოუყვება. ერთი ორმაგი ჭურჭელი ჩვენში ცნობილია ბეშთაშენიდან მტკვარ-არაქსის კულტურის ფენიდან[585]. მომდევნო თრიალეთის კულტურაში იგი თითქმის არ გვხვდება. მარნის ტიპის ჭურჭელი ამიერკავკასიაში შედარებით ფართოდ გვიან-ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში ვრცელდება. აღსანიშნავია ველიკენტის კატაკომბურ სამარხში აღმოჩენილი ერთი სამმაგი ჭურჭელი[586]. ძველ აღმოსავლეთში ორმაგი ჭურჭელი გავრცელებული იყო საკმაოდ ადრეული პერიოდიდან[587].

სრულიად თავისებური ერთი ქილისებრი ჭურჭელი აღმოჩნდა მარტყოფის N 6 ყორღანში. იგი შავპრიალაა, საკმაოდ მოზრდილი, მაღალი ცილინდრული, პირისაკენ ოდნავ შევიწროებული ყელით, ტანი მას კვერცხისებრი მოყვანილობისა აქვს[588], მხარზე მომცრო ორი ყური ასხია. ტანის ზედა ნაწილში რელიეფური ორმაგი სპირალია გამოყვანილი. სპირალები ორფაა და შიდა უფრო მეტადაა დახვეული, ვიდრე გარეთა. სპირალებს შორის კაუჭია გამოსახული (სურ. 34, ტაბ. XXIX). თავისი ფორმით ეს ჭურჭელი თითქოს უფრო მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ცილინდრულყელიან ჭურჭელს მოგვაგონებს. მსგავსი ქილისებრი ჭურჭელი ადრეყორღანულ კულტურაში ცნო-

581. იქვე, გვ. 66, სურ. 65.

582. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57; Ш. Д е д а б р и ш в и л и, Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979, стр. 46.

583. Г. Ч а й л д, Древний Восток в свете новых раскопок, Москва, 1956, стр. 217, рис. 75.

E. F. Schmidt, Excavations at Tepe Hissar Damghan, Philadelphia, 1937; ტაბ. XLI.

R. Amiran, Ancient Pottery of the Holy Land, 1970, გვ. 431, ტაბ. 9, 12.

M. Giuseppina Trentin, The Early Reserved Slip wares Horizon of the Upper Euphrates Basin and western Syria, Between the Rivers and Over the Mountains, Roma, 1993; გვ. 178, სურ. 1.

584. გ. ნ ი ო რ ა ძ ე, ალაზნის ველის გათხრები, თბილისი, 1940, გვ. 24, სურ. 16.

585. Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 111.

586. М.Г. Г а д ж и е в, Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа, Москва, 1991, стр. 222.

587. J. G a r s t a n g, Prehistoric Mersin, Oxford, 1953, გვ. 194;

H a n s H e n n i n g v o n d e r O s t e n, The Alischar Hüyük, Part I, Chicago, გვ. 239, 247.

588. გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ა ფ ი ა ტ ა ს ი, თ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

ბილი არ არის. ორნამენტის ხასიათითაც იგი უფრო მეტ საერთოს მტკვარ-არაქსის კერამიკასთან ნახულობს. მსგავსი ორმაგი სპირალები დამახასიათებელია ქარაზის[589], ამირანის გორის[590] და სხვ. კერამიკისათვის (სურ. 55). და მაინც, მარტყოფის ჭურჭლის ორნამენტული სპირალი თავისი ხასიათით ერთგვარად განსხვავებულია. აქ სპირალები ორფაა და ერთმანეთს სწორხაზოვნად უერთდებიან. მტკვარ-არაქსული კერამიკის სპირალები ცალფაა და შეერთების ადგილი უფრო მეტად ჩაღრმავებულია. N 6 ყორღანის ჭურჭელი ფორმით გარკვეულ მსგავსებას პოულობს მარტყოფის ეტაპისათვის დამახასიათებელ კერამიკის ზოგიერთ ტიპთან. ამ ჭურჭელთან ერთად ნაპოვნი ისრის პირი უფრო მარტყოფის ეტაპისათვის დამახასიათებელ იარაღს უახლოვდება, ოღონდ თავი მას მკვეთრად გამსხვილებული არა აქვს.

ბედენური საფეხურის კერამიკული კომპლექსი შესამჩნევად განსხვავდება მარტყოფის ეტაპისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლისაგან. თუმცა მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილ კერამიკაში უკვე ზოგი ისეთი ნიშანი ჩანს, რომელიც შემდეგში ბედენური კულტურის თიხის ჭურჭელში შეინიშნება. მართალია, მარტყოფის ეს კერამიკა ჯერ კიდევ მსხლისებურ ჭურჭელთან და ტოლჩებთან ერთად გვხვდება, მაგრამ უკვე ჩანს ახალი ფორმები – ბიკონუსური ჭურჭელი, ფართოპირიანი ყელდაბალი ქილები, ბირთვისებურტანიანი ცალყურა ქილები და სხვ. არ გვხვდება აქ მომცრო, სუფრის ჭურჭელი, დამახასიათებელი ბედენური კერამიკული კომპლექსისათვის. ბედენური ხანის ყორღანებში თითქმის აღარა ჩანს მსხლისებრი ფორმა ჭურჭლისა და არც მოზრდილი ტოლჩებია მაინცდამაინც ცნობილი. ბედენური კერამიკა ფორმათა შედარებით უფრო მეტი მრავალგვარობით და შესრულების მაღალი ხარისხით ხასიათდება. მართალია, ბედენური თიხის ჭურჭლისათვის მკვეთრად გამოსახული თავისებურებაა დამახასიათებელი, მაგრამ ზოგი რამ ნიშანი მტკვარ-არაქსის კერამიკისაგან მომდინარე, თითქოს მაინც შესამჩნევია. ყელის ცილინდრული მოყვანილობა, ზოგი რამ საერთო წვრილ ჭურჭელში და ორნამენტის ხასიათში, ზედაპირის გაპრიალების ტრადიცია და სხვ. თითქოს რამდენადმე აახლოვებს ამ ორ კერამიკულ კომპლექსს. ბედენურ კერამიკას უახლოვდება საჩხერის ყორღანული სამაროვნების გვიანდელ სამარხებში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი. აქ აღმოჩნდა კერამიკა, რომელიც ახლო დგას ადრეყორღანული კულტურისათვის დამახასიათებელ ჭურჭელთან. ქორეთის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ჭურჭელი, რომლის ორივე ყურს ამოზიდული შეერილები აქვს[591]. მსგავსი ჭურჭელი ცნობილია ხოვლეს ყორღანიდან და ბერიკლდეების ნამოსახლარიდან[592]. აღსანიშნავია, რომ ორყურა ქოთნები, რომლებსაც ყურებზე წანაზარდები აქვთ, შიდა ქართლის ბედენური ხანის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. მსგავსი ჭურჭელი ამ დროის იორ-ალაზნის ღრმდინარეთის ძეგლებზე ცნობილი არ არის. მარნეულის ველის N 4 და N 5 ყორღანებში აღმოჩნდა განსხვავებული ფორმის ჭურჭელი, რომლებსაც ცალი შეერილიანი ყური აქვს[592'] (სურ.43, ტაბ. XXXV, XXXVII).

---

589. H. Kosay, K. Turfan, Erzerum - Karaz Karisi raporu, TTK, Belleten, XIII, N 97, გვ. 349.

590. ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28. სურ.5.

591. ო. ჯაფარიძე, ქარაჟული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 188, სურ. 29.1.

592. ლ. ღლონტი, გ. ნემსაძე, ა. ქავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

ალ. Глонти, ა.ი. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

592'. ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, გვ. 143, 144.

ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა აღმოჩნდა მეღანის ველზე მიშარჩაის I მრავალფენიან ნამოსახლარზე, ჯალილაბადის მახლობლად. ამ ნამოსახლარის მეორე ფენაში ნაპოვნი იყო უპირატესად თხელკედლიანი შავპრიალა ჭურჭელი, შემკული წვრილად ნაკაწრი გეომეტრიული სახეებით, „მარგალიტისებრი" ორნამენტით და სხვ.[593]. ეს ფენა უშუალოდ მოსდევდა მტკვარ-არაქსის კულტურის საკმაოდ ძლიერ ფენას. როგორც ჩანს, აქ ადრეყორღანული და მტკვარ-არაქსის კულტურები თანაარსებობენ. ერთი ტიპური ბედენური ცალყურა სასმისი ნაპოვნი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ე.რესლერის მიერ მთიან ყარაბაღში,მდ. ხაჩანაგეტის ხეობაში, სოფ. დავშანლი-არჩადზორთან გათხრილ N 2 ყორღანში[594]. იგი ფორმით და შემკობის ხასიათით თითქმის ისეთივეა, როგორც ერთი ჭურჭელი მარნეულის ველის N 4 ყორღანიდან.

მთლად მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ შენგავითის ნამოსახლარის გვიანი პერიოდის თიხის ჭურჭელი თითქოს კარგად შეესატყვისება თრიალეთის ადრეული ყორღანების კერამიკულ ნაწარმს[595]; არც ფორმით და არც ორნამენტის ხასიათით იგი არ ემსგავსება ყორღანულ კერამიკას. საერთოდ, სადღეისოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ არარატის ველზე ბედენური კულტურა არ გავრცელებულა. აქ ამ დროისათვის ვითარდება მტკვარ-არაქსის კულტურის თავისებური გვიანშენგავითური ვარიანტი.

ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკული კომპლექსი შორეულ, მაგრამ გარკვეულ სიახლოვეს თითქოს ყველაზე მეტად მაინც მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელთან აელენს. არც კავკასიის შიგნით და არც მის გარეთ ბედენური კერამიკა წინარე ხანის სხვა ჯგუფებთან რაიმე შესამჩნევ სიახლოვეს მაინცდამაინც არ იჩენს. თუმცა გამოითქვა ვარაუდი, რომ ბედენის თიხის ჭურჭელი, საერთოდ კულტურა, მაიკოპის კულტურასთან ახლოს დგას და რომ საერთოდ ეს ორი ახლო მონათესავე კულტურა უნდა ყოფილიყო[596]. განსაკუთრებული სიახლოვე ჩანს თითქოს მაიკოპის კულტურის გვიანდელ, ნოვოსვობოდნაიას ეტაპის მასალებთან. ისიც კი ითქვა, რომ ნოვოსვობოდნაიას კულტურის მატარებელ ტომებს მნიშვნელოვანი გაელენა უნდა მოეხდინათ ბედენის კულტურის ჩამოყალიბებაზე[597]. არა გვგონია, რომ მაიკოპის კულტურის ორივე ეტაპისათვის დამახასიათებელი კერამიკული მასალა ასეთი დასკვნის საფუძველს იძლეოდეს. შესაძლოა ბედენის კერამიკულ კომპლექსში მართლაც შეინიშნებოდეს ზოგი რამ საერთო ყუბანის-პირეთის თანადროულ კულტურის თიხის ჭურჭელთან, მაგრამ, ძირითადში მათ შორის საგრძნობი სხვაობაა როგორც კერამიკის ფორმით, ისე თიხის დამუშავებისა და ძერწვის ხასიათით. მაიკოპის კულტურაში უფრო ღია ფერის ჭურჭელი ჭარბობს, თუმცა.იშვიათად, მაგრამ მაინც შავი კერამიკაც გვხვდება, ზოგჯერ კარგად ნაკრიალები ზედაპირით. ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩნდა ერთი შავპრიალა ჭურჭელი მაღალი ცილინდრული ყელით, უყურო, რომელიც თითქოს რაღაც გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ბედენურ

---

593. Ф.А. М а х и н у д о в, დასახ.ნაშრომი, გვ. 6.

594. К.Х. К у ш н а р е в а, Памятники медного века в Нагорном Карабахе, стр. 168, рис. 1, 1

595. გ. გ о б е ч и ш в ი ლ ი, დასახ.ნაშრომი, გვ. 873.

596. А.Д. Р е з е п к и н, Проблемы развития и преемственности культур эпохи ранней и средней бронзы на Северном Кавказе, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 135.

597. К.Х. К у ш н а р е в а, Т.Г. Ч у б и н и ш в и л и, დასახ.ნაშრომი, გვ. 157.



სურ. 56. მოზდოკთან გათხრილი N3 ყორღანის N3 სამარხში ნაპოვნი ნივთები

კერამიკასთან[598]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნოვოსვობოდნაიას და ბედენის კერამიკაზე ზოგჯერ „მარგალიტისებრი" ორნამენტი გვხვდება. საიდან ჩნდება შემკულობის ეს მოტივი, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ნოვოსვობოდნაიას კულტურისათვის იგი თითქოს უფრო დამახასიათებელია და მას აქ ლითონის ჭურჭელზე და სხვა ნივთებზეც ვხვდებით. ბედენისათვის დამახასიათებელი ტიპური ფორმა ჭურჭლისა, რომელიც ასე მკვეთრად გამოარჩევს მას სხვა კულტურის კერამიკული კომპლექსებიდან, ყუბანისპირეთში თითქოს არ გვხვდება.

ჩრდილო კავკასიაში ბედენური კულტურის გავლენა იგრძნობა მის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებში. როგორც ჩანს, ამ პერიოდში კვლავ გრძელდება ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში დაწყებული ურთიერთობა ამ ოლქებთან. ძვ.წ. III ათასწლეულის განმავლობაში გარდა კასპიისპირეთის გზისა, საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის უღელტეხილები[599]. ჩანს, სწორედ ამ გზით ხორციელდებოდა, ძირითადად, ურთიერთობა ცენტრალურ კავკა-

598. Т.Б. П о п о в а. Дольмены станицы Новосвободной, Москва, 1963, стр. 21, таб. XII, 2.

599. М.Г. Г а д ж и е в. Северо-Восточный Кавказ как географическая и этнокультурная область. Древние культуры Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1985, стр. 14.

Р.Ж. Б е т р о з о в. К древней истории племен Центрального Кавказа, Нальчик, 1982, стр. 76.

სიასთან, სადაც უკანასკნელ ხანებში ყობანის ხეობაში შესწავლილ სამაროვნებში კარგად გამოიკვეთა კავშირი შიდა ქართლისა და საჩხერის გვიანშტკვარ-არაქსული პერიოდის ძეგლებთან[600]. აღსანიშნავია, მოზდოკის მახლობლად N 3 ყორღანის მესამე სამარხის ინვენტარი, სადაც ტიპიური ბედენური ხანის კერამიკა აღმოჩნდა* (სურ. 56). ჩანს ბედენური კულტურის გავლენა ცენტრალურ კავკასიაში საკმაოდ შორეულ რეგიონებს აღწევდა. მაგრამ, ბედენის კულტურის ხანაში შედარებით მჭიდრო ურთიერთობა იგრძნობა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიასთან, დაღესტანთან. ბედენური ხანის ძეგლები აქ გვხვდება როგორც მთიან დაღესტანში, ისე დაბლობ რეგიონებში[601]; ბედენური ტიპის სასმისი აღმოჩნდა საქართველოსთან მოსაზღვრე მხარეში, სოფ. ხუტრახთან ცუმადინის რაიონში, ბრინჯაოს ცულთან ერთად[602]. ცული საქართველოში გავრცელებული იარაღის ფორმას იმეორებს და, ჩანს, აქედან უნდა გავრცელებულიყო. ბედენური ჭურჭელი, ძირითადად ქოთნები და სასმისები, ნაპოვნია ჩირკეის N 1 ყორღანის მეორე სამარხში[603]; განსაკუთრებით აღსანიშნავია, ველიკენტის ნამოსახლარზე[604] და კატაკომბებში ნაპოვნი ბედენური კერამიკა[605]. ველიკენტის ნამოსახლარის ზედა ფენაში აღმოჩნდა ბედენური თიხის ჭურჭელი. ველიკენტის ერთ-ერთ კატაკომბაში, სადაც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ლითონის ნივთები და კერამიკა, ნაპოვნი იყო რამდენიმე ბედენური სასმისის ტიპის ჭურჭელი[606]; ამ კერამიკის შესახებ აღინიშნა კიდეც, რომ იგი ამიერკავკასიის იმპორტი უნდა ყოფილიყო[607] (ტაბ. XXXIX). ბედენური ხასიათის კერამიკა დაღესტანში მერმინდელ ხანაშიაც განაგრძობს არსებობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გინჩის სამაროვნის სამარხებიდან მომდინარე კერამიკა, რომელზედაც შემორჩენილია ბედენური ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ნიშნები[608]. ნიშანდობლივია, რომ აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ერთი ქინძისთავი, რომელიც ფორმით უახლოვდება თრიალეთისა და ბედენის ყორღანებში ნაპოვნ

---

600. В.А. Ростунов, Куро-аракские могильники Северной Осетии. Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа, Орджоникидзе, 1988, стр. 21.

* ცნობა მოგვაწოდა ვ.ჩოსტუნოვმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

601. Р.М. Магомедов, Закавказский керамический импорт в Дагестане и вопросы хронологии памятников эпохи средней бронзы, XIII, "Крушиновские чтения" по археологии Северного Кавказа, Майкоп, 1984, стр. 35.

602. М.Г. Гаджиев, დასახ.ნაშრომი, გვ. 14.

603. Р.М. Магомедов, დასახ.ნაშრომი, გვ. 35.

604. М.Г. Гаджиев, Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа, Москва, 1991, стр. 134.

605. Р.М. Магомедов, დასახ. ნაშრომი, გვ. 36

606. М.Г. Гаджиев, С.Н. Корешевский, Металл Великентской катакомбы, Древние промыслы, ремесло и торговля в Дагестане, Махачкала, 1984, стр. 9.

М.Г. Гаджиев, Северо-Восточный Кавказ в эпоху бронзы, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 72.

607. М.Г. Гаджиев, Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа, стр. 134.

Р.М. Магомедов, დასახ.ნაშრომი, გვ. 36.

608. М.Г. Гаджиев, Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969, стр. 126.

გ.გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.53.

ოქროს საკინძებს[609].

ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და განსაკუთრებით აღმოსავლეთ რეგიონებთან კავშირები ბედენის ხანაში იმ ძველი ტრადიციების გაგრძელება იყო, რომელიც ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის დროს დამყარდა, თუმცა ეს ურთიერთობა ბედენის დროს გაცილებით უფრო სუსტი იყო. გარესამყაროსთან დამოკიდებულება ბედენის კულტურის პერიოდში, წინარე ხანასთან შედარებით, უკვე იმ სიძლიერისა აღარ იყო. საზოგადოების განვითარების ახალი გზა, რომელიც ამ დროისათვის დამყარდა, ჩანს ამის საფუძველს აღარ იძლეოდა. ამიერკავკასიაშიც ბედენის კულტურა გარკვეულ რეგიონებს მოიცავს, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მიმდგომი მხარეებით. რაც შეეხება ამ კულტურას დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე გავრცელების საკითხს, იგი ჯერჯერობით ღიად რჩება. კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი ნამოსახლარის ფენებში შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენა არა გვგონია ამის საფუძველს იძლეოდეს.[610] როგორც ზევით აღინიშნა, სანამ ამ კერამიკის ფორმები არ იქნება დადგენილი, მარტო ცალკეული ნატეხების საფუძველზე ბედენის კულტურასთან ურთიერთობის საკითხზე, გარკვეულ მიგრაციულ პროცესებზე მსჯელობა გაჭირდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის დაბლობის ინტენსიური ათვისება სწორედ ამ პერიოდში იწყება. თუ გამართლდა ეარაუდი ბედენის კულტურის აქ არსებობისა, მაშინ შეიძლება დაგვეშვა, რომ კოლხეთის დაბლობის ათვისებაში ამ კულტურის მატარებელი ტომებიც იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ სადღეისოდ არსებული მასალებით ეს, ჩანს, მაინც ნაკლებ სავარაუდოა. ბედენის კულტურის ნაკვალევი საჩხერის ყორღანულ სამაროვნებს გარდა, რომელიც ძვ.წ.III ათასწლეულში კულტურულად საერთოდ უფრო მეტად შიდა ქართლთან იყო დაკავშირებული, არც კოლხეთის მთისწინა ზოლში და არც რიონის აუზში შენიშნული არ არის.

ბედენის კულტურა, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, სიძლიერით მაინც ჩამორჩებოდა მტკვარ-არაქსის კულტურას. ვერც ამიერკავკასიისა და საერთოდ კავკასიის შიგნით და ვერც მის გარეთ მან ისე ფართო გავრცელებას ვერ მიაღწია, როგორც წინარე ხანის კულტურამ. კულტურის ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი მეურნეობის სისტემის ხასიათი იყო. ბედენის კულტურის ეკონომიკის დონის აღდგენა საკმაოდ ძნელია და რთული, მასალის ცალმხრივი ხასიათის გამო, რომელიც უპირატესად სამარხებიდან მომდინარეობს. მეურნეობის სისტემის შესახებ მონაცემებს უფრო მეტად ნამოსახლარი ადგილები იძლევა; მაგრამ ამ დროის ნასოფლარები სადღეისოდ ნაკლებადაა ცნობილი და ამიტომ მთლად ნათელი არ არის ის ეკონომიკური საფუძვლები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ემყარებოდა. როგორც ჩანს, ადრეყორღანული კულტურის პირველი გამოჩენის ხანაში მეურნეობის ხასიათში რაიმე საგრძნობი ცვლილებები არ შეინიშნება. მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ გვიანდელ ნამოსახლარებზე ადრეყორღანულ კულტურასთან თანაარსებობა დასტურდება. თანაცხოვრება, ჩანს, მაინცდამაინც დიდხანს არ გაგრძელებულა და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელმა მოსახლეობამ კრიზისულ ვითარებას თავი ვერ დააღწია. სოფლად ერთდროულად ცხოვრების პირობებში

609. М.Г. Гаджиев, დასახ.ნაშრომი, გვ. 139.

610. Э.М. Гогадзе, Хронология памятников колхидской культуры эпохи средней бронзы и некоторые вопросы культурной атрибутации вариантов общеколхидской культуры эпохи ранних металлов. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1991, стр. 121.

ჯერ ისევ გრძელდება, ალბათ, ძირითადად მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციები მეურნეობის ხასიათში, მაგრამ ახლის გამოჩენამ მაინც გარკვეული დაღი დაასვა ეკონომიკის საფუძველს. კიდევ უფრო ძლიერდება მეურნეობაში, ალბათ, მესაქონლეობის ხვედრითი წონა და შედარებით სუსტდება სამიწათმოქმედო ბაზა. შესაძლოა ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში დიდი ხნით შეყოვნდა ცივილიზაციაში გადაზრდის პროცესი. ეკონომიკაში მიწათმოქმედების სიძლიერე იყო ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითადი საფუძველი ძველაღმოსავლურ სამყაროში[611]. მეურნეობის ხასიათის მოშლამ ნასახლარი ადგილების დაცარიელება, მათი საბოლოო მიტოვება გამოიწვია და აქ ცხოვრება აღარ გაგრძელებულა. მაგრამ სად, როგორ, რა პირობებში აგრძელებს ცხოვრებას ბედენის კულტურის მატარებელი მოსახლეობა, მთლად ნათელი არ არის.

ადრეყორღანული კულტურის ეკონომიკური სისტემის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ ამ დროს ძირფესვიან ცვლილებას განიცდის მეურნეობის ხასიათი. რა იყო ამისი ძირითადი მიზეზი, რამ აიძულა მოსახლეობა ხელი აეღო ჩვეულ სამეურნეო ტრადიციაზე და ახალ სისტემაზე გადასულიყო, რომელიც, ჩანს, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მერმინდელ, თრიალეთის კულტურის ხანაშიც გაგრძელდა. ახლა გარკვევით თქმა ძნელია, თუ რატომ ვერ შეეგუა ბედენის კულტურის მატარებელი მოსახლეობა მტკვარ-არაქსის კულტურის მეურნეობის საკმაოდ აწყობილ ხასიათს, ამას თავისი გამომწვევი მიზეზები უნდა ჰქონოდა. სადღეისოდ ადრეყორღანული კულტურის ძეგლებიდან გამოძღინარე მონაცემების საფუძველზე გაკირდება ამ მოვლენის მეტნაკლებად სწორი ახსნა. სად უნდა ყოფილიყო იმდროინდელი ნასახლარი ადგილები, დასამუშავებელი მიწის ფართობები, საკარგულები, რა ხასიათისა იყო მიწათმოქმედება და საერთოდ ცხოვრების პირობები, გარკვევით თქმა საკმაოდ რთულია. ყორღანულ სამარხებში თითქმის სრულად არ არის ასახული მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მასალა.

ადრეული ყორღანების ტოპოგრაფიის, მათი განლაგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს, ეგებ არა ისეთი ინტენსივობით, როგორც წინარე ხანაში, მაგრამ მაინც ათვისებულია თითქმის ყველა ვერტიკალური ზოლი - ბარი, მთისწინეთი, მთა. ბარი ძირითადად იმ დროსაა დასახლებული, როდესაც მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანული კულტურები თანაარსებობდნენ: შიდა ქართლში – ციხიაგორა კავთისხევთან, ხაშურის ნაცარგორა, ბერიკლდეები ქარელთან, ილტოს ნასახლარი ალაზნის ველის ზედა მხარეს, ბადაანის ნამოსახლარი ივრის ხეობის მთისწინეთში და სხვ. ამ ნამოსახლარებს მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურების მატარებელი მოსახლეობა ალბათ ერთდროულად, ერთი მიზეზით ტოვებს. ბარში მოსახლეობის ათხელების ერთ-ერთი ძირითადი საბაბი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჰავის გამშრალება იყო. ჩანს, ამ დროს მიწათმოქმედება ძირითადად ურწყავი იყო და მიწის განოყიერების ალბათ არც სხვა საშუალებები იყო მაინცდამაინც გამოყენებული[612]. საირიგაციო სისტემა რომ ამ დროს სათანადო სიმაღლეზე მდგარიყო, მოსახლეობა ამ ადგილებს, ალბათ, ასე იოლად არ მიატოვებდა. რაკი აქ არსებობა გარკვეული მიზეზების გამო გართულდა და გაუსაძლისი გახდა, მოსახლეობა იძულებული გახდა საცხოვრებლად უფრო ზომიერი კლიმატის რეგიონები შეერჩია. მოსახლეობის იძულებითი ადგილმონაცვლეობის ერთ-ერთი მიზეზი

611. ი. კ ი ტ ა ნ ი ნ ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976, გვ. 70.
612. ი ბ ი ვ ე.

შესაძლოა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში საირიგაციო სისტემა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. შიდა ქართლში, სადაც ზოგიერთ ნამოსახლარზე ერთად გვხვდება მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული ხანის კულტურები, სარწყავი მიწათმოქმედებისათვის, ჩანს, სათანადო პირობები არ არსებობდა. მთავარი არტერია მდ.მტკვარი თავისი მაღალი ნაპირების გამო, სარწყავად ნაკლებ გამოსადეგი იყო[613]. შესაძლოა მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ამიერკავკასიაში ზოგან უფრო მეტად იყო გამოყენებული ირიგაცია, ზოგან კი მიწათმოქმედება ურწყავი იყო[614]. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამხრეთის რეგიონებში მიწათმოქმედება უფრო მეტად იყო დამოკიდებული ხელოვნურ რწყვაზე[615], ამიტომაცაა ალბათ, რომ აქ მოზრდილი ნამოსახლარები გვხვდება, უფრო ძლიერი კულტურული ფენებით. აღმოსავლეთ საქართველოში მიწათმოქმედება, ჩანს, უპირატესად ურწყავი იყო და მტკვარ-არაქსული ნასახლარი ადგილები არ გამოირჩევიან სიდიდით და კულტურული ფენის სიძლიერით[616]. საირიგაციო სისტემის შედარებითი სისუსტე, ალბათ, ზღუდავდა ერთგვარად მიწათმოქმედებას, რის კომპენსაციას მეურნეობაში ეგებ მესაქონლეობა ახდენდა. შესაძლოა ამან განაპირობა ძირითადად, რომ ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომები ამ რეგიონების მოსახლეობასთან შედიან უფრო მეტად კონტაქტში და აქაა სადღეისოდ ძირითადად დადასტურებული ნამოსახლარებზე მათი თანაცხოვრება. როდესაც ბარში არსებობა „გაუძლისი" ხდება, მოსახლეობა უფრო ზომიერ ადგილებში გადადის, სადაც განვითარების ახალი გზით განაგრძობს ცხოვრებას. ეკონომიკაში საგრძნობლად მატულობს მესაქონლეობის, ჩანს, უფრო მეცხვარეობის როლი. „ათხელებული" ბარი ეგებ ახლა უფრო მეტად საძოვრებადაა გამოყენებული. ბედენის კულტურის ყორღანულ სამარხებში უფრო ხშირად გვხვდება ჩატანებული ცხოველების ნაშთები. თითქოს ისე ჩანს, რომ ამ პერიოდის სამარხებში წვრილფეხა საქონლის ძვლები ჭარბობს, თუმცა მსხვილფეხა საქონლის ნაშთებიც საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი. ზოგიერთ სამარხში ცხოველების ძვლები საერთოდ არ გვხვდება. მარტყოფის ბედენური ხანის N 3 და N 5 ყორღანებში საქონლის ნაშთები საერთოდ არ ჩაუტანებიათ. ორივე ამ ყორღანში თითქმის საესებით ერთნაირი სამარხეული ინვენტარი აღმოჩნდა. ლითონის ნივთები ძირითადად ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული და სამარხებში დაკრძალული პირები ეგებ ოსტატ ხელოსანთა წრიდან გამოსულები იყვნენ. დაკრძალვის ცერემონიალის დროს მათ, ჩანს, საფლავში ხორცეული არ ჩაატანეს, ეგებ გარკვეული რიტუალის გამო. არ ჩანს თითქოს საქონლის ძვლები ბედენის და წალკის პლატოების ყორღანებში. აქ მხოლოდ XI ყორღანშია დამოწმებული საქონლის ერთი კბილი[617]. შიდა ქართლის ბედენური კულტურის ყორღანებში უპირატესად მსხვილფეხა საქონლის ძვლები გვხვდება. ბერიკლდეების N 2 ყორღანში ხარის წყვილი ჩონჩხია დამოწმებული[618]. ბერიკლდეების

---

613. ო. ფ ა ფ ა ძ ე. საქართველოს არქეოლოგია. გვ. 132.

614. ვ. ბ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი. მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის. გვ.193.

615. К.Х. К у ш н а р е в а. Южный Кавказ в VI-II тыс. до н.э. Автореферат. Ереван. 1986. стр. 33.

616. ო. ფ ა ფ ა ძ ე. საქართველოს არქეოლოგია. გვ. 132.

617. Л. Ж о р ж и к а ш в и л и, Э. Г о г а д з е, დასახ.ნაშრომი. გვ.11

618. ი. ბ ე ლ ა შ ი ძ ე. ე. ქ ო ქ ი ძ ე. ა. ბ ო ბ ი ს ა ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი. გვ. 64.

ნამოსახლარის ბედენური დროის ორმოებში ცხოველის ძვლებია ნაპოვნი, ნამოსახლარის ფენებში ძვლოვანი მასალა იშვიათია[619]. ხელთუბნის N 2 ყორღანულ სამარხში საქონლის ძვლები აღმოჩნდა[620]. ქვემო ქართლის ბედენური კულტურის ყორღანებში მხოლოდ N 4 სამარხშია ნაპოვნი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები[621]. იორ-ალაზნის ორ-მდინარეთში, შირაქის ველზე ენამთის ერთ-ერთ ყორღანში მსხვილფეხა საქონლის ძვლები და მთლიანი თავის ქალა აღმოჩნდა[622]. ზილიჩის N 4 ყორღანში წვრილფეხა და მსხვილ-ფეხა საქონლის ძვლები იყო ნაპოვნი. აქვე იდო ცხვრის თავის ქალა[623]. წნორის N 2 ყორღანში წვრილფეხა საქონლის ხუთასამდე კოჟი იყო აღმოჩენილი[624].

რა თქმა უნდა, ამ მონაცემების საფუძველზე ძნელია რაიმეს თქმა მესაქონლეობის ხასიათის შესახებ. ზოგჯერ შესაძლოა სათანადო ყურადღება არ მიექცა სამარხში ჩატანებულ საქონლის ძვლებს, არ განისაზღვრა მათი სახეობა. შესაძლოა სამარხში ხორცის ჩატანება ან არ ჩატანება გარკვეულ რიტუალთანაც იყო დაკავშირებული. როგორც ზევით აღინიშნა, სამარხებიდან მომდინარე ოსტეოლოგიური მასალა ყოველთვის ვერ ასახავს ჯოგში შემავალ ცხოველთა სახეობის რეალურ სურათს. შესაძლოა გარკვეულ წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებით წვრილფეხა საქონელი უფრო მეტად მონაწილეობდეს დაკრძალვის ცერემონიალში.

ბედენის კულტურის დროს მესაქონლეობის ხვედრითი წონა მეურნეობაში საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს ჯოგში, ჩანს, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ბორბლიანი ტრანსპორტის ამ პერიოდში შემოსვლამ ალბათ გაზარდა მსხვილფეხა საქონლის, როგორც გამწევი ძალის, როლი. სულ უფრო და უფრო იზრდება სამომთაბარეო მესაქონლეობა. წვრილფეხა საქონლის სულადობის გაზრდა ერთგვარად ცვლის მესაქონლეობის ხასიათს. იწყება სეზონური, საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ფართო ათვისების პროცესი. საზაფხულო საძოვრებად, ჩანს, საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება თრიალეთის მთიანი ველები, განსაკუთრებით წალკისა და ბედენის პლატოები. ჯავახეთის პლატო, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში საკმაოდ ინტენსიურადაა ათვისებული, ჩანს, ამ დროს მაინცდამაინც გამოყენებული არ არის. ამ პერიოდიდან, ისევე როგორც მომდევნო თრიალეთის ხანაში, ჯავახეთის მაღალმთიან პლატოს, ეტყობა, ნაკლებად ეტანებიან. საზამთრო საძოვრებად საკმაოდ ინტენსიურად იყენებდნენ ქვემო ქართლის ველს, ივრისპირებს და სხვ., ამ რეგიონებში კარგადაა წარმოდგენილი ბედენური დროის ძეგლები. ამ პერიოდისათვის საკმაოდ „ათხელებული" შიდა ქართლისა და ალაზნის ველები ალბათ საძოვრებადაც გამოიყენებოდა. არა გვგონია, რომ მთლად მართებული იყოს მოსაზრება, რომ ადრეყორღანული კულტურის მოსახლეობა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი

---

619. Л.И. Гаоити, А.И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

620. საქართველოს არქეოლოგი, II, თბილისი, 1982 წ., გვ. 213.

621. ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბილისი, 1975, გვ. 151.

622. რ. რუსიშვილი, ბ. მაისურაძე, ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები შირაქის ტერიტორიაზე, გვ. 122.

623. ნ. ახალბერიანი, „ზილიჩის" ყორღანი N 2, არქეოლოგიური კრებული, I, თბილისი, 1994, გვ. 77.

624. Ш. Дедабриишвили, Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979, стр. 40.

და გამგრძელებელი იყოს[625]. ამ ხანაში სწორედ მეურნეობრივი ტრადიციის ხასიათი განიცდის ცვლილებას[626], საზოგადოებამ ვერ შეითვისა ეკონომიკის ის ფორმა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის დროს იყო გავრცელებული და განვითარების ახალ, განსხვავებულ გზას დაადგა, რომელიც ჩრდილოურ, ევროპულ მოდელთან ნახულობს მეტ საერთოს. საზოგადოების განვითარების ეს გზა საკმაოდ მყარი გამოდგა და მომდევნო, თრიალეთის კულტურაშიც არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის, ჩანს, გაიზარდა ურთიერთობა წინაზიურ სამყაროსთან. ამას მეურნეობის ხასიათზე და საერთოდ ცხოვრების პირობებზე რაიმე საგრძნობი გავლენა არ მოუხდენია.

მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა ახალ პირობებში, ცხოვრების ახალი წესით განაგრძობს არსებობას. ასეთი მკვეთრი გადახალისება, ალბათ, გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთან იყო დაკავშირებული. მოყვა თუ არა ხალხთა ახალი ნაკადის გამოჩენას მოსახლეობის შემადგენლობაში საგრძნობი ცვლილებები, გარკვევით თქმა ძნელია. უფრო თითქოს ისე ჩანს, რომ ამ პერიოდში ეთნიკური ხასიათის რაიმე მნიშვნელოვან გარდაქმნას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ჩრდილოეთიდან ხალხთა ახალი მასის გამოჩენას შედეგად დაკრძალვის განსხვავებული რიტუალის ინდივიდუალური ყორღანული სამარხების გავრცელება მოჰყვა. უცხო ეთნიკური ელემენტის გამოჩენამ ალბათ ცხოვრების საერთო წესზედაც იქონია გარკვეული გავლენა. როგორც ჩანს, ამ ცვლილებებს კულტურის საერთო ხასიათზე მაინცდამაინც საგრძნობლად არ უმოქმედია და წინარე ხანისათვის დამახასიათებელი ტრადიციებით განაგრძობს არსებობას. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ კერამიკულ მასალებში აისახა, სადაც ძირითადად შავპრიალა ჭურჭელი გვხვდება და მეთუნეობაში ისევ ძველი ტექნიკური ჩვევებია გამოყენებული. თიხის ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა თავის საწყისებს წინარე კულტურიდან იღებს. მსხლისებრი, ბიკონუსური და სხვ. ფორმის ჭურჭლის პროტოტიპები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაში შეინიშნება[627].

არა გვგონია მთლად მართებული იყოს ადრეყორღანული და მაიკოპის კულტურების ახლო მონათესაობაზე და ეთნიკურ სიახლეზე ლაპარაკი[628]. ის საერთო, რაც ამ კულტურებს შორის შეინიშნება, ალბათ, უფრო მათი ურთიერთობის შედეგი იყო. არც ის აზრი უნდა იყოს მთლად სწორი, თუნდაც ჰიპოთეზის სახით გამოთქმული, რომ ბედენური კულტურა ჩრდილოური წარმომაელობისა უნდა იყოს[629]. ბედენის კულტურის ჩამოყალიბებაში ჩანს, ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსებმაც ითამაშეს გარკვეული როლი. მაგრამ, იგი მაინც უფრო ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყო, შესაძლოა ძირითადად შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის საფუძველზე.

ყორღანული კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში პირველად შიდა ქართლში და კახეთში, ძირითადად ივრისპირეთში ვრცელდება. შიდა ქართლში მის გამოჩენას თავიდან ცხოვრების პირობებში საგრძნობი ცვლილებები, ჩანს, არ გამოუწვევია. თანაცხოვრება მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე, ეტყობა, შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა. ამ დროისათვის, ჩანს, აქ არც დაკრძალვის წესში მომხდარა რაიმე შესამჩნევი ცვლილება და მიცვალებულები ისევ ძველი ადათით იმარხებოდნენ. შესაძლოა სწორი

---

625. გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი. „ადრეული ყორღანები სამხრეთ საქართველოში", გვ. 9.
626. ო. ჭ ი ფ ა რ ი ძ ე. „ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში", გვ.35.
627. ვ. გ ო ბ ე ჯ ი ა - ძ ე. „თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი", გვ. 19.
628. გ. გ ო ბ ე ჯ ი ა შ ვ ი ლ ი. „ბედენის გორასამარხების კულტურა", გვ.73;
629. იქვე, გვ. 134.

იყოს მოსაზრება, რომ ამ პერიოდის კოლექტიური ყორღანული სამარხოვნების გაერცელება ეგებ მართლაც ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების აქ გამოჩენის შედეგი იყო (ტყვიავი, საჩხერე, ქორეთი და სხვ.)[630]. ახლად მოსულები მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის ქვეშ ექცევიან, რომელიც შიდა ქართლში შედარებით უფრო ძლიერი იყო. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ აქ ბედენის კულტურა აგრძელებს არსებობას. ბერიკლდეების ნამოსახლარზე, რომელიც შესაძლოა მართლაც უფრო საკულტო ხასიათის ძეგლი იყო, კარგად გამოჩნდა ბედენური კულტურის სიძლიერე. ამ დროს ვრცელდება აქ ინდივიდუალური ყორღანული სამარხები.

ადრეყორღანული კულტურის შიგნით გამოყოფილ მარტყოფის და ბედენის ჯგუფებს შორის დამოკიდებულების საკითხში ჯერჯერობით ყველაფერი ნათელი არ არის ძირითადი ძეგლების ცალმხრივი ხასიათის გამო. მასალა უპირატესად სამარხებიდან მომდინარეობს და მარტო ამ მონაცემებზე დაყრდნობით კულტურის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოდგენა გაჭირდება, მითუმეტეს, რომ არც სამარხეული ძეგლებია მაინცდამაინც ფართოდ წარმოდგენილი. მართალია, ადრეყორღანულ კულტურაში დაკრძალვის ყორღანული წესია ძირითადად გავრცელებული და ცხოვრების ხასიათშიც თითქოს ბევრი საერთო ჩანს, მაგრამ მარტყოფის და ბედენის ჯგუფების სამარხეულ ინვენტარში და დასაფლავების რიტუალში გარკვეული სხვაობა შეინიშნება. რა დონისაა განსხვავება — ერთი კულტურის ორ ვარიანტთან გვაქვს საქმე, თუ თავისებურება უფრო ღრმაა, გარკვევით ძნელი სათქმელია. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაში ამ დროს გავრცელებულ მაიკოპის კულტურაში ორ სტადიას გამოყოფენ — მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას. აქაც სამარხის ძირითადი ტიპი ყორღანია, მაგრამ ინვენტარში და დაკრძალვის წესში საკმაო სხვაობა შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ მაიკოპის კულტურის შესწავლას კარგა ხნის ისტორია აქვს და უკვე ამ ხანის ნამოსახლარებიცაა ცნობილი, მაინც ამ ჯგუფებს შორის ურთიერთობის საკითხში ყველაფერი ნათელი არ არის. ზოგის აზრით, მაიკოპის კულტურაში ორი საფეხური გამოიყოფა — ადრეული მაიკოპის და უფრო გვიანი ნოვოსვობოდნაიას[631], ზოგიც მათ შორის გარდამავალ ეტაპსაც ვარაუდობს[632]. სხვათა აზრით, აქ ორი დამოუკიდებელი კულტურა არსებობს — მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას[633]. პირველი უფრო მეტ საერთოს სამხრეთთან, წინაზიურ სამყაროსთან ავლენს[634], ნოვოსვობოდნაიასი

---

630 ზ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

631. А А. И с с е л, К хронологии "больших кубанских курганов", СА, XII М-Л, 1950, стр. 193.

632. А А. Ф о р м о з о в, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 83.

Р.М. М у н ч а е в, Кавказ на заре бронзового века, стр. 332.

633. А.Д. С т о л я р, Энеолитическое поселение Мешоко, тезисы докладов научной сессии, посвященной итогам работы Государственного Эрмитажа за 1959, Ленинград, 1960, стр. 33.

Б.А. Л а т ы ш е в, Молоточковидные булавки и их культурная атрибутация и датировка, Археологический сборник, вып. 9, Ленинград, 1967, стр. 95.

634. М.В. А н д р е е в а, К вопросу о южных связях майкопской культуры, СА, 1, Москва, 1977, стр. 47.

М.В. А н д р е е в а, Об изображении на серебряных майкопских сосудах, СА, 1, Москва, 1979, стр. 34.

В.А. Т р и ф о н о в, Некоторые вопросы передневазиатских связей майкопской культуры, КСИА, 192, Москва, 1987, стр. 20.

კი – დასავლეთთან, ევროპასთან[635].

იყო თუ არა მარტყოფის და ბედენის ეტაპებს შორის ასაკობრივი სხვაობა, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ჭირს. მტკვარ-არაქსის კულტურასთან მათი ურთიერთობა თითქოს მათ თანადროულობაზე მეტყველებს. მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთი გვიანდელი ნამოსახლარების ფენებში მათთან თანაარსებობის შემთხვევები დასტურდება. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ნამოსახლარებზე, სადაც შერეული ხასიათის ფენებია გამოვლენილი, არსად ორი ეტაპის ერთად აღმოჩენა შენიშნული არ არის. მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ ფენებში ერთ-ერთი მათგანის არსებობა დასტურდება. არც სამარხეულ ძეგლებშია მაინცდამაინც მარტყოფის და ბედენის ეტაპების შეხვედრები დამოწმებული. როგორც ითქვა, ქვემო ქართლში, მარნეულის ველზე გათხრილ N 5 ყორღანში, ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა იმ ტიპის ტოლჩა, რომელიც ხშირად მსხლისებურ ჭურჭელს ახლავს მარტყოფის ეტაპის ყორღანებში[636]. ამ სამარხში ნაპოვნი იყო აგრეთვე მოხრდილი ბიკონუსური ჭურჭელი, რომელიც სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორიც მარტყოფის N 2 და N 4 ყორღანებშია აღმოჩენილი (სურ. 43). კავთისხევის ციხიაგორის ნამოსახლარზე მარტყოფის და ბედენის ეტაპების ერთად არსებობა თითქმის არ შეიმჩნევა. ამ ნამოსახლარზე ბედენის კულტურის ნაკვალევი არც B და არც A ფენებში მკვეთრად არ ისახება. ციხიაგორის ნამოსახლარის B ფენა საკმაოდ ახლოსაა ქვაცხელების ნამოსახლარის ზედა B ფენასთან[637]. ქვაცხელების ამ ფენის შესახებ აღინიშნა, რომ საერთო იერით აქაური ჭურჭელი თრიალეთის ადრეული ყორღანების კერამიკას უახლოვდება. შემკულობის ხასიათშიც მათ შორის საერთო შეინიშნება[638]. ამ ნამოსახლარის ზედა ფენაში გამოჩენას იწყებს სამნაწილადი სახის ჭურჭელი, რომელიც, ჩანს, შემდეგში საფუძვლად დაედო ადრეყორღანული კულტურისათვის დამახასიათებელ მსხლისებრ ფორმას. ციხიაგორის ნამოსახლარზე სამნაწილადი ფორმა ჭურჭლისა საგრძნობლად მატულობს[639].

ციხიაგორის B_2 ფენის კერამიკა თითქოს მეტ საერთოს პოულობს ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელ მსხლისებური ფორმის ჭურჭელთან. მაგრამ, მაინც ჩანს, რომ ეს ფორმა ყორღანულ კერამიკასთან შედარებით აქ ჯერ კიდევ მკვეთრად გამოსახული არ არის[640]. იგივე შეიძლება ითქვას ტოლჩისებრ ჭურჭელზე, რომელიც, სიახლოვის მიუხედავად, მაინც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება[641]. სამართლიანი ჩანს აზრი, რომ

---

635. В.А. Сафронов, Хронология, происхождение и определение этнической принадлежности майкопской культуры по археологическим и письменным источникам, Хронология памятников эпохи бронзы Северного Кавказа, Орджоникидзе, 1982, стр. 72.

А.Д. Резепкин, К интерпретации росписи из гробницы майкопской культуры близ станицы Новосвободной, КСИА, 192, Москва, 1987, стр. 29.

А.Д. Резепкин, Проблема генезиса майкопской культуры. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1991, стр. 72.

636. ი. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971), თბილისი, 1975, გვ. 155.

637. ზ. მახარაძე, ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბილისი, 1994, გვ. 49.

638. აღ. ჯაფახიშვილი, ღ. ღონტი, ურბნისი, I, თბილისი, 1962, გვ. 35.

639. ზ. მახარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.52.

640. იქვე, გვ. 53.

641. იქვე.

ადრეყორღანული კულტურის კერამიკა შეიძლება გენეტიკურად დავუკავშიროთ მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმს[642]. როგორც აღინიშნა, ადრეული ყორღანებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მსხლისებრი ფორმა ჭურჭლისა წინარე კულტურაში იღებს სათავეს[643]. ბიკონუსური ფორმაც ჭურჭლისა, ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკას უკავშირდება, თუმცა ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელი ეს ფორმა მაინც ერთგვარად განსხვავებული ჩანს. აქ უპირატესად ქვაბის ტიპის ჭურჭელია, რომელ!;აც ორი ნაწილის შემაერთებელი წიბური დაახლოებით შუა ადგილას აქვს. მასთან ერთად უადრეს ყორღანებში სხვა ტიპის ჭურჭლებიც გვხვდება, რომლებსაც ადგილობრივი პროტოტიპები არ ეძებნება[644]. აღსანიშნავია, რომ კერამიკის ამ კომპლექსში თითქმის აღარ ჩანს ტოლჩისებრი ჭურჭელი. იგი ეტყობა საწყისებს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ძირვიწრო სასმისებისაგან თუ ტოლჩებისაგან იღებს და მათ ორნამენტის ხასიათიც აახლოებს.

მარტყოფის საფეხურის ყორღანებში თითქმის არ ჩანს წვრილი, სუფრის ჭურჭელი. არ გვხვდება სამარხებში აგრეთვე ყორღანული კულტურის არც ერთ ეტაპზე გვიან მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ბადიისებრი ჭურჭელი, რომელიც თითქოს უფრო მეტად მესაქონლეობის პროდუქტების დამზადებას უკავშირდება. მიუხედავად თიხის ჭურჭელში გარკვეული სხვაობისა, მაინც მთლად მართებული არ ჩანს აზრი, რომ აქ ძველ ტრადიციებთან სრული წყვეტილი შეინიშნება[645].

აღსანიშნავია, რომ იერის ხეობაში, სიონთან შესწავლილ ბედაანის ნამოსახლარზე, ყორღანებისათვის დამახასიათებელი ტიპიური მსხლისებრი ჭურჭელი გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის მხარდამხარ[646]. საერთოდ იერისპირეთშია სადღეისოდ ძირითადად ცნობილი მარტყოფის სტადიის ყორღანები. აქაურ ყორღანებშია ნაპოვნი ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი კერამიკული კომპლექსი – მსხლისებრი, ბიკონუსური, კვერცხისებრი და სხვა ფორმის მოზრდილი ჭურჭლები. აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლში ამ ტიპის კერამიკა, გარდა მსხლისებრი ფორმისა, საერთოდ არ გვხვდება. არ ჩანს იგი არც ბერიკლდეებზე და არც ხაშურის ნაცარგორაზე. ბედენის და მტკვარ-არაქსის კულტურების თანაარსებობა უფრო მკაფიოდ ნაცარგორის ნამოსახლარზე გამოვლინდა. აქ მტკვარ-არაქსის კულტურის ფენას ზემოდან ბედენის კერამიკასთან ნარევი დონე მოსდევს.[647] მარტყოფის ეტაპის თიხის ნაწარმი ამ ნამოსახლარზე თითქმის არ ჩანს.

ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი თითქოს უფრო მეტი თავისებურებებით ხასიათდება და ნაკლებ კავშირს ავლენს მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკულ ნაწარმთან. ბედენის კულტურის შედარებით მომცრო, სუფრის ჭურჭლის პროტოტიპები წინარე ხანის კერამიკაში თითქმის არ ჩანს. გარკვეული თავისებურებებით

---

642 ე. გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

643. იქვე, გვ. 19.

Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, стр. 104.

644. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ი. კ ი კ ვ ი ძ ე, გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, კახეთის(მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1978-1979 წლების მეშაობის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები,VII, თბილისი, 1980, გვ. 40, ტაბ. IX, X.

645. C.A. B u r n e y, Eastern Anatolia in the Chalcolitic and Eary Bronze Age; გვ. 175.

646. საქართველოს არქეოლოგია, II,1992, გვ. 178.

647. ა. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, მერეცლკერამიკული კომპლექსები შიდა ქართლიდან. თბილისი, 1992, გვ. 3.

ხასიათდება აგრეთვე მოზრდილი ჭურჭელიც სფეროსებრი მოყვანილობის კორპუსით, დაბალი, ზოგჯერ ცილინდრული ყელით. ცილინდრული ყელი, შედარებით დაბალი — დამახასიათებელია ბედენის კერამიკული კომპლექსისათვის. შესაძლოა ჭურჭლის ეს დეტალი, რამდენადმე სახეცვლილი მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმიდან გადმოდის, რომლისთვისაც ცილინდრული მოყვანილობის ყელი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ზოგი რამ საერთო შეიძლება შენიშნული იყოს ჭურჭლის ყურების მოდელირებაში და აგრეთვე შემკულობაში, განსაკუთრებით გრაფიკული ორნამენტის ხასიათში[648].

მესხეთში, ახალციხის ქვაბულის მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი ხანის ძეგლებზე თითქოს შიდა ქართლის მსგავსი სურათი ჩანს. ამ დროისათვის აქაც ვრცელდება სამნაწილადი ფორმის ჭურჭელი. ამირანის გორის სამარხებში გვხვდება მსხლისებრ ტიპთან მიახლოებული ჭურჭელი (სურ. 55). ზველის ნამოსახლარის ზედა ფენებში თითქოს შეინიშნება მტკვარ-არაქსისა და ბედენური კულტურების თანაარსებობა.[649] მაგრამ, მესხეთ-ჯავახეთში დღემდე ადრეული ყორღანები ცნობილი არ არის. ეს ტიპი სამარხისა აქ მომდევნო ხანაში გვხვდება.

არა გვგონია მთლად მართებული იყოს აზრი ჯავახეთის პლატოზე ადრეყორღანული კულტურის გავრცელების შესახებ. სადღეისოდ არსებული მონაცემები ამის ვარაუდის საშუალებას არ იძლევა. არტაანის ხეობის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში მოპოვებულ მასალებში ამის ნიშნები თითქმის არ შეიმჩნევა[650].

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით მარტყოფისა და ბედენური ხანის სამარხებში მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი მაინცდამაინც ცნობილი არ არის. ამ კულტურის თანაარსებობა, როგორც აღინიშნა, სადღეისოდ მხოლოდ ნამოსახლარებზე გამოვლინდა. ადრეულ ყორღანებში ეგებ ძირითადად ახლად გამოჩენილი მოსახლეობა დაიკრძალა, რომლისათვისაც სამარხის ეს ტიპი იყო დამახასიათებელი. შესაძლოა ყორღანული ტიპის სამარხის პირველი გამოჩენის ხანა ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიას ემთხვეევა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მისი გავრცელება ძირითადად მტკვარ-არაქსისა და ყორღანული კულტურების თანაცხოვრების დასრულების შემდეგ იწყება. ამიტომაცაა ეგებ, რომ ადრეულ ყორღანებში მტკვარ-არაქსისათვის დამახასიათებელი ნაწარმი ნაკლებადაა წარმოდგენილი.

სადღეისოდ ჯერ კიდევ ბუნდოვანია ადრეულ ყორღანული კულტურის შიგნით გამოყოფილ ჯგუფებს შორის ურთიერთთან დამოკიდებულების საკითხი. მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანული კულტურების ურთიერთობის საფუძველზე შეიძლება დაგვეშვა, რომ მარტყოფის და ბედენის ჯგუფები დაახლოებით ერთდროულად ვრცელდებიან. მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ ნამოსახლარებზე ორივე ეტაპთან თანაცხოვრებაა დადასტურებული. მაგრამ მაინც თითქოს ისე ჩანს, რომ ადრეყორღანული კულტურის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელება ორ ნაკადად ხორციელდებოდა, ერთი უფრო ადრე, მეორე — რამდენადმე გვიან. ადრეული ნაკადის გამოჩენის და მტკვარ-არაქსის

648. ე. გ ო ბ ი ძ ე. დასახ.შრომა, გვ. 20,22.

649. ა. ო ტ ა ბ ა ნ ი ა ძ ე. სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბილისი, 1983, გვ. 104.

საქართველოს არქეოლოგია. II, გვ. 106.

650. ა. ო ტ ა ბ ა ნ ი ა ძ ე. მტკვარ-არაქსის კულტურა სამხრეთ საქართველოს მთიანეთში (ჯავახეთი); განვითარების ძირითადი ეტაპები, II საერთაშორისო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესები და საქართველო", თბილისი, 1994, გვ. 9.

კულტურასთან კონტაქტის შედეგად მარტყოფის ჯგუფი ჩამოყალიბდა. მათი თანაარსებობა თითქოს უფრო ხანგრძლივად გაგრძელდა და ეგებ ამიტომაც ეს ეტაპი უფრო მეტ საერთოს ნახულობს მტკვარ-არაქსის კულტურასთან. მარტყოფის ეტაპის ყორღანულ სამარხებში თითქოს ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა – სამგორის და მარტყოფის. პირველ ქვეჯგუფში გარდა სამგორის ყორღანისა, თრიალეთის ადრეული ყორღანების ერთი ნაწილი ერთიანდება, რომლებიც მართალია, თავისი ზომებით გამოირჩევიან, მაგრამ სამარხეული ინვენტარის სიღარიბით და ერთგვაროვნობით ხასიათდებიან. მარტყოფის ქვეჯგუფში კი უკვე აშკარად ჩანს, რომ მაღალი რანგის პიროვნება ეკონომიურადაც მომძლავრდა. სამარხეული ინვენტარი გამოირჩევა სიუხვით, მრავალფეროვნებით და შესრულების უფრო მაღალი დონით.

სადღეისოდ ცნობილია ნამოსახლარები, სადაც კარგად ჩანს მტკვარ-არაქსისა და ბედენური კულტურების თანაარსებობა. ამ ურთიერთობის შედეგად ძირითადად შიდა ქართლში და მის მიმდგომ მხარეებში უნდა ჩამოყალიბებულიყო ბედენის კულტურა, რომელიც ფართოდ ვრცელდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თითქმის ყველა ვერტიკალურ ზოლში. იგი იკავებს თითქმის მთელ იორ-ალაზნის აუზს, ქვემო ქართლს, და ჩრდილოეთით ცდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფარგლებს. ამ კულტურის ხანაშია ათვისებული ბედენის პლატო და მთის ზოლში პირველად ჩნდება შედარებით მდიდრული სამარხები. აღსანიშნავია, რომ ეს მომდევნო პერიოდშიც გადადის და მაღალმთიან პლატოებზე – წალკის, ზურტაკეტის, ახჩიის და ნიალის ველებზე და სხვ. გვხვდება თრიალეთის კულტურის მაღალ ეშელონებს მიღწეულ პიროვნებათა მდიდრული სამარხები.

ნიშანდობლივია, რომ სამარხეულ ძეგლებში ნაკლებადაა ასახული მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურების თანაცხოვრების დამადასტურებელი ფაქტები. თითქმის არ გვხვდება ყორღანები, სადაც ერთდროულად ასახული იყოს ორივე კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა. ერთად ცხოვრების მოუხედავად, ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობისათვის უცხოა ყორღანული ტიპის სამარხი. სადღეისოდ კარგადაა ცნობილი ამ კულტურის დასასრული ხანის სამარხები, სადაც მიცვალებულებს ისევ ძველი ადათ-წესით ასაფლაეებდნენ და მოპოვებულ ინვენტარში არც აქ გვხვდება ადრეყორღანული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები. ყორღანული ტიპის სამარხში ეგებ ძირითადად უცხო, ახლად მოსული მოსახლეობის წარმომადგენლები იკრძალებოდნენ, რომლებმაც საზოგადოების შიგნით გარკვეულ პრივილეგიურ მდგომარეობას მიაღწიეს. როგორც ჩანს, ადრებრინჯაოს ხანის ორივე ეტაპის გარკვეულ დროს მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობა ძირითადად ნამოსახლარ ძეგლებზე აისახა. შესაძლოა, რომ მტკვარ-არაქსის და ყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპის დასასრული დროით მაინცდამაინც დიდად დაცილებული არ უნდა ყოფილიყო. მათ საბოლოო ჩაქრობას ეგებ ბედენური კულტურის ფართოდ განფენამაც შეუწყო ხელი. სადღეისოდ თითქოს არ არის ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი ხანის ნამოსახლარები, სადაც ბედენის და მარტყოფის ეტაპები ერთდროულად იყოს წარმოდგენილი. არც სამარხეული ძეგლები გვხვდება, თუ არ ჩავთვლით თითოოროლა შემთხვევას, სადაც ინვენტარში ორივე ეტაპისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა ერთად ყოფილიყო ჩატანებული. ყორღანული კულტურის პირველი გამოჩენის დრო ეტყობა ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო პერიოდს ემთხვევა. ადრეყორღანული კულტურის აბსოლუტური დათარიღების ცდას ასუსტებს და ერთგვარად დამაჯერებლობას უკარგავს

ის, რომ ძირითადად სამარხებიდან მომდინარე მასალაა წარმოდგენილი. მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი ხანის ნამოსახლარები, სადაც შერეული ხასიათის მასალა აღმოჩნდა, მთლად ნათელ სურათს ვერ იძლევა ადრეყორღანულ კულტურასთან თანაარსებობის ხანგრძლივობის შესახებ. მართალია, ციხიაგორის ნამოსახლარის სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ კულტურების თანაცხოვრება შესაძლოა ერთ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელებულიყო[651], მაგრამ ამ ნამოსახლარზე ჩანს ბედენის კულტურა მაინცდამაინც მკვეთრად არ ისახება და ამიტომ, რთულდება გარკვევით თქმა ერთდროული ცხოვრების ხანგრძლივობის შესახებ. ხაშურის ნაცარგორის ნამოსახლარზე თითქოს ადრეყორღანულ კულტურასთან თანაარსებობა უფრო მკვეთრად ისახება და სავარაუდოა, რომ დროის უფრო დიდ მონაკვეთს მოიცავდა. როგორც ჩანს, ზოგიერთ რეგიონში მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანული კულტურების თანაცხოვრება უფრო მეტხანს გაგრძელდა. შიდა ქართლში, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურა შედარებით ძლიერი იყო, ბედენის კულტურასთან თანაარსებობა, ჩანს, უფრო ხანგრძლივი იყო. მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო ჩაქრობის შემდეგ ყორღანული კულტურის ორივე ეტაპი ერთხანს განაგრძობს არსებობას. თუმცა, მარტყოფის ეტაპი, ჩანს, მაინცდამაინც დიდხანს არ გაგრძელებულა და აღმოსავლეთ საქართველო, მიმდგომი მხარეებით, ბედენის კულტურის გავლენის ქვეშ ექცევა. მტკვარ-არაქსის კულტურის დათარიღების საკითხს არა ერთი მკვლევარი შეხებია და მისი დასასრული ხანის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ამ კულტურის ზედა საზღვარი, უფრო გავრცელებული აზრით, ძვ.წ.III ათასწლეულის შუა ხანებზე მოდის ან მეორე ნახევრის დასაწყისს ემთხვევა: ზოგჯერ ადრეულ ყორღანებს მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიას აკუთვნებენ და მისი დასასრულის დრო განისაზღვრება ძვ.წ.III ათასწლეულის ბოლოთი ან II ათასწლეულის დასაწყისით[652]. ბ.კუფტინმა თავის დროზე თრიალეთის ადრეული ყორღანები „მტკვარ-არაქსის ენეოლითის" მომდევნო ხანას მიაკუთვნა და თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე" კულტურას წინ წარუძღვარა[653]. თუმცა შემდეგში ექვი იყო შეტანილი ამ აზრის სისწორის შესახებ[654]. ადრეყორღანული კულტურის გავრცელების ხანიდან უკვე ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება როგორც კულტურის, ისე ცხოვრების საერთო ხასიათში, რომ მისი მტკვარ-არაქსის კულტურაში მოქცევა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. ზოგიერთი მკვლევარი ამ კულტურას უკვე განვითარების ახალ საფეხურს, შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისს აკუთვნებს[655], ზოგიც ადრიდან – შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეპოქად მიიჩნევს[656].

ადრეყორღანული კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ მკაფიოდ ისახება, მისი ქვედა საზღვარი მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიას ემთხვევა, ზედა კი

---

651. ზ.ძ ა ხ ა რ ა ძ ე. ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, გვ. 66.

652. К.Х. К у ш н а р е в а, Т.Н. Ч у б и н и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

653. Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, I, 1941, стр. 102.

654. К.Х. К у ш н а р е в а, Т.Н. Ч у б и н и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ.156.

655. Е.Н. Ч е р н ы х, Культурные контакты в циркумпонтийской области, Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 103.

656. А.И. Д ж а в а х и ш в и л и, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тысяч. до н. э., Тбилиси, 1973, стр. 265.

თრიალეთის კულტურის დასაწყის ხანას. თავის დროზე ბ.კუფტინმა თრიალეთის ადრეული ყორღანების დათარიღებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილ ჰემატიტის ლახტისთავს და წინააზიური ანალოგიების გზით ყორღანების ეს ჯგუფი ძვ.წ.III ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნა[657]. საჩხერის ყორღანული სამაროვნების მასალების საფუძველზე, მან თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანების თარიღი ძვ.წ.XXIV-XXII საუკუნეებით განსაზღვრა. იგი უფრო შორსაც მიდის და აქ ეთნიკური ერთიანობის შესაძლებლობებსაც კი უშვებს[658]. საჩხერის ყორღანული სამაროვნები დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავდნენ[659]. ადრეული სამარხები აქ, ჩანს, ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურს მიეკუთვნებიან. ბ.კუფტინს ამ სამაროვნების თარიღი ძირითადად წინა აზიისათვის დამახასიათებელი იარაღის საფუძველზე გამოყავდა[660]. ამ ტიპის იარაღი ადრეულ ყორღანებში ნაკლებად გვხვდება. ბაკურციხის ყორღანში ნაპოვნი ბოლოდახვეული ორი შუბისმაგვარი იარაღი ერთგვარად განსხვავებული ხასიათისაა (სურ.53.). შუბისმაგვარი ორი იარაღი აღმოჩნდა აზერბაიჯანში ასტარინის ყორღანში[661]. სხვა შემთხვევა ამ ტიპის იარაღის ყორღანში ჩატანებისა სადღეისოდ ცნობილი არ არის. არ ჩანს ადრეულ ყორღანებში არც ხიშტისმაგვარი იარაღი, რომელიც მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მტკვარ-არაქსის ფინალური საფეხურის ძეგლებზე (ქვაცხელები, ქიულთეფე). ხიშტისა და შუბისმაგვარი იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული წინააზიაში ძვ.წ.III ათასწლეულის პირველ ნახევარში და მის შუა ხანებში. შედარებით იშვიათად ვხვდებით მათ აგრეთვე მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში[662]. ამიერკავკასიაში შუბისმაგვარი იარაღი სადღეისოდ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდანაა ცნობილი. თითო-ოროლა ცალი ამ იარაღისა აღმოჩენილია სომხეთსა და აზერბაიჯანში. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში შუბისმაგვარი იარაღი შედარებით ფართოდ გვხვდება აღმოსავლეთ ანატოლიაში. აღსანიშნავია, რომ არსლანთეფეში აღმოჩენილ განძში ამ ტიპის თორმეტი იარაღი იყო ნაპოვნი[663]. აღმოსავლეთ ანატოლიის მუზეუმებში გვხვდება სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი შუბისმაგვარი იარაღები[664].

ჩრდილო კავკასიაში შუბისა და ხიშტისმაგვარი იარაღი აღმოჩენილია მის აღმოსავლეთ ნაწილში, დაღესტანში – პირველი ჩირკეის სამაროვანზე, მეორე კი ზემოგუნიბის ნამოსახლარზე[665]. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის იარაღები მეტად იშვიათია მაიკოპის კულტურაში. ეს კი ის დროა, როდესაც ამ კულტურას ახლო კონტაქტები აქვს წინააზიურ

---

657. Б.А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

ბ.კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი ეტაპი თრიალეთში, თბ. 1949, გვ. 18.

658. Б.А. К у ф т и н, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, стр. 75.

659. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 194.

660. Б.А. К у ф т и н, დასახ.ნაშრომი, გვ. 71.

661. Д.А. М а х м у д о в, Р.М. М у н ч а е в, И.Г. Н а р и м а н о в, О древнейшей металлургии Кавказа, стр. 21.

662. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 173.

663. A. P a l m i e r i, Excavations at Arslantepe (Malatia), Anatolian Studies, vol.XXXI, 1981, გვ. 108, სურ.4.

664. Önder Bilgi, Sume Unstatified Metal Weapons from the East Anatolian Museums, Between the Rivers and Over the Mountains, Roma, 1993, გვ.600.

665. История Дагестана, т.I, Москва, 1957, стр. 63.

სამყაროსთან. აქ მათ ვხვდებით გვიანმაიკოპის, ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე. ერთი შუბისმგავარი იარაღი ნაპოვნია ნოვოსვობოდნაიას, მეორე კი — ასებაისკაიას ყორღანებში[666]. ხიშტისმაგვარი იარაღი, რამდენადმე განსხვავებული ფორმის, ცნობილია ბამუტის ერთ-ერთი ყორღანიდან[667].

ადრეულ ყორღანებში აღმოჩენილ ლითონის იარაღიდან თითქოს უფრო მეტად მსგავსება წინარე ხანისათვის დამახასიათებელ ცულებთან ჩანს. საგრძნობი სხვაობაა აგრეთვე სამკაულის ხასიათში. საჩხერის ყორღანული სამაროვნების ძირითადი სამარხების ადრეულ ყორღანებთან გატოლება მთლად სწორი არ უნდა იყოს. ეს სამაროვნები, ჩანს, დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდნენ და ქვედა ფენის სამარხები ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს. მდ.ყვირილას აუზის ეს რეგიონი ამ დროისათვის საკმაოდ ძლიერ გავლენას განიცდის მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტისა. არც საჩხერის სამაროვნის გვიანდელი სამარხებიდან მომდინარე მასალა ნახულობს ბევრ საერთოს ადრეული ყორღანების ინვენტართან. შესაძლოა გარკვეული მსგავსება შეინიშნებოდეს კერამიკაში, ორნამენტის ხასიათში და სხვ., მაგრამ ეს ალბათ საერთო წინაპრის, მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლებიდან მომდინარეობს. თიხის ნაწარმი უფრო კონსერვატული ბუნებისაა და უფრო მეტად ინარჩუნებს საერთო ნიშნებს. სხვა მხრივ, როგორც აღინიშნა, არც სამკაულში და არც იარაღ-საჭურველის ხასიათში მსგავსება მაინცდამაინც არ იგრძნობა. ამიტომ, საჩხერის სამაროვნების მთლიანად გაიგივება ბედენის, თეთრიწყაროს ყორღანებთან ზუსტი არ უნდა იყოს[668]. არა გვგონია სავსებით სწორი იყოს მოსაზრება, რომ თრიალეთის უადრესი ყორღანების თანადროულია საჩხერის, ქვაცხელების და ხიზანაანთგორის B ფენის ფინალური საფეხური[669]. არც ის აზრი ჩანს მთლად სწორი, რომ, თითქოს მეტი ნდობით უნდა მოვეკიდოთ ვარაუდს მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანული კულტურების სინქრონულობის საკითხს[670]. ეს კულტურები, ჩანს, ერთხანს თანაარსებობდნენ, ოღონდ მათი სრული სინქრონიზაციის საკითხი ნაკლებად სანდო ჩანს. გამოითქვა მოსაზრება, არც თუ მთლად დამაჯერებელი, რომ საჩხერის სამაროვნების ზედა საზღვარი ძვ.წ.XXIV საუკ.არ უნდა სცილდებოდეს, ადრეული სამარხები კი ძვ.წ.III ათასწლეულის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს. თითქოს საეჭვო უნდა იყოს საჩხერის სამარხების გვიანი ჯგუფის გამოყოფა, რომლებიც დროით შეიძლება თრიალეთის ადრეულ ყორღანებს გაუტოლდეს[671]. მაგრამ, ისე ჩანს, რომ საჩხერის სამაროვნების გვიანი სამარხები ბედენის კულტურის სინქრონულები უნდა იყოს. ქორეთის ყორღანული სამაროვნის N 1 სამარხში აღმოჩენილი ბედენური ხასიათის ჭურჭელი და ინვენტარიც აქ შედარებით გვიანი ჩანს[672]. უფრო დამაჯერებელი ჩანს აზრი, რომ თრიალეთის ადრეული ყორღანები ქრონოლოგიურად უშუალოდ მოყვებიან

---

666. А.А. И е с с е н, К хронологии «больших кубанских курганов", СА, М-Л., 1950, стр. 176.

667. Р.М. М у н ч а е в, Кавказ на заре бронзового века, стр. 336.

668. Ch. B u r n c y, D. L a r g, დასახ.ნაშრომი, გვ. 67.

669. Г. К а в т а р а д з е, К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии, Тбилиси, 1983, стр. 106.

670. გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში, გვ. 6

671. А.И. Д ж а в а х и ш в и л и, დასახ.ნაშრომი, გვ. 266.

672. ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 195.



სურ. 57. ხოელეს N2 ყორღანის კერამიკა.

საჩხერის ძირითად სამარხებს ან ნაწილობრივ მათი სინქრონული უნდა იყოს[673]. მართალია, მეტისმეტად ფრთხილად, მაგრამ მაინც გამოითქვა ვარაუდი, რომ თრიალეთის ადრეული ყორღანების ერთი ნაწილი შეიძლება მიეკუთვნებოდეს მტკვარ-არაქსის, მეორე კი თრიალეთის კულტურას[674]. და მაინც, თითქოს უფრო ისე ჩანს, რომ ყორღანული კულტურის გამოჩენით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საზოგადოების განვითარების ახალ საფეხურს ეყრება საფუძველი, რომელიც უკვე საგრძნობლად სცილდება მტკვარ-არაქსის კულტურას. ამიტომ, შესაძლოა, ეს ახალი ეტაპის – შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისი იყოს, რომლის აყვავების პერიოდი თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე" კულტურაზე მოდის[675].

მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულის შესახებ არსებული განსხვავებული აზრის მიუხედავად, მაინც თითქოს უფრო ისე ჩანს, რომ იგი ძვ.წ.III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყის ხანებში წყვეტს არსებობას. ამ კულტურის ფართოდ განფენის გამო შესაძლოა, მისი ზედა ზღვარი ცალკეულ რეგიონებში სხვადასხვა ყოფილიყო. შიდა ქართ-

673. ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. გვ. 33.

674. А.И. Д ж а в а х и ш в и л и, დასახ.ნაშრომი. გვ. 268.

675. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, შუა ბრინჯაოს ხანა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970. გვ. 201.



სურ. 58. ხოვლეს ყორღანის N2 სამარხის ინვენტარი.

ლში, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურა, ჩანს, უფრო ძლიერი იყო, ზოგიერთ ნამოსახლარებზე მისი ბედენთან თანაარსებობა თითქოს უფრო ხანგრძლივი იყო. ნიშანდობლივია, რომ ისეთ ძეგლებზე, როგორიც იყო ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, გუჯაბერტყა და სხვ. ბედენის კულტურასთან თანაარსებობა არ შეინიშნება და ცხოვრება აქ ადრეყორღანული კულტურის გამოჩენის შემდეგ აღარ გაგრძელებულა. ზოგიერთი ნამოსახლარები, ჩანს, ბედენის კულტურის ხანაშიც განაგრძობენ არსებობას და როგორც ვარაუდობენ, ცხოვრება მათზე ძ.წ.III ათასწლეულის ბოლოს დასრულებულა[676]. საინტერესო სტრატიგრაფიული სურათი გამოჩნდა ხოვლესთან გათხრილ ყორღანში. ყორღანის სიმაღლე – 1,5 მ, დიამეტრი კი – 22,0 მ. უდრიდა. ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა სამარხი – ორმო სწორკუთხა მოყვანილობის 3,80X2,40 მ, სიღრმე – 1,2 მ. ორმოში აღმოჩნდა ერთი მიცვალებული ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე მწოლიარე, უინვენტარო. სამარხი-ორმო გადახურული იყო ხის ძელებით, რომელსაც ზემოდან 1,20 მ. სიმაღლის ქვაყრილი ჰქონდა. ქვაყრილს ზემოდან 0,30 მ. სისქის ღორღიანი მიწა ედო.

ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში ერთმანეთის თავზე ორი ჩაშვებული სამარხი აღმოჩნდა – ერთი N 1 - 0,60 მ. მეორე – N 2 - 1,0 მ. სიღრმეზე[677]. N 2 სამარხში აღმოჩნდა ტიპური ბედენური კერამიკა, შავპრიალა ქოთნები და სასმისები, შემკული „მარგალიტისებრი" და წვრილად ნაკაწრი ორნამენტით. აქვე იდო ბრტყელი შუბისა, თუ ხელშუბის

676. ზ. მ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

677. გ. გ ო ბ ე ჯ ი ა, ყორღანი სოფ. ხოვლესთან, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-შუშაკთა IX სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1958, გვ. 41.

პირი, რომბისებრი თავით, ფართო ყუნწით, კაჟისა და ობსიდიანის ისრის პირები, სალესი ქვა და სხვ. (სურ.57,58). ამ სამარხის თავზე აღმოჩნდა მეორე საფლავი N1, რომელშიც იდო გვიანბრტყვარარაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ძირვიწრო ტოლჩა ჩაღარულ-ამოღარული ორნამენტით შემკული, ბრტყელი ფართოყუნწიანი სატევრის პირი, რომელსაც შუაში მხრების დონეზე ერთი ნახვრეტი აქვს (სურ. 59). ხოვლეს ყორღანში კარგად გამოჩნდა მტკვარარაქსისა და ბედენური კულტურების თანაარსებობა. ორივე სამარხი ჩანს დაახლოებით თანადროული უნდა იყოს. აქ, ეტყობა, პირველად დაიმარხა მიცვალებული, რომელსაც ბედენის კულტურისათვის დამახასიათებელი ინვენტარი ახლდა, შემდეგ კი ალბათ დაახლოებით იმავე ხანებში, დასაფლავდა მეორე მიცვალებული, რომელსაც მტკვარ-არაქსის გვიანი საფეხურისათვის დამახასიათებელი ტიპიური ტოლჩა ჩაატანეს. თუმცა, არც ის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ ადრე ნაპოვნი ტოლჩა შემდეგ უფრო გვიანდელ სამარხში მოხვდა. ამის მაგალითები არცთუ იშვიათია არქეოლოგიაში. მიცვალებულს, რომლისთვისაც ხოვლეს ყორღანი იყო აგებული, თან არაფერი ჩაატანეს. უინვენტარო ყორღანები ჩვენში თითქმის არ არის ცნობილი. ყორღანები სამარხეული ინვენტარის გარეშე საკმაოდ ხშირია ძველი ორმოსამარხების კულტურაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხოვლეს N 2 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს შუბის თუ ხელშუბის პირი, წელთან შევიწროებული, რომბისებრი მოყვანილობის თავით და მოგრძო ბრტყელი ყუნწით (სურ. 58). ანალოგიური იარაღი ჩვენში და კავკასიაში, საერთოდ, სადღეისოდ ცნობილი არ არის. თითქმის სავსებით ასეთივე იარაღია ნაპოვნი კალმიკეთში, ელისტის სამაროვნის N 8 ყორღანის, N 6 სამარხში[678] (სურ. 60). ამ ტიპის იარაღი აქაც შედარებით იშვიათია, მაგრამ, სამაგიეროდ ხშირად გვხვდება ბრტყელი სატევრის პირები რომბისებრი მოყვანილობის პირით[679]. ელისტის ყორ-





სურ. 59. ხოვლეს ყორღანის N1 სამარხის ინვენტარი.

678. И.В. Синицын, У.Э. Эрдниев. Элистинский могильник. Элиста, 1971, стр. 15, табл. 115,3.

679. იქვე, გვ.14.

ღანები მიეკუთვნებიან ძველი ორმოსამარხების და კატაკომბურ კულტურებს. ცენტრალურ ანატოლიაში, ჰოროსთეფეში აღმოჩენილი გვერდებშეკეცილი შუბისა თუ სატევრის პირები, წაწვეტებული წვერით, რომლებიც თითქოს რაღაც შორეულ მსგავსებას აკლენენ ხოვლეს იარაღთან, მაინც განსხვავებული ტიპისაა (სურ.60). მსგავსი იარაღი ანატოლიაში საერთოდ უცნობია[680]. არ არის გამორიცხული, რომ ბრტყელი შუბის პირი რომბისებრი თავით ჩვენში ჩრდილოეთთან ურთიერთობის შედეგად გავრცელებულიყო.

ხოვლეს N 1 სამარხში აღმოჩენილი სატევრის პირის ანალოგიური იარაღი ჩვენში ცნობილი არ არის. ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელი სატევრის პირები განსხვავებული ტიპისაა. ხოვლეს სატევრის პირი თითქოს უფრო ახლოს დგას ანატოლიაში გავრცელებულ ამ ტიპის იარაღთან, რომელსაც დ.სტრონახი II ტიპში აქცევს. ეს სატევრის პირები ყველაზე გავრცელებულია ანატოლიაში ძვ.წ.III ათასწლეულის პირველ ნახევარში და თითქმის 2000 ძვ.წ. შემორჩა[681]. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ადრეულ ყორღანებში ჩაშვებული სამარხები მეტად იშვიათია. არც მომდევნო, თრიალეთის ყორღანებისთვისაა დამახასიათებელი ყრილში სამარხების მოწყობა. ჩრდილო კავკასიის, კალმიკეთის და სხვ. ყორღანებში ხშირად გვხვდება ჩაშვებული სამარხები.

ადრეყორღანული კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა დღესაც უპირატესად ისევ ძველი ტრადიციული მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი. ტიპოლოგიური ანალიზის გზით განისაზღვრა თავიდანვე ამ კულტურის სავარაუდო თარიღი. შემდეგში ამავე მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენებამ კიდევ მეტი სინათლე შეიტანა მისი ხნოვანების დადგენის საკითხში. მართალია, სადღეისოდ უკვე გვაქვს შედარებით მცირე სერია ამ პერიოდის ძეგლების რადიონახშირბადის თარიღებისა, მაგრამ ისინი მაინცდამაინც საქმეს დიდ დამაჯერებლობას არ მატებს, ვინაიდან საგრძნობ სხვაობას იძლევიან. მარტყოფის ეტაპისათვის მხოლოდ მარტყოფის N 4 ყორღანიდან რამდენიმე თარიღია მიღებული. ამერიკის ლოველის უნივერსიტეტის ლაბორატორიის gx-9252 : 2083 ± 155 ძვ.წ.; პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის -LE – 2198 : 1690 ± 40 ძვ.წ.; თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიის TB - 325 : 2180 ± 80 ძვ.წ., კალიბრებული თარიღი - 2650 ძვ.წ. ბერლინის ლაბორატორიის - Bln - 2917 : 1930 ± 60 ძვ.წ.; ორი თარიღია ცნობილი აზერბაიჯანში გათხრილ უჩ-თეფეს ყორღანიდან, პეტერბურგის ლაბორატორიაში განსაზღვრული - LE 305 : 4500 ± 120 = 2539 ± 120 ძვ.წ. და LE 300 : 4830 ± 230 = 2867 ± 230 ძვ.წ. მაგრამ ა.იესენმა იმთავითვე ეჭვი შეიტანა ამ თარიღების სისწორეში და აღნიშნა, რომ ისინი რამდენიმე საუკუნით უფრო ადრეულებია. მისი აზრით, ამ ყორღანის სავარაუდო დრო უნდა იყოს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი ან მისი ბოლო[682]. უჩ-თეფეს ყორღანი გაძარცვული აღმოჩნდა, მაგრამ იქ შემორჩენილი სამარხეული ინვენტარის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება მაიკოპის ყორღანის კერამიკულ მასალასთან სიახლოვის შესახებ[683]. მაიკოპის კულტურის და, კერძოდ, მაიკოპის ყორღანის თარიღის შესახებ, წინააზიური ანალოგიების

---

680. T. Özgüç, M. Akok, Objects from Horoztepe, Belleten, XXI, 82. 1957; გვ. 216, სურ. 14, 16-19;

681. D.B. Stronach, Development and Diffusion of Metal Tipes in Early Bronze Age Anatolia, Anatolian Stidies, VII. 1957, გვ. 92.

682. А.А. Иессен, Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, МИА 125, М.-Л., 1965, стр. 186.

683. იქვე. გვ. 183.

გზით, კვლავ აღინიშნა მაღალი თარიღები[684]. შესაძლოა, მაიკოპის კულტურის ხნოვანობა მართლაც გადადიოდეს ძვ.წ. IV ათასწლეულში და ამას თითქოს ბერიკლდეების სტრატიგრაფიული მონაცემებიც მოწმობენ, მაგრამ საკუთრივ მაიკოპის ყორღანის თარიღის შორს სიღრმეში გადატანა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. ჩრდილო კავკასიაში ყორღანული ტიპის სამარხის ძვ.წ.III ათასწლეულზე უფრო ადრე გამოჩენა ნაკლებ სავარაუდო ჩანს. არსებობს რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული უჩ-ჯეგუტინის ყორღანების რამდენიმე თარიღი, ეს სამარხები დროით უშუალოდ უნდა მოსდევდნენ მაიკოპის ეტაპს (2090 ± 60; 2260± 60; 1950 ± 60 ძვ.წ.)[685].



სურ. 60. ელისტის სამაროვნების N8 ყორღანის N6 სამარხში ნაპოვნი შუბისპირი. ხორლისთეფეს სამარხში ნაპოვნი შუბისა თუ სატევრის პირი.

დროის რა მონაკვეთს მოიცავდა ადრეყორღანული კულტურის მარტყოფის ჯგუფის სამარხები, დაზუსტებით თქმა გაჭირდება, მაგრამ, ამ კულტურის პირველი გამოჩენა, ჩანს, უნდა ემთხვეოდეს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის პირველ საუკუნეებს და მის შუა ხანებს მაინცდამაინც შორს არ ცდება.

მართალია, ბედენის კულტურისათვის ოდნავ მეტი რადიონახშირბადის თარიღები გაგვაჩნია, მაგრამ მაინც ამ პერიოდის ხანგრძლივობისა და დასასრულის შესახებ ყველაფერი ნათელი არ არის. მარტყოფის ბედენური დროის ყორღანებისათვის ორი თარიღი განისაზღვრა თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში – N 3 ყორღანის TB - 317 : 1800 ± 50 და N 5 ყორღანის ორი თარიღია მიღებული Თბ - 809 : 2040 ± 90 ძვ.წ. (კალიბრებული - 2440) და Თბ - 813 : 2060 ± 100 ძვ.წ. (კალიბრებული - 2465)[686]. წნორის N 1 ყორღანის ორი თარიღია მიღებული – ერთი ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში - 2170 ± 50/90, მეორე თბილისის უნივერსიტეტში - 2155 ± 50[687]. ზეიანის ყორღანის თარიღი განისაზღვრა თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში - 1890 ძვ.წ. (კალიბრებული TB - 328 : 2350 + 316 ძვ.წ.)[688], ხრამების ყორღანის თარიღია

684. М.А. А н т о н о в а. К вопросу о южных связях майкопской культуры. СА. N1, Москва, 1977. стр. 43.

685. Р.М. М у н ч а е в. დასახ.ნაშრომი. გვ. 325.

686. გ.ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ.ა ფ ც ი ა ვ ი რ ი, თ.კ ე ვ ლ ე ი ძ ე, მ.კ ო ბ ა ლ ა ძ ე, მ.ჩ ე ჩ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ა.წ ე რ ე თ ა ვ ლ ი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1989-1990 წწ. მუშაობის ანგარიში. არქეოლოგიის კრებული. I, თბილისი, 1994 წ. გვ. 66.

687. Ш. Д е д а б р и ш в и л и. Курганы Алазанской долины. Тбилиси, 1979, стр. 25.

688. А.М. А п а к и д з е, А.А. Б у р ч у л а д з е. Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии. Тбилиси, 1987, стр. 31.

- TB - 242 : 2200 ± 50[689]. გამოითქვა ვარაუდი, რომ თითქოს ბედენის კულტურა წინ უსწრებს მარტყოფის საფეხურს[690]. მაგრამ, ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღები და არც სამარხეული ინვენტარის ანალიზი იძლევა ამის საფუძველს. სამართლიანად აღინიშნა, რომ ბედენის კულტურაში უკვე რიგი ისეთი ნიშნებისა შეიმჩნევა, რომლებიც შემდეგში თრიალეთის კულტურისთვის ჩანს დამახასიათებელი[691]. ბედენში შემოდის პირველად მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვის რიტუალი და ეს ტრადიცია შემდეგში თრიალეთის კულტურაში გადადის. ბედენის ხანის ყორღანებში ნაპოვნი მოხატული ჭურჭელი უახლოვდება თრიალეთის კულტურის ერთ წყება კერამიკას და საერთოდ თიხის ნაწარმში სხვა საერთო ნიშნები შეიმჩნევა. უნდა შეინიშნოს, რომ ადრეყორღანული კულტურის ძეგლებისათვის უფრო მაღალი შესწორებული თარიღებიც არსებობს[692]. მაგრამ ჯერჯერობით თითქოს უფრო მისაღები ჩანს ტრადიციული მეთოდით მიღებული განსაზღვრები. თუმცა ზოგჯერ თითქოს კალიბრებული თარიღები უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან.

ადრეყორღანული კულტურის ქვედა საზღვრის დადგენა თითქოს უფრო საიმედო უნდა იყოს, ვინაიდან იგი მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო პერიოდს უკავშირდება. სადღეისოდ მტკვარ-არაქსის კულტურის რიგი გვიანი ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარებია გათხრილი და არსებობს რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღების მცირე სერია. მაგრამ, მაინც საკმაოდ ჭირს ამ კულტურებს შორის მეტ-ნაკლებად ზუსტი ზღვარის დადგენა იმის გამო, რომ მთლად ნათელი არ არის მათი თანაარსებობის დრო. მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი ხანის ორი თარიღია მიღებული, საჩხერის მახლობლად გათხრილი არგვეთის ნამოსახლარიდან TB - 416 : 2390 ± 60 და TB - 417 : 2110 ± 40 ძვ.წ.[693] საკმაოდ გვიანი თარიღია ამირანის გორის ნამოსახლარიდან TB - 3 : 1850 ± 165 ძვ.წ.[694] სამაგიეროდ მაღალი თარიღია მიღებული ციხიაგორის B_2 ფენიდან - 2900 ± 110 ძვ.წ. და აღინიშნა კიდეც, რომ იგი არ შეეფერება სინამდვილეს[695]. შენგავითის ნამოსახლარის ზედა IV ფენიდან ერთი თარიღია მიღებული LE - 459 : 2020 ± 80 ძვ.წ.[696] ამ ფენაში აღმოჩენილი შავპრიალა თიხის ჭურჭელი, თითქოს გარკვეულ მსგავსებას ამყარებს ბედენური კულტურის კერამიკასთან. აქ ნაპოვნი ერთი მოზრდილი ჭურჭელი, დაბალცილინდრული ყელით ბედენის თიხის ნაწარმს მოგვაგონებს[697].

პატარა სერია რადიონახშირბადის თარიღებისა, მიღებულია ურმიის ტბის რეგიონში

---

689. А.М. Апакидзе, А.А. Бурчуладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

690. О.Д. Лорткипанидзе. Наследие древней Грузии. Тбилиси, 1989, с. 118.

691. ე. გოგიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

А.И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ.265.

692. გ. ქორთანიძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ბალ-ში-ცენტრალ. შეკუნ. თბილისი, 1981, გვ. 94.

693. А.М. Апакидзе, А.А. Бурчуладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

694. А.М. Апакидзе, А.А. Бурчуладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

695. ზ. მახარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

696. С.А. Сардарян. Первобытное общество в Армении. Ереван, 1967, с. 297.

697. იქვე, გვ. 295. სურ. 20,21.

შესწავლილი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებიდან. იანიქ თეფეს ნამოსახლარის ადრებრინჯაოს II პერიოდიდან ოთხი თარიღია – და ეს ხანა ჩანს გაგრძელებული 2650 - 2200 ძ.წ.[698]. იანიქ თეფეს ადრებრინჯაოს III პერიოდის საკმაოდ გვიანდელი თარიღებია - 2086 ± 104 და 1816 ± 63 ძ.წ.[699] ჰასანლუ VII ხუთი თარიღი მერყეობს 2157 - 2002 ძ.წ.[700] აღინიშნა, რომ ურმიის ტბის ზოგიერთ რეგიონში და ეგებ ვანის ტბის მიდამოებშიც მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციები ძ.წ. II ათასწლეულის დასაწყისამდე შემორჩა[701]. ერთი თარიღი გე-თეფეს K_3 ფენიდან P - 199 : 2442 ± 142 ამ კულტურის ურმიის ტბის არეალში ადრე გავრცელებაზე უნდა მიუთითებდეს[702]. გამოითქვა მოსაზრება, რომ დასავლეთ ირანში მტკვარ-არაქსის კულტურის განფენა ორ ნაკადად ხორციელდებოდა - ერთს გე-თეფეს K პერიოდის ჩამოყალიბება მოყვა, მეორეს კი იანიქ-თეფეს კულტურის წარმოქმნა[703].

კიდევ უფრო რთულია ადრეყორღანული კულტურის ზედა ზღვარის დადგენა, რომელიც ამავე დროს თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" დასაწყისი, მისი ქვედა საზღვარი უნდა ყოფილიყო. თრიალეთის კულტურა ძირითადად სამარხეული ძეგლებიდან მომდინარე მასალითაა წარმოდგენილი და არც ამ დროის ნამოსახლარებია მაინცდამაინც შესწავლილი. თითქმის არა გვაქვს ამ კულტურის რადიონახშირბადის მეთოდით განსაზღვრული თარიღები. თრიალეთის კულტურის ქრონოლოგია ძირითადად ტრადიციული მეთოდის გამოყენების გზითაა განსაზღვრული. ბ.კუფტინმა იმთავითვე ეს კულტურა ძვ.წ.II ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა საუკუნეებს მიაკუთვნა[704]. შემდეგში არა ერთი ცდა იყო თრიალეთის კულტურის პერიოდიზაციის და დათარიღების[705]. მისი საწყისი ხანა განისაზღვრებოდა ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოთი, III და II ათასწლეულების მიჯნით ან კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით. მართებულად აღინიშნა, რომ თრიალეთის XIV ყორღანის ინვენტარში კარგად შეინიშნება გარდამავალი ხასიათი, განსაკუთრებით კერამიკაში, რომელშიაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ბედენური კულტურის თიხის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ეს ყორღანი თრიალეთის კულტურაში ყველაზე ადრეული უნდა იყოს და ძვ.წ. III-II ათასწლეულის მიჯნას უნდა მიეკუთვნებოდეს[706]. შეიძლება, მართლაც, პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდეს „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" საწყისი პერიოდის ძვ.წ. XXI საუკუნეებით დათარიღებას[707],

---

698. Ch. Burney, D. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ 60.

699. იქვე, გვ. 65.

700. R.H Dyson, Jr., The Hasalnu Project 1961-67, The Memorial Volum of the VTH International Congress of Iranian Art and Archaeology, Vol. I, Tehran, 1972, გვ.57.

701. Ch. Burney, D.M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ.65.

M.N.van Loon, Korucutere, Eastern Anatolia, 1968-1970, Volum 2, 1978; გვ. 73.

702. R.H. Dyson, დასახ.ნაშრომი, გვ. 58.

703. Г. Кавтарадзе, დასახ.ნაშრომი, გვ. 103.

704. Б.А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 96.

705. C.A. Burney, Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze Age, Anatololian Studies, VIII, გვ.175.

ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართული ტომების ისტორიისათვის, ძვ.წ. II ათასწლეულში, თბილისი, 1969, გვ. 238. ე.გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

706. ე.გოგაძე, დასახ.ნაშრომი, გვ. 44.

707. А.И. Джавахишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.

ოღონდ მისი უფრო სიღრმეში გადატანას, სათანადო საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ზემომოტანილი მცირე სერია რადიონახშირბადის თარიღებისა.

მტკვარ-არაქსის კულტურის გვიან პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ჩანს, რეგიონალური კულტურები ჩამოყალიბდა (შენგავითური კულტურა, შიდა ქართლში თავისებური ვარიანტი და სხვ.). შიდა ქართლში მიმდგომი მხარეებით მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ.წ.III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. დაახლოებით ამავე პერიოდში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებას იწყებს ადრეყორღანული კულტურა. იქ, სადაც ამ კულტურამ მაინცდამაინც ფეხი არ მოიკიდა, მტკვარ-არაქსის კულტურა, ჩანს, უფრო დიდხანს ძვ.წ III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებამდე შემორჩა. ადრეყორღანული კულტურა ერთხანს მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობს. შემდეგ ბედენური კულტურა ვრცელდება და დროის რა მონაკვეთს მოიცავდა, მთლად ნათელი არ არის. უფრო ისე ჩანს, რომ იგი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებიდან მოკიდებული, ვიდრე მის ბოლომდე გაგრძელდა. შემდეგ მას III-II ათასწლეულის მიჯნაზე თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა" ენაცვლება. აღსანიშნავია, რომ ცირკუმპონტური პროვინციის არეალში შუაბრინჯაოს ხანაზე გადასვლა დაახლოებით 2300-2100 წლებს ემთხვევა[708]. ჩვენშიც ჩანს, ეს პროცესი დაახლოებით ამავე ხანებზე, უფრო კი ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოზე მოდის.

---

708. Е.Н. Черных. Горное дело и металлургия в древней Болгарии. София, 1978, стр. 271.

IV თ ა ვ ი

ერთი სამარხი ქსნის ხეობიდან

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია არქეოლოგ ნოე აფხაზავას ხელმძღვანელობით წლების მანძილზე ფართო სამუშაოებს აწარმოებს ქსნის ხეობაში. 1985 წ. სოფ.კორინთიდან დაახლ. 1 კმ. დაშორებით ლარგვისისაკენ მიმავალ გზის პირას, ადგილ საკირეებთან, აღმოჩნდა ადრე ფეოდალური ხანის სამაროვანი*. ამ დროის ერთ-ერთი ქვაყუთის ქვეშ 0,75 მ. სიღრმეზე გამოჩნდა ქვაყრილი. ქვები თითქოს საგანგებოდ იყო ჩაწყობილი და ისე ჩანდა, რომ ყრილის თავსა და ბოლოში უფრო მოზრდილი ქვები ელაგა. ქვაყრილში ჩნდებოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები და კერამიკის ფრაგმენტები. ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა სამარხი ორმო, თითქმის ოთხკუთხა ფორმისა 2,38X2,90 მ. ორმოს ძირზე, ქვაყრილიდან 1,35 მ. სიღრმეზე ორი მიცვალებული აღმოჩნდა.

ორმოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიცვალებული, ჩანს ქალი, ზურგზე ესვენა ოდნავ გვერდზე გადახრილი, ხელფეხმოკეცილი, ხელის მტევნებთან თავის ქალის უკან კოკობი იდო. თავის ქალასთან აღმოჩნდა ძვლის სამი საკინძი ჩაქუჩისებრი თავით, სპილენძის ერთი მარყუჟისებრთავიანი საკინძი და ძაღლის საძირე კბილებისაგან ნაკეთები ოთხი საკიდი (ტაბ. XLIII).

მოპირდაპირე მხარეს სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მეორე ჩონჩხი, ჩანს მამაკაცისა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე ესვენა ძლიერ მოკეცილი ფეხებით. თავთან ელაგა თიხის ოთხი ჭურჭელი, ფეხთით კი იდო ქვიშაქვის ლახტისთავი. ზურგს უკან ბაქნისებურ შემაღლებაზე აღმოჩნდა ცხოველის ჩონჩხი (გოჯი?). ორივე მიცვალებული თავით ჩრდილო-დასავლეთით ესვენა.

1. კოკობი. მორუხო-მოშავო თიხის, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ცილინდრული ყელით; ბრტყელი ყური მიძერწილი აქვს ყელის ძირსა და პირთან. მუცლის ზემო ნაწილი გამობერილია და თანდათანობით ეიწროვდება ძირისაკენ. სიმაღლე - 11,7 სმ; ყელის სიმაღლე - 3,5 სმ; მუცლის დიამეტრი 10,0 სმ; პირის დიამეტრი - 7,9 სმ (სურ. 61).
2. ხელადა, მოწითალო-მოყავისფრო თიხისა, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ბრტყელი ყური მუცლის ზედა ნაწილზე და ყელზეა მიძერწილი. ცილინდრული ყელი მხართან ფართოვდება და გამობერილ მუცელში გადადის. მუცელზე გადასვლის ადგილას წიბური აქვს; ძირვიწრო. სიმაღლე – 18,8 სმ; ყელის სიმაღლე – 8,0 სმ; პირის დიამეტრი - 9,2 სმ; მუცლის

---

* ცნობა მოგვაწოდა ქსნის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ნოე აფხაზავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.



სურ. 61. კორინთოს სამარხის ინვენტარი.

დიამეტრი - 16,0 სმ; ძირის დიამეტრი - 5,2 სმ (სურ. 61, ტაბ.XLIII).

3. ხელადა, მოყავისფრო-მოშავო თიხისა, უხეშად ნაძერწი, არ ათანაბრად გამომწვარი, მსხლისებრი ფორმის, ბრტყელი ყური მიძერწილია მუცლის ზედა ნაწილზე და ყელზე. სიმაღლე - 20,7 სმ; პირის დიამეტრი - 8,9 სმ; მუცლის დიამეტრი - 17,0 სმ; ძირის დიამეტრი 6.7 სმ (სურ. 61, ტაბ. XLIV).

4. ტოლჩა, მოყავისფრო-მოწითალო-მონაცრისფრო თიხისა, უხეშად ნაძერწი არათანაბრად გამომწვარი, ფართო ყელით, პირგადაშლილი, ყური ასხია მხარსა და მუცლის ზედა ნაწილზე; მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი წიბური აქვს. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. სიმაღლე - 16,0 სმ; ყელის სიმაღლე - 7,0 სმ; პირის დიამეტრი - 13,2 სმ; მუცლის დიამეტრი - 17,0 სმ; ძირის დიამეტრი - 7,2 სმ (სურ. 61, ტაბ. XLIV).

5. ტოლჩა, მოყავისფრო-მოწითალო თიხისა, უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი; ფართო ყელით, პირი ოდნავ გადაშლილი, ყური ასხია მხარსა და პირზე. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილზე წიბური აქვს. მუცლის ზედა ნაწილზე ოთხი კოპი აზის; პირთან ყურს მრგვალი ჩანაჭდევი აქვს. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. სიმაღლე - 12,0 სმ; ყელის სიმაღლე - 5,0 სმ; პირის დიამეტრი - 11,2 სმ; მუცლის დიამეტრი - 14,0 სმ; ძირის დიამეტრი - 5,3 სმ (სურ. 61).

6. საკინძი, ბრინჯაოსი, მარყუჟისებრი თავით, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი; ღეროზე სამი ხვეული აქვს.

სიგრძე - 6,6 სმ (სურ.61, ტაბ. XLIII).

7. საკინძი ძვლის, ჩაჭუჩისებრი თავით, რომელიც წვრილად ამოღარული კონცენტრული ხაზებითაა შემკული. ოთხი ასეთივე ხაზი ღეროს ზედა ნაწილზე გადადის. ღეროს თავთან ნახვრეტი აქვს. ღეროს ქვედა ნაწილი აკლია. თავის სიგანე - 2,2 სმ (სურ. 61, ტაბ.XLIII).

8. საკინძი ძვლისა, ჩაჭუჩისებრი თავით. თავზე შემოუყვება წვრილად ამოღარული კონცენტრული ხაზები. მოკლე ღერო ბოლოში წაწვეტებულია. თავზე შუაში ნახვრეტი აქვს. სიგრძე - 3,6 სმ; თავის სიგანე - 2,2 სმ (სურ. 61, ტაბ. XLIII).

9. საკინძი ძვლისა, ჩაჭუჩისებრი თავით, სადა; თავზე შუაში ხვრელი აქვს. ღერო ბოლოში წაწვეტებულია. სიგრძე - 4,5 სმ; თავის სიგანე - 1.6 სმ (სურ.61, ტაბ. XLIII).

10. საკინძის ღეროს ნატეხები, ძვლისა (ტაბ.XLIII).

11. საკიდები, ძაღლის საძირე კბილებისა, ფესვზე ნახვრეტით 4 ც.

12. ლახტის თავი, ქვიშაქვისა, გლუვი ზედაპირით. ხვრელს ორივე მხრიდან ძაბრისებრი მოყვანილობა აქვს. სიმაღლე - 5,0 სმ; დიამეტრი - 5,8 სმ, ხვრელის დიამეტრი - 2,5 სმ (სურ. 61, ტაბ. XLIII).

სამარხეული ინვენტარიდან, განსაკუთრებით საყურადღებოა სამარხში ნაპოვნი ძვლის ჩაჭუჩისებრი საკინძები. ეს ამ ტიპის საკინძების კავკასიის ქედის სამხრეთით, ამიერკავკასიაში, აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. ჩაჭუჩისებრი საკინძები ძვლისა ან ბრინჯაოსი, ხშირად გვხვდება სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში და ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ძველ ორმოსამარხებსა და კატაკომბურ კულტურებში. სადღეისოდ ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს ამ ტიპის საკინძების წარმომავლობის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი ძვლის ჩაჭუჩისებრ საკინძებს ძირითადად ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებლად თვლის[709]. ზოგიც მათ ორმოსამარხებსა და კატაკომბურ კულტურებში გავრცელებულ სამკაულად მიიჩნევს[710]. ეს ტიპი სამკაულისა თავისი წარმომაელობით ძველი ორმოსამარხების კულტურასთან იყო დაკავშირებული. ჩრდილო კავკასიაში ჩაჭუჩისებრი საკინძი, ჩანს, ამ კულტურის გავლენის შედეგად ვრცელდება, ზოგის აზრით, მაიკოპის კულტურის ხანაში[711], ზოგის კი — უფრო გვიან მომდევნო პერიოდში[712]. აქ ისინი, უპირატესად, კავკასიის დასავლეთ ნაწილში გვხვდებიან. ისიც ითქვა, რომ ეს საკინძები დასავლეთ კავკასიიდან ვრცელდებიან[713]. გარდა ძვლისა, ჩრდილო

---

709. Б.Я. Л а т ы ш и н, Молоточковидные булавки и их культурная атрибутация и датировка, „Археологический сборник", вып. 9, Ленинград, 1967, стр. 40.

710. Т.Б. П о п о в а, Племена катакомбной культуры, М., 1955, стр. 25.

711. Б.А. Л а т ы ш и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

712. В.И. М а р к о в и н, Курганы Константиновского плато у г. Пятигорска, КСИА, 127, Москва, 1971, стр. 43.

А.Л. Н е ч и т а й л о, Верхнее Прикубанье в бронзовом веке, Киев, 1978, стр. 64.

713. В.И. М а р к о в и н, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы, МИА, 93, Москва, 1960, стр. 95.

Ch. B u r n e y, D. L a n g, The Peoples of the Hills Ancient Ararat and Caucasus, London, 1971, გვ. 71.

კავკასიაში ამ ტიპის ბრინჯაოსაგან ნაკეთები საკინძებიც ვრცელდება. ზოგი ფიქრობს, რომ ლითონის საკინძების პროტოტიპი შეიძლება ყოფილიყო ორმოსამარხების კულტურაში ცნობილი ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები და აგრეთვე საჩხერის ტიპის T-ს მაგვარი ქინძისთავები[714]. მაგრამ, ამ საკინძისთვის ორი პროტოტიპის ძიების ცდა ნაკლებ დამაჯერებელი ჩანს[715]. მითუმეტეს, რომ საწინააღმდეგო ვარაუდიც არსებობს, რომ T-ს მაგვარი ქინძისთავის წარმომავლობა თითქოს უკავშირდება ლითონის და უფრო ადრე კი ძვლის საკინძებს[716].

უფრო დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება, რომ ჩრდილო კავკასიისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ჩაქუჩისებრი საკინძები წარმოიქმნენ ძველი ორმოსამარხებისა და კატაკომბურ კულტურებში გავრცელებულ ძვლის ანალოგიური საკინძებისაგან[717]. თუმცა საპირისპირო აზრიც გამოითქვა, რომ მცირე აზიურ-ამიერკავკასიური სპილენძის ქინძისთავების საფუძველზე წარმოქმნილმა ჩრდილო-კავკასიურმა ქინძისთავებმა გამოიწვიეს რქის საკინძეების გამოჩენა, რომლებმაც შემდეგში ფართოდ გავრცელება პოვეს ჩრდილო-შავიზღვისპირეთის სტეპებში[718]. ზოგი ფიქრობს, რომ კავკასიისპირეთის და ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელ ტომებში დამოუკიდებლად უნდა წარმოქმნილიყო ეს ფორმა საკინძებისა ერთ შემთხვევაში ლითონისა, მეორეში — რქისა[719], მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მართებულია ვიფიქროთ, რომ ძვლისა და რქის ჩაქუჩისებრი საკინძები უნდა შექმნილიყო ძველი ორმოსამარხების კულტურაში. ეს ტიპი საკინძისა ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სამკაულია ამ კულტურის დასავლური ვარიანტისა[720]. მათი გამოყვანა უშუალოდ საჩხერის ტიპის T-ს მაგვარ ქინძისთავისაგან, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს წარმოუდგენია, ნაკლებად დამაჯარებელი ჩანს. ვ.საფრონოვს, რომელმაც შეიმუშავა ჩაქუჩისებრი საკინძების კლასიფიკაცია[721], ეს ტიპი საკინძისა უშუალოდ გამოყავს შიდა ქართლში – ყორნისში აღმოჩენილ T-ს მაგვარ ქინძისთავისაგან[722], მაგრამ გაირკვა, რომ ეს ქინძისთავის ნაწილი კი არ იყო, როგორც ადრე ეგონათ, არამედ ჩვეულებრივი საკიდი, რომლის მსგავსიც აღმოჩნდა სტირფაზის კრომლეხში[723].

---

714. В.И. Маркович, დასახ.ნაშრომი, გვ. 35,114

715. Б.Я. Латынин, დასახ.ნაშრომი, გვ.49

716. Б.Е. Дегтян, Курганы Кабардинского парка г. Нальчика, МИА, №3, М.-Л., 1941, стр. 246.

717. Т.Б. Попова, დასახ.ნაშრომი, გვ. 120.

Р.М. Мунчаев, К.Ф. Смирнов, Памятники эпохи бронзы в Дагестане. СА. XXVI, М., 1956, стр. 187.

718. მ.ჯრტამონოვის წინა სტატია ბ.ლატინინის ნაშრომზე.

M. Gimbutas, The Prehistory of Eastern Europa, Cambridge, Massachusetts, USA, 1956, გვ. 76.

719. Б.Я. Латынин, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

720. Н.Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского Междуречья. Москва, 1974, стр. 68.

721. Б.А. Сафронов, Классификация предкавказских костяных молоточковидных булавок, КСИА, вып. 134, М., 1973, стр. 42.

722. Н.А. Николаева, Б.А. Сафронов, Классификация предкавказских костяных молоточковидных булавок, КСИА, вып. 142, М., 1975, стр. 17.

723. Б.В. Техов, Бронзовые молоточковидные булавки из тлийского могильника. Северный Кавказ в древности и средние века, М., 1980, стр. 61.

აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც ძველი ორმოსამარხის კულტურის ოდნავი ნაკვალევიც კი შეინიშნება, თითქმის ყველგან გვხვდება ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები[724]. ევროპაში ეს ტიპი საკინძისა, რამდენადმე შეცვლილი, საკმაოდ შორს ვრცელდება[725]. ჩაქუჩისებრი საკინძების შემცველი კომპლექსების ხნოვანების დადგენას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა შუა ევროპის წინა ისტორიისათვის[726]. ცენტრალურ ანატოლიაში, ალაჯა ჰუიუკის „მეფეთა" სამარხებში აღმოჩენილ ვერცხლის ქინძისთავებს მსგავსი ფორმის საკინძებად მიიჩნევენ[727]. სწორედ ეს ანალოგიები, ზოგის აზრით, იძლევა ევროპის იმ ძეგლების კომპლექსების დათარიღების საფუძველს, რომლებშიც ჩაქუჩისებრი საკინძები აღმოჩნდა[728]. თუმცა, ზოგი ვერ ხედავს მათ შორის რაიმე საერთოს[729].

ევროპაში ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები გვხვდება აქ ძველი ორმოსამარხების კულტურის გამოჩენასთან ერთად. როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიაშიც ამ კულტურის გამოჩენასთან იყო დაკავშირებული ჯერ ძვლის, შემდეგ კი ბრინჯაოს ჩაქუჩისებრი საკინძების გავრცელება. აქედან უნდა შემოსულიყო ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძი ჩვენში, ქსნის ხეობაში, ალბათ, ჩრდილო კავკასიაში ძველი ორმოსამარხების კულტურის გამოჩენის ხანაში.

კორინთოს სამარხში აღმოჩენილი ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები, ჩანს, უადრეს ტიპს მიეკუთვნებიან. ისინი როგორც ფორმით, ისე ზომითა და ორნამენტის ხასიათით ძველი ორმოსამარხების კულტურაში გავრცელებულ ადრეულ საკინძებს უახლოვდებიან. ვ.საფრონოვმა საკინძის ეს ტიპი თავისი კლასიფიკაციის უადრეს საფეხურს მიაკუთვნა[730]. თუმცა მისი კლასიფიკაციის სისწორეში ეჭვია გამოთქმული[731].

კორინთოს საკინძები განსაკუთრებით ახლო დგანან კისლოვოდსკის მახლობლად მდ. პოდკუმკას მარცხენა ნაპირზე სტანიცა მინუტკასთან დანგრეულ ყორღანში ნაპოვნ ეგზემპლართან[732]. მაგრამ, მინუტკაში აღმოჩენილი ამ საკინძების შესახებ აღინიშნა, რომ იგი ლითონისაა და არა ძვლის[733]. მინუტკაში, ჩანს, მართლაც, ნაპოვნია ლითონის ეგზემპლარი[734], ოღონდ აქ ძვლის საკინძიც აღმოჩნდა[735]. კორინთოს მსგავსი საკინძები ნაპოვნია სტ.კოსტრამსკაიასთან და სტ.პერეასლავსკაიასთან ნ.ვესელოვსკის მიერ

---

724. С. Н. Кореневский, Т- и У-образные булавки эпохи средней бронзы Большого Кавказа и Предкавказья. Этиокультурные проблемы бронзового века Северного Кавказа, Орджоникидзе, 1986, стр. 22.

725. M. Gimbutas, დასახ. ნაშრომი, გვ.76, 152.

726. V. Milojčič, Zur Zeitstellung der Hammermadeln, „Germania" Bd. 33, 1955, გვ. 240.

727. Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, Москва, 1952, стр. 222.

Б.А. Латышин, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

S. Piggott, Heads and Hoofs, Antiquity, XXXVI, 1962, გვ.113.

S. Piggott, Ancient Europa, Edinburg, N;I:, გვ. 84.

728. V.V. Milojčii, დასახ. ნაშრომი.

729. Т.Б. Попова, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

730. Б.А. Сафронов, დასახ. ნაშრომი, გვ.47.

731. А.Л. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

732. Б.А. Сафронов, დასახ.ნაშრომი, გვ. 47.

733. С.Н. Кореневский, დასახ.ნაშრომი, გვ.22.

734. В.Б. Королев, Могильник эпохи бронзы в окрестностях г. Кисловодска, СА. I, М., 1962, стр. 264.

735. Б.А. Латышин и и, დასახ.ნაშრომი, გვ. 60.

გათხრილ ყორღანებში[736]. ეს ტიპი საკინძისა ცნობილია სტეპურ ზოლში კალმიკეთში, ელისტის მახლობლად გათხრილ ლოლას ერთ-ერთ ყორღანში[737]. როგორც ჩანს, ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძები კავკასიაში, ისევე როგორც ევროპაში, ძველი ორმოსამარხების კულტურის გავლენის შედეგად ვრცელდება.

კორინთოს სამარხში ძვლის ჩაქუჩისებრი საკინძების გვერდით აღმოჩნდა პატარა ზომის ლითონის საკინძი მარყუჟისებრი თავით. მსგავსი საკინძები ჩვენში ცნობილია ამირანის გორის ნამოსახლარებზე[738] და ძაღინას სამაროვნის დასავლეთი უბნის ერთ-ერთი სამარხიდან[739]. ანალოგიური საკინძი აღმოჩნდა დაღესტანში მანასის ერთ-ერთ დანგრეულ კატაკომბაში[740]. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ კორინთოს საკინძს ღეროზე მავთულის ორი ხვეული აქვს, ძაღინას, ამირანის გორის და მანასის ეგზემპლარს კი — უფრო მეტი. რამდენადმე ემსგავსება ამ საკინძებს დაღესტანში, მიათლის ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი საკინძი, ოღონდ მას მავთული იმგვარად აქვს დახვეული, რომ თავზე ორი მარყუჟი უკეთდება[741].

ჩვენში მარყუჟისებრი ქინძისთავები კარგადაა ცნობილი ყვირილას აუზის ზედა წელიდან, საჩხერის და ქორეთის ყორღანული სამაროვნებიდან. მაგრამ, ეს ქინძისთავები გაცილებით უფრო დიდი ზომისაა და ფორმითაც ერთგვარად განსხვავებული. ამ ტიპის მომცრო ზომის ცალები აქ არ აღმოჩენილა. საჩხერის ტიპის მარყუჟისებრი ქინძისთავები ჩვენში და საერთოდ კავკასიაში, გარდა ყვირილის აუზის ყორღანული სამარხებისა, სხვაგან ცნობილი არ არის[742]. საჩხერული ვარიანტი მარყუჟისებრი ქინძისთავებისა, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მათ ღეროს ზედა ნაწილი გამსხვილებული აქვთ ან კიდევ ქოლგისებრი შვერილი უკეთდებათ. აღსანიშნავია, რომ თითქმის ზუსტად ასეთივე ქინძისთავი ქოლგისებრი შვერილით ცნობილია ამუქის H ფაზიდან[743]. ეს კი ის დროა, როდესაც ჩრდილო სირიაში, ამუქის ველზე მტკვარ-არაქსის კულტურა ვრცელდება.

მარყუჟისებრი ქინძისთავი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ძველ აღმოსავლეთში, ისე ევროპაში[744]. წინა აზიაში ამ ტიპის ქინძისთავები ცნობილია ალალახში, ბიბლოსში, უგარიტში, ტროაში, სიალკში და სხვ. ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა მარყუჟისებრი ქინძისთავების წარმოშობის შესახებ. თუმცა მასთან დაკავშირებით გამოითქვა

---

736. Б.А. Латынин, დასახ.ნაშრომი, გვ. 55, სურ. 43, გვ. 57, სურ. 50.

737. И.В. Синицын, У.Э. Эрдинеев, Новые археологические памятники на территории Калмыцкой АССР, Элиста, 1966, გვ. 8, სურ. 43, 4.

738. К.Х. Кушнарева, Т.Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Ленинград, 1970, გვ. 116, სურ. 21.

739. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 205.

740. Г.С. Фёдорова, Еще одна манасская катакомба. Древние памятники Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1977, стр. 23.

741. В.И. Канивец, Миатли - новый памятник бронзового века в Северном Дагестане. Материалы по археологии Дагестана, т. 1, Махачкала, 1959, стр. 44.

742. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

743. Klein H., Untersuchungen zur Typologie bronzezeitlicher Nadeln in Mesopotamien und Syrien, Saarbrücken, 1990, გვ. 126, ტაბ. 126.

744. Claude F.A. Schaeffer, Stratigraphic Comparee et Chonologie de l'Asie Occidentale, London, 1948, გვ. 65, 459, 516.

Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, стр. 169.

N. Aberg, Bronzezeitliche und Früheisenzeitliche Chronologie, T.III, Stockholm, 1932, გვ.125.

მოსაზრება წინა აზიაში მათი ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიისკენ გავრცელების შესახებ[745]. კავკასიაში ამ ტიპის ქინძისთავი, ჩანს, ადრე იწყებს გამოჩენას, მაგრამ აქ მას ფართო გავრცელება არ მოეღია. ჩრდილო კავკასიაში საჩხერის ტიპის მარყუჟისებრი ქინძისთავი არ გავრცელებულა, მაშინ, როდესაც ცენტრალურ კავკასიაში კარგადაა ცნობილი საჩხერის ყორღანული სამარხებისათვის დამახასიათებელი T-ს მაგვარი ქინძისთავები[746].

მარყუჟისებრი ქინძისთავები არც ამიერკავკასიაში გავრცელებულა და მათ დღემდე ძირითადად ყვირილის აუზის ზემო წელის ყორღანულ სამარხებში ვხვდებით. აქ არც ამ სამაროვნებისათვის დამახასიათებელი T-ს მაგვარი ქინძისთავი გავრცელებულა მაინცდამაინც და მათი მხოლოდ თითო-ოროლა ცალია ცნობილი შიდა ქართლიდან[747], მარყუჟისებრი ქინძისთავი, ჩანს, კავკასიის იქით სტეპურ ზოლში არ გავრცელებულა. იგი არ გეხვდება ძველი ორმოსამარხების და კატაკომბურ კულტურებში. კორინთოს სამარხში ძელის ჩაქუჩისებრი და ლითონის მარყუჟისებრი საკინძების ერთად აღმოჩენის პირველი შემთხვევა ჩანს.

კორინთოს სამარხში ქვიშაქვის სფეროსებრი ლახტის თავი აღმოჩნდა. მას ცილინდრული ხვრელი აქვს, რომლის ორივე ბოლო ძაბრისებრი მოყვანილობისაა. ქვის ლახტის თავები ამიერკავკასიაში, და საერთოდ კავკასიაში, ადრეული პერიოდიდან გვხვდება. ჩრდილო კავკასიაში ისინი ცნობილია აგუბეკოვის ნამოსახლარიდან[748] და ნალჩიკის სამაროვნიდან[749]. ამიერკავკასიაში მათ ვხვდებით ნახიჩევანის ქიულ-თეფეს ძირა ფენაში[750]. უადრესი ფორმა ლახტის თავისა, ჩანს, სფეროსებრი იყო, თუმცა კავკასიაში მსხლისებრი ფორმაც საკმაოდ ადრე ჩანს[751]. ვხვდებით მათ ადრესამწყათმოქმედო კულტურაში[752]. ცნობილია ქვის ლახტის თავები შულაველრ-შომუთეფეს კულტურაში. ვხვდებით მათ მტკვარ-არაქსის კულტურაში[753]. სხვადასხვა ტიპის ქვის ლახტის თავები წარმოდგენილია ადრეულ ყორღანებში. ჰემატიტის ლახტის თავი აღმოჩნდა თრიალეთის და შულაველრის

---

745. Б.А. К у ф т и н. Древнейшие корни грузинской культуры на Кавказе, Заря Востока, 1946, 28.09.

746. Б.Е. Д е г е н. დასახ.ნაშრომი, გვ. 249.

С.Н. К о р е н е в с к и й. დასახ.ნაშრომი, გვ. 13.

В.Л. Р о с т у н о в, Вопросы бытования куро-аракских племен на Центральном Кавказе и их роль в этно-культурном процессе второй половины III - начале II тысяч. до н.э. Этно-культурные проблемы бронзового века Северного Кавказа, Орджоникидзе, 1968, стр. 27.

747. Л. Г л о н т и, А. Д ж а в а х и ш в и л и, Г. Д ж а в а х и ш в и л и, Я. К и к в и д з е, Д. Т у ш а б р а м и ш в и л и, Некоторые итоги полевых работ 1964 г. урбнисской и квирильской археологической экспедиции, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV, თბილისი, 1968, გვ. 5.

748. Б.Ю. К р и ч е в с к и й, А.П. К р у г л о в, Неолитическое поселение близ г. Нальчика, МИА, 3, М., 1941, стр. 60.

749. А.П. К р у г л о в, Б.Б. П и о т р о в с к и й, Г.В. П о д г а е т с к и й, Могильник в Нальчике, МИА, 3, 1941, стр. 112.

750. О.А. А б и б у л л а е в, Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР, Баку, 1982, стр. 60.

751. Р.М. М у и ч а е в, К.Ф. С м и р н о в, დასახ.ნაშრომი, გვ. 200.

752. Д.Н. Р у с т а м о в, Разведочные раскопки в Тойра-Тепе, Материальная культура Азербайджана, т. VI, Баку, 1965, стр. 18.

753. Б.Б. П и о т р о в с к и й, Поселения медного века в Армении, СА, XI, М., 1947, стр. 174.

ადრეულ ყორღანებში[754], ხაჩანაგეტის და სტეპანაკერტის სამარხებში[755], მაიკოპის კულტურაში ქვის ლახტის თავები შედარებით იშვიათია[756]. ქვის ლახტის თავი კარგადაა ცნობილი საკმაოდ ადრეული ხანიდან როგორც სფეროსებრი, ისე მსხლისებრი, წინა აზიაში. ზოგიერთ მკვლევარს, თრიალეთის ყორღანების თარიღი მათი ანალოგიების საფუძველზე გამოყავდა[757]. კორინთოს ლახტის თავთან ახლო დგას ხაჩანაგეტის ყორღანში აღმოჩენილი ეგზემპლარი[758]. ფორმით უახლოვდება მას დაღესტანში ბუინაკსკის მახლობლად ერთ-ერთ დანგრეულ აკლდამაში ნაპოვნი ლახტის თავი[759]. საერთოდ, აქ კარგადაა წარმოდგენილი ქვის ლახტის თავები. ველიკენტის ერთ-ერთ კატაკომბაში 30-ზე მეტი ლახტის თავი აღმოჩნდა[760].

ლახტის თავს, ჩვეულებრივ, ორმაგ ფუნქციას მიაწერენ – საბრძოლოს და ძალაუფლების სიმბოლოს[761]. შეიძლება ადრეული ლახტის თავები უფრო საბრძოლო დანიშნულებისა იყო. მეორე ფუნქციას ეგებ, იგი უფრო გვიან იძენს. თუმცა ველიკენტის კატაკომბის მაგალითის საფუძველზე ეჭვი გამოითქვა მათი ძალაუფლების სიმბოლოდ გამოყენების შესახებ[762]. ნიშანდობლივია, რომ კორინთოს სამარხში ლახტის თავი მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა.

ქვის ლახტის თავი, ჩანს, ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის მაინცადამაინც დამახასიათებელი არ იყო[763]. აღინიშნა კიდეც, რომ მსხლისა და სფეროსებრი ქვის ლახტისთავები ძირითადად ჩრდილოკავკასიურ კულტურებში გვხვდებიან და არ შეიძლება მათი მიკუთვნება კატაკომბური კულტურის ტიპიურ ნივთებად[764].

კორინთოს სამარხში ძაღლის რამდენიმე გახერეტილი საძირე კბილი აღმოჩნდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამიერკავკასიაში ცხოველის კბილისაგან ნაკეთები საკიდები საერთოდ იშვიათად გვხვდება. სამაგიეროდ ჩრდილო კავკასიაში და, განსაკუთრებით, ჩრდილო შავიზღვისპირეთში ეს სამკაული საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან იყო გავრცელებული. ნალჩიკის სამაროვანზე ცხოველის გახერეტილი კბილი, თუ ეშვი უპირატესად

---

754. Б.А. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941. стр. 101.

ო. ჯაფარიძე. ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბილისი, 1975, გვ. 154.

755. К.Х. К у ш н а р е в а. Памятники медного века в Нагорном Карабахе. СА. XX. М. 1954. стр. 168.

756. Р.М. М у н ч а е в. Кавказ на заре бронзового века. М. 1975. стр. 324.

757. Б.А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

ბ. კუფტინი. ქართული კერამიკის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949, გვ. 18

758. К.Х. К у ш н а р е в а. დასახ. ნაშრომი, გვ.168.

759. М.Г. М а г о м е д о в. Гробница эпохи бронзы в урочище «Гептал». Древние памятники Северо-Восточного Кавказа. Махачкала. 1977. стр. 18.

760. М.Г. Г а д ж и е в. Раннеземледельческая культура Северо-Западного Кавказа. Москва. 1991. стр. 185.

761. Р.М. М у н ч а е в. დასახ.ნაშრომი, გვ. 200.

762. М.Г. Г а д ж и е в. დასახ.ნაშრომი, 181

763. Ц.Я. М е р п е р т. Ранние скотоводы Восточной Европы и судьбы древнейших цивилизаций. Studia Prachistorica. 3. Sofia. 1980. გვ. 81.

764. Т.Б. П о п о в а. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

ირმისა, თითქმის ყველა სამარხში აღმოჩნდა[765]. ეხვდებით მათ მაიკოპის კულტურაში. [illegible]ეც აგრეთვე უმთავრესად ირმის გახვრეტილი კბილებია დადასტურებული[766]. კავკასიისპირეთში საკიდებად უპირატესად თეზის გახვრეტილი კბილებია გამოყენებული[767].

ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძველი ორმოსამარხების კულტურის ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული ცხოველების კბილებისაგან და ეშვებისაგან ნაკეთები საკიდები[768]. აქ ამ დროს, უპირატესად, ძაღლის კბილების და ეშვების საკიდები გვხვდება[769]. ამ კულტურაში ძაღლის ძვლებისგანაა ნაკეთები აგრეთვე ცილინდრული საკიდები და მძივები[770].

ჩანს, ამ დროს აქ ძაღლი ერთ-ერთი გავრცელებული ცხოველი იყო, მეჯოგის მუდმივი თანამგზავრი. აღსანიშნავია, რომ ცხოველის კბილებისაგან ნაკეთები საკიდები ხშირად ძვლის ჩაქუჩისებრ საკინძებთან ერთად გვხვდება[771]. დნეპროპეტროვსკის მხარეში სოფ. მარინსკოეში გათხრილ ყორღანში ძვლის ჩაქუჩისებრ საკინძებთან ერთად აღმოჩნდა ძაღლის საძირე კბილებისაგან ნაკეთები საკიდები, სავსებით ისეთივე, როგორც კორინთის სამარხში ნაპოვნი[772].

ჩვენში კორინთოს სამარხის გარდა, ძაღლის საძირე კბილების საკიდები ცნობილია მარტყოფის N 4 დიდ ყორღანში. აქ ძაღლის გახვრეტილ ეშვებთან და სხვა ცხოველების კბილებთან ერთად ოთხი ასეთი საკიდი აღმოჩნდა[773] (სურ.16). აღსანიშნავია, რომ ძველი ორმოსამარხების კულტურის გავრცელების უფრო აღმოსავლეთ რეგიონისათვის ცხოველის კბილებისაგან ნაკეთები საკიდები მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. კალმიკეთის მხარეში ეს საკიდები საკმაოდ იშვიათია. აქ, უპირატესად, საკიდებად თეზის კბილებია გამოყენებული[774]. როგორც ჩანს, ამიერკავკასიაში აღრეყორღანული კულტურის ხანაში ძაღლის კბილების საკიდების სამარხებში აღმოჩენა ჩრდილოეთიდან მომდინარე გავლენის შედეგი უნდა იყოს. მაგრამ ცხოველის კბილების და ეშვების სამკაულად გამოყენების ტრადიციამ ჩვენში ვერც ამ ხანაში მოიკიდა ფეხი. აღრეულ ყორღანებში ცხოველების კბილების, თუ ეშვების საკიდები იშვიათად გვხვდება. მარტყოფის ჯგუფის ყორღანებში, გარდა N 4 დიდი ყორღანისა, ცხოველის ეშვის ერთი საკიდი აღმოჩნდა N 1 ყორღანში. ცხოველის კბილებისა და ეშვების საკიდები ნაპოვნია სოფ.მაღაროსთან გათხრილ ყორღანში.

კორინთოს სამარხში თიხის ხუთი ჭურჭელი იდო — ერთი კოპობი, ორი ხელადა და ორიც ტოლჩა. თიხის ხასიათის, ძერწვის წესით თიხის ნაწარმი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერამიკა ტლანქია, უხეშად ნაძერწი. არათანაბრად გამომწვარი, მორუხო-მოშავო, მოყავისფრო-მოწითალო ფერისა. ფორმით ეს ჭურჭელი საგრძნობლად

---

765. А.П. Круглов, Б.Б. Пиотровский, Г.В. Поаргаевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

766. А.А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, М. 1965, стр. 121.

Т.Б. Попова, Дольмены станицы Новосвободной, Москва, 1963, стр. 42.

767. Б.А. Латынина, დასახ.ნაშრომი, გვ. 55, 89.

768. იქვე, გვ. 87.

769. იქვე, გვ. 37.

770. იქვე, გვ. 41.

771. Н.Я. Мерперт, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

772. Б.А. Латынина, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

773. ო. ფურცელაძე, აღრეყორღანული კულტურა საქართველოში, მაცნე N4, თბილისი, 1988, გვ. 34.

774. Н.В. Синицына, У.Э. Эрапина, დასახ. ნაშრომი, გვ. 9,22.

განსხვავდება ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკისაგან. თავისი იერით იგი თითქოს უფრო მეტად მსგავსებას მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ჭურჭელთან იჩენს. ამ დროისათვის ეს კულტურა ცენტრალურ კავკასიაში უკვე საკმაოდ მძლავრად იკიდებს ფეხს[775]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ბოლო დროს ჩრდილო ოსეთში, ყობანის ხეობაში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის სამი სამაროვანი. ერთ-ერთი მათგანი — ზაგლი ბარზონი[776] სოფ.ზემო ყობანთან, ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ თავის დროზე ეს სამაროვანი ჩრდილო კავკასიურ კულტურას მიაკუთვნეს[777]. შემდგომში აქ მეორე სამაროვანიც აღმოჩნდა, რომელიც ანალოგიურ მასალას შეიცავდა. ერთი ამ დროის სამაროვანი გაითხარა ქვემო ყობანში. ამ სამაროვნებზე მოპოვებულ-სამარხეული ინვენტარი ბევრ საერთოს ნახულობს მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლურ ვარიანტისათვის დამახასიათებელ მასალასთან. აქაც გვხვდება საჩხერის ტიპის T-ს მსგავსი ქინძისთავები და სპირალური სამაჯურები, ქინძისთავები, „ცხვრის რქისებრი" დახვეული თავით, სასაფეთქლე რგოლები, მძივები და სხვ. დიდი მსგავსება ჩანს აგრეთვე თიხის ჭურჭელში და სხვ.[778]. გამოითქვა მოსაზრება ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოდან ცენტრალურ კავკასიაში მოსახლეობის გარკვეული მასის გადაადგილების შესახებ[779]. როგორც ფიქრობენ, ცენტრალურ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციები უფრო დიდხანს შემორჩა[780]. ამას თითქოს კორინთოს სამარხიც უნდა მოწმობდეს. აქ მოპოვებული თიხის ნაწარმი ინარჩუნებს მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკიდან მომდინარე ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს — ცილინდრული მოყვანილობის ყელი, მხრიდან ყელზე გარდატეხის ხაზი და სხვ.

აღსანიშნავია, კორინთოს სამარხში აღმოჩენილი-ხელადა, რომელსაც მსხლისებრი მოყვანილობის ტანი აქვს. იგი ფორმით თითქმის სავსებით ისეთივეა, როგორც ზაგლი - I სამაროვნის N 6 სამარხში აღმოჩენილი ხელადა[781]. მსხლისებრი ფორმა ჭურჭლისა დამახასიათებელია აღმოსავლეთ ამიერკავკასიის უადრესი ყორღანებისათვის. კორინთოს სამარხის მსხლისებრი ხელადა უფრო უხეშადაა ნაძერწი, ცუდად გამომწვარი, მაგრამ იმეორებს უადრესი ყორღანებისთვის დამახასიათებელ ფორმას. როგორც ჩანს, კონტაქტები ცენტრალურ კავკასიასთან შემდეგაც, ადრეყორღანული კულტურის ხანაშიაც გაგრძელებულა[782].

საფიქრებელია, რომ კორინთოში აღმოჩენილ სამარხში უცხო ტომის წარმომადგენ-

---

775. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

776. В.А. Р о с т у н о в, Куро-аракские могильники Северной Осетии, Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа, Орджоникидзе, 1988, стр. 21.

777. Е.И. К р у п н о в, Погребения эпохи бронзы в Северной Осетии, Труды ГИМ, М., 1938, стр. 40.

778. В.А. Р о с т у н о в, Куро-аракская культура на Центральном Кавказе, Античность и варварский мир, Орджоникидзе, 1985, стр. 109.

779. Р.М. М у н ч а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 91, В.А. Р о с т у н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

780. В.А. Р о с т у н о в, Куро-аракские могильники Северной Осетии, стр. 33.

781. იქვე, გვ. 28, სურ. 23,1.

782. იქვე, გვ. 32.

ლები იყვნენ დაკრძალული; თანაც ისე ჩანს, რომ სამტროდ არ მოსულან. საკირეების სამაროვანზე კორინთოში, როგორც შემდგომმა გათხრებმა დაადასტურა, ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე კრძალავდა თავის მიცვალებულს. მტერს, რა თქმა უნდა, სამაროვანზე არ დამარხავდნენ, თანაც გარკვეული რიტუალის დაცვით. როგორც ჩანს, ისინი ცენტრალური კავკასიის რეგიონიდან მოვიდნენ. ამ მხარესთან თითქმის მთელი III ათასწლეულის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაში იყო. კორინთოს სამარხეული ინვენტარი შერეული ხასიათისაა. იგი შედგება ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის და ცენტრალური კავკასიისათვის დამახასიათებელი ნივთებისაგან. სამარხი, ჩანს, იმ დროისაა, როდესაც ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების ერთმა ტალღამ ცენტრალურ კავკასიაში შემოაღწია. ისინი, ეტყობა, ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფებიან და მათი კულტურის გარკვეულ ზეგავლენას განიცდიან. კორინთოს სამარხი, ალბათ, უფრო ამ ტომების პირველი გამოჩენის დროისა უნდა ყოფილიყო, არა უადრეს ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისა. მასში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ადგილობრივი ძირითადად კერამიკაა. ეს ის დროა, როდესაც ცენტრალური კავკასია ჯერ კიდევ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაშია საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებთან. ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების მოძრაობა სამხრეთით, ჩანს, შედარებით სუსტი იყო. ამიერკავკასიაში ყორღანული სამარხების გაჩენა შესაძლოა ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებთან იყო დაკავშირებული. ახალმოსულთა რიცხვი, ეგებ, არცთუ ისე დიდი იყო და მათ თითქმის მთლიანად დამხვდური მოსახლეობის კულტურა აითვისეს. კორინთოში, საკირეების სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხი იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ჩვენში პირველად გამოჩნდა ძველი ორმოსამარხების კულტურის ნაკვალევი.

V თ ა ვ ი

ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მთელი რიგი ახალი მოვლენებით ხასიათდება. ამ პერიოდში აქ მოსახლე ტომებში მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული ძვრები შეინიშნება. საბოლოოდ ირღვევა თითქმის სამ ათას წელს გაგრძელებული ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურის სტაბილური ხასიათი. საგრძნობლად იცვლება ადრე არსებული წესი ცხოვრებისა და საზოგადოება განვითარების განსხვავებულ, ახალ გზას დაადგა. ცვლილებები შეეხო ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს – დასახლების ხასიათს, ძეგლთა ტოპოგრაფიას, ქვისა და ლითონის ნაწარმს, კერამიკის ფორმებსა და ორნამენტს და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, დასაფლავების წესს. ასეთი მკვეთრი გარდატეხა საზოგადოების ცხოვრებაში მარტო შიგნით მიმდინარე პროცესებით ვერ აიხსნება. აქ, ჩანს, გარკვეული როლი გარედან მომდინარე ფაქტორებსაც უნდა შეესრულებინა, რაც, ალბათ, ეთნიკურ ძვრებთანაც იყო დაკავშირებული. ირღვევა და იცვლება ადრე არსებული რიტმი ცხოვრებისა და სრულიად ახალ ტრადიციებს ეკრება საფუძველი, რომლებსაც ცოტა რამ შემორჩა წინამორბედი ეპოქიდან. ძველი საცხოვრებელი ადგილები მიტოვებულ იქნა. საგრძნობლად ათხელდა მოსახლეობა ბარში და იგი საცხოვრებლად სხვა ადგილებში გადადის. მაგრამ სად და რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება ახალ ადგილას, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. ჩანს, ძირფესვიანად იცვლება საერთოდ ცხოვრების წესი. ამიტომ, მთლად მართებული არ უნდა იყოს ამ საფეხურის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის მიკუთვნება[783]. ამ პერიოდიდან ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი იწყება. მაგრამ, როგორი იყო ახლად ჩამოყალიბებული გზა ცხოვრებისა ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის. სადღეისოდ ცნობილია ძირითადად ამ დროის სამარხები და აქედან მომდინარე მასალების საფუძველზე ხერხდება მეტ-ნაკლებად საზოგადოების ცხოვრების ახალი სისტემის აღდგენა. ამ დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცვლილებები შეინიშნება დაკრძალვის რიტუალში. ერცელდება დასაფლავების ახალი წესი – ინდივიდუალური ყორღანული სამარხები, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი ტრადიციები. ასეთი მკვეთრი სხვაობა ეთნოგრაფიული ნიშნისა, როგორიც დაკრძალვის რიტუალია, ჩანს, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარ გარკვეულ ცვლილებებთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მართალია, მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე ჩვენში ცნობილია ყორღანული ტიპის კოლექტიური სამარხები, სადაც მიცვალებულები ქვაყრილის სხვა-

---

783. К.Х. К у ш н а р е в а, Т.И. Ч у б и н и ш в и л и. Древние культуры Южного Кавказа. Ленинград, 1970, стр. 156.

დასხვა დონეზე დაიკრძალნენ. პირველი მიცვალებულები აქ ორმოში ან მიწის პირზე დასაფლავდნენ, შემდგომ კი ახალი სამარხების გამართვის შედეგად ყრილის დონე თანდათანობით მაღლა იწევდა. ინდივიდუალური ყორღანული სამარხი მომდევნო ხანაში ვრცელდება, ადრეყორღანული კულტურის საბოლოო გამარჯვების შემდეგ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყორღანის ტიპის სამარხი ჩვენში თითქოს უკვე მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში გვხვდება[784] და მაგალითად საჩხერის და ტყვიავის კოლექტიური ყორღანული ტიპის სამარხებზე მიუთითებენ[785]. ზოგიც კიდევ უფრო შორს მიდის და კახეთის რეგიონისათვის გულისხმობს ყორღანის პირველი გამოჩენის თარიღად ძ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნას[786]. ტყვიავში კოლექტიური სამარხის გვერდით აღმოჩნდა ინდივიდუალური ყორღანი[787]. აქ აღმოჩენილი მასალა იმას მოწმობს, რომ ტყვიავის ამ სამარხის თარიღი შეიძლება ადრეყორღანული კულტურის ხანას გავუტოლოთ.

როგორც ჩანს, ადრეყორღანულ კულტურას უნდა მიეკუთვნებოდეს აგრეთვე მილისა და მუღანის ველზე შესწავლილი ყორღანები ასტარინისა და მასალინის რაიონში. ამ ყორღანებში, განსაკუთრებით კი კერაშიკაში, ჯერ კიდევ შემორჩათ მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ეტყობა ეს სამარხებიც ყორღანული კულტურის პირველი გამოჩენის დროისა უნდა იყოს[788]. ამავე ხანისა ჩანს აგრეთვე მთიანი ყარაბაღის ყორღანები[789].

ამრიგად, ყორღანული ტიპის სამარხი, რომელიც ერთი მიცვალებულისთვის იყო საგანგებოდ აგებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, პირველად გამოჩენას იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურის მომდევნო ხანაში, ადრეყორღანული კულტურის გავრცელების პერიოდში. დაკრძალვის ამ ახალ წესს არ გააჩნია აქ ადგილობრივი ტრადიციები. დასაფლავების ყორღანული წესი კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე მესაქონლე-მეჯოგე ტომებისთვის იყო დამახასიათებელი. საერთოდ ყორღანი, როგორც სამარხის ტიპი, ჩანს, უნდა წარმოქმნილიყო თვალუწვდენელ ტრამალებში, ვრცელ ველებზე მობინადრე ტომებში[790]. გაშლილ ადგილას, ერთფეროვან ლანდშაფტში, სტეპში, სამარხის თავზე ამოზიდული ხელოვნური ყრილი ადვილად გამოსარჩევი იქნებოდა[791]. მართალია, შემდეგში ყორღანული ტიპის სამარხი სხვა ლანდშაფტურ გარემოშიც გვხვდება, მაგრამ

---

784. Р.М. М у н ч а е в, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, стр. 309.

785. ე. გ ო გ ა ძ ე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972, გვ. 93.

786. Ш.Ш. Д е д а б р и ш в и л и, Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979, стр. 59.

787. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბილისი 1943, გვ. 30.

788. Ф.А. М а х м у д о в, Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа, Автореферат, Тбилиси, 1979, стр. 5.

Ch. B u r n e y, D. L a n g, The Peoples of the Hills, Ancient Ararat and Caucasus, London.1971, გვ. 77.

789. К.Х. К у ш н а р е в а, Памятники медного века в Нагорном Карабахе, СА, XX, М., 1954, стр. 165, Я.И. Г у м м е л ь, Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана, КСИИМК, XX, Москва, 1948, стр. 19.

790. В.П. Ш и л о в, Очерки по истории древних племен Нижнего Поволжья, Ленинград, 1975, стр. 81.

791. Н.Я. М е р п е р т, Раннее скотоводство Восточной Европы и судьбы древнейших цивилизаций, Studia Prachistorica, 3, София, 1980, стр. 79.

თავდაპირველად, ჩანს, იგი სტეპებში მცხოვრები ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. ყორღანის გავრცელების ძირითადი რეგიონი სწორედ სტეპი იყო და აქ უნდა ჩამოყალიბებულიყო დაკრძალვის ეს ტრადიცია. ხელოვნური ბორცვის ქვეშ, ყორღანში მიცვალებულის დასაფლავების წესი, სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში ათასწლეულების მანძილზე სამარხის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ტიპი იყო და იგი აქ საკმაოდ გვიანობამდე შემორჩა[792].

ყორღანი, როგორც სამარხის ტიპი, ჩანს, პირველად კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ე.წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო[793]. ამ კულტურის ყორღანები უძველესი უნდა იყოს[794]. უფრო უხნესი ყორღანები სადღეისოდ ცნობილი არ არის[795]. თუმცა აღინიშნა, რომ უკრაინის სტეპურ ზოლში მათზე უფრო ადრეული ყორღანული სამარხები აღმოჩნდა.[796] ის აზრიც გამოითქვა, რომ სამარხის ეს ტიპი სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზონაში ცენტრალური ევროპიდან ვრცელდება[797]. ზოგიც მათი გამოჩენის შესაძლებლობას ჩრდილო-კავკასიაში ამიერკავკასიიდან უშვებს[798]. ფიქრობენ, რომ ჩრდილო კავკასიაში ყორღანი ძველი ორმოსამარხების კულტურასთან ურთიერთობის შედეგად ვრცელდება მაიკოპის კულტურაში[799].

ძ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში კავკასიის ჩრდილოეთით, სტეპურ ზონაში, ჩამოყალიბდა მომთაბარე-მეჯოგე ტომების კულტურა, რომელიც დღეს ძველი ორმოსამარხების ან ყორღანული კულტურის სახელითაა ცნობილი. ძ.წ. III ათასწლეულის დასაწყისი ხანებიდან ეს ტომები აქტიურდებიან და იწყებენ მოძრაობას, აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით[800]. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აღმოსავლეთიდან მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენას ევროპაში კულტურის მკვეთრი ცვლილებები მოყვა – „ყორღანული კულტურის" გავრცელება[801].

თუმცა საწინააღმდეგო აზრიც არსებობს, ჩანს უმართებულო, რომ ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი მოსახლეობა ადრეულ ფაზაზე, პირიქით

---

792. Н.Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, М. 1974, стр. 132.

793. Энеолит СССР, М., 1982, стр. 328, В.А. Шнаоа, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

794. Энеолит СССР, стр. 326, Н.Я. Мерперт, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

795. Н.Я. Мерперт, დასახ ნაშრომი, გვ. 24.

796. А.А. Нечитайло, Особенности степных влияний на население майкопской культуры. Вопросы археологии Адыгеи, М., 1988, стр. 143.

797. А.Д. Резепкин, Проблема генезиса майкопской культуры. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1991, стр. 75.

798. Р.М. Мунчаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 309.

799. А.А. Нечитайло, დასახ. ნაშრომი, გვ. 143. А.А. Нечитайло, О значении связей степной Украины и Северного Кавказа в эпоху ранней бронзы, Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1982, стр. 44.

800. Н.Я. Мерперт, Из истории древнеямных племен, Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977, стр. 69.

Дж.Г. Маккуин, Хетты и их современники в Малой Азии, М., 1983, стр. 22, Ch. Burney, D. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

801. M. Gimbutas, Notes on the Chronology and Expansion of the Pit-grave cultur L'Europe a la fin l'age de la Pierre, Prague, 1960, გვ.193.

დასავლეთიდან აღმოსავლეთით მოძრაობდა[802]. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს ანთროპოლოგიური მონაცემებიც[803].

დასავლეთით მესაქონლე ტომები საკმაოდ შორს ერცელდებიან და სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით დუნაისპირეთსა და ბალკანეთს აღწევენ[804]. მოძრაობის ამ დიდ გზაზე ისინი მიწათმოქმედი მოსახლეობის ზონებში იჭრებიან და არღვევენ მათი მეურნეობის სტაბილურ ხასიათს. ეს, ჩანს, დასაწყისია იმ დიდი მოვლენებისა, რომლებიც შემდეგში ისტორიის მანძილზე არაერთგზის განმეორებულა და მომთაბარე-მესაქონლე ტომები არაერთხელ გვევლინებიან კულტურის განვითარების შემაფერხებელ ძალად. როგორც ჩანს, ადრეული მოძრაობა ამ ტომებისა რამდენიმე ტალღად ხორციელდება ძვ.წ. III ათასწლეულის მანძილზე. მათი მოძრაობის პირველმა ტალღამ, ჩანს, გვერდი აუარა კავკასიას და ჩრდილო შავიზღვისპირეთის გზით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, დუნაის მხარეს მიაღწია. შესაძლოა, ადრეული ტალღა ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების კავკასიისპირეთში შეაჩერა ჩრდილოკავკასიური მოსახლეობის ძლიერმა გაერთიანებამ[805]. ორმოსამარხების კულტურის გამოჩენამ მნიშვნელოვნად დაარღვია და შეცვალა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის ცხოვრების ხასიათი. საგრძნობლად შეფერხდა ევროპის ამ რეგიონში არსებული დაწინაურებული კულტურის განვითარების გზა, რომელიც ამ დროისათვის წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს[806]. ამ მოვლენებმა აქ მოსახლე ტომების ცივილიზაციაში გადაზრდის პროცესი საკმაო ხნით გადადო. როგორც ჩანს, აქ მიმდინარე პროცესებმა უფრო შორს ანატოლიაშიც ჰპოვა გარკვეული გამოძახილი, რაც უპირატესად გამოიხატა დამარხვის რიტუალში. თუმცა აქ ყორღანული ტიპის სამარხები არ გვხვდება. ჩანს, აქ სამარხის თავზე ყრილის მოწყობის ტრადიცია იკარგება, თორემ სხვა მხრივ სამარხის კონსტრუქციაში და საერთოდ დაკრძალვის წესში გარკვეული სიახლოვე შეიმჩნევა ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელ დამარხვის რიტუალთან[807]. ეს თითქოს ჩანს ცენტრალურ ანატოლიაში აღაჯა ჰუიუკის ცნობილ

---

802. Н.А. Николаева, В.А. Сафронов. Проблема появления колесного транспорта в Европе. Древнейшие повозки Восточной Европы. Кочевники Алтае-Каспийского Междуречья. Орджоникидзе, 1983, стр. 61.

803. А.В. Шевченко. Палеоантропологические данные к проблеме происхождения индо-европейцев. Лингвистическая реконструкции и древнейшая история Востока, ч. I, М., 1984, стр. 118.

804. Н.Я. Мерперт. Древнейшая культурно-историческая область и вопросы формирования культур шнуровой керамики. Восточная Европа в эпоху камня и бронзы, 1976, стр. 123. Б. Иованович. Курганы ямной культуры в югославском Подунавье. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 211.

805. Н.Я. Мерперт. Из истории древнеямных племен. Проблемы археологии Евразии и Северной Америки, М., 1977, стр. 70.

806. M. Gimbutas. Old Europe. C. 7000-3500 B.C.; The Earlist European Civilisation befor the infiltration of the Indo-European Peoples; The Jaurnal of Indo-European Studies, Vol. N1, 1973, გვ. 2.

Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. Индоевропейские языки и индоевропейцы, стр. 911.

807. J. Mellaart. Anatolia and the Indo-Europeans, Journal of Indo-European Studies, vol. 9, N9, 1980, გვ. 138.

Ch. Burney, D. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

Н.Я. Мерперт. Об этнокультурной ситуации IV-III тысячелетий до н.э. в циркумпонтийской зоне. „Древний Восток, этнокультурные связи, М., 1988, стр. 31.

„მეფეთა" სამარხებში. არაერთგზის აღინიშნა, რომ ამ სამარხების თავისებურება უცხო წარმოშობის მმართველი წრისადმი მათი კუთვნილებით აიხსნება, რომლებიც ჩრდილოეთიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი[808]. საინტერესოა, რომ ალაჯას სამარხებში ეტლთან ერთად დაკრძალვის წესის არსებობასაც ვარაუდობენ[809]. ჩრდილოურ გავლენას მიაწერენ აგრეთვე ანატოლიაში ცხენის გამოჩენის ფაქტს[810].

თითქმის ყველგან, სადაც კი ძველ სამყაროში ორმოსამარხების კულტურა ვრცელდება, გამოჩენას იწყებს ყორღანული ტიპის სამარხი. როდესაც კავკასიის ჩრდილოეთით უზარმაზარ სივრცეზე ძველი ორმოსამარხების კულტურულ-ისტორიული ერთობა იქმნება, ყორღანი მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანთაგანი ხდება. როგორც ჩანს, ორმოსამარხების კულტურის მატარებელი ტომების დასავლეთით მოძრაობის პირველი ტალღის გზა კავკასიის მიღმა მიდიოდა[811]. მათი გავლენა ჩრდილო კავკასიაზე შედარებით სუსტი იყო. მაიკოპის კულტურის წინარე პერიოდში ინდივიდუალური ყორღანული სამარხები მეტად იშვიათია, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა მათი ადრეული ტალღა ჩრდილოკავკასიურმა ტომებმა შეაჩერეს. მაგრამ, ცალკეული ჯგუფები, ჩანს, მაინც იპრებიან, თითქმის თერგამდე აღწევენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან შედიან კონტაქტში. შესაძლოა ამან შემდეგში გარკვეული როლი ითამაშა მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში[812]. ცენტრალურ კავკასიისპირეთში მოზდოკის სტეპურ ზოლში გვხვდება უადრესი ყორღანული ტიპის სამარხები, დაბალი ყრილით, რომლებშიც ერთი მიცვალებული იყო[813]. ეს სამარხები, შესაძლოა, აქ ორმოსამარხების კულტურის პირველი გამოჩენის შედეგად ვრცელდება. მაიკოპის კულტურის ხანაში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური ხდება.

როგორც ჩანს, ამიერკავკასიას ამ დროისათვის ეს მოვლენები არ შეხებია. მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში არ შეინიშნება რაიმე კავშირები ძველი ორმოსამარხების კულტურასთან[814]. მხოლოდ მისი ძლიერების შესუსტების შემდეგ, ძ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ამიერკავკასიაში აქტიურდება ...ილოეთის გავლენები. აქ დაახლოებით ისეთივე სურათი შეიმჩნევა, როგორიც ყირიმში, სადაც კემი-ობინის კულტურა პირველ ხანებში წინ ალუდგა სტეპური ტომების კულტურის გავრცელებას[815]. მტკვარ-არაქსის კულტურა ამ პერიოდში თვითონ ახდენს ექსპანსიას ცენტრალურ კავ-

---

808. S. Piggott, Ancien Europa, Edinburg,1965.

Г.Л. Кавтарадзе, Вопросы этнической истории Кавказа и Анатолии и проблемы хронологии и периодизации, Автореферат, Тбилиси, 1992, стр. 35.

809. J. Mellaart, The Chalcolithic and Early Bronze Ages in the Near East and Anatolia, Beirut, 1966. W. Orthmann, Zu den „Standarten" aus Alaca Hüyük, Instambuler Mitteilungen, Bd. 17, 1967, გვ. 36.

810. J. Mellaart: Anatolia and the Indo-Europeans, გვ. 136;

811. Н.Я. Мерперт, Древнеямная культурно-историческая область и вопросы формирования шнуровой керамики, Восточная Европа в эпоху камня и бронзы, 1976, стр. 123.

812. Н.Я. Мерперт, Из истории древнеямных племен, стр. 70.

813. С.Н. Корневский, А.О. Наглер, Некоторые вопросы изучения энеолита центрального Предкавказья и моздокских степей, Проблемы интерпретации археологических источников, Орджоникидзе, 1977, стр. 77.

814. Н.Я. Мерперт, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, 1974, стр. 140.

815. Н.Я. Мерперт, Из истории древнеямных племен, стр. 74.

კასიაში. უკანასკნელი ხანების აღმოჩენები აქ მოუთითებენ მჭიდრო ურთიერთობაზე გვიან მტკვარ-არაქსის კულტურასთან[816]. როგორც ჩანს, სტეპური კულტურის გავლენას პირველად უფრო განიცდიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რეგიონები, სადაც მაიკოპის კულტურა ჩამოყალიბდა. ამის შედეგად ჩნდება კავკასიაში ყორღანული ტიპის სამარხი[817]. ზოგიერთის აზრით, ყორღანი სამხრეთ რუსეთის სტეპებში ცენტრალური ევროპიდან ერცელდება[818]. კავკასიის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში სტეპის გავლენა შედარებით სუსტია, ალბათ, იმის გამო, რომ აქ ამ დროისათვის მტკიცედ იკიდებს ფეხს მტკვარ-არაქსის კულტურა. თუმცა ის აზრიც არსებობს, რომ ადრებრინჯაოს ხანის სტეპების ძეგლების კავშირი მაიკოპის კულტურასთან არ დასტურდება და უფრო მეტად ისახება მათი ურთიერთობა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიასთან და ამიერკავკასიასთან[819]. ნიშანდობლივია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ამიერკავკასიის ანალოგიური სურათი შეიმჩნევა ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. აქაც კულტურაში ახალი მოვლენები შეინიშნება, ძლიერდება სტეპური კულტურის გავლენა, შემოდის დაკრძალვის ყორღანული წესი, მეურნეობაში ძლიერდება მესაქონლეობის როლი და სხვ.[820].

ყორღანული ტიპის სამარხი ამიერკავკასიაში ძირითადად გავრცელდა მის აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველოში მათ ვხვდებით უპირატესად იორ-ალაზნის ორმდინარეთში და შიდა ქართლში. ცნობილია ყორღანები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, მილის, ყარაბაღის და მუღანის ველებზე. აქ ყორღანული სამარხები საკმაოდ ადრინდელ პერიოდიდან გვხვდებიან და, ჩანს, ერთხანს ადრე ყორღანული და გვიან მტკვარ-არაქსული კულტურები თანაარსებობდნენ[821]. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრე ყორღანული კულტურის უკიდურესი დასავლეთი საზღვარი ლიხამდე აღწევს. გადადიოდა თუ არა ეს კულტურა დასავლეთ საქართველოში, ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ყორღანული ტიპის სამარხი აქ სადღეისოდ ცნობილი არ არის.

---

816. В.А. Роступ о в. Куро-аракские могильники Северной Осетии. Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа. Орджоникидзе, 1988, стр. 21

817. А.А. Пе ч и т а й л о. О значении связей степной Украины и Северного Кавказа в эпоху ранней бронзы. 1982, стр. 44.

818. A. Häusler Ist eine Ableitung des Schnurkeramik von der Ockergrabkultur möglich. Forschungen und Forschritte, H.12. Berlin, 1963 გვ. 365.

А.Д. Р е з е п к и н. Проблема генезиса Майкопской культуры. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тбилиси, 1991, стр. 74.

А.С. К л е й н. Ранние индоевропейцы на Кавказе и северо-понтийских степях. Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского нагорья и сопредельных областей. Ереван, 1990, стр. 169.

819. Н.Н. Ч е р е д н и ч е н к о. О некоторых аспектах развития раннебронзового века в степном Причерноморье. Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1982, стр. 75.

820. М.Г. Г а д ж и е в. Северо-Восточный Кавказ в эпоху ранней бронзы. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тбилиси, 1987, стр. 67.

821. Ф.А. М а х м у д о в. Культура Юго-Восточного Азербайджана в эпоху бронзы и раннего железа. Автореферат. Тбилиси, 1979, стр. 6.

როგორც ჩანს, ყორღანული ტიპის სამარხი არც ამიერკავკასიის სამხრეთის რეგიონებში ჩანს მაინცდამაინც გავრცელებული. არარატის ველზე ადრეული ყორღანები ნაკლებადაა ცნობილი. არც აღმოსავლეთ ანატოლიისთვის ჩანს დამახასიათებელი ამ ტიპის სამარხი. ჩრდილოური იმპულსები აქ ეტყობა უფრო სუსტი იყო და მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა სულ სხვა მოვლენებთან იყო დაკავშირებული. მას აქ ამიერკავკასიის სამხრეთი რეგიონების ჩათვლით, მოხატულკერამიკიანი კულტურები ენაცვლება. აღმოსავლეთ ანატოლიაში კორაკუთეფეზე ყორღანული ტიპის სამარხების გამოჩენის ძვ.წ. 3000 წ. დათარიღება მთლად სწორი არ უნდა იყოს. თუ აქ მართლაც გვხვდება ყორღანული სამარხი, ამ მოვლენის ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყის ხანებზე უფრო ადრეულად მიჩნევა მართებული არ უნდა იყოს[822].

რა იყო მიზეზი მტკვარ-არაქსის კულტურის უფრო სამხრეთით განფენისა, მთლად ნათელი არ არის. აქ როგორც ჩანს, მოსახლეობის მასიურ გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, რომლებიც საკმაოდ ფართო ტერიტორიას ითვისებენ. აღმოსავლეთ ანატოლიაში ახლად მოსულები ადრე დასახლებულ ადგილებს იკავებენ და უკვე არსებულ ნამოსახლარებზე ჯდებიან, რაც, ალბათ, მაინცადამაინც მშვიდობიანი შემოღწევის შედეგი არ უნდა ყოფილიყო. სამხრეთით გადანაცვლების მიზეზი, გარდა გარკვეულწილად დემოგრაფიული აფეთქებისა, შესაძლოა უფრო ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული. მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ამიერკავკასიაში თანდათანობით იზრდება მეცხოველეობის როლი, განსაკუთრებით მისი უფრო მოძრავი ფორმა – წვრილფეხა მესაქონლეობა. ეს კი, თავის მხრივ, იწვევდა ახალ-ახალი მიწების, საძოვრების ათვისების საჭიროებას. შესაძლოა მტკვარ-არაქსის კულტურაში მეცხვარეობის ხვედრითი წონის ამაღლება ადრეყორღანული კულტურის მატარებელ ტომებთან ურთიერთობის გაზრდის შედეგი იყოს. მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით უფრო ინტენსიური გავრცელება ეგებ ამიერკავკასიაში ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომებიც პირველმა გამოჩენამაც დააჩქარა. ახალი ეთნიკური ელემენტების შემოღწევამ შესაძლოა ერთგვარად ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ერთი ნაწილის უფრო სამხრეთით გადანაცვლებას. ეს ტომები აქ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში იჭრებიან, სრულიად განსხვავებულ გარემოში ხვდებიან, მაგრამ არ კარგავენ საკუთარი კულტურის ხასიათს. შესაძლოა, მათი გადაადგილება ადრეც ხდებოდა, მაგრამ მასიური გადასვლა ეგებ სწორედ ყორღანული კულტურის ამიერკავკასიაში გამოჩენას უკავშირდება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ქართველ ტომთა რაიმე მნიშვნელოვან მიგრაციებს ჰქონოდა ადგილი ეგეოსში[823]. ამ დროს ამიერკავკასია მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება, ახალი შუაბრინჯაოს ხანის კულტურის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. ნაკლებ სავარაუდოა ამ დროს დაწყებულ ინდოევროპელთა მიგრაციაში ქართველურენოვანი ტომების მონაწილეობა, რომლებსაც აქტიური როლი უნდა ეთამაშათ შუაჰელადური კულტურის ფორმირებაში[824].

სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნა, რომ ყორღანული სამარხები ირანშიც აღმოჩნდა. თვით ავტორი ოთხივე მის მიერ გათხრილ ყორღანს ძვ. წ. VII-V საუკუნეებს

---

822. Shan M.M. Winn. Burial Evidenze and the Kurgan Cultur in Easter Anatolia c.3000 B.C.: an Interpretation, The Journal of Indo-European Studies, vol. 9, N 1, 1981, გვ. 113.

823. რ. გორდეზიანი. წინაბერძული და ქართველური. თბილისი, 1985, გვ. 10.

824. იქვე. გვ. 136.

მიაკუთვნებს. ყველა ყორღანი აქ გაძარცვული აღმოჩნდა[825]. მაგრამ, ამ თარიღის სისწორის შესახებ ეჭვი გამოითქვა და ყორღანის კონსტრუქციის და ინვენტარის საფუძველზე აღინიშნა, რომ ეს სამარხები ნოეოსეობოდნაიას ტიპის ყორღანებს უახლოდებიან[826]. წინა აზიაში ყორღანის ტიპის სამარხებს რკინის ხანით ან უფრო გვიანი დროით ათარიღებენ[827]. თუ გამართლდა ადრეული ყორღანის არსებობა კავკასიის სამხრეთით, მაშინ უნდა ვიკარაუდოთ, რომ ისინი აქ ამიერკავკასიის გზით გავრცელდნენ. მაგრამ, როგორც სადღეისოდ არსებული მასალებით ჩანს, ამ ტიპის სამარხმა სამხრეთით მაინცადამაინც ფეხი ვერ მოიკიდა. ისეთი ეთნოგრაფიული ნიშნის გავრცელება, როგორც დამარხვის წესია, ნაკლებ სავარაუდოა უშუალო კონტაქტების გარეშე[828]. როგორც ჩანს, ამიერკავკასიის სამხრეთით ყორღანული კულტურის მატარებელი ტომები არ გავრცელებულან.

უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც მომთაბარე-მეჯოგე ტომები ვრცელდებიან, მათი გამოჩენით მკვეთრი გარდატეხა შეიმჩნევა ცხოვრების ხასიათში. ეს პროცესი უფრო ადრე სამხრეთ-აღმოსაელეთ ევროპაში ბალკანეთ- დუნაის მხარეში შეინიშნება, ამ ტომების პირველი ტალღის შემოჭრის დროიდან[829]. აღსანიშნავია, რომ კარპატებსა და დუნაისპირეთში სამხრეთ რუსეთის სტეპური მოსახლეობის გამოჩენასთან ერთად ფართოდ ვრცელდება ყორღანული ტიპის სამარხები. მათი ნამოსახლარი ადგილები კი დღემდე თითქმის უცნობი რჩება[830]. როგორც აღინიშნა, ამიერკავკასიაში ამ ტომების გამოჩენა რამდენადმე დაყოვნდა და ამიტომ ეს მოვლენებიც აქ უფრო გვიან შეიმჩნევა. მეჯოგე ტომების სამხრეთით გავრცელებამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს და, რაც მთავარია, ძირეულად შეარყია მანამდე არსებული მეურნეობის ხასიათი. ძველი აღმოსაელეთის ისტორიაში არაერთგზის შეინიშნა, თუ როგორ ფერხდება მეჯოგე ტომების შემოსევების შედეგად ცივილიზაციის დონეზე მდგომ ქვეყნებში განვითარების პროცესი – დასავლეთ სემიტების მომთაბარე ტომების მიგრაცია შუამდინარეთში[831], გუტიების გამოჩენა მესოპოტამიაში, უფრო გვიან კასიტების გავრცელება ბაბილონში, ჰიქსოსების შემოჭრა ეგვიპტეში და სხვა, კარგი მაგალითებია ამისა[832].

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელი საფეხურის დროს საგრძნობლად იზრდება მეცხოველეობის როლი და მეურნეობაში მისი ხვედრითი წონა თითქმის მიწათმოქმედებას უთანაბრდება. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სულადობის რა-

---

825 O.W. Muskarella, The Tumuli at SE Gurdan, Second Report Metropolitan Museum Journal, vol. 4, 1971, გვ. 5-28.

O.W. Muskarella, The Tumuli at SE Gurdan, A preliminary Report. Metropolitan Museum Journal, vol. 2, 1969.

826. А.Д. Резепкин. Северо-Западный Кавказ в эпоху ранней бронзы. Автореферат. Ленинград, 1989, стр. 16.

827. J. Mellaart, დასახ. ნაშრომი გვ. 138.

828. Н.Я. Мерперт, Древнеямная культурно-историческая область и вопросы формирования культур шнуровой керамики, Москва, 1976, стр. 125.

829. Н.Я. Мерперт. Этнокультурные изменения на Балканах на рубеже энеолита и раннего бронзового века. Этногенез народов Балкан и Северного Причерноморья. М., 1984, стр. 235.

830. Б. Иованович, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

831. В.С. Титов. К изучению миграций бронзового века. Археология Старого и Нового Света. М., 1982, стр. 106.

832. Н.Я. Мерперт, Ранние скотоводы Восточной Европы и судьбы древнейших цивилизаций, стр. 83.

ოდენობა ჯოგში. ჩანს, დაახლოებით თანაბარი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ამ კულტურის მოსახლეობა, განსაკუთრებით შიდა ქართლში მიმდგომი მხარეებით, უფრო მობილური ჩანს. ამ დროის ნამოსახლარები აქ არ გამოირჩევიან მაინცადამაინც თავისი სიდიდით და შედარებით თხელი კულტურული ფენებით ხასიათდებიან[833]. საერთოდ ამიერკავკასიაში, თავისი ბუნებრივი პირობების და რელიეფის თავისებურების გამო, სხვადასხვა რეგიონებში მეურნეობის ხასიათში განსხვავებული ვითარება შეიქმნა. ზოგან, უპირატესად მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში, ჩანს, ამ დროს მეურნეობა უფრო მეტად მიწათმოქმედების მიმართულებით ვითარდებოდა და მოსახლეობაც მყარად იყო მიჯაჭვული მიწას. ამიტომაცაა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის აქაური ნამოსახლარები შედარებით უფრო მოზრდილებია, ძლიერი კულტურული ფენებით ხასიათდებიან, რითაც სამხრეთის ძეგლებს მოგვაგონებენ.

როგორც ჩანს, ამ კულტურის გვიანდელ საფეხურზე თანდათანობით კიდევ უფრო იზრდება მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის როლი. მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ტყის ინტენსიურ განადგურებას შედეგად თანდათანობით კლიმატის ერთგვარი გამშრალება მოყვა. ურწყავი მიწათმოქმედება ბარში სულ უფრო და უფრო აფერხებს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას[834]. შექმნილმა მდგომარეობამ ძირფესვიანად შეარყია არსებული მეურნეობრივი სისტემა. კრიზისულმა ვითარებამ აიძულა მოსახლეობა სხვა, ახალ გზას დადგომოდა, რომელიც უკვე საგრძნობლად სცილდება განვითარების სამხრეთულ მიმართულებას და უფრო მეტ საერთოს ჩრდილოეთით მოსახლე ტომების ტრადიციებთან ნახულობს. ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების გამოჩენამ, ჩანს, გარკვეულად შეაყოვნა მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში საზოგადოების განვითარების მიღწეული დონე. საბოლოოდ დაირღვა თითქმის „პროტოცივილიზაციის" დონემდე მიახლოებული საზოგადოების განვითარების გზა. ჩრდილოეთიდან წამოსულმა იმპულსებმა უთუოდ დააჩქარა ეს პროცესი. იქაურ ტრადიციებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ განაპირობა ახალი გზის არჩევანი. მთლად მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ხანის ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალების საფუძველზე თითქოს შეიძლება ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკური ცხოვრების აღდგენა[835].

როგორც ჩანს, სადაც კი მომთაბარე-მეჯოგე ტომები იწყებენ გამოჩენას თითქმის ყველგან ცხოვრების თავის გზას ამკვიდრებენ. იქაც კი, სადაც საზოგადოება თითქმის ცივილიზაციის ზღურბლამდე იყო მისული, მათი გამოჩენით შეფერხდა ამ ზღვარის გადალახვა. ჩვენშიც ამ ტომების მიერ დანერგილი გზა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მომდევნო თრიალეთის კულტურაში საზოგადოების განვითარება იმავე მიმართულებით გრძელდება. თრიალეთის კულტურის ხანაში იზრდება კავშირი სამხრეთის ქვეყნებთან და კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს, მაგრამ საზოგადოებამ ვერც აქ შეძლო ცივილიზაციის ზღურბლის გადალახვა და იგი ისევ პირველყოფილი-თემური წყობილების საფეხურზე დარჩა.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში აღმოჩენილ მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ ნამოსახლარზე კარგად შეინიშნება ადრეყორღანულ კულტურას-

---

833. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, 1991. გვ. 131.

834. ი. ბ ე ს ე ლ ი ა. მიწათმოქმედება და მიწათმოქმედების კულტი ძველ საქართველოში. თბილისი. 1976. გვ. 50.

835. გ. მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ადრეული ყორღანები სამხრეთ საქართველოში. ავტორეფერატი. თბილისი. 1993. გვ. 9.

თან თანაარსებობის კვალი. ეს ნათლად გამოჩნდა თიანეთის რაიონში, სოფ. ბადაანთან გათხრილ მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნამოსახლარზე. აქ მტკვარ- არაქსის კულტურის კერამიკასთან ერთად წარმოდგენილია ადრეყორღანული კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი, განსაკუთრებით მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭელი[836]. ხაშურის რაიონში, ნაცარგორასთან შესწავლილი ნამოსახლარის ზედა ფენებში ერთად აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის და ბედენური კულტურებისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი[837]. აღსანიშნავია, რომ ბერიკლდეებზე ამ კულტურების თანაარსებობა არ შეიმჩნევა[838].

მართალია, ზოგიერთ რეგიონში დროის გარკვეულ მონაკვეთში მტკვარ-არაქსის და ადრეყორღანული კულტურები თანაარსებობდნენ. ეტყობა ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომები ვერ შეეგუენ ცხოვრების არსებულ წესს. მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო დაცემის შემდეგ მათ ნამოსახლარებზე ცხოვრება საერთოდ ქრება და, ჩანს, ადრეყორღანულ ხანაში აღარ გაგრძელებულა. ამიტომ, მთლად მართებული არ ჩანს მოსაზრება, რომ თითქოს ადრეყორღანების თანადროული ნამოსახლარები უკვე დადასტურებულია და მნიშვნელოვან წილად შესწავლილი[839]. ყველა ეს ნამოსახლარი მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური სტადიისაა და ამ კულტურის არსებობის შეწყვეტის შემდეგ აქ ცხოვრების კვალი აღარ ჩანს. ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომები, ჩანს, ვერ შეეგუენ მეურნეობის არსებულ სისტემას და მათი მტკვარ-არაქსის კულტურის სამეურნეო ტრადიციების გამგრძელებლად მიჩნევა მთლად დამაჯერებელი არ არის. პირიქით, ისე ჩანს, თითქოს იცვლება ცხოვრების ტრადიცია და მეურნეობის ხასიათი. საზოგადოება ცხოვრების სრულიად განსხვავებულ, ახალ გზას ადგება. ის, რომ ამ დროს ნამოსახლარები თითქმის არ გვხვდება, ალბათ, მეურნეობაში ძირითადად მეცხოველეობის როლის გაზრდასთან იყო დაკავშირებული და მოსახლეობის უფრო მობილურ, მოძრავ ცხოვრების ხასიათზე უნდა მეუთითებდეს.

საინტერესოა აღინიშნოს ანთროპოლოგიური მონაცემები, მიღებული სომხეთში შესწავლილი მეიდნარის სამაროვნიდან. სადაც გვიანმტკვარ-არაქსული პერიოდის ერთ-ერთ სამარხში 10 თავის ქალა აღმოჩნდა[840]. მთელ სერიაში კარგად გამოირჩევა ინდოევროპული რასის როგორც ჩრდილოური, ისე სამხრეთული შტოსათვის დამახასიათებელი თავისე-

---

836. Г.И. Мирцхулава, Н.Д. Мирцхулава, Археологическая экспедиция Иорского ущелья. Полевые археологические исследования в 1983 году. Тбилиси, 1986, стр. 30, табл. V, 2.

837. А.Т. Рамишвили, Раскопки в Хашурском районе в 1984-1986 гг. Полевые археологические исследования в 1986 г. Тбилиси, 1991, стр. 23, табл. 43-46.

ა. ორბელიძე. შერეულკერამიკული კომპლექსები შიდა ქართლიდან (ბრეკრანტი). თბილისი, 1992.

838. Л.И. Глонти, А.И. Джапаридзе, Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита - поздней бронзы в Шиды Картли-Бериклдебе. КСИА. 192. М., 1987, стр. 82.

839. გ. ბინდი, შ.

. ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში, ავტორეფერატი. თბილისი, 1989, გვ. 18.

840. В.П. Алексеев, Р.А. Мкртчян, Палеоантропологические материалы из куро-араксских погребений в Армении и вопросы генезиса населения куро-араксской культуры раннебронзового века. Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского нагорья и сопредельных областей. Ереван, 1990, стр. 22.

ბურებები[841]. მტკვარ-არაქსის პოპულაციები უახლოვდებიან წინა აზიურს, ე.ი. ამავე დროს, მათში კარგად ჩანს ძველი ორმოსამარხების პოპულაციის ნიშნებიც[842]. ამიტომ, როგორც აღნიშნავენ, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ზონა შეიძლება მივიჩნიოთ გარდამავლად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომელშიც აისახა როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ევროპეიდების ნიშნები[843].

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის ხასიათში ეს ახალი მოვლენები ნაკლებად შეიმჩნევა. ადრე ყორღანული კულტურა ძირითადად ადგილობრივ ტრადიციებზე ჩანს დაფუძნებული. თუ დაკრძალვის წესი მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ჩანს, რომ მათ ძირითადად ადგილობრივი კულტურა აითვისეს. მესაქონლე ტომებს შედარებით ადვილად გადააქვთ უფრო მაღალი კულტურის ტრადიციები[844]. შესაძლოა რიცხობრივად ახალმოსულები არცთუ ისე ბევრნი იყვნენ და შედარებით სწრაფად აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, მაგრამ დასაფლავების თავის წესს ავრცელებენ, რომელიც ამ კულტურის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ხდება. ჩანს, რომ ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენამ გარკვეულად დააჩქარა წინამორბედი, მტკვარ-არაქსის კულტურის საბოლოო დაცემა.ადრეყორღანული კულტურის ხანაში უპირატესად დიდი და საშუალო ზომის ყორღანები გვხვდება; მომცრო ზომის ამ ტიპის სამარხი შედარებით იშვიათია. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ისინი უფრო მაღალი ფენის წარმომადგენელთა სამარხები იყო, ეგებ, უპირატესად საზოგადოების იმ წევრებისა, რომლებიც ჩრდილოეთიდან იყვნენ გადმონაცვლებულნი. ესენი ჩანს, აქ დაწინაურებულ მდგომარეობას აღწევენ და დაიმარხნენ მათთვის დამახასიათებელი დაკრძალვის რიტუალის წესით.ადრე ყორღანული კულტურის ხანაში ინერგება შეხედულება, რომელშიაც ბელადი წამყვან ადგილს იკავებს საზოგადოებაში. ეს კი პირველყოფილი საზოგადოების განვითარების უკვე საკმაოდ მაღალი საფეხურის მაჩვენებელი იყო. როგორც ფიქრობენ, ყორღანის აგებაში შესაძლოა ჩადებულია იგივე იდეა სამარხის თ. ზე მონუმენტური ნაგებობის აღმართვისა, რომელმაც სხვადასხვა მხარეში თავისებური ასახვა პოვა — ეგვიპტის პირამიდები, ევროპაში მეგალითური ძეგლები და სხვ.[845].

ადრეული დიდი ყორღანები საკმაოდ რთულ და შრომატევად ნაგებობას წარმოადგენდა და მიწის სამუშაოების გარდა ზოგჯერ აქ საკმაოდ მოზრდილი ქვისა ან ხის კონსტრუქციები იგებოდა. საჭირო მასალის მოზიდვაც ხანდახან საკმაოდ დაცილებული ადგილიდან ხდებოდა, ალბათ გამწევი ძალის გამოყენებით[846]. ყორღანის აგება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და ზოგჯერ, ალბათ, ერთი ან ორი წლის ამბავი არ იყო. ამ სამუშაოში, ჩანს, საკმაოდ დიდი კოლექტივი იყო ჩაბმული. აზერბაიჯანში მილის სტეპში გათხრილ უჩ-თეფეს მოზრდილი ყორღანის შესახებ გამოითქვა მოსაზრება, რომ მის ასაგებად უნდა დახარჯულიყო დაახლოებით 21.000 კაც-დღე. წნორის დიდი ყორღანის აგების კიდევ

---

841. В.П. А л е к с е е в, Р.А. М к р т ч я н, დასახ. ნაშრომი. გვ. 29.

842. იქვე. გვ. 31.

843. იქვე.

844. Н.Я. М е р п е р т, Древнеямная культурно-историческая область и вопросы формирования культур шнуровой керамики, 1976, стр. 126.

845. А.А. Ф о р м о з о в, Памятники первобытного искусства, М., 1966, стр. 88.

846. А.А. И е с с е н, Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, Труды Азербайджанской экспедиции, МИА 125, М.-Л., 1965, стр. 88.

უფრო მეტ დროს ვარაუდობენ — 22.200 კაც-დღეს[847]. ამ მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოს ჩატარება მეტ-ნაკლებად დამჯდარი ცხოვრების გარეშე ალბათ შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ სად და როგორ უნდა ეცხოვრა ხალხს, რომლებმაც აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ყორღანების კულტურა დაგვიტოვა, ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის. როგორი იყო იმ დროს სოფელი, სად მდებარეობდა, როგორი იყო მისი დაგეგმარება, სამშენებლო საქმე და არქიტექტურა, ახლა ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა. მაგრამ ამ დროს რომ კარგად ფლობდნენ საინჟინრო-სამშენებლო საქმეს, მოწმობს დიდებულთა სამარხები, აქ დამოწმებული ხის ან ქვისაგან ნაგები დასაკრძალავი შენობა. როგორც ჩანს, სამარხის აგებას უფრო მეტ დროსა და ძალას ახმარდნენ. ეიდრე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. საფიქრებელია, რომ საცხოვრებელი უპირატესად ხისაგან იგებოდა. ქვასა და თიხას, ჩანს, ამ საქმისათვის ნაკლებად იყენებდნენ. დასაკრძალავი კამერა ალბათ საცხოვრებელი სახლის წაბაძვით იყო ნაშენი. ხისაგან ნაგებმა შენობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია და ამანაც გაართულა ალბათ იმ დროის სოფლის. საცხოვრებელი ადგილის დადგენა.

რა თქმა უნდა, მარტო სამარხებიდან მიღებული ცნობებით ძნელია საზოგადოების ცხოვრების სრული სურათის წარმოდგენა. თუმცა ზოგიერთ კულტურებში სწორედ სამარხებიდან მომდინარე მასალებით ხდება შესაძლებელი მეტ-ნაკლები სიზუსტით საზოგადოების განვითარების უძველესი პერიოდის აღდგენა[848]. ადრეული ყორღანების ხანაში საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის პროცესი განსაკუთრებით კარგად აისახა სამარხეულ ძეგლებში. წინარე ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურაში საზოგადოების შიგნით დიფერენციაცია ჯერ კიდევ მკვეთრად გამოსახული არ უნდა ყოფილიყო[849]. სადღეისოდ არსებული მასალები საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისთვის მაინცადამაინც ბევრს არაფერს იძლევა. ამ დროს ნამოსახლარებზე განსხვავებული, უფრო მოზრდილი შენობები, ცალკე შეძლებულთა უბნების არსებობა არ შეინიშნება. არ გვხვდება აქ ტაძრის ტიპის ნაგებობა და თითქმის ყველა შენობა ერთნაირი სტანდარტითაა ნაგები. არც მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხეულ ძეგლებში შეიმჩნევა რაიმე მკვეთრი სხვაობა, რაც საგრძნობი სოციალური იერარქიის და ქონებრივი დიფერენციაციის მანიშნებელი იყოს. ამ პერიოდში დაშლის პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამიტომ, მთლად მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ ამ დროის საზოგადოებაში უთანასწორობის პროცესი უკვე შორს წასული იყო, თითქმის ადრეკლასობრივ დონემდე მისული[850]. ყორღანული კულტურის პირველი გამოჩენის ხანაში, როდესაც იგი

---

847. Ш.Я. М е р п е р т, Ранные скотоводы Восточной Европы и судьбы древнейших цивилизаций, стр. 19. Ш. Ш. Д е д а б р и ш в и л и, Курганы Алазанской долины, стр. 69.

848. В.М. М а с с о н, Экономика и социальный строй древних обществ, Ленинград, 1976, стр. 149.

849. Г.Б. А в а л и ш в и л и, Попытки социологической интерпретации некоторых памятников Юго-Восточной Грузии эпохи палеометалла, Кавказ и степные палеометаллические культуры Евразии, Тбилиси, 1991, стр. 173.

850. გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ქონებრივი დიფერენციაციის ფაქტის დადგენისათვის მტკვარ-არაქსის ყორღანების მიხედვით (ძვ. წ. III ათასწლეული), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, N 4, თბილისი 1984, გვ. 66.

გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბედენის ფორსამარხების კულტურა, თბილისი, 1980, გვ. 134.

ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურასთან ერთად თანაარსებობს, ამ დროის ყორღანებში, როგორც ჩანს, ძირითადად ასახული უნდა იყოს პიროვნების სოციალური რანგი. ქონებრივი სხვაობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ჯერ, ჩანს, სუსტადაა გამოკვეთილი. სამგორის ყორღანში, მიუხედავად დაკრძალვის რთული რიტუალისა, სამარხეული ინვენტარი მეტად მწირია და ჯერ კიდევ არ ჩანს ქონებრივი დანაწევრების ნიშნები. იგივე სურათი შეინიშნება თრიალეთის ადრეულ ყორღანებში, სადაც ყორღანების ასაგებად დახარჯული შრომა სრულიად არ შეესაბამება იმ ღარიბულ ინვენტარს, რომელიც აქ აღმოჩნდა[851]. თუმცა თრიალეთის ყორღანების შესახებ, ვფიქრობთ არც თუ მთლად მართებულად, გამოითქვა მოსაზრება, რომ ინვენტარის სიმწირე აქ მათი გაძარცვით აიხსნება[852]. როგორც ჩანს, ეს ვითარება საზოგადოებაში დიდხანს არ გაგრძელებულა. გამორჩეულ მდგომარეობას მიღწეული წევრი ეკონომიკურადაც წინაურდება. ეს კარგად გამოჩნდა მარტყოფთან შესწავლილ ყორღანებში. მართალია, დროით ისინი სამგორის და თრიალეთის ყორღანებს, ჩანს, ბევრით არ ჩამორჩებიან, მაგრამ მათში კარგად გამოჩნდა, რომ დაკრძალული წევრი საზოგადოებისა უკვე ქონებრივათაც გამორჩეულია. მარტყოფის ყორღანები საკმაოდ მდიდარ ინვენტარს შეიცავდნენ, თვით ნივთები უფრო დახვეწილია და დამზადების მაღალი დონით ხასიათდებიან. როგორც კი საზოგადოების არისტოკრატიული ფენა ქონებრივადაც მომძლავრდა, მოთხოვნილება იზრდება, რასაც შედეგად ხელოსნობის სხვადასხვა დარგების დაწინაურება მოყვა. ამ ყორღანების აგება დიდ შრომას მოითხოვდა, ინვენტარი მათში საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა. ასეთი არარენტაბელური გამოყენება დახარჯული შრომისა და სიმდიდრისა, დამახასიათებელია საზოგადოების დიფერენციაციის უფრო ადრეული საფეხურისათვის. მერე და მერე დაკრძალვის რიტუალის დროს უფრო რაციონალურად იყენებენ შრომას და გარკვეულად ზოგავენ ქონებას[853].

ადრეყორღანული კულტურის ხანაში საზოგადოების შიგნით მიმდინარე დიფერენციაციის პროცესი უკვე საკმაოდ შორსაა წასული. როგორც ჩანს, ჩრდილოეთიდან გადმოსული მასა მოსახლეობისა ერწყმის მკვიდრ, ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რამაც ჩანს საზოგადოების რღვევის პროცესი უფრო დაარჩქარა. თუმცა ძველი ორმოსამარხების კულტურაში საზოგადოების დიფერენციაციის ნიშანი თითქოს შესამჩნევი არ არის. აქ უპირატესად მცირეინვენტარიანი სამარხები გვხვდება, ხშირად კი საერთოდ უინვენტარო საფლავებია ცნობილი[854]. რა იყო უშუალო მიზეზი საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესის ასეთი გარდაქმნისა, ახლა ძნელი სათქმელია — შესაძლოა აქ გარკვეული როლი ითამაშა იმ ეკონომიკურმა ძვრებმა, რომელიც მოსახლეობის ახალი ტალღის გამოჩენას მოჰყვა. მესაქონლეობის დაწინაურებამ, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის როლის გაზრდამ, რომელიც უფრო ადვილად იძლეოდა ნამატ პროდუქტს[855], ხელი შეუწყო ქონებრივი და

---

851. Б.А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 101.

852. გ. მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მტკვარ-არაქსის კულტურის სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის, მაცნე. ისტორიის, ენიოგრაფიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, N 1, თბილისი, 1983, გვ. 185. გ. გ ო ბ ე ჩ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

853. Г. Ч а й л д, Прогресс и археология, М., 1949, стр. 169.

854. Н.Я. М е р п е р т, Древнейшие скотоводы Волжско-Уральского междуречья, Москва, 1974, стр. 30.

855. Энеолит СССР, М., 1982, стр. 322.

სოციალური დიფერენციის გაღრმავებას[856]. სამხრეთთან ურთიერთობამ კი დააჩქარა ეს პროცესი[857]. როგორც ჩანს, ახლად მოსულები აქ გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ და უპირატესად მათთვის დამახასიათებელი ჩრდილოური ტრადიციები ვრცელდება როგორც ყოფაში, ისე დაკრძალვის რიტუალში.

ადრეული ყორღანული სამარხები, ჩანს, უპირატესად ტომისა თუ გვარის დაწინაურებულ, არისტოკრატიულ ნაწილს ეკუთვნოდა. მათში უკვე კარგად ჩანს ის „ბარბაროსული ბრწყინვალება", რომელსაც საზოგადოების ამ ფენამ მიაღწია. ისიც კი ითქვა, რომ ეს ყორღანები ძლიერ გავლენიანი დიდებულების, ან, ეგებ, „მეფეთა" სამარხებია[858].

მარტყოფის ჯგუფის ყორღანების მაგალითიდან ჩანს, რომ ისინი ტერიტორიულად არცთუ ისე დაშორებულები არიან ერთმანეთისაგან. ამიტომ, შესაძლოა ეს ყორღანები ძირითადად ერთი ტომობრივი ჯგუფის ბელადების და მათთან დაახლოებულ პირთა სამარხები იყო[859]. ამ ჯგუფიდან მხოლოდ ერთი ყორღანი გამოირჩევა თავისი ზომებით და განსაკუთრებული მდებარეობით. იგი აღმართული იყო საგანგებოდ შერჩეულ მაღალ ადგილას და კარგად გამოირჩეოდა თითქმის ყოველი მხრიდან. სხვა ყორღანები როგორც ზომით, ისე ინვენტარის ხასიათით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სამგორის ყორღანებიც შესაძლოა ტომთა ბელადების სამარხები იყო. ივრისპირეთში, მაღაროსთან გათხრილი მოზრდილი ყორღანიც, აგრეთვე, ტომთა წინამძღვრის სამარხი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ამ დროისთვის მსხვილი ტომობრივი გაერთიანებები ჯერ კიდევ მკვეთრად ჩამოყალიბებული არ უნდა ყოფილიყო.

ახლა ძნელია გარკვევით თქმა, თუ ვინ იყვნენ ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომები. ზევით აღინიშნა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად იცვლება ცხოვრების ხასიათი. საზოგადოების განვითარება ახალი, სრულიად განსხვავებული გზით წარიმართა, რაც გარკვეულ ეთნიკურ ძვრებთან იყო ალბათ დაკავშირებული. ახლა ძნელია ეთნოგენეტურ პროცესებში მიმდინარე ცვლილებების შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა, მაგრამ, ჩანს, რომ მოსახლეობის ახალი ტალღის შემოსვლამ უთუოდ განსაზღვრა საზოგადოების განვითარების განსხვავებული მიმართულების ხასიათი. კულტურული ძვრები, რომლებიც საკმაოდ რელიეფურად აისახა ამ დროის არქეოლოგიურ წყაროებში, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც, ეთნიკურ სიტუაციაში მიმდინარე სიახლეზე უნდა მიუთითებდეს. მართალია, არქეოლოგიური მონაცემების ეთნიკურ კატეგორიასთან გაიგივების მცდელობა საკმაოდ ძნელია და რთული, მაგრამ არქეოლოგიურ მასალებს ადრეულ ხანაში გარკვეული სინათლის შეტანა შეუძლია ეთნიკური ინტერპრეტაციის საკითხში და ამ მონაცემების გათვალისწინებით უფრო მეტი გაბედულებითაა დასაშვები ლაპარაკი ეთნიკურ ჯგუფებში მომხდარ ცვლილებებზე.

მომთაბარე-მეჯოგე ტომების დასავლეთით ექსპანსია რამდენიმე ეტაპად ხორციელ-

---

856. Г. К а в т а р а д з е. Вопросы этнической истории Кавказа и Анатолии и проблема хронологии и периодизации. Тбилиси, 1992, стр. 34.

857. А.А. И с с е л, К хронологии больших кубанских курганов, СА, XII, М-Л., 1950, стр. 196.

გ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, „სამეფო აკლდამების" სოციალური ინტერპრეტაციისთვის, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის, VII, თბილისი, 1979, გვ. 86.

858. Ш.Ш. Ч е р н ы ш, Циркумпонтийская провинция и древнейшие индоевропейцы, Древний Восток, этнокультурные связи, Москва, 1988, стр. 45.

859. Г.Б. А в а л и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ.172.

დებოდა[860]. მათ ადრეულ მიგრაციებს კავკასიაში მაინცადამაინც შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. აქ ამ ტომების გავლენა უფრო მეტად საგრძნობია ძ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ძველი ორმოსამარხების ან, როგორც უწოდებენ, ყორღანული კულტურის ხანაში. ეს ამ კულტურის მატარებელი ტომების დასავლეთით მოძრაობის ყველაზე მძლავრი და თანაც ფინალური ეტაპია[861]. ამ პერიოდში საგრძნობლად აქტიურდება ჩრდილოეთიდან წამოსული იმპულსები, რაც სათანადოდ აისახა ჩრდილო კავკასიიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალებში[862]. სტეპების მოსახლეობის მოძრაობა კავკასიის მიმართულებით დიდი ეთნიკური მიგრაციის ხასიათის არ უნდა ყოფილიყო. უფრო სამხრეთით, ამიერკავკასიაში უშუალო კონტაქტები ყორღანულ კულტურასთან, ჩანს, უფრო სუსტი იყო. სადღეისოდ ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთი სამარხია ცნობილი ქსნის ხეობაში, ახალგორის მახლობლად სოფ. კორინთოდან, რომელიც უშუალოდ ამ კულტურას მიეკუთვნება.

საინტერესოა ანთროპოლოგიურ მასალების საფუძველზე გამოთქმული მოსაზრება, რომ ინდოევროპელები სტეპური ზოლიდან კავკასიაში შემოდიან, ამიერკავკასიაში ხურიტულ და ქართველურ ტომებთან შედიან კონტაქტში; მცირერიცხოვნების გამო ისინი ლინგვისტურად და კულტურულად მათში ითქვიფებიან, მაგრამ ანთროპოლოგიური თავისებურებების რაღაც კვალს მაინც ტოვებენ[863].

ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების კავკასიაში გამოჩენას გარკვეული ეთნიკური ხასიათის ძვრები უნდა მოყოლოდა შედეგად. მაგრამ, ვინ იყვნენ ეს ტომები, საიდან, როდის და რა გზით ვრცელდებიან კავკასიაში, მთლად ნათელი არ არის. ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების ეთნიკური ვინაობის, მათი განსახლების საკითხს უკვე კარგა ხანია მიექცა სათანადო ყურადღება; განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამ კულტურას უშუალოდ ინდოევროპულ ტომებს უკავშირებენ[864]. მათი მოძრაობის შედეგად თითქმის მთელი ევროპა და აზიის გარკვეული ნაწილი ინდოევროპული ხდება. ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების, ინდოევროპელების წარმომავლობის, პირველსაცხოვრისის, გავრცელების, მათი შემდგომი ბედის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქ-

---

860. Н.Я. М е р п е р т, О связях Северного Причерноморья и Балкан в раннем бронзовом веке, КСИА, вып. 105, М., 1965, стр. 19.

Е.Н. Ч е р н ы х, Культурные контакты в циркумпонтийской области. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тбилиси, 1987, стр. 104.

861. M. G i m b u t a s, Old Europa C. 7000-3500 B.C; The Earlist European Civilization before the Infiltration of Indo-European Peoples, gg. 16.

862. А.А. Ф о р м о з о в, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 130.

Е.И. К р у п н о в, Н.Я. М е р п е р т, Курганы у станицы Мекенской, Древности Чечено-Ингушетии, Москва, 1963, стр. 14.

863. В.П. А л е к с е е в, Р.А. М к р т ч я н, Палеоантропологический материал из куро-аракских погребений в Армении и вопросы генезиса населения куро-аракской культуры раннего бронзового века; Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского нагорья и сопредельных областей, Ереван, 1990, стр. 34.

864. Н.Я. М е р п е р т, Этногенез в эпоху энеолита и бронзового века, История СССР, Москва, 1966, стр. 156.

А.Д. Р е з е п к и н, К интерпретации росписи из гробницы майкопской культуры близ станицы Новослободной, КСИА, 192, Москва, 1987, стр. 31.

მული და ინტერესი ამ პრობლემისადმი დღესაც არ განელებულა[865]. უფრო ის აზრია გავრცელებული, რომ ამ ტომების პირველადელი სამშობლო ევროპა იყო. მართალია ინდოევროპელების ჩრდილო ევროპიდან წარმომავლობამ დაკარგა პოპულარობა, მაგრამ ევროპის შიგნით მათი ლოკალიზაციის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს. ზოგი მათ პირველ ადგილსამყოფელს ცენტრალურ ევროპაში ხედავს, ზოგიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში დუნაისპირეთში, ან კიდევ სამხრეთ რუსეთის სტეპებში ეძებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ინდოევროპელი ტომების სამშობლო წინა აზია იყო. მაინც უფრო ის აზრია გავრცელებული, რომ ამ ტომების პირველსაცხოვრისი შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ტერიტორიების ფარგლებშია საძებარი[866]: სამხრეთით ანატოლია, დასავლეთით ბალკანეთი, დუნაისპირეთი, ჩრდილოეთით სამხრეთ-რუსეთის სტეპური ზოლი, აღმოსავლეთით ამიერკავკასია. უფრო პოპულარული ჩანს თითქოს აზრი, რომ ინდოევროპელების სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა – ჩრდილო შავიზღვისპირეთი იყო[867]. ძ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აქტიურდება მათი ექსპანსია კავკასიის მიმართულებით. იზრდება ყორღანული კულტურის გავლენა ჩრდილო კავკასიაში; ურთიერთობა ჩრდილო რეგიონებთან უფრო ინტენსიური ხდება[868]. როგორც ჩანს, ამ პროცესებმა ამიერკავკასიაზეც იქონია გავლენა და აქ ძლიერდება ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსები. ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიიდან კრცელდება, ეგებ, გარკვეული მასა ყორღანული კულტურის მატარებელი ტომებისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამან სათანადო გავლენა იქონია ალბათ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხასიათზე. წინარე. მტკვარ-არაქსის კულტურას ადრეყორღანული კულტურა ენაცვლება. შესაძლოა, ამის შედეგი იყო ქართველურ ენებში შენიშნული ინდოევროპული ელემენტები[869]. ჩანს, ამ დროის ანთროპოლოგიურ მასალებშიც აირეკლა ჩრდილოური გავლენები[870].

მაგრამ, ინდოევროპელი ტომების წარმომავლობის, მათი პირველი განსახლების შესახებ განსხვავებული აზრიც არსებობს. მათ პირველსაცხოვრისს კავკასიის სამხრეთით წინა აზიაში გულისხმობენ. ზოგი ამ ტომების პირველადგილსამყოფელს ანატოლიაში ხედავს, ზოგიც კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჩრდილო მესოპოტამიაში. ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი კ. რენფრიუ არ ეთანხმება ლინგვისტებს და არქეოლოგებს შორის უფრო გავრცელებულ შეხედულებას ყორღანული კულტურის მატარებელი ხალხის, ინდოევროპელების დაპყრობითი ხასიათის მიგრაციების შესახებ სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან დასავლეთით. მისი აზრით, ინდოევროპელების ევროპაში განსახლებას უფრო დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები ამოძრავებდა. ძ.წ. VII ათასწლეულში ინდოევროპელების ევროპაში განფენა მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და დაკავშირებული იყო ძირითადად აქ წარმოებითი მეურნეობის გავრცელებასთან. ანა-

---

865. J.P. Mallory, In Search of the Indo-Europeans, 1991, გვ. 143.

866. Е.Н. Черных, Циркумпонтийская провинция и древнейшие индоевропейцы, стр. 37.

867. იქვე. გვ. 48.

868. А.А. Формозов, Проблемы этнокультурной истории каменного века на территории Европейской части СССР, М, 1977, стр. 136.

869. А.А. Нечитайло, Особенности исторического развития культурно-экономических связей Украины и Кавказа в эпоху раннего металла, стр. 101.

869. О.М. Джапаридзе, На заре этнокультурной истории Кавказа, стр. 381

870. В.П. Алексеев, Р.А. Мкртчян, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

ტოლიიდან ისინი ჯერ საბერძნეთს, შემდეგ კი ბალკანეთს იკავებენ, აქედან კი უფრო ღრმად ვრცელდებიან და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპების ზოლს აღწევენ[871].

ინდოევროპული ტომების წინა აზიაში განსახლების და მათი მიგრაციების გზების შესახებ აზრი გამოთქვეს თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა ცნობილ ერთობლივ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში. მათი აზრით, წინარე ინდოევროპული ენის რეკონსტრუქციის გზით შესაძლებელია სავარაუდო გეოგრაფიული არეალის აღდგენა, ამ ენის მატარებელი ტომების პირველსაცხოვრისის დადგენა, საიდანაც უნდა დაწყებულიყო მათი მიგრაციები ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე[872]. ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში მათი ძირითადი [illegible] გილსამყოფელი ლოკალიზირდება წინა აზიის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში ამიერკავკასიის სამხრეთით, აღმოსავლეთ ანატოლიის, ჩრდილო მესოპოტამიის რეგიონში[873]. პროტოინდოევროპული ენობრივი არეალის ამ მხარეში არსებობას უნდა მოწმობდეს [illegible] რეთვე ის კონტაქტები, რომლებიც შეინიშნება წინა აზიის სხვა ენებთან, კერძოდ, [illegible] ტურთან და ქართველურთან[874]. აქედან ხორციელდებოდა ინდოევროპული ტომების [illegible] თო მიგრაციები შედარებით პატარა ჯგუფების თანდათანობით გავრცელების ან კ[illegible] დაპყრობითი ხასიათის მოქმედების გზით.

საერთოინდოევროპული ენის მატარებელი ტომების წინა აზიაში განსახლების იდ[illegible] ავტორები ცდილობენ არქეოლოგიური საფუძვლები მოუნახონ. მახლობელი აღმოსავლეთის იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი წინარეინდოევროპული ენის არსებობას ვარაუდობენ, შეიძლება გამოიყოს რიგი კულტურებისა, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე რეკონსტრუირებულ პრაინდოევროპულ კულტურასთან. ესაა ჰალაფის კულტურა წინა აზიაში, ჩრდილო მესოპოტამიაში და შულაკერ-შომუთეფეს და მტკვარ-არაქსის კულტურები ამიერკავკასიაში[875]. მათი აზრით, უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე საერთო ინდოევროპული ენის გავრცელების ტერიტორიის არსებობის ვარაუდი წინაზაზიაში ჰალაფის კულტურის არეალში, სულ უფრო მეტ საფუძველს იძენს[876]. გამოითქვა მოსაზრება, რომ წინა აზიაში, ამიერკავკასიის ჩათვლით, ინდოევროპელების წინარე სამშობლო იმ რეგიონებს მოიცავდა, სადაც წარმოებითი მეურნეობის პირველი ნაბიჯები გადაიდგა. მეურნეობის ახალი სტრუქტურების შემოსვლასთან ერთად წინარე ინდოევროპული ენა ტომთა შორის ურთიერთობის საშუალება ხდება. ჰალაფის კულტურა, რომელიც ერთ-ერთი პირველი ზეეთნიკური წარმონაქმნი იყო მახლობელ აღმოსავლეთში, შესაძლოა ინდოევროპული ენის ბაზაზე ჩამოყალიბდა[877]. მაგრამ, ზოგიერთი მკვლევარი ინდოევროპული ენის

---

871. Colin Renfrew, Archeology and Language: The Puzzle of Indo-European Origins. London, 1989. გვ. 147.

К. Ренфрю. Происхождение индоевропейских языков. В мире науки. Прогресс, 2. М., 1988, стр. 79.

872. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. Индоевропейские языки и индоевропейцы. Тбилиси, 1984, стр. 870.

873. იქვე. გვ. 895.

874. იქვე. გვ. 870.

875. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ადგილი. გვ. 890.

876. იქვე. გვ. 964.

877. П.М. Долуханов, Палеоэтнические процессы на территории Передней Азии и Кавказа по данным археологии и смежных дисциплин. Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского нагорья и сопредельных стран. Ереван, 1990, стр. 121.

მატარებელი ტომების ჰალაფის კულტურასთან გაიგივების შესაძლებლობის საფუძველს ვერ ხედავს[878]. არც ენობრივი მონაცემებით რეკონსტრუირებული პრაინდოევროპელების კულტურის შულაევერ-შომუთეფეს კულტურასთან დაკავშირება ჩანს მაინცადამაინც გამართლებული. აღინიშნა კიდეც, რომ ჰალაფის და შულაევერ-შომუთეფეს კულტურებთან იდენტიფიკაციის ცდა დამაჯერებელი არ არის[879]. ინდოევროპელების სხვა ტომებთან მხარდამხარ მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში მონაწილეობის შესაძლებლობა ნაკლებად წარმოსადგენია[880] ისევე, როგორც შედიტერანული ეთნიკური ელემენტის რაიმე ღვაწლზე ამ პროცესში[881]. ზოგი აქ სემიტური ტომების არსებობას ვარაუდობს[882]. ინდოევროპული ეთნოსის და მითუმეტეს სემიტურის, ამ პერიოდში ამიერკავკასიაში არსებობის ვარაუდის საფუძველი თითქოს არ ჩანს. ამ კულტურის ჩამოყალიბებაში ძირითადად კავკასიური ტომები მონაწილეობენ, უპირატესად ხურიტულენოვანი და ქართველური. ამ პერიოდში ამიერკავკასია ინტენსიურადაა დასახლებული და ძნელია აქ კიდევ სხვა ეთნიკური ჯგუფების არსებობა ვივარაუდოთ. პირიქით, ახლა ის ჩანს, რომ ეს კულტურა ფართოდ ვრცელდება სამხრეთით, რაც ეგებ მოსახლეობის გარკვეული მასის გადაადგილებაზე მეტყველებდეს[883]. ისიც აღინიშნა, რომ ამ ხანაში აქ უბრალოდ ინდოევროპელებისათვის ადგილი არ იყო[884]. ითქვა აგრეთვე, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ინდოევროპელებს არ უცხოვრიათ ძ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის ხანებამდე[885] და მახლობელ აღმოსავლეთის ძირითადი რეგიონები ადრე ინდოევროპული ოიკუმენის მიღმა იყო[886]. ნაკლებ საეჭვოდ ჩანს თითქოს, რომ ძ.წ. IV ათასწლეულის ბოლოდან სამხრეთიდან ინდოირანული ტომების რაიმე მნიშვნელოვან მიგრაციებს ჰქონდა ადგილი კავკასიის გავლით ჩრდილოეთით[887]. ამ გზით კავკასიის ქედი საკმაო დაბრკოლებას შეუქმნიდა მასიური ხასიათის მიგრაციებს[888]. ინდოევროპელი ტომების გავრცე-

---

878. В.А. А л е к ш и н, Происхождение халафской культуры и проблема локализации индоевропейской прародины, Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского Нагорья и сопредельных стран, Ереван, 1990, стр. 43.

Е.Н. Ч е р н ы х, Циркумпонтийская провинция и древнейшие индоевропейцы, Древний Восток, этнокультурные связи, Москва, 1988, стр. 49.

879. И.М. Д ь я к о н о в, Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке, Кавказ и цивилизации Древнего Востока, Орджоникидзе, 1989, стр. 12.

880. О.М. Д ж а п а р и д з е, На заре этнокультурной истории Кавказа, стр. 375.

Н.А. Н и к о л а е в а, О прикартвело-индоевропейских контактах по археологическим данным, Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока, М., 1984, стр. 74.

881. რ. გ ო რ დ ა ნ ი, წინარეფერდული და ქართველური, თბილისი, 1985, გვ. 22.

882. П.М. Д о л у х а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

883. О.М. Д ж а п а р и д з е, На заре этнокультурной истории Кавказа, стр. 375.

884. И.М. Д ь я к о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

В.П. А л е к с е е в, Р.А. М и р т ч я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

885. И.М. Д ь я к о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 12,14.

886. В.И. Д а н и л е н к о, Неолит Украины, Киев, 1969, стр. 232.

887. Т.В. Г а м к р е л и д з е, Вич. Вс. И в а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 917.

888. И.М. Д ь я к о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ლების სხვა გზა, თ.გამყრელიძის და ვ. ივანოვის აზრით, აღმოსავლეთის მიმართულებით მიდიოდა შუააზიისაკენ. მაგრამ, მოძრაობის ამ გზაზე ჰალაფის კულტურის ნაკვალევი არ შეინიშნება. როგორც აღნიშნავენ, ამ დროს თითქოს საერთოდ არ ჩანს რაიმე კვალი მასიური გადაადგილებისა წინა აზიიდან აღმოსავლეთით[889]. თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის ვარაუდით, მიგრაციის პროცესი ძირითადად ინდოევროპელებს შეეხო. წინა აზიაში მათი მეზობელი სემიტური და ქართველური ტომები ამ დროს მხოლოდ უმნიშვნელოდ გადაადგილდნენ. მაგრამ, თუკი აქ მასიური მიგრაციის ვითარება იქმნება, მაშინ იგი ამ რეგიონში მოსახლე ტომებს მეტ-ნაკლებად ერთნაირად უნდა შეხებოდა. მონოგრაფიის ავტორთა აზრით, შუა აზიიდან ერთი ნაწილი ინდოევროპელი ტომებისა დასავლეთით ვრცელდებიან და ვოლგისპირეთის გზით სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლს აღწევენ, თავის „მეორე სამშობლოს", სადაც ამ დროს ყორღანული კულტურა იყო გავრცელებული[890]. გამოითქვა მოსაზრება, რომ არქეოლოგიური მონაცემები მზარს არ უპერს ინდოევროპული ტომების მოძრაობის ამ გზას[891]. აქედან ეს ტომები კიდევ უფრო დასავლეთით ვრცელდებიან, რის შედეგად ევროპის დიდი ნაწილი ინდოევროპული ხდება[892]. თუ დავუშვებთ ინდოევროპული ტომების შუა აზიიდან დასავლეთით სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში გავრცელების ვარაუდს, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ამ ტომების ერთი ტალღა კავკასიაში შემოსულიყო. როგორც არ უნდა გადაწყდეს ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის პრობლემა, მათი შემდგომი მოძრაობის საკითხი, ერთი თითქოს სავარაუდო უნდა იყოს, რომ მათი კავკასიაში გავრცელების ძირითადი გზა ძვ.წ. III ათასწლეულში ჩრდილოეთიდან მოდიოდა. ამ ტომებთან უნდა იყოს დაკავშირებული ყორღანული კულტურის აქ გამოჩენა. აქედან ამ კულტურის გაელენა ამიერკავკასიაში ვრცელდება, უპირატესად მის აღმოსავლეთ ნაწილში. აქ, ჩანს, ამ კულტურის მატარებელი ტომების შედარებით მცირერიცხოვანი ნაწილი შემოდის, ადგილობრივ მოსახლეობაში ითქვიფება და თითქმის მთლიანად მათ კულტურას ითვისებს. თუმცა ახლად მოსულებმა გარკვეული კვალი დააჩნიეს ცხოვრების საერთო ხასიათს და მათმა გამოჩენამ სათანადო გაელენა იქონია ენაზეც. ეს მოვლენა ამიერკავკასიაში გარკვეულად აისახა ანთროპოლოგიურ მასალაშიც[893]. ამიერკავკასიის სამხრეთით ამ ტომების გავლენა, ჩანს, შედარებით სუსტი იყო. ნაკლებ სავარაუდოა აზრი, რომ ინდოევროპელი ტომები, კერძოდ ხეთი-ნესიტები ანატოლიაში ჩრდილოეთიდან კავკასიის გავლით გავრცელდნენ[894].

უკვე კარგა ხანია მიექცა ყურადღება ინდოევროპული და ქართველური ენების ურ-

---

889. И.М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

890. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 947.

891. Е.Н. Черных, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

В.А. Сафронов, Проблемы индоевропейской прародины, Орджоникидзе, 1983, стр. 46.

892. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 939.

893. В.П. Алексеев, Р.А. Мкртчян, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

894. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1976, გვ. 278.

Дж.Г. Маккуин, Хетты и их современники в Малой Азии, Москва, 1983, стр. 24, 154.

И.В. Пьянков, Кавказ на пути древних этнических передвижений, Кавказ и цивилизации Древнего Востока, Орджоникидзе, 1989, стр. 112.

თიერთობის საკითხს. ისიც კი აღინიშნა, რომ წინარე ქართველურ და წინარეინდოევროპულ ენებს შორის ნათესაობა იმდენად დიდია, რომ ადრე მათი საერთო წინაპრის არსებობაც კია სავარაუდო, სადღაც მცირე აზიის რეგიონში[895]. წინარე ქართველურის ტიპოლოგიური სტრუქტურა ძლიერ წააგავს პროტოინდოევროპულს[896]. ქართველურ ენებში შენიშნული ინდოევროპული ელემენტები ამ ენათა შორის ადრე არსებულ კონტაქტებს უნდა მოწმობდეს. მაგრამ რა ხასიათის იყო ეს ურთიერთობა, სად და როდის ხორციელდებოდა, სადღეისოდ მთლად გარკვეული არ არის. ერთ-ერთი მიზეზი ამისა იმაში მდგომარეობს, რომ არც ინდოევროპული და არც ქართველური ტომების პირველსაცხოვრისის შესახებ ერთი აზრი არ არის. ზემოთ უკვე აღინიშნა, ინდოევროპული ტომების განსახლების თაობაზე გამოთქმული მოსაზრებანი. არც ქართველური ტომების პირველადგილსამყოფელის შესახებაა ერთიანი აზრი. ქართველური და ინდოევროპული ენობრივი დამთხვევების გამო ეარაუდობენ, რომ ამ ტომების თავდაპირველი განსახლების ტერიტორიების სიახლოვეა საგულისხმო. იმის მიხედვით, თუ სად უნდა ყოფილიყო ინდოევროპელების ადგილსამყოფელი, დაახლოებით იქნეა თითქოს საძებარი ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისი. ეს შეიძლება ყოფილიყო კავკასიის სამხრეთით[897] ან ჩრდილოეთით[898] და სხვ. აქვე ხორციელდებოდა კონტაქტები ამ ტომებს შორის, რამაც გარკვეული ასახვა ჰპოვა ენებში, განსაკუთრებით ქართველურში. ძველი ლიტერატურული ტრადიციებით, რომლებიც შემდეგში არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა გაიზიარა, ქართველი და, საერთოდ, კავკასიური ტომების პირველსაცხოვრისი უფრო სამხრეთით უნდა არსებულიყო. ისიც აღინიშნა, რომ ქართველური ტომები სამხრეთიდან კი არ მოვიდნენ, არამედ ჩრდილოეთიდან გავრცელდნენ[899] და რომ ცენტრი შესაძლოა მაიკოპის კულტურის არეალში იყო[900]. მაგრამ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების და სხვა მონაცემების საფუძველზე, სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი კავკასიური და, კერძოდ, ქართველური ტომების ადგილობრივი, ავტოხტონური წარმოშობის შესახებ.

არც ისაა მთლად ნათელი, თუ რა დროს უნდა შესულიყვნენ კონტაქტში ინდოევროპული და ქართველური ტომები. როგორც ჩანს, ურთიერთობა მათ შორის ძირითადად მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში უნდა დაწყებულიყო, ალბათ უფრო მის ფინალურ სტადიაზე[901]. მათი უფრო ადრეული კონტაქტები ნაკლებ სავარაუდო ჩანს[902]. არც ამ ტომების შეხვედრების რეგიონის შესახებაა ერთიანი აზრი. ფიქრობენ, რომ ქართველური

895. И.М. Дьяконов. О прародине носителей индоевропейских диалектов. Вестник Древней истории, 3. М., 1982, стр. 20.

896. И.М. Дьяконов. Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке, стр. 116.

897. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. დასახ. ნაშრომი.

898. И.М. Дьяконов. დასახ. ნაშრომი, გვ.27.

899. И.М. Дьяконов. О прародине носителей индоевропейских диалектов. Вестник Древней истории, 3. М., 1982, стр. 20.

900. И.М. Дьяконов. Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке, стр. 17.

901. О.М. Джапаридзе. На заре этнокультурной истории Кавказа, стр. 83.

902. П.А. Пикоалашвили. О прекартвело-индоевропейских контактах по археологическим данным. Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока, М., 1984, стр. 73.

და ინდოევროპული ტომების კონტაქტების ძირითადი არე ჩრდილო კავკასია უნდა ყოფილიყო, უფრო მისი ცენტრალური რაიონები, ყუბან-თერგის და მტკვარ-არაქსის კულტურების შეხვედრების არეალში[903]. ყუბან-თერგის კულტურას ინდოევროპელ ტომებს აკუთვნებენ[904]. ზოგიც იმ აზრისაა, რომ ამ ტომების ურთიერთობა ძირითადად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ხორციელდებოდა, რომელიც ინდოევროპული ტომების ადგილსამყოფელი იყო და მათმა ენამ სუფსტრატის როლი შეასრულა სამხრეთიდან გადმოსახლებული ქართველური ტომების ენაში[905]. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ზოგიც ამ ენების კონტაქტების ძირითად ადგილად სამხრეთით წინა აზიას გულისხმობს და სხვ. ვარაუდობენ, რომ გარკვეული კონტაქტები ინდოევროპულ და ქართველურ ტომებს შორის ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინციის ფარგლებშიც მიმდინარეობდა[906]. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ქართველური და ინდოევროპული ტომების ურთიერთობა ძირითადად ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიაში ყორღანული კულტურის მატარებელი ხალხის გამოჩენის შედეგი უნდა ყოფილიყო ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. აღსანიშნავია, რომ ამ კონტაქტების შედეგები უფრო მეტად ქართველურ ენაში აისახა, მაგრამ დღეს ძნელია გარკვევით თქმა იმისა, თუ კონკრეტულად რომელ ინდოევროპულ ენასთან ჰქონდა კავშირი ქართველურს. ამიტომ არ არის ჰეშმარიტებას მოკლებული ის აზრი, რომ ქართველურში ინდოევროპული წარმომავლობის ლექსიკა უცნობი ინდოევროპული ენისაგან უნდა იყოს შეთვისებული, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია[907]. თუმცა ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის, თუ რა დონეზე ხორციელდებოდა ეს კონტაქტები. საერთო ქართველურს ურთიერთობა ჰქონდა საერთო ინდოევროპულთან, თუ უკვე მისგან გამოყოფილ დიალექტებთან. უკანასკნელი მოსაზრება თითქოს უფრო საეარაუდო უნდა იყოს[908], თუმცა ის აზრიც არსებობს, რომ კავშირი ინდოევროპულ ტომებთან საერთო ქართველურიდან სვანურის გამოყოფის შემდეგ, ქართულ-ზანური ერთობის დონეზე ხორციელდებოდა[909], რაც ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს. ცხადია, საერთო-ქართველური ენის დაშლის პროცესი თითქოს რამდენადმე უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, ვიდრე ამას მანამდე ფიქრობდნენ[910]. მაგრამ არა გვგონია, რომ იგი ძვ.წ.III ათასწლეულის შუა ხანებზე ადრე განხორციელებულიყო. ეს ის დროა, როდესაც მტკვარ-არაქსის

---

903. Н.А. Николаева, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

904. В.А. Сафронов, Кавказ в раннебронзовую эпоху и проблема локализации индоевропейской прародины, Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока, ч. I, М., 1984, стр. 84.

905. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 244.

906. О.М. Джапаридзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 382.

907. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

А.Е. Кассий, Ранние индоевропейцы на Кавказе и в Северо-понтийских степях, Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского Нагорья и сопредельных областей, Ереван, 1990, стр. 169.

908. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 877.

909. Р.В. Гордезиани, Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений, Тбилиси, 1975, стр. 12.

რ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

ტ. �иძე, ქართველურ ენებზე მოქმედი უცხო ენობრივი გარემოს საკითხისათვის, ქართველურ ენათა დაშლის დროის საკითხისათვის, თბილისი, 1992, გვ. 7.

910. Г.А. Климов, В.М. Алексеев, Типология кавказских языков, М., 1980, стр. 167.

კულტურა შედარებით უფრო ფართოდ ვრცელდება დასავლეთ ამიერკავკასიაში. ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების ამიერკავკასიაში გამოჩენამ ეგებ უფრო დააჩქარა მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთით განფენა. შესაძლოა სწორედ ამ დროიდან იწყება თანდათანობით სვანურის საერთო ქართველურიდან განდგომის პროცესი[911]. ადრეყორღანული კულტურა ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც ვრცელდება, სადაც ამ დროისათვის ხური-ურარტული ტომების ადგილსამყოფელს ვარაუდობ ენ. შესაძლოა ხურიტულ ენაში შენიშნული ინდოევროპეიზმები ამის შედეგი იყოს.

ჩრდილო კავკასიურ ენებში ინდოევროპული ელემენტი, ჩანს, ძველი ორმოსამარხების, ყორღანული კულტურის კავკასიაში გაერცელების შედეგად აირეკლა. შესაძლოა მათი გარკვეული კონტაქტები ინდოევროპულთან უფრო ადრეც იყო, მაგრამ ჩრდილო კავკასიურ ენებში ინდოევროპული ენის ელემენტები ძირითადად ძველი ორმოსამარხების კულტურის მატარებელ ტომებთან ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ფიქრობენ, რომ წინარე-ჩრდილოკავკასიური ენის კონტაქტები ინდოევროპულთან ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა[912]. თუმცა ის აზრიც არსებობს, რომ ურთიერთობა ჩრდილოკავკასიურსა და ინდოევროპულ ენათა შორის კავკასიის ტერიტორიის მიღმა მიმდინარეობდა. ჩრდილო-კავკასიური ენების წინარე სამშობლო უფრო სამხრეთით მდებარეობდა და აქვე უნდა დაშლილიყო საერთო ჩრდილო-კავკასიური ენა ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღეურ ენებად. უფრო გვიან ეს ენები კავკასიის ჩრდილო რეგიონში ვრცელდებიან[913].

მართალია, კავკასიურმა ენებმა უკვე კარგა ხანია მიიქციეს მკვლევართა ყურადღება, მაგრამ ჯერ კიდევ ერთი აზრი არ არის როგორც მათი ერთმანეთთან დამოკიდებულების, ისე ამ ენების სხვა ლინგვისტურ ჯგუფებთან ურთიერთობის შესახებ. ენობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე ზოგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ კავკასიური ტომები მონათესავენი არიან და მათ ერთი საერთო წინარე ენა უნდა ჰქონოდათ, რომლის დაშლის შედეგად კავკასიური ენების სამი ძირითადი ჯგუფი უნდა წარმოქმნილიყო: აფხაზურ-ადიღეური, ნახურ-დაღესტნური და ქართველური. მაგრამ კავკასიური ენების გენეტური ნათესაობის შესახებ განსხვავებული აზრი არსებობს და ექვექვშია დაყენებული მათი სიახლოვის საკითხი[914], განსაკუთრებით ჩრდილო-კავკასიურ და სამხრეთ-კავკასიური ქართველურ ენათა შორის. ზოგიერთი მკვლევარი ჩრდილო-კავკასიური ენების პირველსაცხოვრისს კავკასიის გარეთ ვარაუდობს და მათ გენეტურ ნათესაობაში ეჭვი არ შეაქვთ. მათი აზრით, წინარე ჩრდილო-კავკასიურ ენებში გვხვდება სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სახეზეა საკმაოდ განვითარებული ნეოლითური კულტურა. არქეოლოგიური მონაცემები კი იმას მოწმობენ, რომ თითქოს, წარმოებითი მეურნეობის კომპ-

---

911. ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. გვ. 292.

912. ა.ს. კ ლ ე ს ი ნ, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

913. С.А. С т а р о с т и н, Культурная лексика в общекавказском словарном фонде. Дрешняя Анатолия, М. 1985, стр. 89.

914. Г.И. М а ч а в а р и а н и, Общекавказская консонантная система, Тбилиси, 1965, стр. 6.

С.А. Н и к о л а е в, С.А. С т а р о с т и н, Северокавказские языки: их место среди других языковых семей. Передняя Азия. Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока, ч. 3, М. 1984, стр. 28.

ლექსი ჩნდება ჩრდილო კავკასიაში არა უადრეს ძვ.წ. III ათასწლეულისა"[915]. მაგრამ, სწორედ არქეოლოგიური წყაროები, განსაკუთრებით უახლოესი აღმოჩენები, იმაზე მიუთითებენ, რომ კავკასიაში და განსაკუთრებით მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში ახალი ტიპის ეკონომიკა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან ისახება"[916]. იმ დროს, როდესაც კავკასიაში სამხრეთიდან ახალი ხალხის გადმონაცელებას ვარაუდობენ, აქ საკმაოდ მაღალი დონის ადგილობრივი კულტურების აყვავების ხანა იყო - სამხრეთში მტკვარ-არაქსისა, ჩრდილოეთში - მაიკოპისა. ამიტომ, არქეოლოგიური მონაცემები იმის საბუთად ვერ გამოდგება, რომ კავკასიური ტომები და შესაბამისად მათი ენები გარედან ვრცელდებიან. კიდევაც რომ დაეუშვათ ამ ტომების სამხრეთიდან გადმონაცვლება, რა დროც არ უნდა იგულისხმებოდეს, ისინი კავკასიაში ცარიელ ადგილას კი არ ჯდებიან, არამედ ინტენსიურად დასახლებულ რეგიონში, საკმაოდ მაღალი კულტურით. აღსანიშნავია, რომ ადრეული ხანის არც ერთ კულტურაში არ შეინიშნება ახალმოსულთა რაიმე შესამჩნევი ნაკვალევი. შეიძლება, რა თქმა უნდა, დაგვეშვა, რომ მოსული ტომები არცთუ ისე მრავალრიცხოვანი იყვნენ და მათ კულტურა ადგილობრივი აითვისეს, ენა კი თავისი გაავრცელეს. ამის მაგალითები არის ისტორიაში"[917]. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც ძირითადი მასა მოსახლეობისა ადგილობრივი რჩება, კულტურებიც რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდიან. როგორც არ უნდა გადაწყდეს კავკასიური ენების საკითხი, ყველა საფუძველი არსებობს იმის, რომ კავკასიის ტომების ავტოხტონური განვითარება დაეუშვათ და ის ვივარაუდოთ, რომ კავკასიაში მოსახლე ყველა ძირძველი ხალხი ეთნოკულტურულად ადგილობრივი წარმომავლობისაა.

მხოლოდ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისი ხანებიდან, როდესაც ჩრდილოეთიდან ყორღანული კულტურის მატარებელი ტომები, ინდოევროპელები იწყებენ გამოჩენას, შესამჩნევი ხდება გარკვეული ცვლილებები საზოგადოების ცხოვრებაში. მათთან კონტაქტმა, ჩანს, ამიერკავკასიაში გარკვეული გაელეხა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების პროცესზე. ნიშანდობლივია, რომ ეს მოვლენა ადგილობრივ ენებში ინდოევროპული ელემენტების გამოჩენით გამოიხატა. სამხრეთ კავკასიაში ინდოევროპული ტომების შემოსვლამ, ჩანს, ერთგვარად დააჩქარა მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საკმაოდ მკაფიოდ გამოიხატა ცვლილებები ცხოვრების ხასიათში. ძველი ნამოსახლარი ადგილები საბოლოოდ მიტოვებულ იქნა და საგრძნობლად ათხელდა მოსახლეობა ბარში. სულ უფრო და უფრო მეტად იგრძნობა ჩრდილოური გავლენები და საზოგადოება განვითარების ახალ, განსხვავებულ გზას დაადგა.

---

915. С.А. Старости и, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

916. О.М. Джапаридзе, На заре этнокультурной истории Кавказа, стр. 326.

917. И.М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

Otar Dshapharidse

ZUR ETHNOKULTURELLEN GESCHICHTE DER GEORGISCHEN STÄMME IM 3. JAHRTAUSEND V. CHR.

Zusammenfassung

In der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. sind im Leben der in Transkaukasien und namentlich in Georgien wohnenden Stämme wesentliche ethnokulturelle Veränderungen zu bemerken. Der stabile Charakter der beinahe dreitausendjährigen Ackerbaustammeskultur fällt endgültig auseinander. Die alte Lebensweise verändert sich wesentlich. Die Gesellschaft wählt einen neuen, andersartigen Entwicklungsweg. Es entstehen völlig neue Lebenstraditionen, die nur Geringes von den vorangehenden Kulturen aufnehmen. Der Charakter der Siedlungen verändert sich. Die alten Wohnorte werden verlassen, die Bevölkerung, die sich vermindert hat, sucht nach neuen Häusern; Es bleibt aber weiterhin unklar, wo und unter welchen Umständen diese Menschen ihr neues Leben beginnen. Heutzutage sind aus dieser Epoche hauptsächlich Gräber bekannt und die Rekonstruktion des neuen gesellschaftlichen Entwicklungssystems erfolgt vorwiegend auf ihrer Grundlage. Um diese Zeit verändert sich wesentlich die Bestattungssitte. Es entstehen individuelle Hügelgräber. Diese Art der Beerdigung hat keine einheimische Tradition. Eine derart auffällige Veränderung eines ethnografhischen Zeichens – des Bestattungsritus dürfte mit einigen Veränderungen im Ethnos der Bevölkerung verbunden sein. Die Verbreitung der Hügelgrabbestattung in Transkaukasien hängt bestimmt mit den Ereignissen zusammen, die nördlicher Herkunft sind. Diese Bestattungssitte war für die nördlich des Kaukasus wohnenden und die alten Gruben - Hügelgräberkulturen tragenden Viehzuchtstämme typisch. In der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. wird der nördliche Einfluß auf Osttranskaukasien immer stärker. Dies ist an der Lebensweise deutlich zu sehen. Die Orientierungssphären ändern sich und die Gesellschaft geht einen neuen, nördlichen, europäischen Entwicklungsweg.

Im 3. Jahrtausend v. Chr. werden im Norden Kaukasiens Viehzuchtstämme aktiv, die sich weit nach Westen ausbreiten und über die Steppen Südrußlands hinweg die Täler der Donau erreichen. Auf ihrem langen Weg drangen sie in die von einer Ackerbaubevölkerung besiedelten Zonen hinein und zerstörten die Stabilität ihrer Wirtschaft. Scheinbar ist das der Anfang jener großen Prozesse, die sich später im Laufe der Geschichte mehrmals wieder-

holen, und zwar des Auftretens der Nomadenstämme als einer die kulturelle Entwicklung hemmender Kraft. Offensichtlich blieb Transkaukasien in der Blütezeit der vorangehenden Kura - Arax - Kultur, von diesen Prozessen unberührt. Erst nach der Schwächung der Kura-Arax – Kultur in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. wird der nördliche Einfluß in Transkaukasien spürbar.

In den Steppen Südrußlands war das Hügelgrab - der Kurgan - die typische Grabform. Offensichtlich sollte das Hügelgrab im Schoße der nördlich von Kaukasien existierenden Grubengräberkultur am Ende des 4. Jahrtausends v.Chr. entstanden sein. Später begann die Wanderung der Stämme, die diese Kultur trugen, in verschiedene Richtungen, insbesondere nach Westen. Gemeinsam mit diesen Stämmen erscheinen auch die Hügelgräber. Als im 3. Jahrtausend v. Chr. eine kulturhistorische Einheit - die alte Grubengräberkultur, sich auf einer riesigen Fläche ausbreitete, wird das Hügelgrab zu ihrem charakteristischen Merkmal.

Das Aufkommen des Ritus der Hügelgrabbestattung in Osttranskaukasien in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. war wahrscheinlich mit den aus Norden kommenden Ereignissen, verbunden, obwohl sich dies in der Kultur sonst nur wenig abzeichnet. Die in den Hügelgräbern offenbarte Kultur fußte hauptsächlich auf einheimischer Tradition. Sollte die neue Bestattungssitte mit dem Erscheinen einer neuen Bevölkerung verbunden sein, dann haben die Neuankömmlinge hauptsächlich die einheimische Kultur angeeignet. Die Viehzuchtstämme übernahmen leicht die Traditionen der vergleichsmäßig höherer Kultur. Diese Stämme waren nicht zahlreich und mischten sich relativ schnell mit der einheimischen Bevölkerung. Aber, es ist zu denken, daß sie jedoch den endgültigen Zerfall der vorangehenden Kura - Arax - Kultur, welche die wirtschaftliche Krise nicht überwinden konnte, beschleunigten.

Der nördliche Einfluß verschwand offenbar nicht spurlos, sondern bestimmte die allgemeine Lebensweise in Transkaukasien. Die alten Wohnorte verödeten und die Lebensweise der Gesellschaft scheint sich völlig geändert zu haben. Aber wie der neue Lebensweg aussah, ist noch nicht klar zu sehen. Denn bisher sind nur Materialien bekannt, die die Gräber enthalten. Wo lagen die damaligen Siedlungen? Wie waren sie geplant? Wie sahen das Bauwesen und die Architektur aus? Was war die wirtschaftliche Grundlage der Bevölkerung? Diese Fragen sind schwer eindeutig zu beantworten. Aber daß in dieser Zeit das Bauwesen gut entwickelt war, beweisen die Grabbauten aus Stein und Holz, die in den Hügelgräbern entdeckt worden sind. Es ist zu vermuten, daß die Wohnhäuser vorwiegend aus Holz waren, und daß Stein

und Lehm für die Bauzwecke weniger benutzt wurde.

Die Grabkammer ist genetisch mit dem Wohnhaus verbunden. Die mit den frühesten Hügelgräbern gleichzeitigen Siedlungen sind bis jetzt noch fast unbekannt. Deswegen ist es schwer zu sagen, wie die damalige Wirtschaft, d.h. der Ackerbau aussah. Man kann sagen, daß es in der Zeit der frühen Hügelgräber feste und starke Gemeinschaften gab. Ohne diese ware es nicht möglich, solche großen Hügelgräber zu bauen. Außerdem enthalten die frühen Hügelgräber ein ziemlich kompliziertes Gebäude, für das außer Erde auch große Stein - und Holzkonstruktionen benutzt wurden. Deswegen ist es zu vermuten, daß die Durchführung dieser Arbeiten eine ziemlich ansässige Lebensweise voraussetzte.

Die Kultur der frühen Hügelgräber ist in Osttranskaukasien im Osten und dem Zentralgebiet in Aserbaidshan und Georgien bekannt. Weiter südlich, im Ararattal und seiner Umgebungen sind die Spuren dieser Kultur seltener zu finden. Es ist bemerkenswert, daß die frühen Hügelgräber südlich von Transkaukasien fast nicht vorkommen. Auch in Westgeorgien, in der Kolchis wurden bisher noch keine von ihnen entdeckt.

Die Kultur der frühen Hügelgräber umfaßt ganz Ostgeorgien; sowohl Flach - als auch Bergland. Die Hügelgräber sind heutzutage aus Trialeti - Tsalkaplateau, aus Martkhopi und Samgori bei Tbilissi, aus dem Iori - Alasani - Becken und aus Schida - Kartli bekannt.

Über fünfzig Jahre sind es vergangen, seit dem es in Trialeti - im Hochgebirge in Südgeorgien - zum ersten Mal eine Kurgankultur der Bronzezeit entdeckt wurde. Eine Gruppe der Hügelgräber ordnete B. Kuftin in die früheste Stufe der Bronzezeit ein. Die neuesten Forschungen der Fundorte des frühen Stadiums der Hügelgräberkultur sind durch herforragende Entdeckungen gekrönt, die Licht auf eine Reihe außerordentlich wichtigen Fragen werfen. Man unterscheidet zwei Gruppen der Fundorte der frühen Hügelgräberkultur. Die erste stellt die frühere Martkhopietappe dar, die andere - die Bedenikultur.

Eine interessante Gruppe der Hügelgräber befindet sich unweit von Tbilissi, im Dorf Martkhopi. Hier sind sechs Hügelgräber beider Gruppen ausgegraben. Die frühen Hügelgräber unterscheiden sich in der Struktur ihrer Aufschüttung kaum von einander. Die Aufschüttung besteht im oberen Teil aus Erde, im unteren aus Steinen. Die Grabkammer liegt im Zentrum des Hügelgrabes, direkt auf der Oberfläche, unter der Steinaufschüttung. In einem Hügelgrab war die Grabkammer aus Steinplatten gebaut, in den anderen bestand sie aus Holzbalken. Die Grabkammer des Hügelgrabes N1 war aus Steinplatten gebaut (Abb.2. Taf.I). Das trocken gebaute Gebäude war vi-

ereckig (Taf.II). Die Überdachung war vermutlich in Form einer Steinkuppel aus flachen Steinplatten. Auch der Boden war mit Steinplatten belegt. Man fand in der Kammer keine Totenreste. Außer Keramik fand man Perlmutteranhänger unterschiedlicher Form, eine Steinaxt, bronzene Pfeilspitzen usw (Abb.3.Taf.III).

Besonders zu erwähnen ist das große Hügelgrab N4 der Martkhopi - gruppe, in dessen Zentrum sich eine gut erhaltene hölzerne Kammer befindet. Der Durchmesser dieses Hügelgrabes reicht über 100 m hinaus, die Höhe erreicht 12,0 m. (Abb.9. Taf. IX). Im Zentrum des Hügelgrabes, unter dem Steindamm befand sich eine gut erhaltene Grabkammer aus Holzbalken. Die Kammer bestand aus zwei, ineinandergestellten Bauten (Abb.10.Taf.XII). Der Raum zwischen den Bauten war mit großen Steinen ausgefüllt. Die Maßen des äußeren Baus betrugen 11, 0 m X 10,0 m; des inneren - 8,0 m X 6,0 m; die Höhe - 2,0 m. Die Wände waren aus 9 gewaltigen Eichenstämmen errichtet, die an den Ecken stabil befestigt waren (Abb.11. Taf. XII). Der Boden war mit Steinplatten belegt (Taf. XIII). Die Bedachung war wahrscheinlich aus Holzbalken, von der aber keine Reste erhalten blieben.

Im zentralen Teil der Kammer lagen einige Tote. Alle vier Wände entlang lag das Tongeschirr (Abb. 17. Taf. XX,XXI). Das ziemlich reiche Grabinventar bestand aus zahlreichen Anhänger von verschiedenen Formen, Karneol - und Fritteperlen (Abb.15.Taf.XVII, XVIII), Anhänger aus Zähnen und Hauern von verschiedenen Tieren (Abb. 16. Taf. XI.?), bronzenen und silbernen Schläfenringe, goldenen und silbernen Halsketten. Hier wurden zwei breite Goldringe gefunden (Abb.15. Taf. XVI). Im Hügelgrab N4 gab es viele bronzene Waffen - Dolche, Pfeilspitzen, Flachäxte, Äxte u. a. m. (Abb. 12, 13.Taf. XIV.XV). Ein ähnliches Hügelgrab, sowohl der Konstruktion als auch dem Grabinventar nach wurde bei Dorf Magaro im Iorital erforscht (Abb.35,46. Taf. XXXI, XXXII).

Interessant ist das Hügelgrab N6 von Martkhopi, in dessen Mittelteil, auf dem Boden einer mit großen Steinen gefüllten Grube ein mit Steinplatten belegter Fußboden entdeckt wurde (Abb.32,33. Taf. XXVIII). In der Südwestecke wurde ein schwarzpoliertes großes Gefäß entdeckt, das mit reliefierten Spiralen verziert war (Abb. 34. Taf. XXIX). Auf der gesamten Bodenfläche waren Viehknochenreste verstreut. In allen vier Ecken des Bodens wurde Stierskelette gefunden. Die Stierköpfe lagen in den Ecken der Grube, die Hinterteile im Mittelteil des Fußbodens. Bei einem Stierkopf wurde zwischen den Hörner eine bipyramidele bronzene Pfeilspitze gefunden (Abb. 34).

Die Funde aus den Hügelgräber zeugen von dem weiteren Aufschwung

des Handwerks. Die Keramik aus den Martkhopi Kurganen ist vielfältig. Sie ist hauptsächlich schwarzpoliert, gut modeliert und zeichnet sich durch Feinheit der Formen aus (Abb.5,7. Taf. V,VII,VIII,XX,XXI). Unter der Keramik sind besonders die großen birnenförmigen Gefäße zu nennen, große Krüge mit schmalen Boden, bipyramidale Gefäße usw. Die Keramik ist häufig mit graviertem oder reliefiertem geometrischen Ornament verziert. Trotz einiger Unterschiede zeigt die Keramik, die insgesamt einen einheitlichen Charakter besitzt, eine genetische Verwandtschaft zu dem Tongeschirr der vorangehenden Kura - Araxs - Kultur. Eine Ähnlichkeit ist auch in den Metallgegenständen zu bemerken. Besonders erwähnenswert ist es, daß in dieser Zeit die Metallurgie in Vordergrund tritt. In den Hügelgräbern von Martkhopi sind Metallwaffen und - schmuck gut dargestellt. Besonders reich an Metallproduktion ist das große Hügelgrab N4 von Martkhopi. Hier wurden vier völlig identische Äxte gefunden. Sie sind gut bearbeitet, eine von ihnen ist mit Tannenzweig - Muster verziert (Abb. 12). Diese Form der Äxte hat sich in einer späten Stufe der Kura - Araxs - Kultur entwickelt und setzt sich bis in die Zeit der frühen Hügelgräber fort. Diese Axtform ist in Nordkaukasien und sogar weiter verbreitet. Daneben fand man in diesem Hügelgrab drei Flachäxte - eine Form, die seit der Vorzeit existiert und später auch in Vorderasien und Kaukasusgebiet bekannt ist.

Fast in allen Hügelgräbern dieser Zeit werden flache, blattförmige Dolchklingen gefunden (Abb.14. Taf. XV). Diese primitive Waffe unterscheidet sich von den Dolchklingen der Kura - Araxs - Kultur und nähert sich den nordkaukasischen Waffen. Blattförmige Waffen sind für die alte Grubengrabenkultur typisch. Diese Waffenart kommt mit der Entwicklung der Hügelgräberkultur nach Transkaukasien. In einem Hügelgrab in Martkhopi wurde eine silberne blattförmige Dolchklinge gefunden. Heutzutage ist sie die älteste Waffe, die aus Edelmetall angefertigt ist (Abb.6. Taf. IV).

Für die Martkhopietappe der frühen Hügelgräberkultur sind die bronzenen pyramidalen Pfeilspitzen typisch (Abb.14. Taf. XV). Pfeilspitzen dieser Art sind weder in den vorangehenden, noch in den nachfolgenden Kulturen zu finden. Es ist zu bemerken, daß es um diese Zeit noch keine Pfeilspitzen aus Knochen und Stein gibt. Ähnliche pyramidenförmige Pfeilspitzen wurden nur in Tschetschenien in einem Grab gefunden.

In einem Hügelgrab von Martkhopi wurde eine mit einer Durchbohrung versehene, gut bearbeitete Steinaxt gefunden (Abb.3. Taf. III). Auch im Hügelgrab von Samgori lag eine flache Steinaxt (Abb. 45). Steinäxte mit Durchbohrung trifft man in dieser Zeit in Georgien und überhaupt in Transkaukasien selten an. Einige Steinäxte wurden auch in den frühen Hügelgräbern

Aserbaidshans gefunden. In Nordkaukasien und Südrußland sind dagegen die durchbohrten Steinäxte gut bekannt. Dort sind sie in einem ziemlich langen Zeitabschnitt vertreten.

Das große Hügelgrab N4 von Martkhopi war besonders reich an Schmuck. Man fand hier bronzene Perlen und Schläfenringe, silberne und goldene Perlen, breite goldene Ringe usw. Besonders interessant ist der Goldschmuck aus dem Hügelgrab N2 von Ananauri, im Alasanital: goldene Doppelvolutenanhänger, goldene und silberne Perlen (Abb.51). Besonders zu erwähnen ist ein massiver Anhänger, der wahrscheinlich den Mittelteil einer Halskette darstellt (Taf.XXXIV). Die Zylinderförmige Goldperlen stehen den ähnlichen Perlen aus dem Hügelgrab N4 von Martkhopi nahe. In diesem Kurgan wurden breite Goldringe gefunden. Solche breite Goldringe gibt es auch im Hügelgrab N4 von Martkhopi. Außer den Schläfenringen gibt es ähnliche Schmucksachen aus Gold weder in Nordkaukasien, noch in Vorderasien. Dies spricht von dem einheimischen Charakter der Goldschmiedeproduktion. In der frühen Hügelgräberkultur entwickelt sich eine ziemlich hohe Juwelierkunst, die keine Vorläufer hat, denn die vorangehende Kura - Araxs - Kultur, kennt trotz einer hochentwickelten Metallindustrie, keine Gegenstände aus Edelmetalle. Es ist bemerkenswert, daß auch die nordkaukasische Maikopkultur ein hohes Niveau der Goldschmiedekunst erreicht.

Es wurde bereits erwähnt, daß die Entwicklung der Goldschmiedekunst in Kaukasien die Folge der Kontakte zu der vorderasiatischen Welt sein sollte, aber wie sich diese Beziehungen im Süden äußerten, ist immerhin unklar. Es ist zu vermuten, daß einer der Hauptwege über Transkaukasien führte, obwohl es auch die Meinung besteht, daß die Kontakte zwischen Nordkaukasien und dem Süden sich über das Schwarze Meer verwirklichten. Anscheinend verbreiten sich die Gegenstände aus Edelmetall in Transkaukasien in der Zeit der Kultur der frühen Hügelgräber.

In den Hügelgräbern von Martkhopi wurde Fritte - und Karneolperlen gefunden. Bei den Karneolschmuckstücken herrschten verhältnismäßig große Perlen in dreieckiger Form vor (Abb.15. Taf.XVIII). Hier fand man Perlmutteranhänger in verschiedenen Formen (Taf. XVII), flache Perlen aus Knochen und, was besonders bemerkenswert erscheint - Anhänger aus Tierzähnen und - hauern (Abb.16. Taf.XIX). Solche Anhänger kennt man kaum aus den frühen transkaukasischen Kulturen, sie sind aber aus den Gräbern Nordkaukasiens und der nördlichen Schwarzmeerküste seit ziemlich früher Zeit gut bekannt.

Besonders zu nennen sind die zahlreichen figürlichen Anhänger aus Perlmutt: runde, manchmal mit eingekerbten Rändern und einem Loch in der

Mitte, andere rund mit seitlichen Vertiefungen, wieder andere viereckig mit eingekerbten Ränder usw (Taf. XVII). Sie dienten wahrscheinlich zur Verzierung von der Kleidung oder anderer Gegenstände. Dem Perlmutt - Schmuck anderer Art begegnet man auch in den frühen Gräbern Nordkaukasiens.

In der Zeit der frühen Hügelgräberkultur entwickelt sich die sogenannte Bedeni - Kultur. Das Problem der Beziehungen zwischen den Etappen innerhalb der frühen Hügelgräberkultur ist immerhin ungelöst. Es scheint, daß sich die beiden Kulturgruppen - Martkhopi und Bedeni in Transkaukasien ungefähr zur gleichen Zeit, am Endstadium der Kura - Araxs - Kultur entwickeln. Eine Zeitlang koexistieren sie mit der Kura - Araxs - Kultur. Das kann man gut an späten Kura - Araxs- Siedlungen sehen, an denen teils die Koexistenz der Bedeni, teils der Martkhopigruppe bewiesen wurde. Aber diese Beziehungen waren nicht langfristig und seit der Kura - Araxs - Kultur gab es in diesen Siedlungen kein Leben mehr. Sie wurden in der Zeit der frühen Kurgane verlassen und das Leben wurde dort endgültig unterbrochen. Scheinbar könnte sich die Bevölkerung, die die frühe Hügelgräberkultur trug, an das stabile, ansässige Leben nicht gewöhnen.

Die Bedenikultur hat jedoch ihre Eigenart. Obwohl die Menschen hauptsächlich in den Hügelgräbern beerdigt wurden, sind es trotzdem am Bestattungsritus Neuerungen zu beobachten. In dieser Zeit verbreitet sich die Sitte, die Toten mit einem vierrädrigen Wagen aus Holz zu beerdigen. Auch das Grabinventar ist verschiedenartig. Die Kurgane der Bedenizeit sind mit Gruben ausgestattet. Manchmal ist in der Grube ein Holzbalkenbau zu sehen oder die Wände der Grube sind mit senkrechten Holzbalken befestigt. Die Verwendung der Holzbalkenkonstruktion ist für die Maikop - und die alte Grubengräberkultur charakteristisch. Die Bestattungssitte im hölzernen vierrädrigen Wagen scheint südlicher Herkunft zu sein und entsteht in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. Im Süden ist diese Sitte seit dem Ende des 4. Jahrtausends bekannt. Diese Bestattungssitte verbreitet sich aus Transkaukasien weiter nach Norden. Die Bestattung mit vierrädrigen Wagen ist auch für die Kultur der Grubengräber üblich. Es gibt aber auch die Meinung, daß der Brauch, mit Wagen zu begraben, die Steppen Südrußlands über einen anderen Weg, aus Mittelasien über die Nordküste des Kaspischen Meeres erreicht.

Die Epoche der Bedeni - Kultur erfaßt einen großen Teil Ostgeorgiens, sowohl Niederungen als auch Hochgebirge. Die äußerste westliche Grenze dieser Gebiete verlief in Schida Kartli - bis Berg Lichi. Schida Kartli, wie auch das Iori - Alasani - Tal, Südgeorgien, die Hochebenen von Bedeni und

Zalka, Kwemo Kartli waren in der Zeit offenbar am dichtesten besiedelt. Unweit von Kareli wurde die Siedlung Berikldeebi, die zur Bedeni - Kultur gehört, ausgegraben. Nicht weit von der Siedlung wurden einige Hügelgräber entdeckt, die eine für die Bedeni - Kultur charakteristische Keramik enthalten. In Trialeti, in den Hochebenen von Zalka und Bedeni sind große Kurganengruppen aus jener Zeit entdeckt. Die Kurgane von Zalkaplateau enthalten vorwiegend Keramik. In einem Hügelgrab fand man silberne Schläfenringe (Taf. XXXIII), eine goldene Nadel mit Doppelvolutenkopf (Taf.XLII), in dem änderen - Metallwaffen und drei Verschalungen aus dünnem Goldblech.

Interessantes Material liefern die Kurgane der Hochebene von Bedeni. Die Mehrzahl der Kurgane ist von kleinen Ausmaßen, es sind aber auch größere Hügelgräber anzutreffen. Fast alle Hügelgräber von Bedeni sind mit Gruben ausgestattet. Der Boden aus gestampftem Lehm ist mit Filz, Bastmatten oder Fellen wilder Tiere belegt. In die Grabgrube wurde ein vierrädriger Wagen gestellt. Besonders erwähnenswert ist das große Hügelgrab von Bedeni. Es enthält ein interessantes Grabinventar. In der Grube befand sich ein rechteckiges Gebäude, dessen Wände aus senkrecht angeordneten Eichenstämmen errichtet waren. Auch der Fußboden und die Überdachung waren aus Eichenbalken. Im Mittelteil des Bauwerks war ein Ruhelager mit einer Bahre und einem vierrädrigen Wagen. Als Grabbeilage waren Speisevorräte, Wollgewebe, Filz, zahlreiche Gefäße aus Keramik und Holz deponiert. Das Hügelgrab enthielt reichlich Metallgegenstände: silberne Plättchen und Röhrchen, bronzene Nadeln mit scheibenförmigem Kopf, goldene Nadel (Taf. XLII), einen Meißel, eine Axt usw. Besonders erwähnenswert sind die hervorragenden Obsidian - und Feuersteinpfeilspitzen, die offenbar für den Prunk bestimmt waren (Taf.XL).

In der Zeit der Bedeni - Kultur wird das Alasani - Tal in Kacheti intensiv besiedelt. Unter den Fundorten dieser Zeit sind zwei riesige Hügelgräber aus Znori und ein großes Hügelgrab aus dem Dorf Bakurziche zu nennen. Die Höhe des größten Hügelgrabes aus Znori erreichte 11,0 m, der Durchmesser - 160 m. Im Mittelteil des Hügelgrabes, an der Oberfläche, unter der Steinaufschüttung war ein rundes Gebäude aus Stein, das mit Bastmatten belegt war. Die drei Meter tiefe Grabgrube, die von einer doppelten Balkenschicht bedeckt war, nahm eine Fläche von 16 m^2 ein. In der Grabkammer fand man Reste eines hölzernen Wagens, Perlen aus Gold und Karneol, Feuerstein - und Obsidianpfeilspitzen, zahlreiche schwarzpolierte Keramik usw.

Noch interessanter ist das zweite, vergleichsmäßig kleine Hügelgrab. In seinem Mittelteil war eine große Grube, die in zwei Schichten mit Balken ausgestattet war. Das Grabinventar bestand aus zahlreichen bipyramidalen

Perlen, zwei silbernen Armreifen, einer silbernen Nadel mit einem Doppelvolutenkopf, einer goldenen Nadel, einem Goldplättchen mit gebogenen Rändern, einem goldenen Röhrchen und schließlich der goldenen Figur eines Löwen (Taf. XLII). Im Mittelteil des Grabes stand ein hölzerner vierrädriger Wagen, in dem unzählige schwarzpolierte Keramik gefunden wurde.

Das Material aus den Fundorten der Bedeni - Kultur wirft ein neues Licht auf die komplizierten Prozesse innerhalb der Gesellschaft zu Beginn der Blüte der Trialeti - Kultur in der mittleren Bronzezeit. Die Funde zeugen vom Aufschwung des handwerklichen Könnens. Auffällig ist die künstlerische Qualität der Massenproduktion - der Keramik. Sie ist vorwiegend dünnwändig, aus feinem Ton hergestellt und so sorgfältig poliert, daß die schwarze Oberfläche Metallglanz gewinnt und sogar einen silbernen Farbton annimmt. Es überwiegen Kleinformen: Gefäße mit einem Henkel, manchmal mit einem zylindrischen Hals und einem kugelförmigen oder bikonischen Körper (Taf.XXXV), zweihenklige tiefe Töpfe, Krüge, "Dreifuß" - Schalen usw. Größere Gefäße sind eiförmig oder kugelrund und haben einen niedrigen oder geraden Hals (Abb.30. Taf. XXVII). Ein feines geometrisches Muster ist das vorwiegende Dekor dieser Keramik (Abb. 29. Taf. XXVI). Man begegnet einem Ornament aus Wölbungen und Vertiefungen, sowie einem "Perlen" - Ornament (Taf.XXXV). Diese Keramik unterscheidet sich wesentlich von der Keramik der Gruppe der frühen Kurgane und weist bestimmte Züge auf, die für das Tongeschirr der folgenden Epoche, der Zeit der Blüte der Trialeti - Kultur charakteristisch sind. Neben diesem, mit feinstem Ornament verziertem Tongeschirr findet man auch gut bearbeitetes Holzgeschirr. Auch die Metallproduktion ist um diese Zeit ziemlich fortgeschritten. Neben den alten Formen entstehen neue Metallgegenstände: Äxte, Flachbeile, Meißel (Abb.25;28. Taf. XXIII). Unter den Kampfwaffen ist die Dolchklinge die verbreiteteste. Sie ist primitiv, flach und blattförmig (Abb.28. Taf. XXXVIII). In einem Kurgan aus Bakurziche wurden zwei Lanzenspitzen gefunden (Abb.53). Nennenswert sind die fein geförmten Obsidian - und Feuersteinpfeilspitzen, die offensichtlich keinen praktischen Wert besaßen und als Grabbeilage zum Bestattungsritus gehörten (Abb. 28. Taf. XL). Bronzeschmuck kommt in den Gräbern aus dieser Zeit seltener vor. Hauptsächlich findet man Schläfenringe und Halsketten. Besonders zu erwähnen ist die Tatsache, daß zur Bedenizeit das erste Mal zinnhaltige Bronzegegenstände erscheinen. Zinn wird in Kaukasien nicht gewonnen, so müste es vom Süden importiert sein, obwohl das Vorhandensein kleinerer Zinnvorräte in Kaukasien nicht auszuschließen ist. In der Bedenizeit wird die Zinnbronze erfolgreich produziert, obwohl es überwiegend Arsenbronze hergestellt wird.

Die Goldschmiedekunst erlebt in der Bedeni - Kultur einen weiteren Aufschwung. Man findet Edelmetallsachen vom hohen künstlerischen Wert. Nennenswert sind die goldenen und silbernen Nadeln mit einem Doppelvolutenkopf, die mit einem reliefierten Ornament verziert sind (Taf.XLII). Gold - und Silberperlen verschiedener Form, Röhrchen, Schläfenringe, Plättchen etc. (Abb.25).Besonders zu erwähnen ist die goldene Figur eines Löwen, die im Kurgan in Znori gefunden wurde (Taf.XLII). Dieser Fund ist die erste plastische Darstellung in Transkaukasien. Die Gesichtszüge der Kleinplastik wiedergeben aber schlecht die charakteristischen Merkmale eines Löwen. Dadurch unterscheidet sich diese Löwenfigur von den Löwendarstellungen aus dem Alten Orient. Vielleicht wurde sie von einem einheimischen Meister gemacht, der dieses, für die kaukasische Fauna fremde Tier wenig kannte und seine Eigenschaften schlecht darstellen konnte?

Die Bestattung in Hügelgräbern ist möglicherweise mit den Bevölkerungsbewegungen innerhalb der Gesellschaft verbunden. Mit dem Erscheinen eines fremden Ethnos verbreitet sich ein neuartiger Grabtyp. Die frühesten bekannten Hügelgräber Osttranskaukasiens können mit den in Nordkaukasien verbreiteten ähnlichen Gräbern in Verbindung gebracht werden. Aber am Grabinventar ist einfalls schwacher nördlicher Einfluß zu bemerken. Deswegen ist anzunehmen, daß die frühen Hügelgräber aus dem Norden stammenden fremdländischen Personen gehörten, die eine Zeitlang in der Gesellschaft eine privilegierte Stellung einnahmen.

Offensichtlich hat die erste Welle der Neuankömmlinge die gesellschaftliche Lebensweise wenig verändert. Auch die Art der Wirtschaft hat sich nicht umgestaltet. Die Neuankömmlinge vermischten sich mit der einheimischen Bevölkerung. Funde aus manchen späten Kura - Araxs - Siedlungen zeugen von ihrer Koexistenz. Dies ist besonders deutlich an der Keramik aus diesen Siedlungen zu sehen, die bereits Elemente des Tongeschirrs der frühesten Hügelgräber erkennen läßt. Der Charakter dieser Siedlungen ist wenig verändert. Anscheinend war diese erste Welle der Ankömmlige nicht stark genug, um die einheimische Kultur endgültig zu zerstören. Im Gegenteil, es scheint, daß die Nomaden vieles von der bodenständigen Bevölkerung übernahmen und sich ihr assimilierten. Aber trotzdem berührte das Neue das gesellschaftliche Leben, vor allem auch die Wirtschaft. Vielleicht hat es auch den Zerfall der Ackerbaugesellschaft der Kura - Araxs - Kultur beschleunigt.

Ein Grabinventar aus Korinto bei Achalgori zeigt nördlichen Einfluß. Es besteht aus fünf Tongefäßen, die in ihrer Form, ihrer Machart und ihrem Ton von der georgischen Keramik dieser Zeit unterscheiden (Abb. 61. Taf. XLIV). Besonders bemerkenswert sind drei Hammerkopfnadeln aus Kno-

chen, die in diesem Grab gefunden wurden. Die kleine Nadeln sind gut geformt (Abb.61; Taf. XLIII). Nadeln dieser Art kennt man gut aus Nordkaukasien und den südrussischen Steppen aus der Zeit der alten Grubengräber - und Katakombenkultur. Dies ist der erste Fund diesartiger Nadeln in Transkaukasien. Südlich von Transkaukasien sind Nadeln dieser Art nicht bekannt. Im gleichen Grab wurde eine kleine bronzene Nadel mit einem schlingenförmigen Kopf entdeckt (Abb.61. Taf. XLIII). Schlingenkopfnadeln sind bereits aus der späten Stufe der Kura - Arax-Kultur bekannt. Eine Keule aus Sandstein aus dem Korintograb ist kugelförmig (Abb. 61.Taf. XLIV). Kugelförmige Keulen erscheinen in Osttranskaukasien ziemlich früh, man findet sie auch in Nordkaukasien. Sehr interessant sind auch die Anhänger aus Hundezähnen, die in diesem Grab entdeckt wurden (Taf. XLIV). Ähnliche Anhänger wurden in den großen Hügelgräbern von Martkhopi und Bodbe entdeckt. Anhänger aus Tierzahn trifft man in den frühen Hügelgräbern sonst selten an. Im Norden dagegen war der Tierzahn und Tierhauerschmuck verbreitet. Anhänger aus Hundezähne und Tierhauer kennen wir aus der alten Grubengrab - Kultur. Man kann vermuten, daß in dem Grab von Korinto eine vom Norden gewanderte Person bestattet war.

Man kann an der in Georgien untersuchten frühen Hügelgräbern das Bild der Gesellschaftsstratifikation gut ablesen. Die Existenz gewaltiger Hügelgräber, deren Errichtung bedeutenden Arbeitsaufwand verlangte, die komplizierte Bestattungssitte, das reiche Grabinventar usw, zeugen von bedeutenden Wandlungen, die in der Gesellschaftsverhältnissen vor sich gingen. Es entsteht um diese Zeit wahrscheinlich eine fortgeschrittene, aristokratische Schicht, die bestimmte wirtschaftliche und politische Stärke erreicht. Die großen Kurganen könnten möglicherweise die Gräber der Stammesführer sein. Wie die einfache Bevölkerung bestattet wurde, ist noch unklar: hierfür wurden anscheinend kaum Hügelgräber benutzt.

Die Herkunft und die ethnische Zugehörigkeit der Träger der frühen Hügelgräber - Kultur sind noch schwer zu bestimmen. Hat sich die Bevölkerung geändert oder führte die Kultur der frühen Hügelgräber zu keinem großen ethnischen Umbruch? Es wurde bereits betont, daß die neuen Ereignisse die Kultur wenig beeinflußten. Im Gegenteil, die kulturelle Tradition der früheren Zeit besteht weiter. Vielleicht bedeutet dies, daß in der Bevölkerung keine besonderen Veränderungen vorgingen.

In der 2. Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. werden die nördlichen Einflüsse im Osten Transkaukasiens aktiver, was wahrscheinlich die Wanderung eines Teiles der Bevölkerung nach Süden zu Folge hatte. Diese Bevölkerung assimilierte sich den einheimischen Stämmen. Es ist noch schwer zu sagen,

wer diese Neuankömmlinge waren. Es gibt die Meinung, daß um diese Zeit im Norden des Kaukasus die Indoeuropäer zu Hause waren. Vielleicht nahmen auch diese Stämme an der Wanderung nach Süden teil. Indoeuropäische Elemente, die es in den kartwelischen Sprachen gibt, spiegeln dies vielleicht wieder.

In der Frage der Datierung der Kultur der frühen Hügelgräber ist noch nicht alles klar. Man könnte allgemein sagen, daß sie sich im Osten Transkaukasiens in der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. ausbreitet.

`Auf die Frage, wann, auf welcher Etappe diese Kultur erschien und wie lange sie dauerte kann man noch keine genaue Antwort geben. Scheinbar ist ihr erstes Auftreten mit dem Endstadium der Kura - Araxs - Kultur gleichzeitig. In einigen Siedlungen koexistieren die Keramiken der Kura - Araxs - und Frühhügelgräberkulturen. Das oberste Datum der Kura - Araxs - Kultur scheint von der Anfangsetappe der Kultur der frühen Hügelgräber nicht sehr entfernt zu sein. Heutzutage gibt es einige Radiokarbondaten. Für die früheste Gruppe gibt es C-14 Daten des Hügelgrabes N4 von Martkhopi (Amerikanisches Labor: gx - 9252:2083±155 v. Chr.; Labor der Universität Tbilissi - TB 325: 2028±-80 v. Chr.; Labor der Sankt Petersburger Filiale des Archäologischen Instituts: E - 2198: 1690±40 v. Chr.; Labor der Akademie der Wissenschaften der ehemaligen DDR Ber. - 291; 1930 ± 60 v. Chr.). Die C-14 Daten sind unterschiedlich und das genaue Alter läßt sich deswegen schwer bestimmen. Vielleicht wäre es richtiger, die ältesten Hügelgräber mit der Mitte der zweiten Hälfte des 3. Jahrtausends v. Chr. zu datieren.

Zur Zeit gibt es einige **Radiokarbondaten** für die Bedeni - Kultur: Hügelgrab N3 von Martkhopi - C-14 = TB-317:1800:50.

Hügelgrab N5 von Martkhopi - TB-809:2040±90 und TB 813: 2060±100 v. Chr.

Hügelgrab N1 von Znori - C-14 = 2170±50:90 (Universitätslabor Los Angeles) und 1890 v. Chr. (Universitätslabor Tbilissi).

Hügelgrab von Chramebi TB - 242:2200±50 v.Chr.

Die Bedeni - Kultur läßt sich mit dem Ende des 3. Jahrtausends v. Chr. datieren.'

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. მარტყოფის N I ყორღანის ხედი. დასაკრძალავი კამერა.
ტაბ. II. მარტყოფის N I ყორღანის დასაკრძალავი კამერა.
ტაბ. III. მარტყოფის N I ყორღანის ინვენტარი.
ტაბ. IV. მარტყოფის N 2 ყორღანის ხედი. ლითონის ნივთები და მძივები.
ტაბ. V. მარტყოფის N 2 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. VI. მარტყოფის N 2 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. VII. მარტყოფის N 2 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. VIII. მარტყოფის N 2 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. IX. მარტყოფის N 4 ყორღანი.
ტაბ. X. მარტყოფის N 4 ყორღანის ყრილი.
ტაბ. XI. მარტყოფის N 4 ყორღანი.
ტაბ. XII. მარტყოფის N 4 ყორღანის დასაკრძალავი კამერა. დასაკრძალავი კამერის კუთხე.
ტაბ. XIII. მარტყოფის N 4 ყორღანის დასაკრძალავი კამერის იატაკი.
ტაბ. XIV. მარტყოფის N 4 ყორღანი: ცულები, ბრტყელი ცულები, სატეხი და სადგისი.
ტაბ. XV. მარტყოფის N 4 ყორღანი: სატევრისა და ისრისპირები.
ტაბ. XVI. მარტყოფის N 4 ყორღანი: ოქროს და ვერცხლის მძივები, ოქროს რგოლები, ბრინჯაოს ხვიები, ვერცხლის ბრტყელი მავთულის ნატეხები, სერდოლიკის თვლები.
ტაბ. XVII. მარტყოფის N 4 ყორღანის სადაფის საკიდები.
ტაბ. XVIII. მარტყოფის N 4 ყორღანი: თეთრი პასტის მძივები, სადაფისა და ძვლის მრგვალი მძივები, სერდოლიკის მძივები, სერდოლიკისა და ქარვის სამკუთხა საკიდები.
ტაბ. XIX. მარტყოფის N 4 ყორღანი: ცხოველის ეშვის საკიდები, ძაღლის საძირე კბილის საკიდები, ძვლის ნივთები.
ტაბ. XX. მარტყოფის N 4 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXI. მარტყოფის N 4 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXII. მარტყოფის N3 ყორღანის ჩაშვებული სამარხის ინვენტარი.
ტაბ. XXIII. მარტყოფის N 3 ყორღანის ძირითადი სამარხის ინვენტარი.
ტაბ. XXIV. მარტყოფის N 3 ყორღანის ძირითადი სამარხის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXV. მარტყოფის N 3 ყორღანის ძირითადი სამარხის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXVI. მარტყოფის N 5 ყორღანის „შტანდარტი" და „საკინძები".
ტაბ. XXVII. მარტყოფის N 5 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXVIII. მარტყოფის N 6 ყორღანის სამარხი.
ტაბ. XXIX. მარტყოფის N 6 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXX. სამგორის ყორღანის ხედი. თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXXI. მაღაროს ყორღანი. ყორღანის დასაკრძალავი კამერა.
ტაბ. XXXII. მაღაროს ყორღანის კერამიკა.

ტაბ. XXXIII. თრიალეთის ადრეული ყორღანების ინვენტარი: თიხის ჭურჭელი. ვერცხლის ხვია და ლახტის თავი.
ტაბ. XXXIV. ანანაურის N 2 ყორღანის ოქროს ნივთები.
ტაბ. XXXV. მარნეულის ველის N 4 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXXVI. მარნეულის ველის N 4 ყორღანი: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს და ობსიდიანის ისრისპირები, სატევრისპირი.
ტაბ. XXXVII. მარნეულის ველის N 5 ყორღანის თიხის ჭურჭელი.
ტაბ. XXXVIII. მარნეულის ველის NN 6 და 7 ყორღანების ინვენტარი.
ტაბ. XXXIX. მარნეულის ველის N 9 ყორღანის ინვენტარი.
ტაბ. XL. თეთრიწყაროს ყორღანებში აღმოჩენილი კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები. თიხის ჭურჭელი ველიკენტის სამაროვნიდან.
ტაბ. XLI. თიხის ჭურჭელი ალაზნის ველის ყორღანებიდან.
ტაბ. XLII. ლომის ქანდაკება წნორის N 2 ყორღანიდან. ოქროს საკინძები თრიალეთისა და ბედენის ყორღანებიდან.
ტაბ. XLIII. კორინთოს სამარხის ძვლისა და ბრინჯაოს საკინძები.
ტაბ. XLIV. კორინთოს სამარხის ინვენტარი.

BESCHREIBUNG DER ABBILDUNGEN

Abb. 1. Plan der Hügelgräber von Martkhopi und Samgori.
Abb. 2. Das Hügelgrab N 1 von Martkhopi
Abb. 3. Das Grabinventar aes dem Hügelgrab N 1 von Martkhopi: 1-2 Tongefäße, 7. Bruchstücke von Tongefäßen. 8. Steinaxt, 9-10. bronzene Pfeilspitzen, 11. Perlmuttringe, 15. Anhänger aus Hauer.
Abb. 4. Das Hügelgrab N 2 von Martkhopi.
Abb. 5. Tongeschirr aus dem Hügelgrab N 2 von Martkhopi
Abb. 6. Tongefäße aus dem Hügelgrab N 2 von Martkhopi, 34. Silberne Dolchklinge. 35. Bronzene Dolchklinge, 36-38. Bronzene Pfeilspitzen.
Abb. 7. Tongefäße aus dem Hügelgrab N 2 von Martkhopi
Abb. 8. Topoplan des Hügelgrabes N 4 von Martkhopi
Abb. 9. Hügelgrab N 4 von Martkhopi im Querschnitt
Abb. 10. Die Grabkammer des Hügelgrabes N 4 von Martkhopi.
Abb. 11. Die Ecke der Grabkammer des Hügelgrabes N 4 von Martkhopi.
Abb. 12. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Bronzene Äxte.
Abb. 13. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Bronzene Äxte.
Abb. 14. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. 75-78 Dolchklingen, 79-81 Flachbeile. 82 Meißel, 83 Ahle, 84-99 Pfeilspitzen, 104 Fragment eines Stiftes, 105. Fragment der Öse einer Dolchklinge. 106 Nabel. 107 Bruch-stücke eines flächen bronzenen Drahtes. 109 Bronzener Anhänger.
Abb. 15. Hügelgrab N 4 von Martkhopi. 110 Silberne Perlen, 111 Karneol-perlen, 112 Fritteperlen 113 Fritteperlen, 114-117 Perlmuttperlen und Anhänger, 118 Knochenringe, 124 Karneolperlen, 125 dreieckige Karneolanhänger, 126 Bernsteinperlen, 127 dreieckige Bernsteinanhänger, 129-130 Goldringe, 131 goldene Perlen, 132 goldene Perlen.
Abb. 16. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi: 118-119 Ringe aus Knochen, 120 Gegenstände aus Knochen, 121 Anhänger aus Eckzähne des Hundes, 122 Anhänger aus Tierhauer
Abb. 17. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. 135-139 Tongefäße, 148 Bruchstücke von Tongefäßen
Abb. 18. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Bruchstücke von Tongefäßen.
Abb. 19. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Bruchstücke von Tongefäßen.
Abb. 20. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Bruchstücke von Tongefäßen.
Abb. 21. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Bruchstücke von Tongefäßen.
Abb. 22. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Bruchstücke von Tongefäßen.
Abb. 23. Das Hügelgrab N 3 von Martkhopi. Das Hauptgrab.
Abb. 24. Das Hügelgrab N 3 von Martkhopi. Inventar aus dem hinuntergestzten Grab: 40-42 Tongefäße. 43. "Standarte" 44. Bronzene Pfeilspitze. 45. Goldene Spirale.
Abb. 25. Das Hügelgrab N 3 von Martkhopi. Inventar aus dem Hauptgrab: 46-50 Tongefäße, 58 Axt, 59 "Standarte", 60 Meißel, 61 Ahle, 62-64 Bronzene Spirale, 65 Fritteperlen, 66 Karneolperlen, 67 dreieckige Karneolanhänger, 68 Gagatring, 70 goldene Spirale.
Abb. 26. Das Hügelgrab N 3 von Martkhopi. Tongefäße.

Abb. 27. Das Hügelgrab N 5 von Martkhopi. Grab.

Abb. 28. Das Grabinventar aus dem Hügelgrab N 5 von Martkhopi: 161 Axt, 162 Meißel, 163 Flachbeil, 164 Dolchklinge, 171-175 Obsidianpfeilspitze, 177 Goldperle, 178 silberner Henkel einer Kanne, 179. Pfeilspitze aus Knochen.

Abb. 29. Das Hügelgrab N 5 von Martkhopi. Tongefäße.

Abb. 30. Das Hügelgrab N 5 von Martkhopi. Tongefäße.

Abb. 31. Das Hügelgrab N 5 von Martkhopi. Bemalte Gefäße.

Abb. 32. Das Hügelgrab N 6 von Martkhopi.

Abb. 33. Das Hügelgrab N 6 von Martkhopi. Das Grab.

Abb. 34. Das Grabinventar aus dem Hügelgrab N 6 von Martkhopi: Tongefäße und eine bronzene Pfeilspitze

Abb., 35. Die Rekonstruktion der Grabkammer des Hügelgrabes von Magharo.

Abb. 36. Das Grabinventar aus dem Hügelgrab N 4 von Berg Dali.

Abb. 37. Das Grabinventar aus dem Hügelgrab N 1 von Enamta.

Abb. 38. Das Inventar aus dem unteren Grab des Hügelgrabes N 2 von Silitschi.

Abb. 39. Das Inventar aus dem oberen Grab des Hügelgrabes N 2 von Silitschi.

Abb. 40. Inventar aus dem Hügelgrab N 1 des zweiten Kurganfeldes von berg Dali.

Abb. 41. Die pfeilspitzen mit pyramidalem Kopf aus den Hügelgräbern von Berg Dali.

Abb. 42. Inventar aus dem Hügelgrab N 1 von Anaga.

Abb. 43. Das Inventar aus dem Hügelgrab N 5 von Marneulital.

Abb. 44. Grabinventar aus dem Hügelgrab N XXIV von Trialeti.

Abb. 45. Inventar aus dem Hügelgrab von Samgori.

Abb. 46. Inventar aus dem Hügelgrab von Magharo.

Abb. 47. Inventar aus dem Hügelgrab XIII von Trialeti.

Abb. 48. Inventar aus dem Hügelgrab XIX von Trialeti.

Abb. 49. Das Inventar aus dem Hügelgrab N 4 von Marneulital.

Abb. 50. Das Inventar der Hügelgrab N 6 und N 7 von Marneulital.

Abb. 51 Das Inventar aus dem Hügelgrab N 2 von Ananauri.

Abb. 52. Das Inventar aus dem Hügelgrab N 9 von Marneulital.

Abb. 53. Hügelgrab von Bakurziche: eine Lanze und eine Dolchklinge.

Abb. 54. Eine lanze aus Armasziche.

Abb. 55. Tongefäße aus der Siedlung Amiranis Gora.

Abb. 56. Objekte aus dem Hügelgrab N 3 bei Mozdok, Grab N 3.

Abb. 57. Keramik aus dem Hügelgrab N 2 von Khowle.

Abb. 58. Inventar aus dem Grab N 2 des Hügelgrabes von Khowle.

Abb., 59. Inventar aus dem Grab N 1 des Hügelgrabes von Khowle.

Abb. 60. Die Lanze aus dem Hügelgrab N 8 von Gräberfeld Eliste. Die Klinge eines Lanze bzw. eines Dolches aus dem Grab von Chorostape.

Abb. 61. Das Inventar aus dem Grab von Korinto.

BESCHREIBUNG DER TAFELN

Taf. I. Das Hügelgrab N 1 von Martkhopi im Überblick. Die Grabkammer.
Taf. II. Die Grabkammer des Hügelgrabes N 1 von Martkhopi.
Taf. III. Das Grabinventar aus dem Hügelgrab N 1 von Martkhopi.
Taf. IV. DasHügel Grab N 2 von Martkhopi im Überblick. Metallobjekte und perlen.
Taf .V. Tongefäße aus dem Hügelgrab N 2 von Martkhopi.
Taf. VI. Tongefäße aus dem Hügelgrab N 2 von Martkhopi.
Taf. VII. Tongefäße aus dem Hügelgrab N 2 von Martkhopi.
Taf. VIII. Tongefäße aus dem Hügelgrab N 2 von Martkhopi.
Taf. IX. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi.
Taf. X. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi. Die Aufschüttung.
Taf. XI. Das Hügelgrabes N 4 von Martkhopi.
Taf. XII. Die Grabkammer des Hügelgrab N 4 von Martkhopi. Die Ecke der Grabkammer.
Taf. XIII. Der Fußboden der Grabkammer des Hügelgrabes N 4 von Martkhopi.
Taf. XIV. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi: Äxte, Flachbeile, ein Meißel und eine Ahle.
Taf. XV. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi: Dolchklingen und Pfeilspitzen.
Taf . XVI. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi: Gold - und Silberperlen, Goldringe, Bronzespiralen, Bruchstücke eines flachen Silber-Drahtes, Karneolperlen.
Taf. XVII. Perlmuttanhänger aus dem Hügelgrab N 4 von Martkhopi.
Taf. XVIII. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi: weiße Fritteperlen, runde Perlen aus Perlmutt und Knochen, Karneolperlen, dreieckige Anhanger aus Karneol und Bernstein.
Taf. XIX. Das Hügelgrab N 4 von Martkhopi: Anhänger aus Tierhauer, Anhänger aus Eckzähne des Hundes, Objekte aus Knochen.
Taf. XX. Tongefäße aus dem Hügelgrab N 4 von Martkhopi.
Tat. XXI. Tongefäße aus dem Hügelgrab N 4 von Martkhopi.
Taf. XXII. Inventar aus dem hinuntergesetzten Grab des Hügelgrabes N 3 von Martkhopi.
Taf. XXIII. Inventar aus dem Hauptgrab des Hügelgrabes N 3 von Martkhopi.
Taf. XXIV. Tongefäße aus dem Hauptgrab des Hügelgrabes N 3 von Martkhopi.
Taf. XXV. Tongefäße aus dem hauptgrab des Hügelgrabes N 3 von Martkhopi
Taf. XXVI . "Standarte" und "Nadeln" aus dem Hügelgrabes N 5 von Martkhopi.
Taf. XXVII. Tongefäße aus dem Hügelgrab N5 von Martkhopi.
Taf. XXVIII. Das Grab im Hügelgrab N 6 von Martkhopi.
Taf. XXIX. Tongefäße aus dem Hügelgrab N 6 von Martkhopi.
Taf. XXX. Das Hügelgrab von Samgori. Überblick. Tongefäße.
Taf. XXXI. Das Hügelgrab von Magharo. Die Grabkammer.
Taf. XXXII. Keramik aus dem Hügelgrab von Magharo.

Taf .XXXIII. Das Grabinventar der frühen Hügelgräber Trialetis: Tongefäße, Silberspirale und Keulenkopf.

Taf. XXXIV. Goldene Objekte aus dam Hügelgrab N 2 von Ananauri.

Taf. XXXV. Tongefäße aus Marneulital. Hügelgrab N 4.

Taf. XXXVI. Das Hügelgrab N 4 von Marneulital; Tongefäße, Bronze - und Obsidianpfeilspitzen, Dolchklinge.

Taf. XXXVII. Tongefäße aus dem Hügelgrab N 5 von Martkhopi.

Taf. XXXVIII. Das Grabinventar der Hügelgräber N 6 und N7 von Marneulital.

Taf. XXXIX. Das Inventar des Hügelgrabes N 9 von Marneulital.

Taf. XL. Feuerstein - und Obsidianpfeilspitzen aus den Hügelgräbern von Tetrizkharo. Tongefäße aus dem Gräberfeld von Velikent.

Taf. XLI.Tongefäße aus den Hügelgräbern des Alasanitals.

Taf. XLII. Die Figur eines Löwen aus dem Hügelgrab N 2 von Znori. Goldene Nadeln aus dem Hügelgräbern von Trialeti und Bedeni.

Taf. XLIII. Das grab von Kozinto; Nadeln aus Bronze und Knochen aus dem Grab von Korinto.

Taf. XLIV. Inventar aus dem Grab von Korinto.

ტ ა ბ უ ლ ე ბ ი















ᏍᏗᏗ. VII.



























ᏓᏍᏗ. XXIII.





























27
28
29
30













სარჩევი

წინათქმა 3
შესავალი 5
I თ ა ვ ი . მარტყოფის ყორღანები 12
II თ ა ვ ი . მარტყოფის ადრეული ჯგუფის ყორღანები 68
III თ ა ვ ი . მარტყოფის ბედენური კულტურის ყორღანები 97
IV თ ა ვ ი . ერთი სამარხი ქსნის ხეობიდან 155
V თ ა ვ ი . ადრეყორღანული კულტურის მატარებელი ტომების
ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის 166
რეზიუმე (გერმანულ ენაზე) 189
ტაბულების აღწერილობა 201
ტაბულები 207-251

გამომცემლობის რედაქტორი აზა კაჭარავა-კერესელიძე
სამხატვრო რედაქტორი იზა კლიმიაშვილი-ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფრიდონ ბუდაღაშვილი
კორექტორი მარინე ვარამაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.05.98
საბეჭდი ქაღალდი 70x108 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 22,4
სააღრ.-საგამომც. თაბახი 20,31
შეკვეთის N138 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის გამზ. 1

გამომსემლობა „მერიდიანი", „კაბადონი",
თბილისი, გურამიშვილის გამზ., 74